მამა გიორგი გიორგიწმინდელი

(ნაწილი პირველი)

თბილისი - 2017

ჭეშმარიტ მღვდელს ვერ შეაცდენენ ცუდი მღვდლები, ვერც ცუდი ეპისკოპოსები. იგი ყოველთვის მათ მაღლა მიაპყრობს მზერას და წმიდა მღვდლებსა და წმიდა ეპისკოპოსებს უცქერის... უცქერის წმიდათა გუნდს, მთელი სულით მათკენ მიისწრაფვის, მათით აღფრთოვანდება, მათით წინამძღოლობს... ყველა ისინი დღემდე ცოცხლობენ ეკლესიაში როგორც გუშინ, როგორც ათასი წლის წინ, ცოცხალია ყველა წმიდა მოციქული, ცოცხალია ყველა წმიდა მოწამე, ცოცხალია ყველა წმიდა მამა, წმიდა აღმსარებელი, ისინი ჩვენთან თანამსახურობენ ყოველდღიურად წმიდა ლიტურღიაზე.

წმიდა იუსტინე პოპოვიჩი

სარედაქციო კოლეგია:
იოსებ სიბოშვილი - 599 24 24 63
მარინე ოსეფაშვილი - 599 36 88 39
ნიკოლოზ ბულია - 597 53 75 75
ირაკლი ლომიძე - 595 65 32 31
დამკაბადონებელი - დავით გილიგაშვილი

ISBN– 978-9941-27-676-7



„მოწყალებისა კარი
განგვიღე, კურთხეულო
ღმრთისმშობელო, რაჲთა
რომელნი ესე შენ გესავთ, არა
დავეცნეთ, არამედ განვერნეთ
წინააღმდგომთა მტერთაგან,
რამეთუ შენ ხარ ცხოვრებაჲ
ნათესავისა ქრისტეანეთასა“.

იოანე – ზოსიმე

X საუკუნე

ანდერძი იადგარისაჲ
(მუხლთა თავნი და ბოლონი იტყვიან „გეორგი”)

გუნდნი იგი ზეცისანი
შენ წმიდათა წმიდათასა
განწყობითნი გიგალობენ!
მე უღირსი შეგივრდები.
რაჲთა ვიყო მათთანავე
შენგან უძა**გ**!

ესე შესხმაჲ სულიერი
შენ მიერვე მოცემული,
კაცთა მიერ მოღვაწეთა
ფრიად სიბრძნით გამოთქმული
შეიწირე ჩემ – მიერცა
კაცთ – მოყვარ**ე**!

ორთა მიერ ბრწყინვალეთა
ღმრთისა კაცთა სასურველთა,
სიღრმითა მის გულისაჲთა
სათნოდ ღმრთისად შეკრებული,
ვითარცა რაჲ მარგალიტი
ურიცხვისა სასყიდლისაჲ,
ჩვენ მოგვეცა, მორწმუნენ**ო**!

რაჲთა ჩვენცა ვიხარებდეთ
შვენიერად დატკბობილთა
ხმათა მათთა სიმრავლითა,
გალობითა ბრწყინვალითა,
შესხმითა მით წმიდათაჲთა,
რომლითაცა იდიდები
შენ სახიე**რ**!

განგვიმრავლე ქველის - მოქმედ
განძი ესე სულიერი,
მოცემული შენ მიერი;
ძალსა მისსა მყვენ მიმწდომელ,
რაჲთა არა იყოს იგი
ჩვენდა აუ**გ**!

იხარებდით მოძღვრებითა
სულიერად შესხმისაჲთა
ჰოჲ, კრებულო, მსწავლელთაო,
ვურთვიდეთ რაჲ სიტყუათა მათ
გალობითა ხმეანითა,
რომელთაგან იდიდების
კაცთმოყვარე ღმერთი ჩუენ**ი**.

კაცი ის არის, ვინც მისდევს
დიდის მოძღვრისა მცნებასა,
ვინც მოძმეს გულსა გაუხსნის,
თავს ააცილებს ვნებასა.

ქვრივ-ობლებს ცრემლებს მოსწმენდავს,
მოუსპობს გაჭირვებასა,
იბრძვის და იბრძვის ერისთვის.
ქვეყანას მისცემს შვებასა -

კაცი ის არის, ვინც მამულს
გამოადგება შვილადა,
ვისაც სამშობლო ტაძრად აქვს,
თავი სამსხვერპლო წილადა.

ქვეყნისა ცრემლი ჭირად უჩნს,
მისი ღიმილი ლხინადა,
ვინც მისთვის თავსა შესწირავს,
მას შამოავლებს ფთილადა!

კაცი ის არის, ვინც მამულს
ეტრფის და ეთაყვანება,
ვისაც ვერ დასძლევს მტრის ოქრო,
ვერც მისი მკაცრი ბრძანება.

ვისაც სამშობლოს ოხვრისთვის
ლომ-გული მოეფხანება,
ვინც დასთხევს მისთვის წმინდა სისხლს,
მოწამეს დაემგვანება!

რაფიელ ერისთავი

...დიდი ხანია გიორგის დადუმება სურთ, მაგრამ მე რომ დავდუმდე სხვა გიორგი იტყვის. თუ ისიც არ იტყვის, ვინმე ერისკაცი იტყვის. ასე რომ ღმერთის სიმართლეს ვერავინ შეაჩერებს... ძნელია სიმართლე, ძნელია სიცოცხლეც, მაგრამ აუცილებელი.



არქიმანდრიტი გიორგი ბასილაძე

პავლე მოციქულის სწავლებით: „ეკლესია სვეტი და სიმტკიცეა ჭეშმარიტებისა“. დღეს მსოფლიო გახრწნილ გვამს დაემსგავსა. ეკლესია კი ნათელი შუქურაა ადამიანთა სულების გადასარჩენად, იმ გზის გასანათებლად, რომელსაც ქრისტიანობა – სულის გადარჩენა ჰქვია. წმიდა სერაფიმე საროველი ამბობდა: „საკმარისია ერთმა ადამიანმა მოიპოვოს სულიწმიდის მადლი, რომ მის გარშემო ათასები ცხონდებიან“. რას ნიშნავს ეს? საკმარისია ოჯახიდან ერთი ადამიანი მოვიდეს ეკლესიაში და მოიპოვოს სულიწმიდის მადლი, რომ მისი ოჯახის წევრები, მეზობლები, ახლობლები, უკვე ეკლესიაში მოდიან.

მოძღვარი ყოველ დღეს ფიქრსა და ლოცვაში უნდა ატარებდეს, თავის მრევლს ავედრებდეს უფალს, მოძღვრავდეს მათ, ცდილობდეს საინტერესოდ წარმართოს ლოცვა და წირვა, აზრიანი და შინაარსიანი იყოს მისი ქადაგებანი, თითოეულს მიუთითოს სიკეთისა და სიყვარულისაკენ, თავადაც სიკეთესა და სიხარულს განასახიერებდეს, მოთმინებით ელოდოს როგორ შემოტრიალდება ადამიანი ურწმუნოებიდან ქრისტიანობისაკენ.

მღვდელი გიორგი პავლოვი

მამა გიორგი პავლოვს

ჩემო დიდიმედო, გულში გამდინარო,
ჩემო სიხარულო, ცრემლის მადინარო,
ჩემო სანთელო და დიდო კელაპტარო,
ჩემო გულნათელო მზისა შესადარო.
ჩემო სასოებავ, მადლით ავსებულო,
ჩემო სიმშვიდეო გულში არსებულო,
ღმერთის მოტრფიალევ ცეცხლად ანთებულო,
უფლის სავანისკენ ხიდად გადებულო.
ხალხის სიყვარულით დაღლილ-დაქანცულო,
მაგრამ კვლავ ბოლომდე დამწვარ-დახარჯულო,
მადლის მდინარეო, ჩვენსკენ მომდინარო,
უფლის მეგობარო მირონმოდინარო.
ცოდვით დაცემული, თვალებცრემლიანი
შენსკენ მოვისწრაფი, მამავ უდიდესო,
ვიცი, რომ მიმიყვან გზებით ეკლიანით
თავად უფალ ღმერთთან, ჩემო უმწიკვლესო.
ხელებს შემოგხვევ და გულში ჩაგეკვრები.
ვიცი, ხელს არა მკრავ ჩემო უთბილესო.
შენ რომ მიმასწავლი, იმ გზებს ავეკვრები,
ღმერთთან გამოგყვები ჩემო უტკბილესო.
ვიცი, უამრავჯერ ცოდვით დაცემული,
არ ვარ შენი ღირსი, ჩემო ღვაწლიანო,
მაგრამ, რაც გულით გაქვს უხვად გაცემული,
ცოტა მეც მარგუნე, ჩემო მადლიანო.
სულით ღმერთთანა ხარ, მამავ გულნათელო,
ზეცად აზვირთული ლაღად, ვით ორბიო.
ჩემო ღმერთიანო, ჩემო სანატრელო,
ჩემო საყვარელო მამა გიორგიო !!!

გიორგი (გელა) ფაჩუაშვილი
2015 წლის 16 იანვარი ინგლისი, ქ. ბირმინგემი
ტელ. +447969 796 799

დედის მოგონება - ღვთის საჩუქარი

მთელი ჩემი ცხოვრება ადრეული ბავშვობიდან რთული ცხოვრებით ვიცხოვრე. მეუღლე ადრე გარდამეცვალა და დავრჩი პატარა გიორგით ხელში უბინაოდ და უმუშევარი. მოგეხსენებათ რა რთულია მარტოობაში ვაჟის აღზრდა. რომ არა ღვთისგან ბოძებული კერვის ნიჭი, ძალიან გამიჭირდებოდა ცხოვრება. დღე და ღამე ვმუშაობდი, რომ ღირსეულ ადამიანად გამეზარდა ჩემი შვილი. ღამე ერთი ფეხით საკერავ მანქანასთან ვმუშაობდი და მეორე ფეხზე კი თოკი მქონდა მობმული, რომლითაც გიორგის საწოლს ვარწევდი.

ასე მივყვებოდით მე და ჩემი გიორგი ცხოვრების ურთულეს გზას: ბაგა-ბაღი (სადღეღამისო), სკოლა, ჯარი. გიორგი ჯარის შემდეგ არ თაკილობდა არანაირ სამუშაოს იმისთვის, რომ ჩემი ყოფა შეემსუბუქებინა. ის ბავშვობიდანვე ძალიან შრომისმოყვარე იყო.

ბევრს ვერაფერს შევძლებდი, გიორგი ასეთი განსაკუთრებული ბავშვი რომ არ ყოფილოყო, ის მშვიდი, წყნარი, დამჯერი და მოსიყვარულე შვილი იყო. პატარობიდანვე უყვარდა კითხვა, მთხოვდა საათობით მეკითხა მისთვის წიგნები, ძალიან უყვარდა საეკლესიო ლიტერატურის კითხვა, რომელიც იმ პერიოდში ძნელად მოიპოვებოდა. გიორგი ადრეული ბავშვობიდან მოყოლებული დღემდე ძალიან ბევრს კითხულობს.

სკოლაში კარგად სწავლობდა, დადიოდა მუსიკალურ სკოლაში, გამოირჩეოდა დიდი მუსიკალური ნიჭით და სმენით. ერთი პერიოდი პედაგოგობაზეც კი ოცნებობდა. მე კი, გიორგის ბედნიერებაზე, მის დაოჯახებაზე, ბევრ შვილიშვილზე ვოცნებობდი, მაგრამ ღვთის ნება სულ სხვა აღმოჩნდა.

გიორგიმ 29 წლის ასაკში ისე, რომ მე არაფერი ვიცოდი, ჩაბარა

სასულიერო სემინარიაში. როცა ეს ჩემთვის ცნობილი გახდა, ჩემს გაოცებას საზღვარი არ ქონდა, მან ამ პერიოდში არც ერთი სიტყვა არ იცოდა ქართულად, მაგრამ ღვთის მადლით შეისწავლა ძველი და ახალი ქართული, წარმატებით დაამთავრა სასულიერო სემინარია, სწავლის პარალელურად მუშაობდა დიდუბის ღვთისმშობლის შობის ტაძარში დარაჯად, სადაც ღამით ჰქონდა ხილვა(რაც მე მოგვიანებით გავიგე), რომელიც ამცნობდა მის მომავალს, თუ რა ადგილს უმზადებდა უფალი სამომავლოდ.

დიაკვნად პატრიარქმა აკურთხა და ასეთი სიტყვები უთხრა: „გიორგი აბა შენ იცი, შენზე დიდ იმედებს ვამყარებ“-ო. ის სიტყვებიც ალბათ შემთხვევით არ უთქვამს პატრიარქს.

ჩემთვის დიდი შოკის მომგვრელი იყო მისი გადაწყვეტილება ბერობის შესახებ. როგორც ზემოთ მოგახსენეთ ვოცნებობდი მის დაოჯახებაზე და მისი ეს გადაწყვეტილება ჩემთვის მიუღებელი იყო, თან მაშინ მე რწმენაში არ გახლდით, მაგრამ მე ვერ შევძელი მისი გადაწყვეტილების შეცვლა. სხვა გზა არ მქონდა და დიდი გულისტკივილით შევეგუე მის არჩევანს.

თვალს ვადევნებდი მის მოღვაწეობას, მის თავგანწირვას, მის რთულ და ეკლიან გზას. გული მტკიოდა, მაგრამ ვამაყობდი მისი პატიოსნებით, მისი დიდი სიყვარულის გრძნობით, რომელსაც უხვად აფრქვევს ირგვლივ. თანდათან მრავლდება მისი მრევლი, რომელიც დიდ სიყვარულს, სითბოს და ყურადღებას გამოხატავს ჩემს მიმართ და თანდათან ვრწმუნდები მისი გადაწყვეტილების სისწორეში.

დიდება და მადლობა უფალს გიორგის არჩევანისთვის, მისმა არჩევანმა მე ბევრი შვილი და ბევრი შვილიშვილი შემძინა, მადლობა უფალს ასეთი შვილისთვის და ასეთი ტკბილი სიბერისთვის.

მამა გიორგის დედა-რიმა
თბილისი

გიორგი გიორგიწმინდელი
(მამა გიორგი პავლოვი)

„თუნდაც ათი ათასი აღმზრდელი გყავდეთ ქრისტეში, მამები ბევრი არა გყავთ....“

(1 კორ. 5.15)

„მღვდელი, რომელიც არ არის წმიდანი, არ არის ჭეშმარიტი მღვდელი“

არქიმანდრიტი გიორგი (ბასილაძე)

„დიდ ხარ შენ უფალო და საკვირველ არიან საქმენი შენნი“

არქიმანდრიტი გიორგი (ბასილაძე) გვასწავლის: „ნამდვილი მღვდელი ხედავს ადამიანის სულსა და გულს, იცის ადამიანის ცოდვები, წარსული.... ნათლობის საიდუმლოს შესრულებისას ხედავს ბოროტს, რომელიც ზის მოსანათლის სხეულში ან სულში და განდევნის მას, ფლობს დროსა და სივრცეს, შეუძლია სხეულიდან გამოსვლა, შორ მანძილზე ესმის ლაპარაკი, იცის ადამიანთა აზრები და ზრახვები, აქვს უწყება მიცვალებულის სულის ადგილსამყოფელზე, სულიერ არსებებზეც და ასევე მატერიაზეც ზემოქმედების დიდი ძალა.

ნამდვილ მღვდელს შეუძლია უსიტყვოდ აღძრას ადამიანში სინანული, გაახსენოს ცოდვები და ძალიან მოკლე დროში თვითონ გამოიტიროს ისინი. ნამდვილმა მღვდელმა იცის, გვპატიობს თუ არა ღმერთი ცოდვებს, თუ რამე სასჯელს (ეპიტემია) ითხოვს, იცის ადამიანის ესა თუ ის განსაცდელი ან სატანჯველი რომელი კონკრეტული ცოდვების გამო მიეცა ღვთისგან, შეუძლია მოუხსნას ჯადო ან წყევლა. ნამდვილი მღვდელი ნამყოფია სასუფეველში და ზუსტად იცის როგორ მიიყვანოს იქ მისი მრევლი“.

დღეს ნამდვილი მოძღვარი სანთლით საძებნელია. საგარეჯოს რაიონის სოფელ გიორგიწმინდის მოსახლეობას, ღმერთის შეწევნით, გასული საუკუნის ბოლოს მოძღვრად სწორედ, რომ ნამდვილი მღვდელი მოევლინა. ეგზარქოსობის და ათეისტური დროებით დამძიმებულმა და განაწამებმა ხალხმა შვებით ამოისუნთქა, როდესაც გიორგიწმინდის ღვთისმშობლის შობის ტაძრის წინამძღვრად განაწესეს მამა გიორგი (პავლოვი).

ტაძარი და სოფლის ისტორია

გიორგიწმინდის ღმრთისმშობლის შობის ტაძარი

სანამ უშუალოდ ამ შესანიშნავი მოძღვრის მოღვაწეობაზე დავიწყებ საუბარს, მკითხველისთვის საინტერესო იქნება თვალი გადავავლოთ საგარეჯო-ქვეყნის მრავალსაუკუნოვან და გიორგიწმინდის მართლმადიდებლური რწმენით გაჯერებულ ისტორიას.

საგარეჯო ქვეყნის უძველესი სახელი სუჯეთია, რომელიც მდებარეობდა მდინარე ივრის მარცხენა სანაპიროდან ვიდრე დღევანდელ სოფელ ბოდბემდე. იგი „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს მატიანეში მოხსენიებულია IV საუკუნის მეორე ნახევარში, როგორც ქართლის ერთ-ერთი საერისთავო, რომელიც თავის მხრივ კახეთ-კუხეთის საუფლისწულოში შედიოდა.

თანდათან, დროთა განმავლობაში, ჰერული ქვეყანა სუჯეთი ჯერ კუხეთის ნაწილად იქცა (VII საუკუნე), ხოლო შემდეგ, მასთან ერთად -კახეთისა.

წმიდა ნინოს მიერ ამ ხალხების გაქრისტიანების შემდეგ, ქვეყანაში საეკლესიო მოღვაწეობა სწრაფი ტემპით განვითარდა და 506 წელს „ეპისტოლეთა წიგნში“ მოხსენიებულია ნინოწმინდისა და კაწარეთის საერისთავოები.

ვახუშტი ბატონიშვილი გვამცნობს: „...ხოლო მანავის დასავლით არის ხევი გიორგიწმინდისა, გამოსდის შუამთას და დის ჩდილოდამ სამხრით, ამან მოიგო სახელი, ოდეს შესწირეს გარეჯის უდაბნოს დაბნები ესე, უწოდეს საგარეჯო...“ გარეჯის სამფლობელო მიწა-წყალი გარკვეულ ტერიტორიულ მთლიანობას წარმოადგენდა, რომელსაც შესაბამისი ცნება „საგარეჯო“ შეესატყვისებოდა. მსგავსი შინაარსისაა წყაროებში მოხსენიებული: „ქვეყანა გარეჯისა“, „სრულიად გარეჯისა სახლი“, „წინა და უკანა საგარეჯო“. და სხვა.

ტერმინი საგარეჯო პირველად XV საუკუნის დოკუმენტებში გვხვდება, „საგარეჯომ“ მთლიანი ტერიტორიული ერთეულის შინაარსი ბოლომდე შეინარჩუნა, მხოლოდ XVIII საუკუნეში მოხდა მისი საგრძნობი ტერიტორიული დავიწროვება და ეს სახელი ერთ პუნქტად შემორჩა. დღევანდელ საგარეჯოში გაერთიანებული ყოფილა სამი თვალი, ანუ როგორც მათ დოკუმენტებში უწოდებენ - თვალნი. ამიტომ, ამ პუნქტის სახელი სხვადასხვა ფორმით გვხვდება: თვალი, თვალნი, თვალ-საგარეჯო. თვალი ისტორიულ დოკუმენტებში იხსენიება XIV საუკუნიდან. 1392 წელს ქართლ-კახეთ-მესხეთის საკათალიკოსო მამულების სათარხნის გუჯარით მოიხსნიება: „...სოფელი ანთუკი, თვალნი, გიორგიწმინდა, ბერთუბანი და პატარძეულნი...“ მოგვიანებით საგარეჯო-ქვეყანა მხოლოდ გიორგიწმინდასა და თვალნს გულისხმობდა.

როგორც გარე კახეთის ისტორიის მკვლევარი, ბატონი ალექსანდრე ელერდაშვილი მოგვითხრობს: „არქეოლოგიური კვლევის მონაცემებით, გიორგიწმინდის, როგორც ადგილმდე-ბარეობის წარმოშობა ოთხ ათასწლეულს სცილდება. გიორგიწმინდის

ფეორდობის უბანი, როგორც არქეოლოგიური მონაცემებიდან ჩანს, წარმოადგენდა ბრინჯაოს მეტალურგიის წარმოების ერთ-ერთ ცენტრს.

ჩვენამდე მოღწეულმა წყაროებმა სახელწოდება გიორგიწმინდა შემოგვინახა XI-ს დასასრულიდან. პეტრიწონის ქართველთა მონასტრის ტიპიკონში იგი მოხსენიებულია 1084 წლიდან.

საკითხავია: მაშ როდიდან ეწოდა ამ დიდ სოფელს გიორგიწმინდა? 1956 წელს ერთი მეტად საინტერესო და საყურადღებო ლეგენდა ჩავიწერე. მდინარე თვალთხევის მარჯვენა სანაპიროზე მცხოვრები უხუცესი ქალბატონის სონა მამამთავრიშვილისაგან: „ჩემი დედამთილისაგან, რომელიც 126 წლის გარდაიცვალა, ასეთი რამ მსმენია: უხსოვარი დროიდან, ჩვენი წინაპარი, სოფელ თვალის მამამთავარი ყოფილა, ამიტომ ჩვენი გვარიც იქიდან მომდინარეობს. ჩვენი წინაპარი მამამთავარი გულთმისანი და ნათელმხილველი ყოფილა. მას ქრისტიანული განათლება დავით გარეჯის მონასტერში ჰქონია მიღებული და ამასთან კარგი მეხსიერებითაც გამოირჩეოდა თურმე. ამ ჩვენი წინაპრის ნაამბობი თქმულებები თაობიდან თაობას გადაეცემოდა. თურმე წმიდა ნინომ გარდაცვალების წინ ერთ-ერთ კაბადოკიელ მოძღვარს, რომელიც თან ახლდა, ასეთი ანდერძი დაუტოვა: „წადი კაბადოკიაში და იქიდან ჩამოიტანე წმიდა გიორგის მოკვეთილი თავი და კუხეთის მიწას მიაბარეო“. ამ კაბადოკიელ მოძღვარს შეუსრულებია წმიდა ნინოს ანდერძი, კუხეთის ქვეყანაში ჩამოუბრძანებია და დაუმარხავს წმიდა გიორგის თავი. ამის შემდეგ დარქმევია ახლანდელ საგარეჯოს თვალი, ხოლო მეორე დიდ უბანს- გიორგიწმინდა. ამ სოფელში აუგიათ წმიდა გიორგის სახელწოდებით ეკლესიები. ერთი აგერ, ჩვენს მოპირდაპირე გორაკზედ, რომელსაც თვალთავის წმინდა გიორგის ვუწოდებთ, ხოლო მეორე აგერ, ამ დიდი მთის წვერზე, რომელსაც თავ ანუ მთავარ წმინდა გიორგის ვუწოდებთ. ორივე ეს ეკლესია პირდაპირ უყურებს თვალთხევის სანაპიროზე გაშენებულ სოფელს და თვით ამ ხევის სახელწოდებაც და მის ორივე სანაპიროზე მდებარე სოფელს თვალი ეწოდა. ეს თვალები სწორედ წმიდა გიორგის ნათელმხილველ თვალებს განასახიერებს. ამიტომ, ჩემო შვილო, იცოდეთ, რომ წმინდა გიორგის მოკვეთილი თავი და თვალები ჩვენს მიწაში განისვენებენ“.

ვინც კარგად დააკვირდება საგარეჯოსა და გიორგიწმინდას შუა აღმართულ ტყით შებურულ ნამოსახლარებს, რომლებიც ამ მთის მოვაკებულ თხემზე არის გაბნეული, თუ ასევე ამ მთიდან

აღმოსავლეთით დაბლა ჩავიხედავთ, აქაც მრავალ ნასახლარსა და ნამარნალს შეამჩნევთ, რომლებსაც ხალხი დღესაც „ეკლესიურებს“ ეძახის. დიახ, ის ხალხი, რომელიც აქ ათასწლეულების წინ ცხოვრობდა, ეკლესიური, ღრმად მორწმუნე ადამიანები იყვნენ და წმიდა გიორგის საპატივცემულოდ, თავის საცხოვრებელ სოფელს, წმიდა გიორგის სახელი დაარქვეს. ვისაც გიორგიწმინდის ტყეები შემოუვლია, არ შეიძლება არ შეემჩნია ის ნასახლარები და ნამარნალები, პურის შესანახი ორმოები, გაველურებული, ხეზე ასული ვაზები. ეკლესიურებში, კანჯარაანთ წყალზე, ტაბათგორაზე თუ ხოხოზიკის წყალზე, დიდმინდვრიანებსა თუ ნავრობის ხევის თავში, ხავსმოდებული ნანგრევები დღესაც დგანან ფოთლოვანი ტყით დაბურულ მიუვალ ხეობებში, ვით უტყვი მოწმენი ჩვენი ნატანჯი და ნაბრძოლი წარსულისა და თვალნათლივ ღაღადებენ ჩვენი წინაპრების შეუპოვრობასა და ქედუხრელობაზე“.

ვფიქრობ, სოფლის სახელწოდების შესახებ სხვა ვერსიის განხილვაც არის შესაძლებელი. სახელი გიორგიწმინდა შეიძლება ამ დასახლებას მას შემდეგ ეწოდა, როდესაც იგი, საგარეჯო ქვეყნის მფლობელობაში გადავიდა. ვინაიდან წმიდა გიორგი ერის მფარველად არის აღიარებული, ამიტომ სასულიერო პირებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს, რომ ნინოწმინდის გვერდით და ამავე საკათალიკოსო მამულში ყოფილიყო საეკლესიო სოფელი, რომელსაც წმიდა გიორგის სახელი ეწოდებოდა. ასეთი რელიგიური ტოპონიმები გარე კახეთში ბევრია, მაგალითად: იალნოს (ელეონის) მთა, სიონის მთა, ქორების მთა, ლაზარე, ნინოწმინდა, ანთოკი (გადმოცემით ანტიოქია ერქვა). არ არის გამორიცხული, რომ ჩვენი დედა მდინარე იორი, მიუხედავად მისი სახელის წარმოშობასთან დაკავშირებულ მრავალ ლეგენდისა, იორდანედან იყოს ნაწარმოები ან პირიქით და ა.შ

ასე, რომ სოფელმა გიორგიწმინდამ მყარად „მოიკიდა ფეხი“ გარე კახეთის მიწაზე და უკვე XVIII საუკუნის პირველი მეოთხედის კახეთის ხალხის აღწერის დავთრის (ხდ-1603) მიხედვით, საკმაოდ ბევრი ადამიანი ცხოვრობს სოფელში, რომელთა გვარები დღესაც მრავლდება და ქვეყნისთვის სასიკეთო საქმეებს ეწევა: „არის გიორგიწმინდას ბატონის ყმა: მკერვალის შვილი გიორგი, პეტრე ბუჩა, ბერი ბასილას შვილი აზადი, აუშტარი დავითა აზადი, ბეუიას შვილი მათე, ბასილა გუგუის შვილი, შერმაზან ომარას შვილი, გიორგი კოკონას შვილი, სულხან მარიდას შვილი, რამაზა სულიკას

შვილი, შავერდი სულიკას შვილი, აბრამ ქვრივის შვილი, გულბათ ღრეული, ბერი ღრეული, იასე ჩიტას შვილი, ბერი, ხატია, შიო ჭიაბერის შვილები, შიო გულისას შვილი, შერმაზან ყუდელას შვილი, კანჯარას შვილი დავითა, დათუნა ფეიქრის შვილი, კახაბრის შვილი დათუნას ობოლი,შავერდი ზაქარიას შვილი აყრილი, გზირი ბუგიას შვილი, თამაზა ოქრომჭედელი მარიდაშვილის მამულზედ, ეკამათას შვილი რამაზა, კვირტას შვილი გიორგი, პაპუნა მენავტიკის შვილი ამოწყვეტილი, დადაურის შვილი ამოწყვეტილი ბოგანო...“ (ივ. ჯავახიშვილი,საქ.ეკონომიური ისტორიის ძეგლები. თბილისი,ნაწილი I, 1967წ. გვ.10)

XVIII საუკუნის პირველი ნახევარის გიორგიწმინდას განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდნენ იმ დროინდელი კახეთის მმართველნი.

1738 წელს, მეფე თეიმურაზ მეორემ, თავის შვილს - ერეკლე ბატიონიშვილს, ინდოეთს სალაშქროდ სხვა კახელ გლეხებთან ერთად, გააყოლა გიორგიწმინდელი გლეხი დავით ნაცვლიშვილი, რომელსაც ლაშქრიდან დაბრუნების შემდეგ, სათარხნის სიგელს აძლევენ.

1781 წლით დათარიღებული სიგელით, სხვადასხვა ლაშქრობებში გმირობის გამოჩენისა და მეფის უანგარო ერთგულებისთვის, გაუთარხნებიათ გიორგიწმინდელი ვაჟკაცები: იასე ჭიაბერაშვილი, შერმაზან კანჯარაშვილი, ივანე მეკოკიშვილი, ზაქარია ჭიაბერაშვილი და შერმაზან მარიდაშვილი.

XVII1-XIX საუკუნეთა მიჯნაზე გიორგიწმინდა განლაგებული იყო კანჯარაანთ წყალზე, ნაკალოურებზე და ახლანდელი ზემო უბნების საზღვრებში. ამ პერიოდის ძველი სოფლის ცენტრს ქმნიდა ორი კოშკი და ერთი ეკლესია.

დღეს გიორგიწმინდაში წინაპართა გვარებს აგრძელებენ: ბუჩაშვილები, ბასილაშვილები, ბეუიაშვილები, მარიდაშვილები, სულიკაშვილები, ქვრივიშვილები, ღრეულები, ნაცვლიშვილები, ჭიაბერაშვილები, გულისაშვილები, კანჯარაშვილები, გუგუტიშვილები, ელმათაშვილები და სხვანი.

გიორგიწმინდა, როგორც საგარეჯო-ქვეყნის სხვა სოფლები, მდიდარია ტაძრებით: ღვთისმშობელი (ძველ სასაფლაოზე, რომლის თავზე ძველი ნასოფლარია), კვირაცხოველი (აქვე), ღვთისმშობელი (გიანების უბნის თავზე), მოსალოცავი (საგარეჯოს მიჯნაზე, წიფლისხევის მარცხენა მხარეს), კვირაცხოველი (სოფლის

ჩრდილოეთით, ადგილ ეკლესიურებში), წმინდა გიორგი (სოფლის აღმოსავლეთით), წმინდა გიორგი (სოფლის დასავლეთით, ადგილ გუბეებთან საგარეჯოს მიჯნაზე), კანჯარაანთ საყდარი (ქედის ძირში, ადგილ ხინჭებში), პირი ღვთისას სახელზე აშენებული სალოცავი, ღირსი არქიმანდრიტი გაბრიელის, აღმსარებლის და სალოსის ტაძარი და სოფლის მთავარი ტაძარი - ღვთისმშობლის შობის სახელობისა (სოფლის ძველ ცენტრში - ბურჯებთან).

ამჟამად, წირვა-ლოცვა აღევლინება მხოლოდ ღვთისმშობლის შობის სახელზე ნაკურთხ მთავარ ტაძარში, რომლის წინამძღვარიც გახლავთ მღვდელი გიორგი (პავლოვი). ტაძარი მდებარეობს ორ კოშკს (ბურჯს) შორის. დასავლეთის კოშკს წარწერა არა აქვს, აღმოსავლეთისაზე კი მშენებელს წარწერა დაუტოვებია, ამოკვეთილი საფლავის ქვაზე, რომელიც შესასვლელი კარის არქიტრავადაა გამოყენებული. წარწერა დაზიანებულია და კარგად არ იკითხება: „ქ. მ'ფეი'კლ მეორე ჯბშმა რიმზ ჩმს მე... ბრძნებით ჯრიბში სამი გალავანი გვკთე". ქარაგმების გახსნით და ვარაუდებით წარწერა ასე უნდა წავიკითხოთ: „ქ. მეფე ირაკლი მეორის ჯორჩიებაშმა რამაზ ჩემი მეფის ბრძანებით ჯარებაში სამი გალვნი გავაკეთე". ეს წარწერა გამოქვეყნებულია ორჯერ თ.ბარნაველის და პ.ზაქარაიას მიერ.

მათი წაკითხვის ძირითადი განსხვავება ისაა,რომ თ.ბარნაველი კითხულობს: „ჯარებაში", ხოლო პ. ზაქარია - „კარებში". რადგან ასოების მოყვანილობა ზოგჯერ გაურკვეველია და გაუმართავი, ორივე შემთხვევა შეიძლება ჩაითვალოს მიზანშეწონილად, მხოლოდ აზრობრივი გამართლება სჭირდება. თუ დავუშვებთ, რომ წერია „კარებში", მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ იქ დიდი გალავანი იყო, რომელსაც შესასვლელში (კარებში) სამი კოშკი ჰქონდა (მესამე აღარ არის. ალბათ დაინგრა). ჩემი აზრით, რეალობასთან ახლოს თ.ბარნაველის ვერსიაა, რადგან ასო „ჯ" უფრო ჩანს ადგილზე და ჯარებაც უფრო მიესადაგება სინამდვილეს. მე, პირადად, ამ ვერსიას ვიზიარებ, რაც გაამყარა მამა გიორგი ბასილაძის სტუმრობამ გიორგიწმინდაში... მან რამდენჯერმე დააპირა გიორგიწმინდაში ჩამობრძანება, მაგრამ უფლის ნებით, ჩვენს ტაძარს ხარების დღესასწაულზე ეწვია. მაშინ წარმოთქვა ისტორიული სიტყვები: **„საქართველო შეიძლება გიორგიწმინდიდანაც გაბრწყინდესო".**

ბურჯების ეკლესია, როგორც მას ადგილობრივნი უწოდებენ, წარმოადგენს ერთნავიან, საკმაოდ მოგრძო ნაგებობას. შესაძლოა აქ, ადრე უფრო მცირე ზომის ტაძარი იდგა (როგორიც ზევით

აღვნიშნეთ ხარების სახელზე ნაკურთხი), შემდეგ იგი გადააკეთეს და მიიღო ასეთი სახე.

ტაძრის სამხრეთ კარის თავზე მოთავსებულ ქვაზე მხედრული, ორ სტრიქონიანი წარწერაა: „ქ. მე კევლიშვილი ივანე ღვ(დ)ელსა ამიშენებია ეს ეკლესია ჩემის ღვაწლით ჩ(ემ)ის სულის ს(ა)ოხად ქ'ს უპ‌ჭ" (1800წელი).

გიორგიწმინდის სასაფლაოზე მდებარე ღვთისმშობლის ეკლესიაც იმავე ივანე კევლიშვილს აუგია. მისი შთამომავლობის გადმოცემით იგი მღვდელიც ყოფილა, კალატოზიც და თვითონ აშენებდა ტაძრებს.

ასე რომ, ჩემო მკითხველო, გიორგიწმინდის ღვთისგან კურთხეულ და ჩვენი წინაპრების სისხლით გაჯერებულ მიწაზე, სოფლის ძირითად, ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძარში, 1998 წლის 19 სექტემბერს, პატრიარქის კურთხევით, მღვდლად დადგენილი იქნა მამა გიორგი (პავლოვი). ტაძარი 61 წელი დაკეტილი იყო. მისი უკანასკნელი წინამძღვარი გახლდათ მამა ნიკოლოზი (ოქრომჭედლიშვილი), რომელიც 1937 წელს დააპატიმრეს და გადაასახლეს.

მამა გიორგი პავლოვი დაიბადა 1962 წლის 16 იანვარს თბილისში. დედა - რიმა რომაშოვა. მამა - ალექსანდრე პავლოვი (გარდაიცვალა1964 წელს). დაამთავრა თბილისის 81-ე საშუალო სკოლა. 1980-82 წ.წ. მოიხადა სამხედრო-სავალდებულო სამსახური. მუშაობდა სხვადასხვა ქარხანა-ფაბრიკებში და დაწესებულებებში. 1992 წელს სწავლა გააგრძელა სასულიერო სემინარიაში. მამა გიორგი იგონებს: **„ბავშვობაში, მოსწავლეობის პერიოდში, ხშირად მქონდა სასწაულებრივი ხილვა, მინიშნება, მომავალში ჩემს სასულიერო მოღვაწეობაზე. იმ პერიოდში, როგორც ბავშვს, ამისთვის ყურადღება არ მიმიქცევია. იქნებ ამის მიზეზი ისიც იყო, რომ ჯერ ვერ ვაცნობიერებდი ხილვების დანიშნულებას. შემდეგ კი სულიერი მოთხოვნილებები გამიჩნდა, რომლებსაც ვერ დავუპირისპირდი და სასულიერო სემინარიაში ჩავაბარე გამოცდები. პარალელურად, დიდუბის ღვთისმშობლის შობის სახელობის ეკლესიაში ვმსახურობდი დარაჯად. სწავლის პერიოდში მქონდა სიზმრისეული ხილვა, რომელმაც კიდევ ერთხელ დამარწმუნა, რომ ჩემზე გამოცხადებული იყო ღვთის ნება, ისევ და ისევ ჩემს მომავალ სასულიერო**

მოღვაწეობაზე. 1995 წელს სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქმა უწმიდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ, სიონის ტაძარში დიაკვნად მაკურთხა და დიდუბის ღვთისმშობლის შობის ტაძარში გამამწესა დიაკვნად. იქ სამი წელიწადი ვიმსახურე. ხოლო 1998 წელს 19 ოქტომბერს მთავარეპისკოპოს აბრაამის ხელდასხმით, გიორგიწმინდის ღვთისმშობლის შობის ეკლესიის მღვდელი გავხდი. მე გიორგიწმინდაში არასდროს ვიყავი ნამყოფი. თუმცა ჯერ კიდევ დიაკვნობისას, მღვდლად კურთხევამდე რამდენიმე თვით ადრე მქონდა ხილვა. უფრო სწორად, როგორც ფოტოსურათზე, ისე ვიხილე ეკლესია, რომელიც ორ გოდოლს შორის იყო დაბლობში, პატარა ბაღში, ქუჩიდან დაბლა, კიბეებით ჩასასვლელ ტერიტორიაზე. ჩამესმა ღვთაებრივი ხმაც, რომ ჩემი მსახურება აქ იქნება. 1998 წელს 21 სექტემბერს პირველად ვნახე ეს ადგილი, ეკლესია ორ გოდოლს შორის - ჩემი ხილვისეული სინამდვილე. მინიშნება რეალობად იქცა. გარდა გიორგიწმინდისა, სოფელ უჯარმის მრევლის მღვდელიც ვარ. აქ კვირის შუა დღეებში მივდივარ“.

მამა გიორგის (პავლოვი) ხილვების და გამოცხადებების შესახებ საქვეყნოდ არის ცნობილი. ჩვენთვის, უბრალო მოკვდავებისთვის, რა თქმა უნდა ამოუცნობია ხილვებისა და გამოცხადებების ფენომენი და ამიტომაც მრევლის წევრები ხშირად ვაწუხებთ ხოლმე მამა გიორგის და ათასნაირ შეკითხვას ვუსვამთ. მან ასეთი ახსნა-განმარტება მოუძებნა ჩვენს თხოვნებს: „სულიერი ხედვა სულიერ მსოფლმხედველობას, სულიერ გამოცდილებას ნიშნავს, სხვანაირად სასულიერო პირი შინაარს მოკლებულია. არის საიდუმლოებები, რომელთა გამჟღავნება არ შეიძლება, მაგრამ არის რაღაც, რაც შეიძლება გაუმჟღავნოს სასულიერო პირს უფალმა, რომელმაც მრევლს უნდა გადასცეს, იმისთვის, რომ მოინანიოს მრევლმა, სწორი გზა მონახოს, რათა მონანიებით შემდგომი მოსალოდნელი განსაცდელი აიცილოს თავიდან“.

„რომელსა ჰქონან ყურნი ისმინენ“
(გამოცხ.13.9)
„ხოლო თუ ვინმე უმეცარ არს, უმეცარ იყავნ“
(I კორ. 14.38)



ღირსი მამა მაკარი მეგვიპტელი ჯერ კიდევ მეოთხე საუკუნეში გვაფრთხილებდა: **„ბოლო ჟამის მამების უმრავლესობა, უფრო მამინაცვლები იქნებიან, ვიდრე მამები, ამიტომ მორწმუნეებმა უნდა ისარგებლონ ძველ მამათა ნაწერებით და მათი ამბებითო“.** ჩვენი დროის მანათობელი ვარსკვლავი, აწ უკვე წმინდანად აღიარებული, ღირსი არქიმანდრიტი გაბრიელი (ურგებაძე), აღმსარებელი და სალოსი გახლდათ, რომელმაც თავისი მოღვაწეობის არც თუ მცირე პერიოდში, ვერ დაარწმუნა სასულიერო პირთა უმრავლესობა, რომ „ჭეშმარიტება სულის უკვდავებაშია “. ბევრი სასულიერო პირი მას ხან გიჟს, ხოლო უკეთეს შემთხვევაში, ლოთს ეძახდა. თუმცა ვისი სახელი აქვს ხალხს გულში ჩახუტებული - ნათლად ჩანს. ბერი გაბრიელის

გზას გულით და არა მარტო ბაგეების რხევით, სულ რამდენიმე ნამდვილი მამა მისდევს, მათ შორის ერთ-ერთი გახლავთ მამა გიორგი (პავლოვი), რომელიც ასევე თბილისში, ბერი გაბრიელის უბნის მეზობლად დაიბადა და გაიზარდა.

დავით წინასწარმეტყველი გვასწავლის: **„მღვდელთა შენთა შეიმოსონ სიმართლე...“** (ფსალ.131.9). სულგანათლებულმა მამა გიორგიმ (ბასილაძე) სასულიერო მოღვაწეობაში დაამკვიდრა სიტყვა - ნამდვილი, რომელიც იმ მღვდლების მისამართით არის ნათქვამი, ვინც სიმართლეს ემსახურება. სწორედ ერთ- ერთი ასეთი გამორჩეული, ნამდვილი მღვდელი გახლავთ მამა გიორგი (პავლოვი). ნამდვილების სასწაულთმოქმედების შესახებ ბევრი იწერება და მამა გიორგის აქაც წამყვანი პოზიციები უკავია, რისი მოწმეც ჭეშმარიტებაა და მრევლის წევრთა უმრავლესობა. რაში მდგომარეობს ნამდვილი მღვდელის საიდუმლო? მამა გიორგი(ბასილაძე) აღნიშნულის შესახებ გვასწავლის: **„არის ხილული და უხილავი იერარქია, ნამდვილები ძალაში იერარქიით არ არიან, ისინი პირდაპირ ღმერთით არიან ძალაში“.** მათ დროსა და სივრცეში გადაადგილება არ უჭირთ, ამისთვის არც ჯიპები სჭირდებათ და არც თვითმფრინავები, რადგან ვიმეორებ, ისინი ძალაში ღმერთით არიან! ღმერთს კი წინ ვერავინ დაუდგება. ვუსმინოთ ნამდვილებს, რომლენიც უფალმა გამოგვიგზავნა. თუმცა, ჩვენივე ურწმუნოების გამო, უფალი გვამხელს: **„რადგან ხედვით ხედავენ და ვერ შეიცნობენ,სმენით ისმენენ და ვერ იგებენ...“** (მარკ.4.12.). „გაიხსენონ იერარქებმა - ამბობდა,- მამა გიორგი (ბასილაძე), - რა მოსდიოდათ სულში გაბრიელთან შეხვედრისას?! - თუ გრძნობდნენ იმას, რომ ხარისხის გამო უპირატესობას ინარჩუნებდნენ?! ვერა, ბიძია!... გეტყვი აგერ, დაიმახსოვრე თუ გინდა: **საქართველოს ბოლო ჟამს დიდი სალოსი ეყოლება, რომელსაც თვით მეფის შეცუცხუნების უფლებაც ექნება“.**

ნამდვილები, ღმერთისგან ბოძებული მადლისა და ძალის მეშვეობით, უფლისავე კურთხევით, არც თუ იშვიათად სასწაულმოქმედებად გვევლინებიან. მაგალითად მამა გიორგიმ (პავლოვი) ჩემს სოფელში, თავისი სასწაულმოქმედი ლოცვით სიკვიდლი დაამარცხა. უფლისკენ და ამქვეყნიური სიცოცხლისაკენ მოაბრუნა ისეთი ადამიანი, რომელიც წუთისოფელში მოვლინების დღიდან სკეპტიკურად იყო განწყობილი მართლმადიდებლური სარწმუნოებისადმი.

სასწაულმოქმედების ძალასთან ერთად მამა გიორგის (პავლოვი) დიდი დამსახურება მიუძღვის სამშობლოსა და დედა ეკლესიის წინაშე. იგი, როგორც ყველა ნამდვილი მღვდელი - ქრისტეს მეომარია. ზედმიწევნით გათავისებული აქვს წმიდა ვახტანგ გორგასლის მიერ დადგენილი გამარჯვების ფორმულა: „ეძიებდით ქრისტესთვის სიკვდილს“. იგი უშიშრად დაუპირისპირდა ქაჯეთის ციხეს, რომლის არსებებიც ცხრა წლის განმავლობაში სექტანტობით, ჰომოსექსუალთა, კოლაბორაციონისტთა გამრავლებით და ათასი სიბინძურით წამლავდნენ ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანას. გასაკვირი არც იყო, რადგან მათი სახელი - „ნაცი“ - სულხან-საბას ლექსიკონში შესანიშნავად არის ახსნილი. სამწუხაროა, როდესაც მამა გიორგი (პავლოვი) თავისი ბრწყინვალე ქადაგებებით ღიად უპირისპირდებოდა ქაჯთა ხელისუფლებას, ბევრი სასულიერო და საერო პირი განიკითხავდა მას და როგორც მხდალ ადამიანებს სჩვევიათ, ზურგს უკან, მაშინდელი მმართველი გუნდის საამებლად, ათასნაირ ჭორებს უვრცელებდა. ასეთ დროს ხშირად მახსენდება ხოლმე ერთი სტროფი ჩემი გარდაცვლილი მოძღვრის, მამა შალვას (შუბითიძე) უკვდავი პოემიდან „დავით აღმაშენებელი“:

„ერთი ღმერთია უკვდავი, ძე მისი ჩვენთვის ტანჯული
და სული ღვთისა ძლიერი, მართალი რწმენა და რჯული
ისევე მოვა უფალი, ის შეუმცდარი მსაჯული,
სამება ღმერთსა ვაქებდეთ, ვინც არ ვართ გადაქაჯული“.

თითქმის ორი ათეული წელია, რაც მამა გიორგი (პავლოვი), როგორც ტაძრის წინამძღვარი, მსახურებას ეწევა გიორგიწმინდის ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძარში. ამ ხნის განმავლობაში, ამ წმინდა ადგილას მრავალი სასწაული აღესრულება. განსაკუთრებით უკანასკნელ პერიოდში ტაძარში და მამაოს სენაკში დაბრძანებულ ხატებზე სასწაულებრივად იმატა მირონდენამ, რომელიც შემდეგ ეკლესიის მრევლის რამდენიმე წევრის ოჯახში დაბრძანებულ ხატებზეც გაგრძელდა. და, ჰოი, საოცრებავ! თვით მამა გიორგის (პავლოვი) ფოტოსურათზეც დაიწყო მირონდენა. რასთან უნდა იყოს დაკავშირებული ეს სასწაული?

ამ მოვლენის ახსნა ჩვენთვის, მოკვდავთათვის დაფარულია.

სასულიერო პირები სხვადასხვანაირად ხსნიან მას და ისიც მხოლოდ ვარაუდის დონეზე. მე ვფიქრობ, რომ მირონდენის მოზღვავებაც ნამდვილთა ხვედრია. ისინი ხომ წინა ხაზზე, ავანგარდში იბრძვიან ბოროტის წინააღმდეგ, ადიდებენ უფალს, ემსახურებიან მას, აკეთებენ ღმერთის საქმეს და სიცოცხლესაც კი გასწირავენ არსებულის შენარჩუნებისათვის. ყველას კარგად მოეხსენება, რომ ბოროტი უძლურია მათ წინააღმდეგ, ვინც კეთილ საქმეებს აკეთებს. მამა გიროგი (პავლოვი) ხომ უდიდესი ქველმოქმედია. ეკლესიაში სეფისკვერს არ ყიდიან, მხოლოდ არიგებენ. ასევე, მრევლს საჩუქრად გადაეცემა სასულიერო ლიტერატურა: წიგნები, ჟურნალები, კალენდრები, ხატები და უამრავი საყოფაცხოვრებო ნივთი. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა გაჭირვებულებს, რომლებიც სხვადასხვა ქალაქებიდან და სოფლებიდან მოდიან. მათ ურიგდებათ საჭმელი, სასმელი და პირადი მოხმარების ნივთები, როგორც შემოწირულობებით მიღებული, ასევე მამა გიორგის (პავლოვი) მიერ პირადად ნაყიდი. ამიტომაც სულ ახლახანს მირონდენა დაიწყო იმ საკუჭნაოს კარზე, საიდანაც გაჭირვებულებზე გაიცემა მოწყალება. ბოროტი კი თავისას არ იშლის და იბრძვის. ამასთან დაკავშირებითაც დაფიქსირდა რამდენიმე ფაქტი. როდესაც მამა გიორგისთან (პავლოვი) სტუმრად იყო ჩამოსული ასევე ნამდვილი მღვდელი დეკანოზი იოანე (ოლარი) (ცნობილია, რომ იგი პეტერბურგიდან წმინდა ნინოს და წმინდა გიორგის გამოცხადებით ჩამობრძანდა), იგი სხვათა თანდასწრებით ესაუბრებოდა უხილავ ჭინკებს, რომელნიც დაძრწოდნენ როგორც ტაძრის, ასევე მამაოს სენაკის ირგვლივ. ერთხელ ასე მიმართა მამა იოანემ (ოლარი) ჭინკას: „რაო, ჭინკავ, არაფერი გამოგივიდა?! წადი, მოშორდი აქაურობას!“

ყოველივე ზემოთ თქმული მიგვანიშნებს, რომ იქ სადაც ღვთის საქმე კეთდება, უშეღავათო ბრძოლა მიდის კეთილსა და ბოროტს შორის და ალბათ მირონდენაც ამის მაუწყებელია. დაუსრულებლად გადმოდის მადლი ზეციდან. ეს ტაძარში აშკარად იგრძნობა. ეს რომ ასეა, ამას ადასტურებს მრევლის წევრთა სიმრავლე. რომ არაფერი ვთქვათ აღმოსავლეთ საქართველოს რეგიონებზე, მომლოცველები დასავლეთ საქართველოდანაც ხშირად მოდიან, ხოლო ემიგრანტთა სატელეფონო ზარებსა და ინტერნეტ-კავშირებს ხომ ბოლო არ უჩანს. მირონდენის თემა არ შეძლება დავასრულოთ ისე, რომ არ შევეხოთ კიდევ ერთ ხილულ სასწაულს, რომლის თვითმხილველნიც უამრავი ადამიანი ვიყავით. ეს ამბავი მოხდა ჩვენი სულიერი ძმის

იოსებ-სოსლან გარსევანიშვილის ოფისში. ეს ყოველივე იმდენად საინტერესოა, რომ თხრობა შეიძლება ცოტა შორიდანაც დავიწყოთ:

გარსევანიშვილები ჩვენი სამშობლოს აზნაურები არიან. ისინი 1850 წელს პეტერბურგში გამოცემულ თვად-აზნაურთა „ხავერდოვან წიგნში“ ღირსეულ ადგილს იკავებენ. ერთ-ერთი მათი ნამდვილი (ამ სიტყვის სრული გაგებით) შთამომავალი, სოსლან გარსევანიშვილი, ჩვენი მრევლის და საძმოს წევრია, მე მას, მამულისა და სარწმუნოებისადმი თავდადების გამო, ქრისტეს თიხის კაცად მოვიხსენიებ. ასეთი ღვთიური წარმომავლობის გამო მეგობრებმა დაბადების დღეზე საჩუქრად, ასევე ქრისტეს თიხის კაცის - სტალინის პორტრეტი მიართვეს, რომელიც ჭედური ხელოვნების ნიმუშს წარმოადგენს. მკითხველი იკითხავს: „მაინც და მაინც რატომ სტალინის?“ იმიტომ, რომ სოსლანიც 21 დეკემბერს არის დაბადებული. ძვირფას საჩუქარს ჩვენი ქრისტეს თიხის კაცმა, თავის ოფისში, ხატების კუთხის სიახლოვეს მიუჩინა ადგილი და როგორც ყველა სულით ქართველი, ყოველდღე სიამაყით შესცქეროდა მსოფლიო ბელადს.

ერთ მშვენიერ დღეს, მასთან ოფისში სტუმრად მისულმა, სტალინისადმი უარყოფითად განწყობილმა მოქალაქემ, ბელადი მოიხსენია, როგორც ხალხის მკვლელი და სამშობლოს მოღალატე. მშვიდობიან ვითარებაში გამართული პოლემიკის დროს აღმოჩნდა, რომ სკეპტიკოსი ოპონენტი სიღრმისეულად არ იყო ჩახედული სტალინის დროინდელ ეპოქაში და მხოლოდ დაზეპირებული ფრაზების გამოთქმით შემოიფარგლებოდა. სოსლანმა მას შეახსენა სტალინის დამსახურება საბჭოთა ქვეყნის გადარჩენის და აღორძინების საქმეში და განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა მასზედ, რომ სტალინმა 1922 წელს ლენინის იზოლაციის შედეგად შეაჩერა ეკლესია-მონასტრების ძარცვა-განადგურება და სასულიერო პირების დასჯა, შეახსენა მას ტროცკის სიტყვები: **„სტალინი ჩვენიანი არ არის, ის შემოგზავნილია“. მართლაც ასე იყო. ის მართლმადიდებელმა ბერებმა შეაგზავნეს სისტემაში (ეს მრავალ წმინდა მამას აქვს დადასტურებული), რათა დაემარცხებინა ანტიქრისტეს სამი წინამორბედი: ლენინი, ტროცკი, ჰიტლერი და 80 წლით შეეჩერებინა მასონური მსოფლიოს გაშმაგებული შემოტევა. ამ მიზნით აღადგინა მან წირვა-ლოცვა საბჭოეთის ტერიტორიაზე მდებარე მართლმადიდებლურ ეკლესიებში, აღუდგინა საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიას ავტოკეფალია და**

რუსეთის პატრიარქი საქართველოს პატრიარქს - კალისტრატე ცინცაძეს აკურთხებინა. მისივე ბრძანებით, ყაზანის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატი დიდი სამამულო ომის დროს შემოატარეს მოსკოვს, პეტერბურგს და სტალინგრადს, რამაც საბოლოოდ წელში გატეხა ფაშისტური გერმანია.

ეს და მრავალი სხვა რამ მოუთხრო სოსლანმა გამოუსწორებელ სკეპტიკოსს, მაგრამ უშედეგოდ, როგორც ნათქვამია: „შეაყარე კედელს ცერცვი“.

აღნიშნული საუბრიდან განვლო ათმა დღემ და ჰოი საოცრებავ - „დიდ ხარ შენ უფალო და საკვირველ არიან საქმენი შენნი“. - სტალინის პორტრეტზე ორი უცნაური წვეთი გამოჩნდა, რომელიც ნელა - ნელა ასველებდა ჭედური ხელოვნების ნიმუშს. სოსლანმა პორტრეტი თავის სულიერ მოძღვარს აჩვენა, რომელმაც დაადასტურა, რომ ეს მირონდენაა.

ადამიანთათვის ამოუხსნელი ეს მოვლენა, ალბათ ნიშანი იყო ზეციდან, რომ იოსებ ჯუღაშვილი ჭეშმარიტად ქრისტეს თიხის კაცია.

ყოველივე ამის დასტური კი საქართველოს მაშინდელი კათოლიკოს-პატრიარქის, აწ უკვე წმიდანის, კალისტრატე ცინცაძის სტალინისადმი მიწერილი წერილია: „კაცთა შორის რჩეულო! ჩემი მოხუცებულობის ოცნება იყო, საკუთარი თვალით მენახა ჩვენი ხალხის სიამაყე და მსოფლიოს უდიდესი ადამიანი, მაგრამ ბედმა არ მარგუნა ეს ბედნიერება. ალბათ ამის ღირსი არ ვარ. ჩემი კადნიერი მამულიშვილური სიყვარულის გამომხატველად მოგართმევ ქართულ კულას წარწერით: „იოსებ ქართველს, მსოფლიოში უღალატო ადამიანს, მაშვრალთა წინამძღვარს, მადლობით გულსავსე საქართველოს მართლმადიდებელთა მწყემსის კალისტრატე კათალიკოზ-პატრიარქისაგან“.

„იოსებ ქართველს!“ - ამით ყველაფერია ნათქვამი. ქართველები ხომ საზეპურო ერი ვართ.

გიორგიწმინდის ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძარში მრევლის წევრთა რიცხვი წლიდან წლამდე კი არა, წირვიდან წირ-ვამდე იზრდება. უამრავი ადამიანი მოდის ეკლესიაში საქართველოს სხვადასხვა ქალაქებიდან და სოფლებიდან, რათა მიიღონ ღვთის მადლი, ეზიარონ ქრისტეს სისხლსა და ხორცს და მოუსმინონ მამა გიორგის (პავლოვი) ქადაგებებს, რომელიც თითოეულ ადამიანის

სულსა და გულს მაკურნებელ მალამოდ ედება და ბედნიერი მომავლის იმედით ავსებს. მამა გიორგიმ (პავლოვი) ღირსეულად გააგრძელა მისი წინამორბედის, მამა გიორგის (ბასილაძე) დაწყებული საქმე. აკი ამბობდა სულგანათლებული: **„ჩემს დაწყებულ საქმეს სხვა გიორგი გააგრძელებსო“.** მამა გიორგის (პავლოვი) თანადგომას არ აკლებს, წმინდა ნინოს და წმინდა გიორგის კურთხევით პეტერბურგიდან ჩამოსული დეკანოზი იოანე (ოლარი).

მამა გიორგი (პავლოვი) გვასწავლის: „მაცხოვარი ამბობს: „მე ვარ მწყემსი კეთილი“. რას ნიშნავს ეს? იმას,რომ **მოძღვარი ყოველნაირად უნდა მისდევდეს ქრისტეს მოძღვრებას, ყოველ წუთს ახსოვდეს მაცხოვრის სიკეთე, თავმდაბლობა, მორჩილება, სიყვარული. თუ მოძღვარი მოღვაწეობს სულით და გულით, ისე, როგორც ამას ქრისტიანობა გვასწავლის, დღე და ღამე იღწვის იმისთვის, რომ მრევლი უფალთან მიიყვანოს, მისი გულწრფელობა, რწმენა, მუშაკობა, გარჯა, მერწმუნეთ, მრევლში არ დაიკარგება, არ დაიმალება. მრევლსა და მოძღვარს შორის ურთიერთობა რწმენასა და ურთიერთპატივისცემაზე უნდა იყოს დამყარებული. მოძღვარმა თითოეული სულიერი შვილის პრობლემა უნდა იტვირთოს, წვდებოდეს მის სულიერებას, ისე დამოძღვროს, გულთან მიიტანოს მისი გასაჭირი, რომ მან იგრძნოს და მიხვდეს, რომ მოთმინებით, დიდი სიყვარულით შეიძლება ყველანაირი პრობლემის მოგვარება. აქვე მინდა გითხრათ, რომ კონტაქტი, ურთიერთობა მოძღვარსა და მრევლს შორის უფრო მჭიდრო და არაფორმალური უნდა იყოს. მოძღვართან მხოლოდ აღსარებით არ უნდა შემოიფარგლოს ურთიერთობა. აუცილებელია საუბრები და უფრო ახლოს ყოფნა ერთმანეთთან. სულიერი შვილი უფრო გახსნილი უნდა იყოს მოძღვართან. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება პრობლემების გადაჭრისათვის გზების ძიების გაადვილება ორივესთვის - მოძღვრისთვისაც და მისი სულიერი შვილისთვისაც.**

დღეს ყოველდღიური განსაცდელების ეპოქაში ვცხოვრობთ. განსაცდელი კი იმიტომ გვეძლევა, რომ უფრო მეტად ჩავუფიქრდეთ ჩვენს ცხოვრებას. უმუშევრობა, ოჯახური კომფლიქტები, ეკონომიკური გასაჭირი - ყოველივე ამასთან ერთად სულიერად ძალიან ბევრს უჭირს. ასეთ ვითარებაში კი სულიერ ძალასა და ენერგიას მხოლოდ ეკლესიაში მიიღებს. ეკლესიის გარეშე ადამიანებს ძალიან გაუჭირდებათ ცხოვრება. დღეს ჩვენ სერიოზული

განსაცდელების წინაშე ვდგავართ. მის ასარიდებლად და თავის დასაღწევად კი ეკლესიაში სიარული და მთელი გულით ლოცვა და მარხვაა საჭირო. დავით მეფესალმუნე 50-ე ფსალმუნში ამბობს: „მსხუერპლ ღმრთისჲ არს სული შემუსრვილი, გული შემუსრვილი და დამდაბლებული ღმერთმან არა შეურაცხ-ყოს“. უფალი შესაწირად მხოლოდ თავმდაბლობას მოითხოვს ჩვენგან. „სიტყვათა შენთაგან გამართლდე და სიტყვათა შენთაგან დაისაჯო“. - შეგვაგონებს წმიდა იოანე ოქროპირი. წარმოიდგინეთ, სხვაზე ძვირის მთქმელმა ენამაც კი შეიძლება ადამიანი საუკუნო სატანჯველში შეიყვანოს, ამიტომ ადამიანმა თავისი ნაკლოვანი მხარეები უნდა დაინახოს და ეცადოს მის გამოსწორებას და არა იმას, რომ რასაც დღეს ვაკეთებთ - ვმალავთ ჩვენს ნაკლს და სხვის ნაკლზე გადაგვაქვს ყურადღება, რითაც ამპარტავნებაში ვვარდებით. ამპარტავნება კი უამრავი ცოდვის სათავეა და უპირველესად სწორედ ის გვაშორებს უფალს. ეს იმას ნიშნავს,რომ - ღმერთს დაშორებულს - ადვილად ამოირჩევს ბოროტი სული. ადამიანს კი ნეტარებას მადლიანი, ღვთისთვის სათნომყოფელი სიტყვები და მოქმედება მიანიჭებს. ამიტომ, ყოველი სიტყვის წარმოთქმისას უნდა დავფიქრდეთ, რათა თავი ცოდვაში არ ჩავიგდოთ“.

ჩვენ გვჯერა, რომ ნამდვილ მოძღვართან ერთად დავამარცხებთ ბოროტებას და საქართველო აღმავლობის გზას დაადგება.

უფალო შეგვიწყალენ!

იოსებ სიბოშვილი
საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის წევრი,
ქართული კულტურის ამაგდარი,
ნიკო ლორთქიფანიძის პრემიის ლაურეატი
გარდაბნის რ-ნი სოფ. სართიჭალა
ტელ. 599 24 24 63

„აკურთხევს სული ჩემი უფალსა და ყოველი გონებაჲ ჩემი - სახელსა წმიდასა მისსა“ [ფსალმუნი102;1]

ყოვლადძლიერი ღმერთის განგებითა და ჩვენი უსაყვარლესი პატრიარქის ლოცვა-კურთხევით ვმონაწილეობდი საყდრისის გადასარჩენად წარმოებულ რვათვიან ბრძოლაში. სწორედ იქ გავიცანი ჩვენს გასამხნევებლად ჩამოსული ჩემი მომავალი მოძღვარი - მამა გიორგი პავლოვი - **ნამდვილი მღვდელი - სათნოებებით გამშვენებული, გულმხურვალე მლოცველი, უშიშარი მქადაგებელი, საქართველოზე უზომოდ შეყვარებული, სულიწმიდის რჩეული ჭურჭელი, ჭეშმარიტი მხედარი ქრისტესი...**

მამა გიორგიმ საყდრისის ორსაყდრების წმიდა დიდმოწამე გიორგის სახელობის ტაძარში პარაკლისი აღავლინა და თავისი ოდნავშესამჩნევი საყვარელი აქცენტით გულმხურვალედ გვიქადაგა:

„ღმერთის განგებით დღეს ჩვენ მცირე ლოცვა ჩავატარეთ ამ ძველ ტაძარში. შეიძლება ვინმესთვის საყდრისი არაფერი არ არის, მაგრამ სამშობლო აქედან იწყება! საყდრისიდან იწყება სამშობლო! იცით, ეს საყდრისი იქნება, სვანეთის ამბები, ჩვენი საგარეჯოს ამბები თუ საქართველოს ნებისმიერი სხვა კუთხის ამბები - ყველაფერი გულთან ახლოს უნდა მივიტანოთ, იმიტომ, რომ ჩვენ ვგრძნობთ, რომ ვკარგავთ სამშობლოს! სულ უფრო ნაკლებ და ნაკლებ გვრჩება შეგრძნება იმისა, რომ ჩვენ ვცხოვრობთ საქართველოში, რომ ჩვენ მოქალაქენი ვართ ჩვენი სამშობლოსი! იკარგება საუკეთესო თვისებები ადამიანისა და ეს ყველაფერი კეთდება ვითომდა თანამედროვე დემოკრატიული ნიღბით! ათასნაირი დამღუპველი რამ შემოდის ჩვენს ცხოვრებაში, რაც ჩვენთვის ყოვლად მიუღებელია! მე ხშირად ვამბობ, რომ ის რაც ზოგიერთებისთვის არის ცივილიზაცია, ჩვენთვის არის კანალიზაცია და ესეთ მავნე გავლენას თავი უნდა დავაღწიოთ! რაღაცნაირად უნდა დავიცვათ ჩვენი ეროვნული ფასეულობები და თვითმყოფადობა! სწორედ ამიტომ ვამბობ, რომ აქედან იწყება სამშობლო! თორემ დღეს ბევრნი ისეთ დღეში არიან, რომ

საყდრისი კი არა საერთოდ არაფერი არ აინტერესებთ გარდა კუჭისა და სხვა სიამოვნებებისა, მაგრამ მადლობა ღმერთს, რომ ეს ქვეყანა არის ღვთისმშობლის წილხვედრი და მიუხედავად ჩვენი უღირსებისა, ღმერთი მაინც გაგვიყვანს სწორ გზაზე, დაიცავს და გააბრწყინებს საქართველოს! მაგრამ ჩვენც არ უნდა ვიჯდეთ გულხელდაკრეფილნი. ყველამ თავის ადგილზე თავისი საქმე უნდა აკეთოს! ხმა უნდა ავიმაღლოდ სიმართლის დასაცავად და ხმალი უნდა ავლესოთ, რამეთუ დასაცავია საქართველო! ვერ ხედავთ?! უკვე სულ უცხო ძალები მართავენ ქვეყანას! ჩვენ უკვე აღარ ვართ ამ ქვეყნის მმართველები! აქ ყველა ბატონობს და ყველა მართავს გარდა ნამდვილი ქართველებისა და მართლმადიდებლებისა! აი ასეთ საშინელ მდგომარეობაში ვართ, მაგრამ კიდევ გიმეორებთ - ამ პატარა ტაძრებიდან, ამ ადგილებიდან დაიწყება საქართველოს გათავისუფლება ამ ბოროტი ძალებისაგან და გარანტია ამისა არის ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი, ვისი წილხვედრიც არის საქართველო! კიდევ ვიმეორებ - მიუხედავად ჩვენი სისუსტისა და ჩვენი უღირსებისა - ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი ერთგულია თავისი აღთქმისა! თქვენ იცით საქართველოს დიდების ხატი. უსაყვარლესი ხატია არა? როგორც ეს წმიდანები ლოცულობენ ამ ხატზე, ისინი ასევე ლოცულობენ დღეს, ბოლო ჟამს - საქართველოს გადარჩენაზე! ჩვენ ვიცით გადმოცემით, რომ ბოლო ჟამს გაბრწყინდება საქართველო - როცა მთელს მსოფლიოში გაბატონებული იქნება ათასნაირი ბოროტება და ზეიმი იქნება ბოროტი ძალებისა, - რასაც ჩვენ დღეს ვხედავთ! იმედით, შემართებით და რწმენით - ღმერთმა დალოცოს საქართველო!!!“

მამა გიორგის გაცნობის დღესვე მივხვდი, რომ ის იყო ჩემი მრავალწლიანი ლოცვით უფლისგან გამოთხოვილი მოძღვარი. რამდენიმე დღის შემდეგ უკვე მე ვესტუმრე მამა გიორგის თავისი მსახურების ადგილას - გიორგიწმინდაში. დავესწარი წირვას ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის შობის სახელობის მშვენიერ ტაძარში, ვთქვი აღსარება და ვეზიარე მაცხოვრის უხრწნელ ხორცსა და პატიოსან სისხლს. თუკი ეკლესია ქრისტე მაცხოვრის მისტიური სხეულია - წირვა ამ სხეულის გულია. მამა გიორგის მსახურების დროს მე ვგრძნობდი ამ წმიდა გულიდან როგორ იღვრებოდა უწყვეტად ღვთაებრივი მადლი. ამ შეგრძნებას

უკეთილშობილესი კეთილსურნელება გააჩნია. ადამიანური ენით მისი სრულად გადმოცემა შეუძლებელია. შემდგომში ხშირად მინახავს, წირვის დასრულების შემდეგ ამ მადლის მოქმედებით მონუსხულ ადამიანებს როგორ არ ეთმობათ ეს ღვთაებრივი შეგრძნება და გაუნძრევლად, იმედით შეჰყურებენ საკურთხეველს - მამა გიორგიმ იქნებ როგორღაც გაახანგრძლივოს სულის ეს ნეტარი მდგომარეობაო. ესეთ დროს მამა გიორგი იწყებს ზეთის ცხებას ან აღავლენს საჯანმრთელო პარაკლისს. შემდეგ აკურთხებს ხატებს და ნელ-ნელა საუბრით ისტუმრებს ღვთაებრივი მადლით აღვსილ მრევლს; ამ დღიდან მოყოლებული ყოველ წირვაზე ჩავდივარ გიორგიწმინდაში, მამა გიორგის მადლიანი ხელიდან ვღებულობ საღმრთო ზიარებას და დღემდე ცოცხლად განვიცდი იქ მოქმედი მადლის კეთილსურნელებას და სიტკბოებას.

იმ დალოცვილ დღეს, როდესაც გიორგიწმინდაში პირველად

ჩვენი ტაძრის საკურთხევლის მირონმდინარე ხატი

მაზიარა მამა გიორგიმ, ჩემში იმდენად ძლიერი იყო მადლის მოქმედება, რომ ჩემმა სულმა სასწაულებრივი მეტამორფოზა განიცადა. ყოვლადსახიერმა ღმერთმა მოიღო მოწყალება და ჩემი ცხოვრებიდან სასწაულებრივად აღხოცა რამდენიმე მძიმე და ჩემთვის მნიშვნელოვანი ისეთი ცოდვითი ვნება, რომელთაც მრავალი წელი თავდაუზოგავად ვებრძოდი, მაგრამ ვერაფრით ვამარცხებდი. თვალსაჩინოებისთვის ამ ვნებათაგან უმცირესის შესახებ მოგახსენებთ - ესაა სიგარეტი. მას მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე ვეწეოდი და მრავალი წლის მანძილზე ადამიანური

მამა გიორგის მირონმდინარე ფოტო
ქ-ნი ნანიკო ანთიძის ოჯახში

ძალებით უშედეგოდ ვცდილობდი მის მოშორებას. იმ დღეს კი ის ისე გაქრა ჩემი ცხოვრებიდან, თითქოს არც არასდროს მომეწიოს. სიტყვაზე მენდეთ, დანარჩენ დამარცხებულ ვნებებთან

შედარებით - სიგარეტი საბავშვო გასართობია. არადა იმ ვნებებსაც იგივე ბედი ეწიათ. ამ სასწაულმა ცოცხლად განმაცდევინა ჩვენი მაცხოვრის მიერ თქმული სიტყვების არსი: „**შეუძლებელი კაცთაგან შესაძლებელ არს ღმრთისა მიერ**“ [ლუკა 18;27]. დიდება მის უტკბილეს სახელს!

იმავე დღეს, თბილისში, ჩემს სახლში, ჩემს მთავარ, ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის „ყაზანის“ უძველეს ხატზე მირონი გადმოვიდა. ეს სასიამოვნო მოვლენა მე სამყაროს ყოვლადწმიდა დედოფლის მხრიდან ჭეშმარიტი მოძღვრის მრავალწლიანი

ჩვენი ტაძრის მირონმდინარე კარები

ძიების დასრულების დასტურად, კურთხევად და ნუგეშად აღვიქვი. შემდგომ, ჩემს სახლში წმიდა მირონი სხვა და სხვა დროს გადმოვიდა ყოვლადწმიდა სამების, საქართველოს დიდების, სებასტიის ტბაში

წამებული ორმოცი კაპადოკიელი მეომრის, ღირსი აღმსარებელი და სალოსი გაბრიელის, ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ხატებზე და რამდენიმე ფოტოზე. არ მინდა ვინმემ არასწორად გამიგოს, ამიტომ გეტყვით, რომ მე დიდად ცოდვილი კაცი ვარ

მამა გიორგის მირონმდინარე ფოტო
ქ-ნი მარიკა კაკოშვილის ოჯახში

და რაღა თქმა უნდა ამ ღვთიურ სასწაულში ჩემი პიროვნული დამსახურება ნულის ტოლია. მსგავსი მირონდენები ხშირია ჩვენი მრევლის წევრების ოჯახებში. მირონდენის ეპიცენტრი კი ჩვენი მადლიანი ტაძარია. სულკურთხეულმა მამა გიორგი ბასილაძემ გიორგიწმინდაში სტუმრობისას ამ ტაძრის შესახებ მრავალთა გასაგონად რამდენჯერმე ბრძანა, რომ **ამ ტაძრიდან დაიწყება საქართველოს გაბრწყინებაო.** მან ამ დღეს მამა გიორგის სხვათა გასაგონად ისიც უთხრა, რომ **მე ამ სოფლიდან მალე გავალ და იცოდე, ჩემი დაწყებული საქმის გამგრძელებლად შენ გტოვებო.** მისი ცნობილი ფრაზები: **„თავნი და ბოლონი იტყვიან გიორგი“** და **„...დიდი ხანია, გიორგის დადუმება სურთ, მაგრამ მე რომ დავდუმდე, სხვა გიორგი იტყვის...“** ვგონებ, იგივე წინასწარმეტყველური მნიშვნელობისანი უნდა იყონ; მირონდენა ჩვენს ტაძარში მამა გიორგის მსახურებასთან ერთად დაიწყო

და მეოცე წელია გრძელდება. კონსტანტინოპოლის წმიდა პატრიარქი იოანე ოქროპირი ბრძანებს, **რომ მღვდლობა სულის სიმაღლეს ითხოვს და ესეთი მღვდლები ძალზედ ცოტანი არიანო.** სწორედ ესეთი მღვდელია მამა გიორგი - **სიწმიდით მცხოვრები, დათვარულში მოღვაწე, სიკეთით აღსავსე, სულიერად მდიდარი, საღმრთოდ მოშურნე, ზნეკეთილი, უზაკველი, გულწრფელი, მადლმოსილი...** სწორედ ამ სათნოებათა გამო გარდამოადინებს წმიდა მირონს ყოვლადმოწყალე ღმერთი მამა გიორგის მიმართ თავისი კეთილგანწყობის დასტურად და ჩვენს სანუგეშოდ და განსამტკიცებლად; **არსებობს მამა გიორგის მირონმდინარე ფოტოებიც. ისინი მე საკუთარი თვალით ათი მაინც მექნება ნანახი. ზოგ მათგანს ლიტრობით სდის საოცრად კეთილსურნელოვანი მირონი, ზოგი მხოლოდ პატარა წვეთებითაა დაცვარული.** ორი ესეთი ფოტო მეც მაქვს. ჩემთვის ცნობილი ყველა მირონმდინარე ფოტო სხვა მირონმდინარე ხატებთან ერთად აღმსარებელი და მაზიარებელი მართლმადიდებლების სახლებშია დაბრძანებული. რაღა თქმა უნდა, ეს სახლები ნაკურთხია და იქ სასულიერო პირებს მრავალი პარაკლისი აღუვლენიათ. ეს მირონი, როგორც სიწმიდე, მიაქვთ მრავალ ეკლესია-მონასტერში. ამ მირონით აღსრულებულა უამრავი სასწაულებრივი კურნება... მამა გიორგის საკუთარი ფოტოებიდან მირონდენა მისი თავმდაბლობის გამო რა თქმა უნდა უხერხულ მდგომარეობაში აყენებს და ამ თემაზე საუბარს ის საკუთარი თავის ლანძღვით გაურბის, მაგრამ, ყველაფრის მიუხედავად - ფაქტი ფაქტადვე რჩება. ობიექტურობა მოითხოვს ითქვას, რომ არსებობენ სასულიერო პირები, რომელთაც საწინააღმდეგო აზრი გააჩნიათ, შავი თეთრისგან ვერ განურჩევიათ და უტიფრად მკრეხელობენ, ვითომდა მირონდენა დემონური წარმომავლობის არისო. მე მათ ვურჩევ - მივიდნენ ამ მირონდენის ადგილებში და ლოცვის ძალით ცადონ ამ „დემონური მირონდენის“ შეჩერება. იქ გამოჩნდება ვინ არის სულიწმიდის ჭურჭელი და ვინ - შურის! და თუ ლოცვით დემონური ხიბლის ძლევაც კი არ ძალუძთ, აბა რა ღვთისმსახურები არიან?! როდესაც მაცხოვარს დააბრალეს ეშმაკის ძალით მოქმედება, მან ბრძანა: **„ამენ გეტყვი თქუენ, ვითარმედ ყოველივე მიეტეოს ძეთა კაცთა ცოდვანი და გმობანი, რაოდენსაცა ჰგმობდენ; ხოლო რომელმან თქუას გმობაჲ სულისა წმიდისათვის, არა აქუს მიტევებაჲ უკუნისამდე, არამედ თანამდებ არს საუკუნოჲსა სასჯელისა. რამეთუ**

იტყოდეს, ვითარმედ: სული არაწმიდაჲ არს მის თანა“ [მარკოზი 3;28-30]. მეხუთე მახარებლად წოდებული ძველი აღთქმის დიდი წინასწარმეტყველი ესაია გვაფრთხილებს: **„ვაი მათ, ვინც ბოროტებას სიკეთეს არქმევს და სიკეთეს - ბოროტებას; ვინც ბნელს ნათლად სახავს და ნათელს - ბნელად, სიმწარეს სიტკბოდ სახავს და სიტკბოს - სიმწარედ!“** [ესაია 5;20]. ნურც წმიდა დავით მეფსალმუნის ამ შეგონებას დაივიწყებენ: **„დასაბამი სიბრძნისაჲ - შიში უფლისაჲ...“** [ფსალმუნი 110;10]; მამა გიორგის სენაკს თავის კედლებში არაერთხელ უხილავს ამ სპეტაკი მოძღვრის უწმიდესი და უძვირფასესი სტუმრები ცათა სასუფევლიდან. ვფიქრობ, სწორედ ამ დაუტევნელი სიწმიდის გამო იყო, რომ ესეთ დროს უტყვი კედლების და იატაკის ღაღადისი იწყებოდა და წმიდა მირონის გუბეები დგებოდა. ეს წლების განმავლობაში გრძელდებოდა. შემდგომ, მამა გიორგიმ ეს მოვლენა უცხო თვალთაგან დაფარა.

მართლმადიდებლობა საბრძოლო ხელოვნებაა. მართლმადიდებელი ქრისტიანის ცხოვრების არსი - დაცემულ სულებთან ბრძოლა. **„რამეთუ არა არს ბრძოლაჲ ჩუენი სისხლთა მიმართ და ხორცთა, არამედ მთავრობათა მიმართ და ხელმწიფებათა, სოფლის მპყრობელთა მიმართ ბნელისა მის ამის საწუთროჲსათა, სულთა მიმართ უკუეთურებისათა, რომელნი არიან ცასა ქუეშე“** [ეფეს. 6;12]. მაცხოვრის მცნებები - საბრძოლო ფანდებია. **„ამისთვის აღიღეთ ყოვლად-საჭურველი იგი ღმრთისაჲ, რაჲთა შეუძლოთ წინა-დადგომად დღესა მას ბოროტსა, და ყოველსავე იქმოდეთ, რაჲთა სდგეთ“** [ეფეს.6;13]. სახარება - მრავალ საბრძოლო ფანდთა და წვრთნათა საიდუმლო წიგნი. **მამა გიორგი კი - ამ საიდუმლო საბრძოლო ხელოვნების უბადლო მცოდნე და მასწავლებელი გახლავთ.** პირველ რიგში ის ღმრთისა და მოყვასის სიყვარულს გვასწავლის, რამეთუ **ის თვითონ არის ცოცხალი ტაძარი სიყვარულისა.** თითქოს მამა გიორგის ახასიათებსო ღირსი ასურელი მამა ეფრემი, როდესაც ბრძანებს: **„ვისშიაც სიყვარულია, მას არა აქვს მეტოქეობა, არც შური, არც სიძულვილი; მას არ უხარია სხვისი დაცემა, არამედ თანაუგრძნობს მათ“.** იმერეთის წმიდა ეპისკოპოსი გაბრიელ ქიქოძე ბრძანებს: **„როდესაც მოყვასთა შორის სუფევს სიყვარული და ერთობა, მაშინ ღმერთიც მათ შორის სუფევს“.** ადამიანთა შორის მე სხვაგან არსად შემხვედრია ისეთი ძლიერი სიყვარული

და ერთობა, როგორიც მამა გიორგის სულიერ შვილებს შორის სუფევს და ეს ერთმნიშვნელოვნად მამა გიორგის დამსახურებაა. **„შიში არა არს სიყვარულისა თანა, არამედ სრულმან სიყვარულმან გარე განდევნის შიში“** [I იოანე 4;18] - მამა გიორგი უშიშარი მქადაგებელია - **„უფალი ნათელ ჩემდა და მაცხოვარ ჩემდა; ვისა მეშინოდის?“** [ფსალმუნი 26;1]; **„უფალ არს მწე ჩემდა, არა შემეშინოს; რაჲ მიყოს მე კაცმან?“** [ფსალმუნი 117;6]; **„კეთილ არს სასოებაჲ უფლისა მიმართ, ვიდრე მოსავყოფაჲ კაცისა მიმართ“** [ფსალმუნი 117;9]. მამა გიორგი კარგად აცნობიერებს წმიდა გრიგოლ ღმრთისმეტყველის ცნობილ შეგონებას: **„დუმილით გაიცემა ღმერთი“.** ამიტომ **ის მოურიდებლად, დაუდუმებლად და შეუპოვრად ამხელს ამა სოფლის ძლიერთ და ყოველივეს თავის სახელს არქმევს. ამავე დროს, ის თავის ღმრთივსულიერ ქადაგებებში მუდამ ეფერება და ამხნევებს თავის საყვარელ და საფიცარ ქართველ ერს.** მამა გიორგი ისეთი კაცია, როგორზეც ჩვენი წმიდა მამა გაბრიელი ბრძანებს - **მართალი კაცი მოღრიალე ლომივითაა ღვთის წინაშეო.** ის სიმართლის მსახურია და უშიშრად ქადაგებს სიმართლეს - **„მღდელთა შენთა შეიმოსონ სიმართლე, და წმიდანი შენნი იხარებდენ“** [ფსალმუნი 131;9]. მართლმადიდებელი ეკლესიის ბუმბერაზი მამების მიერ განმარტებულ წმიდა წერილს რომ გაეცნობი, იფიქრებ - სრულყოფილებას ვეზიარეო და ეს ესეც არის. ამის შემდეგ კი სასიამოვნოდ გაოცდები, როდესაც მამა გიორგისეულ განმარტებებს მოისმენ - საოცრად გასაგებსა და უბრალოს და ამავდროულად უძიროდ ღრმას... წმიდა მაქსიმე აღმსარებელი გვასწავლის - **ცოდნა საქმეთა გარეშე დემონური ღვთისმეტყველებაა.** მამა გიორგი რასაც გვიქადაგებს, იმას თვითონვე აღასრულებს უნაკლოდ. ის თავის სულიერ შვილებს საკუთარი მაგალითით განგვსწავლის. სწორედ ამიტომ არის მისი სიტყვა ძალის მქონე. წმიდა მაკარი დიდი ბრძანებს: **„ვისაც გული სუფთა აქვს, ის ყველას სუფთად და წმიდათ აღიქვამს“.** სწორედ ასეთი გული აქვს მამა გიორგის - წყაროს წყალივით სუფთა. ამაში ჩვენ მრავალგზის დავრწმუნებულვართ ცხოვრებისეული მაგალითებით. **ის ძალზედ წიგნიერია და ამავდროულად გონებაგახსნილი მოაზროვნეა. მისი რწმენა ცოცხალია. ის ჩვენი იმედია. მასთან ურთიერთობა განუწყვეტელი სიხარული და ბედნიერებაა. ის მღვდლობის ეტალონია...**

ერთ მშვენიერ წირვისწინა საღამოს მოწამეობაზე ოცნებამ გამიტაცა. ფიქრებში ჩემი თავი ჩვენი მაცხოვრის სახელისთვის სხვა და სხვა სახის წამების მსხვერპლად წარმოვიდგინე. დილას გიორგიწმინდაში რომ ჩავედი, მამა გიორგი ვიღაც ღრმად მოხუცებულ ქალს ესაუბრებოდა. ზოგადად, არ ვიცი მათი საუბრის შინაარსი. მე რომ მივედი ბებო ამბობდა - მზად ვარ ქრისტესთვის დღესვე ვეწამო და მოვკვდეო. მამა გიორგიმ თვალებით მომძებნა, ბებო ჩემსკენ გამოახედა და ჩემს გასაგონად ღიმილით უთხრა - ესეც შენსავით ფიქრობსო... ძალიან გამიკვირდა, როდესაც ნეტარი პელაგია რიაზანელის აზრს გავეცანი იმის შესახებ, რომ რუსეთის რევოლუციის მომხრე სასულიერო პირების დიდმა სიმრავლემ უკვე რევოლუციის შემდგომ თავიანთი სიცოცხლე მოწამეობრივად დაასრულეს და ამის მიუხედავად ისინი ჯოჯოხეთში წავიდნენ. მე ვფიქრობდი, რომ მოწამეობრივი სისხლი ყოველთვის რეცხდა ყოველგვარ ცოდვას. ამ ამბის გაგების შემდეგ ერთი სული მქონდა მამა გიორგისთვისაც გამეცნო ეს აღმოჩენა. რამდენიმე დღეში ჩვენ შევხვდით ერთმანეთს. მე მას ვეუბნები: „მამა გიორგი, ამ დღეებში გავეცანი ნეტარი პელაგია რიაზანელის“... ის სახის სერიოზული გამომეტყველებით მაწყვეტინებს სიტყვას და მეუბნება: „კი, ვიცი, ის ამბობდა, რომ მღვდლები, რომლებიც რევოლუციას უჭერდნენ მხარს, მოწამეობრივად აღესრულნენ და მაინც ჯოჯოხეთში წავიდნენ“... ესეთი მაგალითები უამრავია ჩვენს ცხოვრებაში. მამა გიორგი ამბიონიდან ქადაგებისას მრავალ ადამიანს სცემს კონკრეტულ პასუხებს თავიანთ კონკრეტულ ფიქრებზე. მე არ ვიცი მამა გიორგი ყოველივე ამას სულიწმიდის მეშვეობით იქმს თუ სულიწმიდა იქმს ყოველივე ამას მამა გიორგის მეშვეობით. სამაგიეროდ, ზუსტად ვიცი, რომ **მამა გიორგი ცეცხლია და ის დიდ სალოს მამათა მსგავსად - ადამიანური უბრალოებით და უშუალობით ნიღბავს თავის მხურვალებას.**

მამა გიორგი სრულად არის განძარცვული წუთისოფლის სულისგან. ის ცხოვრობს **„ვითარცა ზეცისა კაცი და ქუეყანის ანგელოზი“.** არ ჰყავს მანქანა. არ სარგებლობს ინტერნეტით. არ აქვს მობილური ტელეფონი. სენაკში არ აქვს ტელევიზორი. მოკლებულია ყოველგვარ ფუფუნების საგანს. რომ ვაკვირდები, ზამთარ-ზაფხულ სულ ერთი სქელი დამწვარ-დაკერებული კაბა აცვია... და გგონიათ, რადგან ის სოფლის მოძღვარია, ამიტომ

არა აქვს შესაძლებლობა ამ ყოველივეს შესაძენად? რა თქმა უნდა არა. მამა გიორგის უზარმაზარი მრევლი ჰყავს როგორც მთელს საქართველოში, ასევე მთელს მსოფლიოში - ჩვენი ძვირფასი ემიგრანტების სახით. აქედან გამომდინარე აქვს შემოწირულობებიც, მაგრამ მისი ერთ-ერთი მკვეთრად გამოკვეთილი სათნოება - მოწყალების გაცემაა. მან მშვენივრად უწყის, რომ **„გაცემა მეტი ნეტარებაა, ვიდრე მიღება“** [საქმეები 20;35]. ჩემი მოძღვარი ყოველ გლახაკში ქრისტეს ჭვრეტს. მას შესისხლხორცებული აქვს მაცხოვრის სწავლება - **„რაოდენი უყავთ ერთსა ამას მცირეთაგანსა ძმათა ჩემთასა, იგი მე მიყავთ“** [მათე 25;40]. ეკლესიის დიდი მოძღვარი, წმიდა იოანე ოქროპირიც ხომ გვასწავლის, რომ **თუ შენ არ შეგიძლია, ქრისტე იპოვო ეკლესიის კართან მყოფ მათხოვარში, ვერც ბარძიმში იპოვიო.** მე ხშირად მინახავს, მამა გიორგის ტაძრის ეზოშივე როგორ დაურიგებია გლახაკებისთვის შეკვეთილი წირვის ან სხვა მსახურების ჩატარებისთვის შეწირული ფული ბოლო თეთრამდე და მადლით დატვირთული ჩასულა თავის სენაკში. მამა გიორგის სენაკის სამზარეულოს მაგიდა მუდამ ივსება შემოწირული საკვებით და მაშინათვე სრულად გაიცემა მოწყალების სახით. ის ღმრთის შეწევნით მრავალ გაჭირვებულ ოჯახს კვებავს. მე არაერთხელ შევსწრებივარ, ისე დაურიგებია საკვებით გადავსებული მაგიდა, რომ თავისთვის სულ მცირედიც არაფერი დაუტოვებია. ამიტომაც სდის ამ სამზარეულოს კარებს წმიდა მირონი. მას ჩვენც დიდად განებივრებულნი ვყავართ საჩუქრებით. ზოგადად, **ის ძალზედ სტუმართმოყვარე, კაცთმოყვარე და უშუალო ადამიანია.**

მამა გიორგის უფლისგან ნაბოძები აქვს წინასწარმეტყველური ხედვის ნიჭი. მისი ხილვები ძირითადად საქართველოს ბედს ეხება და ისინი, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა უფლისმიერი ხილვანი - უტყუარნი არიან. ის თავისი ხილვების მხოლოდ იმ ნაწილზე საუბრობს, რომელიც უსაფრთხოა კაცთა გონებისთვის. ეს წინასწარმეტყველებები გვამზადებენ მომავალ მოვლენებთან შესახვედრად და ამდენად, ძალზედ სასარგებლონი არიან გონიერთათვის.

ჩვენმა ერმა დიდად შეიყვარა სანკტ-პეტერბურგიდან საქართველოში წმიდა მოციქულთასწორი ნინოს და წმიდა დიდმოწამე

მამა იოანე ოლარი და მამა გიორგი პავლოვი

გიორგის ბრძანებით სამოღვაწეოდ ჩამოსული დიდი სალოსი მამა - **იოანე ოლარი.** მას მამა გიორგი ცეცხლოვან სვეტს უწოდებს. მე შევესწარი, როდესაც გიორგიწმინდაში მამა იოანემ თავისი ცეცხლოვანი ლოცვა აღავლინა - ტაძარი არაამქვეყნიური კეთილსურნელებით აივსო და ამ კეთილსურნელების წყარო ის თავადვე იყო. დიდი მამა გიორგი ბასილაძე მასზე ბრძანებდა: **„იოანე ძალიან დიდი სულია, დიდი წინასწარმეტყველი. რუსეთში მასზე დიდი არ დადის დღეს. მას დიდი ჯვარი ადევს. მასში ღმერთი ჩამოდის!“.** მამა იოანე ცოცხალი სასწაულია. ის არავის არ ჰგავს. მასში თანაშერწყმულია ბავშვური გულჩვილობა და ღვთაებრივი ძლიერება. მისი წინასწარმეტყველებანი უცდომელია. ის საოცრად თავმდაბალია. მასში იგრძნობა უდიდესი სულიერი ძალა. მისგან უწყვეტად მოედინება სიყვარული... მამა იოანეს ძალიან უყვარს მამა გიორგი. მასთან ჩვენი ერთ-ერთი სტუმრობისას მან გვითხრა **- მე და მამა გიორგი ორი ძმანი ვართ და ერთნი ვართ. მალე მესამე ძმასაც შევიერთებთ და მერე ნახავთ, რამხელა საქმეებს დავატრიალებთო. მამა იოანესგან არაერთხელ მოგვისმენია**

წინასწარმეტყველებანი მამა გიორგის ბრწყინვალე მომავლის შესახებ...

ღირსი იოანე სინელი ბრძანებს: **„დიდია ის კაცი, რომელიც გინებას სიხარულით აიტანს, ხოლო წმიდა და პატიოსანია, ვინც ქებას უვნებელი გადაურჩება“.** მე დარწმუნებული რომ არ ვიყო ჩემი მოძღვრის სიწმიდესა და პატიოსნებაში - ამ წერილის დაწერას ვერ გავბედავდი, მაგრამ თავს ზემოთ ძალა არაა - უთქვამთ ბრძენ წინაპართ - **„გულის სისავსისგან მეტყველებს პირი“** [მათე 12;34].

მამა გიორგის შესახებ ბევრი რამ ვიცი ისეთი, რისი დაწერაც გარკვეული მიზეზების გამო არ შეიძლება. ამ წერილის წერისას ალესილი დანის პირზე ვიარე. ვეცადე ოქროს შუალედი მომეძებნა და დასაშვებზე მეტი ინფორმაცია არ გამემხილა. რამდენად გამომივიდა - ჯერ არ ვიცი. ამ წიგნს მამა გიორგი მხოლოდ მისი გამოცემის შემდეგ წაიკითხავს. ამიტომ, თუ იმაზე მეტი საიდუმლო გავამხილე, რისი გამხელაც შეიძლებოდა, ჯერ ყოვლადმოწყალე უფლისგან და შემდეგ მამა გიორგისგან ვითხოვ შენდობას.

ყოვლადკეთილმა ღმერთმა ინება მამა გიორგი ჩემი მოძღვარი ყოფილიყო. ამისთვის სიხარულით ვმადლობ მას და ვადიდებ მის ყოვლადწმიდა სახელს!

დასასრულს ვიტყვი - **დღეს მამა გიორგი პავლოვი საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ერთ-ერთი მოკაშკაშე ვარსკვლავია. ხვალ ის მზესავით გაბრწყინდება...**

ირაკლი ლომიძე

ქართული საბრძოლო ხელოვნების
კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი.

თბილისი, 595653231

სიყვარულის მოძღვარი - გზა მოწამეთადან გიორგიწმინდისკენ

ყოველდღიურობაში ჩაფლულთ ხშირად გვავიწყდება, რომ ადამიანი არა მარტო ხორცისაგან და ამქვეყნიური სურვილებისაგან შედგება, არამედ მას აქვს ღვთის მიერ ნაბოძები სული, იგი უფალმა თავის ხატად და მსგავსად შექმნა და მას სჭირდება საკუთარ სულზე ზრუნვა. მაგრამ კაცს თავისთავად, ღვთის გარეშე, არ შეუძლია სულიერ წარმატებას მიაღწიოს. მას აუცილებლად სჭირდება „ხელმძღვანელი". ის, ვინც დაარიგებს, უხელმძღვანელებს მის სულიერ ცხოვრებას. ასეთი პიროვნება კი უნდა იყოს სულიერი მოძღვარი, რომელსაც მორწმუნე მიმართავს არა მარტო აღსარების, არამედ სწავლებებისთვისაც. მაგრამ როცა ახლად ვიწყებთ ეკლესიურ ცხოვრებას, როცა ჩვენთვის ყველაფერი უცხოა, ხშირად ვსვამთ კითხვას: კი მაგრამ, სად შეიძლება ვიპოვო სულიერი ხელმძღვანელი, განა შესაძლებელია დღეს კარგი მოძღვრის პოვნა, ყველა ხომ ერთნაირი არ არის?

უფალმა მოიღო მოწყალება ჩემზედ და არ დამჭირვებია ნამდვილი მოძღვრის ძებნა, და ამ ათიოდე წლის წინ მიმიყვანა გიორგიწმინდის ღვთისმშობლის შობის ეკლესიაში. გიორგიწმინდა ჩემი დედულეთია, აქ გავიზარდე, მაგრამ 40 წელი და მოწამეთაში წასვლა დამჭირდა, იმისთვის, რომ ამ პატარა სოფლის ,,დიდ" ეკლესიაში მივსულიყავი. მანამდე იყო ჩემს სახლთან ახლოს ეკლესიაში რამდენჯერმე მისვლა და ერთი აღსარება-ზიარება, მაგრამ სულმა ვერ იპოვა სიმშვიდე, ვიდექი წირვაზე და მის დამთავრებაზე ვფიქრობდი, მინდოდა მადლი და სულის სიმშვიდე მეპოვა და არაფერი გამომდიოდა, სწორედ ამ დროს ჩემმა დამ ძალით წამიყვანა გიორგიწმინდის ეკლესიაში, ის იქ დადიოდა და სულ თავისი მამა გიორგის ხსენებაში იყო, მირჩევდა მეც მათთან დავსწრებოდი წირვას თუნდაც ერთხელ... მერე სახლი აკურთხებინა მამა გიორგის და წასვლისას ისეთი თვალებით გამომხედა და ისეთი ხმით უთხრა ჩემს დას - „წამოიყვანე ეს ჩვენს ტაძარშიო" - რომ კვირას მე თვითონ ვთხოვე, წირვაზე მეც მოვდივარ მეთქი. ეკლესიაში მისულს ისეთი მადლი, სითბო, უფლის და ერთმანეთის სიყვარული დამხვდა, მონუსხული ვიდექი, წირვა როდის დამთავრდა არც გამიგია, იქვე აღმოჩნდა რომ მეორე შაბათს მოწამეთაში მიდიოდა მრევლი მოსალოცად და მეც შემთავაზეს წასვლა, გაუცნობიერებლად დავთანხმდი, მოწამეთა სად იყო ისიც არ

ვიცოდი... უკვე გზაში, საუბრისას გავიგე, რომ იქ ვინმე მამა გიორგი ბასილაძე მსახურობდა და უმეტესობა მის სანახავად და მისგან ლოცვა-კურთხევის ასაღებად მიდიოდა. მოწამეთაში მისულებს წირვა დაწყებული დაგვხვდა და ყველა ტაძარში შევიდა, მე ტაძრის წინ პატარა სენაკის კედელს ავეკარი და გულში იმ ლოცვების თქმა დავიწყე რაც ზეპირად ვიცოდი, ამ დროს გაიღო კელიის კარი და მორჩილმა დაიძახა: „საგარეჯოდან მოსული ხალხი შემოდით!“ სხვები უფრო თამამად იყვნენ, მამა გიორგის ესაუბრებოდნენ და კითხვებს უსვამდნენ, მე კედელთან თავდახრილი ვიდექი და თავის აწევასაც ვერ ვბედავდი, უდიდეს კრძალვას და მოწიწებას ვგრძნობდი. მამა

გიორგიმ სახელი მკითხა, პირდაპირ შემომხედა და მითხრა, რომ: „საქმე და სამსახური კარგია, მაგრამ კვირაში ერთი დღე უფალს უნდა დავუთმოთ და წირვას დავესწროთ!“ და სიცილით დაამატა: „იქ გყავს მამა გიორგი და იარე ეკლესიაშიო“.

შეიძლება ვთქვა, რომ იმ დღიდან დაიწყო ჩემი ეკლესიური

ცხოვრება, მივედი ტაძარში და კვირიდან კვირამდე დრო აღარ გადიოდა, ერთი სული მქონდა შაბათი მალე მოსულიყო, რომ ისევ იმ მადლიან ტაძარში წავსულიყავი ჩემს ოჯახთან ერთად. უფლის დიდმა მოწყალებამ და მამა გიორგი ბასილაძის სიტყვებმა მიმიყვანა გიორგიწმინდის ეკლესიაში და დამამკვიდრა მის წიაღში,

მამა გიორგის სენაკში მირონმდინარე ხატებთან

რადგან იქ დამხვდა უცხო, მაგრამ სულიერად ძალიან ახლობელი ადამიანი, რომელსაც უსიტყვოდ ესმოდა ჩემი, ჩემს გულში უსიტყვოდ დასმულ კითხვებს ხმამაღლა პასუხობდა, რომლისგანაც იმხელა მადლი, სითბო და სიყვარული იღვრებოდა, რომ ადამიანის სულის სიმებს არხევდა, ცდილობდი უკეთესი გამხდარიყავი, ყველა ცოდვა და სულის სიმძიმე ჩამოგეშორებინა და მასთან ერთად, იქ მყოფ მრევლთან ერთად გედიდებინა უფალი ხშირად ცრემლიანი ლოცვით და ტაძრიდან სულ და გულდამშვიდებული წამოსულიყავი შემდეგი წირვა-ლოცვის მოლოდინში.

და ეს გზა, გიორგიწმინდის ტაძრისკენ მიმავალი გზა, ჩემი

ცხოვრების განუყოფელ ნაწილად იქცა, უფალმა ინება და ჩემი შვილი და დისშვილი მამა გიორგიმ თავისთან სტიქაროსნებად დაადგინა, **და მე უბედნიერესი დედა ვარ, რადგან მე ჩემს შვილს იმაზე დიდს და კარგს ვერაფერს გავუკეთებდი მთელი ცხოვრების მანძილზე, ვიდრე ის, რომ მამა გიორგის გვერდით გაიზარდა მის მორჩილებასა და სიყვრულში.**

ძალიან ბევრი რამის მოყოლა შემიძლია მამა გიორგიზე, კურნებებიდან და წინასწარმეტყველებიდან დაწყებული საკუთარ თავზე განცდილის თუ სხვისი მოყოლილის გაცნობიერებით დამთავრებული, მაგრამ ამჟამად ერთზე გავჩერდები, რომელიც ჩემი ეკლესიური ცხოვრების პირველ თვეებში მოხდა:

ახალი დაწყებული მქონდა ეკლესიაში სიარული და გულში სულ მამა გიორგის ველაპარაკებოდი. სახლში ვიყავი, სამსახურში, რამე პრობლემა მქონდა, მიხაროდა თუ მწყინდა – ყველაფერს ვუყვებოდი, ყველაფერს ვუზიარებდი. ასე გრძელდებოდა კარგა ხანს. მერე თანდათან, დროთა განმავლობაში, უკვე ჩემს კითხვებზე უსიტყვო პასუხებსაც ვიღებდი, ანუ რამეს რომ გავიფიქრებდი, თითქოს ჩამესმოდა მამა გიორგის ხმა და რჩევა მჭირდებოდა თუ დარიგება, ყველაფერზე პასუხი ჩამესმოდა. თანდათან ისე აშკარა გახდა ეს ყველაფერი, რომ შიშმა ამიტანა. ვთვლიდი, რომ ეს ყველაფერი ბოროტისგან იყო და არ მინდოდა ავყოლოდი, მეშინოდა ასეთი, თუ შეიძლება ასე ითქვას, „სულიერი კავშირის“ და უკვე ვცდილობდი, შევწინააღმდეგებოდი ამ „ხმას“, რომელიც მამა გიორგის სახით შემოდიოდა ჩემში, მაგრამ არ მინდოდა ამის დაჯერება, ვფიქრობდი: „როგორ, მაშ, ჩემს მეტი საქმე არ აქვს? ასე ყოველთვის ჩემთან როგორ არის, ყველაფერზე პასუხს როგორ მაძლევს?“ და ა.შ. არა, ეს ნამდვილად ბოროტისგანაა და სანამ გვიან არ არის არ უნდა დავემორჩილო, არ შემოვუშვა ჩემში და გავნდევნო მეთქი. მოკლედ, ასე, ორწყალსშუა ვიყავი, ვერ გამეგო რა მექნა...

და აი, ერთ შაბათ დღეს, ლოცვაზე მივდივარ და სახლიდან არ გასული 50 მეტრში ისევ ცხადად ჩამესმა ყურში მამა გიორგის ხმა. შეშინებულმა მის მოსაშორებლად თავი გავიქნიე, გადავაქნიე აქეთ–იქით, თითქოს ამით გავფანტე ეს აზრები და კიდევ ერთხელ გავიფიქრე: „არა, ეს მამა გიორგი არ არის, სულ ჩემთან როგორ არის, ჩემს მეტი საქმე არ აქვს მეთქი?...“და გავაგრძელე გზა. მივედი ტაძარში. ლოცვის დაწყებამდე დრო იყო. დავანთე სანთლები და სამხრეთის კარებთან შიგნით გავჩერდი. ამ დროს გავიგე მამა გიორგის

ხმა. სენაკიდან ამოსულიყო და ეზოში შემოვიდა. დაელაპარაკა ხალხს – ერთს, მეორეს. გაჩერდა, გაიცინა. მოკლედ, სანამ შემოვიდოდა კარებში გავიდოდა დაახლოებით 10 წუთი. მე კარებში ვიდექი და ჩემდაუნებურად გავიფიქრე: „რამდენი ხანია მოვიდა და ვეღარ მოაღწია აქამდე მეთქი?“ ამ დროს შემოვიდა გაღიმებული, თან საუბრობდა. დამინახა, წამოვიდა პირდაპირ ჩემსკენ: „მოვაღწიე აქამდე როგორც იქნაო“, ღიმილით მითხრა და სანამ ამაზე რეაქცია მექნებოდა, ეს გაღიმებული სახე უცებ შეეცვალა, ძალიან სერიოზული გახდა, თითქოს მწუხარე, სინანულით შემომხედა და მითხრა: „იცოდე, მარინე, მე სულ შენთან ვარ, შენი წუხილიც მესმის და შენი სიხარულიც მიხარია, როცა საჭიროა, რჩევა–დარიგებასაც გაძლევ და ეს (ამ დროს ზუსტად ისე გადააქნია თავი, როგორც მე, ეკლესიაში მიმავალმა რომ გადავაქნიე და მისი ხმის მოცილება ვცადე, ზუსტად ისე) საჭირო არ არისო“. ეს მითხრა სულ რამდენიმე წამში მერე ისევ შეეცვალა სახე, ისევ გაღიმებულმა სხვას დაუწყო ლაპარაკი და განაგრძო გზა. ვერავინ ვერაფერი გაიგო, ის საუბარი ჩემთვის იყო მარტო, მან იცოდა რაც მითხრა და მე გავიგე რაც თქვა.

თითქოს კოკიდან ჩამოასხესო, ისე წამომივიდა ცრემლები, სიხარულის, სინანულის, დიდი მადლის და მადლობის. ყველაფერს რომ დაიტევდა ის ცრემლები, მოდიოდნენ და არ ჩერდებოდნენ. ამით დამანახა, რომ ბოროტი კი არ მებრძოდა, თავად იყო და სინანული გამოხატა რომ დავეჭვდი.

ამის შემდეგ დაიკარგა ეს ხმები, აღარაფერი მესმოდა მხოლოდ იშვიათად, ძალიან საჭირო მომენტში, როცა ყველაზე მეტად მჭირდებოდა. ეკლესიაში ქადაგების დროს გაუცია ჩემს ნაფიქრალზე პასუხი, ან ჩემს გვერდით სხვისთვის უთქვამს ის, რაც მე მეხებოდა.

ერთ წერილში შეუძლებელია ჩაატიო ის სითბო, სიყვარული, მადლიერება, რასაც ჩვენი მამა გიორგი საკუთარი მრევლისთვის თუ სულ უცხო, პირველად მოსული ადამიანისთვის გაიღებს უანგაროდ, ეს სიყვარული მას ასმაგად უბრუნდება უფლისგან და ადამანებისგან, მისი ფოტოსურათი მრევლის ყველა წევრის ოჯახში ხატებთან ერთად, ხატების კუთხეშია დაბრძანებული და მასაც ვთხოვთ შემწეობას უფლის და დედაღვთისმშობლის წინაშე.

მამა გიორგი (პავლოვი) ჩემთვის მარტო მოძღვარი არ არის, ის მაგალითია იმისა, თუ როგორი უნდა იყოს წმინდა ეკლესიის ჭეშმარიტი მსახური და სამშობლოს სიყვარულით გულანთებული მოძღვარი. ყოველი მისი ჩატარებული წირვა-ლოცვა გვავსებს და ერთი ნაბიჯით

მივყევართ უფლისკენ მიმავალ მძიმე და ძნელადსავალ გზაზე. დიდება და მადლობა უფალს ყველაფრისათვის!

მამა გიორგის გულმხურვალე ლოცვით მრავალი სნეული გამოჯანმრთელებულა და მრავალი გზააბნეული ეკლესიის წიაღში მიუბრუნებია მის თბილ და ტკბილ სიტყვებს, ამიტომ დღითიდღე იზრდება მრევლი, რომელსაც გიორგიწმინდის პატარა, მაგრამ დიდი მადლის მატარებელი ეკლესია ვეღარ იტევს. ერთხელ სტუმრობის შემდეგ, ვეღარ ტოვებს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული მრევლი ამ მადლიან ტაძარსა და სულიერი ხედვითა და სიყვარულით მადლმოსილ მოძღვარს.

უსასრულოდ შეიძლება მამა გიორგიზე საუბარი, რადგან მასში დიდი სიყვარულია დავანებული და **„ღმერთი ხომ სიყვარულია და სიყვარულის მკვიდრი ღმერთში მკვიდრობს, ღმერთი კი მასში“.** (იოანე. 4;16)

ღმერთმა დიდხანს გვიცოცხლოს ჩვენი საყვარელი მამა გიორგი, რადგან ჩვენ, ცოდვილები, თავისი სულის პურით კიდევ მრავალჯერ დაგვაპუროს. მადლობა ამ დიდი სიყვარულისთვის, სითბოსა და ყურადღებისთვის, რომელსაც თითოეული ჩვენთაგანისთვის იჩენს.

მამა გიორგი და მისნაირი ნამდვილი მოძღვრები დღეს ჰაერივით გვჭირდება, რათა საქართველომ შეძლოს გაერთიანება, გაძლიერება და გაბრწყინება, როგორც დიდი მამა გიორგი ბასილაძე იტყოდა: **„ქართველობა ძნელია, მაგრამ აუცილებელი“. მამა გიორგი თავისი სულით ყველა ჩვენთაგანზე დიდი ქართველია, რომელიც დგას მეციხოვნედ სამშობლოს სადარაჯოზე და მტკიცედ იცავს ქართულ სულს და ტრადიციებს.**

ღმერთმა დალოცოს და გააძლიეროს ჩვენი ტკბილი მამა გიორგი!!!

მხევალი ღვთისა, მარინე ოსეფაშვილი
საგარეჯო ტ. 599 36 88 39

* * *

მამა გიორგი პავლოვი რამდენიმე წლის წინ გავიცანი. ის ჩვენი დროის გამორჩეული სულიერი მოძღვარი და საეკლესიო მოღვაწეა. მამა გიორგისთან ურთიერთობა ნიშნავს, რომ იძენ ცოდნას. ჩვენ ხშირად გვისაუბრია ადამიანის სულიერ განვითარებაზე, ცოდვის სიმძიმესა და სიკეთის სიმსუბუქეზე. ჩვენ გვისაუბრია იმაზე, თუ როგორ უნდა ემსაგავსოს ადამიანი

უფალს, რა არის საჭირო ამისათვის. მე ბევრჯერ ჩამიბარებია აღსარება მამა გიორგისთვის და მის დარიგებას ყოველთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა ჩემთვის. მამა გიორგის მიერ ჩატარებული წირვა-ლოცვაც განსაკუთრებულია. მშვიდი, თავისუფალი. შენ გრძნობ, რომ ამ წირვისას უფალთან ხარ და

უფალი შენთანაა. არ იღლები, არამედ გრძნობ ბედნიერებას. საოცარი გულწრფელობით გამოირჩევა მამა გიორგის ყოველი ქადაგება. ის ქადაგებს არა მარტო სულიერი განვითარების, არამედ საქვეყნო, საერო საკითხებზე. **ესაა გაბედული, მამაცი, სულიერად ძლიერი საეკლესიო მოღვაწის ქადაგება, საიდანაც ბევრს ისწავლის ადამიანი. ის არაა ჩვეულებრივი მოძღვარი. მამა გიორგი პავლოვი გამორჩეულია ღვთისაგან. მას აქვს სულიერი ხედვა და მოვლენების წინასწარჭვრეტის უნარი. ასეთ სასულიერო პირებზე დგას ჩვენი ქვეყანა.** მაქვს ბედნიერება და პატივი, რომ ვიყო მამა გიორგის უახლოესი მეგობარი, მისი თანამოაზრე და მოსწავლე. დარწმუნებული ვარ, გაცხადდება მისი ყოველი ქადაგება და ჩვენს ქვეყანაში დაისადგურებს მშვიდობა, სიკეთე, კაცთმოყვარეობა.

ირმა ინაშვილი
საქართველოს „პატრიოტთა ალიანსი“-ს
გენერალური მდივანი,
საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერი

ღმერთო, ძალა მოგვეცი!

ღვთის მადლით, მამა გიორგი პავლოვი სულით და ხორცით ქართველია. ჩემთვის თევდორე მღვდლის (კველთელი) პროტოტიპია. მჯერა, დღესაც რომ შემოვიდეს თათარხანის ურჯულოთა ლაშქარი, მამა გიორგისდარი მღვდლები შეეწირებიან მაცხოვრის რჯულის დაცვას, ან და აბო თბილელივით დადგება თბილისელთა გვერდით.

ძველი დროის ეკლესიაში სასულიერო პირს მორწმუნე მრევლი ირჩევდა (გამოარჩევდა), რადგან ხალხი, ანუ მრევლი (მაშინ ხალხი და მრევლი ერთი იყო) ქმედითად მონაწილეობდა ეკლესიის მართვაში და ყველა მნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტაში.

მჯერა, ძველ დროში რომ ეცხოვრა მამა გიორგი პავლოვს, მორწმუნე მრევლი პირველს გამოარჩევდა მღვდლობისთვის. ცხადია,

მღვდლობის საიდუმლო ღმერთის მიერ არის დადგენილი, მაგრამ საკითხავია მღვდლად ხელდასხმის საიდუმლოს აღსრულებისას - ქიროტონიის დროს ყველა მოძღვარზე, მღვდელზე გადმოდის სულიწმინდა?

ვფიქრობ, რჩეულნი არიან მხოლოდ მათ შორის. ჩემთვის ასეთი რჩეულია მამა გიორგი პავლოვი - **ერის სულიერებისათვის უშიშარი და შეუპოვარი მებრძოლი, ქრისტეს ერთგული მხედარი და გაჭირვებულთა დამხმარე, პირუთვნელად მამხილებელი ქვეყნის ბოროტთა და ფარისეველთა, საქართველოს ერთიანობისათვის, ქრისტიანობისათვის გულანთებული მოძღვარი.** მახსენდება დავით თარხან-მოურავის დაწერილ და გიორგიწმინდას ეკლესიისთვის შეწირულ ხატთან სანთლების ალის გარემოცვაში, ღვთიური შუქით გაცისკროვნებული მამა გიორგი პავლოვის სასოებით აღვლენილი ლოცვა საქართველოს გადასარჩენად. სისხლის გენეტიკური კოდით ადამიანის ვინაობასა და ეროვნებას ადგენენ, თუმცა მთავარი სულიერი კოდია. **ჩემთვის სულით და ხორცით ქართველი მღვდელია მამა გიორგი პავლიაშვილი.** ღვთიური მადლისა და სითბოს მატარებელია

მამა გიორგი. ის ამ მადლსა და სითბოს უშურველად უნაწილებს დიდსა თუ პატარას. იგი არასოდეს იღწვის, როგორც ნეტარი ავგუსტინე ბრძანებს: „სამარცხვინო დიდების“ მოსახვეჭად. არის ბავშვივით სუფთა და ალალი. რა გამოარჩევს ჭეშმარიტ მოძღვარს ჩვეულებრივი მრევლისგან? თავმდაბლობა და სიმართლის ქადაგება ყოველთვის და ყველა ამბიონიდან, რამეთუ „ნეტარ არიან დევნილნი სიმართლისათვის“. დღეს საკვირველიც არის, რომ ჭეშმარიტი მოძღვარი სიმართლისათვის არ იდევნებოდეს, რამეთუ აპოკალიფსურ ჟამში ვცხოვრობთ. დღეს თეთრზე შავს გვიმტკიცებენ და სოდომ-გომორის ცოდვა დემოკრატიის ბარომეტრია... თუ ქრისტიანი მღვდელი არ ამხელს მოძალებულ სიბილწეს და მხოლოდ წმინდა წერილის ზოგადი განმარტებებით შემოიფარგლება, მაშინ ისიც სულ მცირე, თუნდაც უნებლიე თანამონაწილე იქნება უკეთურებისა და ბოროტებისა. სიმართლისათვის მებრძოლია მამა გიორგი...

მისი გასაოცარი თვალები ყველაფრის მაუწყებელია. თვალები, რომელთა სიღრმეში რწმენის ნაკვერჩხლები გიზგიზებენ და ხან და ხან სხვათა უხილავი და უთქმელი სევდა-დარდისაგან მალული ცრემლიც გამოუჟონავს... თუმცა უდრტვინველად იტანს ტკივილს... საოცრებაა მასთან მირონმდინარე ხატთა ბრწყინვალება... ერთხელ, გიორგობას სტუმრად ვიყავი მამა გიორგი პავლოვთან. წირვის დამთავრების შემდეგ, რამდენიმე კაცი თავისთან მიგვიპატიჟა ტრაპეზზე, გასაოცარი მასპინძლობა იცის, მაგრამ ყველაზე უცნაური და გასაოცარი ის იყო, რომ ტრაპეზის შემდეგ ზოგს ღვინო და ხილის წვენი აჩუქა, ზოგს ხატი, მე კი ფანარი გამომიწოდა. გავკვირდი. გულში გავიფიქრე, ნეტა რაში მჭირდება, რაში გამომადგება-მეთქი. სახლში ღამის ნათურაც მიდგას სამუშაო მაგიდაზე და ოთახიც ნორმალურად ნათდება. იმ დროს ორ წიგნზე ვმუშაობდი: „კასპის ისტორია“ და „ცა ჩვენი სულის მისამართია“. ის დროა, ორივეს სტამბაში ვაბარებ და ორ დღეში ბეჭდვა უნდა დაიწყონ. ბოლო კორექტურას ვაკეთებ და ვჩქარობ. ბედი არ გინდა, ელექტროენერგია გაითიშა, რაღაც დაზიანება ყოფილა მაღალი ძაბვის ხაზების. ვზივარ ნერვებ დაწყვეტილი სიბნელეში და უცებ გამახსენდა წინა კვირას მამა გიორგის მიერ ნაჩუქარი დასაკეცი ფანარი. მოვიძიე, ისევ მანქანის საბარგულში მქონია. მოვიტანე სახლში. ჩავრთე. ასე მეგონა, მამა გიორგი მინათებდა საწერ მაგიდას. იმ ღამით ორივე წიგნის კორექტურას მოვრჩი და დილით დასაბეჭდად წავიღე სტამბაში. ეს ამბავი მეორედ სტუმრობისას მოვუყევი მამა გიორგის და ჩვენს მეგობრებს. თბილად გამიღიმა და მითხრა: გული

მიგრძნობდა, რომ ფანარი დაგჭირდებოდაო... დღესაც მიკვირს, რატომ მაინცდამაინც მე მაჩუქა ფანარი და არა ხატი ან სხვა რამ?.. განა სასწაული არ არის?..

მისი ყოველი ქადაგება ომია ურჯულოთა წინააღმდეგ, მრევლის სულიერად გაძლიერებაა, ქრისტიანული საქართველოსთვის ბრძოლაა!

ღმერთო, ერსა და ბერს მოგვეცი ძალა „მტერს ვუტიროთ დედაო!“

ვაჟა ოთარაშვილი
პოეტი, ილია ჭავჭავაძის,
გალაკტიონ ტაბიძის,
ლადო ასათიანის
პრემიების ლაურეატი

„ღვთისკაცი მამაო“

ჩემო კარგებო, ღვთისმიერი სიყვარულით მინდა გთხოვოთ ყურადღება, სულ რაღაც ხუთიოდე წუთით მოგაცდინოთ და გადაიკითხოთ ჩემი ნაფიქრალი ერთ დიდ სულითა და გულით ქართველზე, ანუ ჩვენს მამა გიორგიზე (პავლოვი), დიახაც ჩვენსას - ვამბობ, იმიტომ, რომ ეს კაცი რამოდენიმე ასეული ადამიანის მოძღვარია.

კახეთში, სოფელ გიორგიწმინდაში, თბილისიდან 50კმ-ში, დაახლოებით ოცი წელია მღვდელმსახურებაშია მამა გიორგი (პავლოვი). ტაძარში მოსვლამდე, ნამდვილი მღვდლის შესახებ ბევრი რამ მქონდა გაგებული. სანამ პირადად გავიცნობდი მამაოს, წირვა-ლოცვებს სხვაგან ვესწრებოდი და თქვენ წარმოიდგინეთ სტიქაროსნადაც ვმსახურობდი, მაგრამ რელიგიურ შიმშილს მაინც განვიცდიდი, ვერაფრით ვერ „ჩავჯექი“ დღეს მოდაში შემოსულ რელიგიურ კეკლუცობაში.

ჩემი უახლოესი მეგობრის (იოსებ სიბოშვილი), დაჟინებული თხოვნით თუ რჩევით მივედით მე და ჩემი ოჯახობა გიორგიწმინდის ღვთისმშობლის შობის სახელობის ეკლესიაში. გავიცანით მამაო. უფალმა ყოველივე უწყის - მას შემდეგ დაიწყო ჩემი სულის განკურნება. მის შესახებ რამოდენიმე გამოქვეყნებულ თუ გამოსაქვეყნებელ წერილში არაერთხელ მაქვს დაფიქსირებული შეფასებები, მის მიერ

ჩატარებული წირვა - ლოცვების, ქადაგებების, ტრაპეზების შესახებ. გავოცდი საქართველოს ისტორიის მისი სიღრმისეული ცოდნით.

ჩემი ასაკიდან გამომდინარე, ძალიან ვცდილობ არ ჩავვარდე ხიბლში, ფანტაზიებში, (რა დროს ჩემი ეგეთებია). დასკვნების გაკეთებას ვერიდები, მითუმეტეს ქაღალდზე დაფიქსირებას. ეს ჩემი წერილი იძულებითი პასუხია ზოგიერთი ავადმოაზროვნე, ავსიტყვა სასულიერო და საერო პირთა საწინააღმდეგოდ. პატივცემულნო! შურმა არ დაგაჩოქოთ! ნუ აყვებით სხვათა ფეხისხმას, თბილი გულით შეხვდით ყოველივე ამას, ეს რეალობაა.

მავანთა და მავანთა გასაგონად, თუ ვინმეს ეჭვი ეპარება ჩემი წერილის სათაურის რეალობაში, ქვევით ჩამოგითვლით მამა გიორგის (პავლოვი) მოძღვრისეულ და პირად თვისებებს:

მამა გიორგი (პავლოვი) სპეტაკია. იგი უსასყიდლოდ დადგენილია და უსასყიდლოდ გასცემს, ღვთის მოშიშია. მის სენაკში და ტაძარში წმინდა ხატებს უხვად ჩამოედინებათ მირონი. **გლახაკთა და უქონელთა გვერდში მდგომია.** უფლის უდიდესი სიყვარულით გამოირჩევა. უყვარს მრევლი, დაიმსახურა და უსაზღვროდ უყვარს მრევლს. არაჩვეულებრივი მქადაგებელია, რა დროსაც სიღრმისეულად განმარტავს, როგორც ზოგადად ქრისტიანულ, ასევე კონკრეტული საღვთო დღესასწაულების საიდუმლოებებს. მისი თვალები ასხივებს აურაცხელ სითბოსა და სიყვარულს. ქადაგებს სამშობლოს სიყვარულზე და პატრიოტიზმზე. **მამა გიორგი (პავლოვი) განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს მოზარდი ახალგაზრდების აღზრდას ქართული სულისკვეთებით, არაერთხელ დადასტურდა ან ახდა მის მიერ ნაწინასწარმეტყველები.** ზოგიერთივით საღვთო საიდუმლოებათა აღსრულებაზე (ნათლობა, ჯვრისწერა, წესის აგება და სხვა.) „სტავკები“ არა აქვს დაწესებული. მას მისთვის მიძღვნილი ქათინაურები არ უყვარს, მინდა გაიხსენოთ, ნამდვილ, ღირს მამათა აზრები: ჩვენი დიდი „ბაბუს“ - არქიმანდრიტ გიორგი ბასილაძის, ნამდვილი მამის - იოანე ოლარის და სხვათა შეფასებები მამა გიორგის (პავლოვი) შესახებ. იქნებ მათი მაინც დაიჯეროთ, მაგრამ მაინც ეჭვი მეპარება.

მამა გიორგის (პავლოვი) შეუძლია მრევლის ყველა წევრს განურჩევლად ასაკისა და სქესისა მისეულად „გამოუტყდეს“ სპეტაკ საღვთო სიყვარულში.

ერთხელ ტრაპეზზე მე და მამაო ახლოს ვისხედით ერთმანეთთან. იგი მოკრძალებულად მიირთმევდა თევზს, ნახევრადაც არ ჰქონდა

ნაჭერი მირთმეული, რომ შემომთავაზა მისი ხელიდან მეხმია აღნიშნული ნაჭერი. გავვოცდი, მაგრამ არ დავიბენი. სიამოვნებით მივიღე შემოთავაზება. ასეთი ქმედების გამოჩენას მისი მხრიდან არაერთხელ აღნიშნავენ მრევლის სხვა წევრებიც, ეს ხომ ძმობის აღიარებაა.

ისე, ჩვენს საზოგადოებას განსჯისათვის ვუტოვებ თითქოს რიტორიკულ (ნაკლებადსავარაუდო) მაგრამ, მაინც შეკითხვას.

სხვა რა თვისებები უნდა გააჩნდეს მამაოს, ღვთისკაცი მამაო რომ ვუწოდოთ? თუ ასეთი რამ მხოლოდ გარდაცვალების შემდეგ უნდა დაფიქსირდეს და ვაივიში ავტეხოთ ეს რა მამაო გვყოლიაო? დიახაც, ვინც ეძებს, ის პოულობს, მოვახერხე და ვიპოვე, და „მოყვარეს პირში უზრახე“- ასეთი მამაოები, მადლობა ღმერთს, სხვებიც გვყვანან.

ჩემს ნათქვამზე თუ ვინმეს შეკითხვა გაგიჩნდებათ მე მზად ვარ ნებისმიერ დროს გიპასუხოთ.

მამა გიორგის (პავლოვი) შენდობას ვთხოვ დიდმარხვის დასაწყისში ჩადენილი კადნიერებისათვის, გავბედე და მასზე ჩემი აზრი დავაფიქსირე.ემოციებისთვის შენდობას ვითხოვ.

პატივისცემით, ალექსანდრე მაზანაშვილი
ვეტერინარიის მეცნიერებათა კანდიდატი
კახეთი,საგარეჯოს რაიონი
პატარძეული 557 20-95-41

* * *

მამა გიორგი პავლოვს პირველად შევხვდი 2011 წლის 7 აპრილს, ხარება დღეს, სოფელ გიორგიწმინდის ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძარში. ამ მადლიან დღეს მამა გიორგისთან სტუმრად იმყოფებოდა ორი უდიდესი მამა, აწ განსვენებული მამა გიორგი ბასილაძე ფეხითმოსიარულე და მამა იოანე ოლარი, რომელსაც ხალხმა სიყვარულის მოძღვარი უწოდა.

ჩემი ყურადღება უპირველეს ყოვლისა მიიპყრო მამა გიორგი პავლოვის წინასწარმეტყველებამ. **მამა გიორგიმ საოცარი სიზუსტით იწინასწარმეტყველა ნაციონალური მოძრაობის და მათი ბელადის პარპაშის დასასრული, რომლის მომსწრე ყველა ერთად**

გავხდით. მამაომ ამავე დღეს იწინასწარმეტყველა მოსალოდნელი რუსულ-თურქული ურთულესი ომისა და ქვეყანაში საყოველთაო მობილიზაციის გამოცხადების შესახებ, რომელიც თურქეთის დაშლით და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენით დამთავრდება, და რომლის დასრულების შემდეგ არა მარტო აფხაზეთი და სამაჩაბლო, არამედ ტაო-კლარჯეთიც ჩვენი იქნება.

მინდა მოგითხროთ მამა გიორგი პავლოვის უფლისგან ბოძებული უდიდესი ნიჭის შესახებ, რომელსაც ადამიანების გულთა მხილველობა ჰქვია. ძალიან მინდოდა ვყოფილიყავი მამა გიორგის სულირი შვილი, მაგრამ რაღაც უხილავი მაკავებდა. ამ წინააღმდეგობის გადალახვაში დამეხმარა ბიძაჩემი, მამა გიორგის მეზობელი და სულერი შვილი სოსო თათრიაშვილი, რისთვისაც მთელი ცხოვრება მისი მადლიერი ვიქნები. მამა გიორგიმ პირველი აღსარების მისაღებად თავის კელიაში წამიყვანა. სახლის ეზოში შესვლამდე შევამჩნიე ჭიშკართან მდგომი უზარმაზარი შავი ჯიპი, რომელიც

შეცდომით მივიჩნიე მამაოს ავტომობილად და რაც რათქმაუნდა ძალიან არ მესიამოვნა იქიდან გამომდინარე, რომ ჩემთვის, როგორც ერთი უბრალო, ცოდვილი მორწმუნესთვის მიუღებელია სასულიერო პირების ფუფუნებაში ცხოვრება, რადგან ფუფუნებაში და სიმდიდრეში მცხოვრები ადამიანების უმეტესობა, სასულიერო იქნება ის თუ საერო, წყდება რეალობას და საერთოდ კარგავს ყოველგავარ სულიერებას. როგორც ყველასთვის უსაყავრლესი მამა ილია ჩიკვაიძე ბრძანებს: „ყოვლად მიუღებელია, როცა ერი მშიერია და შენ 100 000-ანი ჯიპით მოძრაობ, სასულიერო პირი იქნები თუ საერო“.

მამა გიორგიმ აღსარება მიიღო, მისთვის ჩვეული ადამიანებისადმი უსაზღვრო სიყვარულით მიმითითა გამოსწორების გზებზე, ვხედავდი, რომ ჩემთან ერთად განიცდიდა ჩემს სატკივარს, დამამშვიდა და დამემშვიდობა. პირველი აღსარების შემდეგ გავიდა რამოდენიმე თვე, მე კი მოსვენებას არ მაძლევდა ზემოთხსენებული შავი ჯიპი. ეს ამბავი არავისთვის მითქვამს, მაგრამ გულში ძალიან მწყინდა და მამა გიორგიზე გაბრაზებულიც კი ვიყავი, ამის გამო ვბრკოლდებოდი. მომდევნო აღსარების თქმაც გადავდე გაურკვეველი ვადით. ერთ კვირა დღეს, წირვის დასრულების შემდეგ მამაოს მრევლის 10-12 კაციანი ჯგუფი ესაუბრებოდა სატრაპეზოს მშენებლობასთან დაკავშირებით, ამ ჯგუფის უკან ვიდექი ტაძარში ჩასასვლელ კიბეებზე და ველოდი მამაოს განთავისუფლებას, რაღაც ყოფით პრობლემებზე სასაუბროდ. ამასობაში ტაძრის გვერდით არსებულ გზაზე, დიდი გრუხუნით ჩამოიარა ძალიან ძველმა „კოლხოზნიკმა“. ამ დროს მამაომ შემომხედა და მითხრა: - „შენ, იცოდე, ეს არის ერთადერთი მანქანა რომლით სიარულსაც შეიძლება როდესმე დავთანხმდეო“. ამის შემდეგ ჩემთვის ყველაფერი გასაგები გახდა.

მამა გიორგი არის მოძღვარი რომელსაც შეუძლია ადამიანში ერთი შეხედვით აღძრას სინანული და ადამიანის გულიდან და გონებიდან გამოიტანოს წლობით ნაგროვები მწიკვლი. მამა გიორგი არის მოძღვარი რომელიც იმდენად გაყვარებს უფალს საკუთარი უბრალოებით, რომ შენთვის მიუღებელი ხდება ყოველგვარი ცოდვა და განეშორები მათ მისი ლოცვითა და უფლის შეწევნით.

დიდება და მადლობა უფალს ყველაფრისათვის. მადლობა უფალს იმისთვის, რომ ღირსი გამხადა ვიყო ჩვენი დროის უდიდესი წმინდა მამის, გიორგი პავლოვის სულიერი შვილი, მას ვაბარებდე აღსარებას და მისი წმინდა ხელებიდან ვეზიარებოდე სულისა და ხორცის საკურნებელ ქრისტეს სისხლსა და ხორცს. გფარავდეთ უფალი

ყველას, ვისთვისაც ჩემი მონათხრობი ახლობელი და სასიხარულოა. უფალი ფარავდეს სრულაიდ საქართველოს, ყველა განსაცდელში მყოფ ადამიანს და ყველა მართლმადიდებელ ქრისტიანს...

მამუკა გიოშვილი
გურჯაანის რ/ნ, სოფ. კაჭრეთი.
ტელ: 551 17 40 17
25.06.2017 წ

მოძღვარნი საამაყონი

„სახარებითა და ჯუარითა პატიოსანითა“ ჩამოვიდა მამა გიორგი გიორგიწმინდაში. ქრისტიანობასა და საქართველოზე უზომოდ შეყვარებული მართალი მღვდელთმსახურის ცხოვრება-მოღვაწეობა, ჩვენი დიდი და სახელოვანი წინაპრის - გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებასა და მოღვაწეობას მაგონებს. თანახმად მოწოდებისა, გრიგოლი მოსურნე იყო, დაეტოვებინა თავისი მიწა-წყალი და ტაო-კლარჯეთის უდაბნოებში სამონასტრო საქმიანობისათვის ხელი მოეკიდა.

თანახმად მოწოდებისა, მამა გიორგიმ მშობლიური თბილისი დატოვა, სოფელ გიორგიწმინდის ღვთისმშობლის შობის სახელობის ეკლესიაში 1998 წელს მღვდლად აკურთხეს და მოღვაწეობა აქ დაიწყო. ყოველთვის ჭეშმარიტებას ქადაგებდა და ქადაგებს... ხალხი ეკლესიისკენ შემოაბრუნა, უფალთან დააახლოვა და ღვთის სახლში გულიანი მლოცველი გაამრავლა. აქ საკვირაო წირვას გარეჯელებთან ერთად, საქართველოს ამერ-იმერიდან ჩამოსული მორწმუნე ადამიანები ესწრებიან... არადა, მეფე ერეკლე II-ის დროს აშენებული ეს ეკლესია XX საუკუნის 30-იანი წლების შემდეგ (ამ ტაძრის უკანასკნელი დეკანოზი ამ დროს გადაასახლეს), ჯერ მიტოვებული იყო და შემდეგ - სოფლის კლუბად ქცეული...

მამა გიორგი (პავლოვი) თავისი ცხოვრების ყრმობისა და ჭაბუკობის პერიოდებითაც ჰგავს ხანძთელს. გრიგოლის

„გულისხმიერობაჲ სწავლისაჲ განსაკუირვებელი იყო ფრიად, რამეთუ მსწრაფლ ხოლო დაისწავლა დავითნი და ხმითა სასწავლელი სწავლაჲ საეკლესიოჲ, სამოძღუროჲ ქართულსა ენასა შინა ყოველი დაისწავლა და მწიგნობრობაიცა ისწავა მრავალთა ენათაჲ და საღმრთონი წიგნნი ზეპირით მოიწუართნა“.

მამა გიორგი სანაქებო და წარჩინებული მოსწავლე იყო ჯერ სკოლაში და შემდეგ თბილისის სასულიერო აკადემიაში. მართლაც რომ, საკვირველია მისი ზედმიწევნით ცოდნა ძველი აღთქმისა და ახალი აღთქმისა, საღვთო სჯულისა და ფსალმუნთა კრებულისა...

ისმენ მამა გიორგის საკვირაო ქადაგებას, უსმენ მას კერძო საუბრებისას, სატელევიზიო გამოსვლების დროს, ინტერნეტსივრცეში ნახულობ მასთან ინტერვიუებს და გაოცებული ხარ - მიუხედავად იმისა, რომ საშუალო სკოლა რუსულ ენაზე დაამთავრა, როგორ კარგად იცნობს ძველ, ახალსა და უახლეს ქართულ ლიტერატურას (მსოფლიო ლიტერატურის მისეულ ცოდნაზე აღარაფერს ვამბობ), მეგობრობს ბევრ თანამედროვე მწერალთან და პოეტთან, იცის პატრიოტულ თემაზე დაწერილი მათი ლექსები და საკვირაო ქადაგების დროს საჭიროებისამებრ კითხულობს.

მამა გიორგის უსაყვარლესი მწერალი ვაჟა-ფშაველაა. თავად ამბობს, რომ დღემდე აოცებს ზოგადსაკაცობრიო იდეებით დახუნძლული მისი შემოქმედება და გულში ჩამწვდომი აფორიზმები. ერთხელ მითხრა: „თუნდ ვაჟას პორტრეტს რომ შეხედო, მისგან იმდენი დადებითი ენერგია მოდის, ისიც კი გეყოფა ადამიანს!“

გიორგი მერჩულე „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების დასაწყისშივე წერს: „სიტყუაჲ მისი იყო შეზავებულ მარილითა მადლისაჲთა“. ზუსტად ასეთი გრიგოლისნაირი ლამაზი საუბარი აქვს მამა გიორგის: დამაჯერებლური ტონითა და დიდაქტიკით გაჯერებული, **იმედგადაწურულს იმედს დაგიბრუნებს, მისი რჩევა-დარიგება სალბუნად დაგეედება უკეთურთაგან გულგატეხილსა და სულჩაჩეხილს... ზეადამიანური თვისებებით შემკული ჩვენი მოძღვარი გულის თვალებით ძალიან, ძალიან შორს იყურება.**

გიორგიწმინდის ღვთისმშობლის შობის სახელობის ეკლესიის მრევლისგან ბევრჯერ მსმენია, რომ უფალმა მამა გიორგი მართლმადიდებლობისა და ქართველობის გადასარჩენად გამოგ-ვიგზავნაო. მართლაც, **იგი თავგამოდებით იცავს ჩვენს ეროვნულ ფასეულობებს, თვითმყოფადობას... დღენიადაგ ზრუნავს უდიდესი ისტორიის მქონე ერმა არ დაკარგოს საუკუნეებგამოვლილი**

სულიერება, საკუთარი სახე, ისტორია, რელიგია, ქრისტიანული ზნე-ჩვეულებანი, მდიდარი ტრადიციები...

გრიგოლი „ხოლო იყო ხილვითა დიდ, ხორცითა თხელ, ჰასაკითა სრულ, ყოვლად კეთილ, სრულიად გუამითა მრთელი და სულითა უბიწო“. ვუყურებ მამა გიორგის, ამბიონზე მდგარს, და ვხედავ, რომ იგი ფიზიკურადაც კი ჰგავს ჩემს უსაყვარლეს წინაპარს - გრიგოლ ხანძთელს, მისნაირია შესახედად და სულიც მასავით წმინდა და უმწიკვლო აქვს.

გრიგოლი „რამეთუ არა იყო, ვითარცა ჭაბუკი, მზუაობარ (ამაყი, ამპარტავანი) და ჭამადთა გულის-სათქუმელთა მოყუარე...“ არც მამა გიორგი გახლავთ გულის მიმზიდველ საჭმელთა მოყვარე და, როგორც ყველა პატიოსანი მღვდლისთვის, მისთვისაც მთავარია, „მიიღოს საზრდელი საგლახაკოჲ“. მოძღვარს შენი ხალხის გასაჭირი გულთან თუ მიგაქვს და მათზე უკეთ არ ცხოვრობ, მაშინ შეგიყვარებს შენი სამწყსო... ხალხი ბრძენია - ავსა და კარგს, ავსა და თეთრს მშვენივრად არჩევს...

ვაჟამ თქვა: **„ლამაზად შვილის აღმზრდელი დედა მიცვნია ღმერთადა!“** („საახალწლო“). ასეა, მართლაც რომ საამაყო აქვს ქ-ნ რიმას - თავის ქვეყანას ასეთი სახელოვანი შვილი რომ გაუზარდა. მისაბაძია მისი და მამა გიორგის უტკბესი და სიყვარულიანი დედაშვილობა. მათი ერთმანეთისადმი დამოკიდებულება აუცილებლად გაგახსენებთ ზემოდასახელებული ნაწარმოებიდან ამ ეპიზოდს: „რაჟამს განდიდნა სახელი ნეტარისა მამისა გრიგოლისა და მიიწია ქართლად და ესმა სანატრელსა დედასა მისსა დიდებულებაჲ ძისა თუისისაჲ, რამეთუ იყო იგი ცოცხალ (ჯანმრთელი) და მიწევნულ მოხუცებულობასა მას ჟამსა განმხიარულდა სულითა იგი სიხარულითა მიეგება ძესა თუისსა, ჰამბორს უყოფდა (ჰკოცნიდა) და ეტყოდა: „შვილო, ჩემო ტკბილო...“

კლარჯეთის ბერ-მონაზვნობამ გრიგოლი არქიმანდრიტად დაადგინა...

მამა გიორგი დღეს მღვდელმსახურია... ჩვენ, გიორგიწმინდის ღვთისმშობლის შობის სახელობის ეკლესიის მრევლთაგან თითოეულს, ვინც ჩვენი მოძღვრის ცხოვრებასა და მოღვაწეობას ვიცნობთ, გვჯერა, რომ მომავალში იგი ძალიან დიდ ადგილს დაიკავებს ქართულ საეკლესიო ცხოვრებაში. მისი ყველაზე დიდი სიმდიდრე ხომ „ტალანტი მონაზონისაჲ (ბერის განძი) მარხვაჲ არს“.

წმინდა იოანე ოქროპირის სიტყვებს გავიმეორებ: **„ჩვენ მეტად დავალებული ვართ სულიერ მწყემსთაგან, ვინემ ხორციელ მშობელთაგან, იმიტომ რომ ესენი გვშობენ ჩვენ ქვეყნისათვის და ქვეყანასთან ცხოვრებისათვის, ხოლო ისინი ზეცისათვის და საუკუნო ცხოვრებისათვის ღმერთთან“**. მამა გიორგიც ხომ ასე გვამზადებს საუკუნო ცხოვრებისათვის... დიახ, ამიტომაც ჩვენ დიდად დავალებულნი ვართ მისგან...

მადლობა უფალს, რომ მე მისი თანამედროვე ვარ და ჩემი თვალით ვხედავ მის ფასდაუდებელ ამაგსა და უდიდეს ღვაწლს მართლმადიდებლობისა და ქართველობის გაძლიერება-განმტკიცება-გადარჩენისათვის... მადლობა უფალს, რომ მის გასაცნობად არ მჭირდება „ჭეშმარიტად თხრობილი მოწაფეთაგან და მოწაფის მოწაფეთაგან მის წმინდისათა...“ და რადგან იგი თავისი ცხოვრებითა და მოღვაწეობით ძალიან ჰგავს ჩვენს დიდ წინაპარს გრიგოლ ხანძთელს, მინდა მასავით საუკუნის ხნის ლამაზი ცხოვრება ვუსურვო... ჩემი ოცნებაა - მერე, ძალიან შორეულ მომავალში, ამაყად თქვას და დაწეროს ვინმემ „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ მსგავსი ნაწარმოები და მასში ასეთი ფრაზა იკითხებოდეს: „ხოლო ნეტარი ესე კაცი ღმრთისაჲ მამაჲ გიორგი (პავლოვი) ფრიად გარდარეულად (მეტის-მეტად) დაბერდა, რამეთუ ას და ორისა წლისა ჟამთა მიიწია. ხოლო ფერი პირისა მისისაჲ არა იცვალა, არცა შეემთხუა თუალთა მისთა მრუმედ მხედველობაჲ და ხორცითა ძლიერი იყო...“

მადლობა უფალს, რომ ქართველთ უამრავი საამაყო მოძღვარი გვყავდა და დღეს სულიერი მწყემსი უმწიკვლო და საამაყო მამა გიორგი გვყავს!

შეხედეთ, როგორ უყვარს მამა გიორგის ბავშვები, როგორ ექცევა მათ და როგორ უფრთხილდება მათ უფაქიზეს სულებს...

გვიყვარხართ, მოძღვარო!

ლეილა არჩემაშვილი

საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის წევრი

საგარეჯოს რაიონი სოფ. კოჭბაანი
ტელ. 595 73 57 74

* * *

ამბობს იმას, რასაც ფიქრობს და ამ დროს გეგონება შენს გულში ზის. განსაკუთრებით გაჭირვების დროს შენს გვერდითაა და დახმარების ხელს გიწვდის მაშინ, როცა ეს ძალიან გჭირდება; თან ამას ისე აკეთებს, რომ თავი უხერხულად და საცოდავად არ იგრძნო. მოფერებაც გულიანი იცის და გაბრაზებაც, როცა ამას იმსახურებ. მისი იმედიანი სიტყვა და გამხნევება წამალივით მოქმედებს. ეს ვიცოდი და ვთხოვე საყდრისში ჩამოსულიყო. მამა გიორგი იქ რომ ჩამობრძანდა, მსოფლიოში უძველესი ოქროს მაღაროს გადასარჩენად დაწყებული აქციიდან სამი თვე სრულდებოდა. იქაურობა დაათვალიერა. დარწმუნებული ვარ ძალიან შევეცოდეთ, ეს სახეზე დაეტყო, მაგრამ ღიად არ გამოუხატავს. ფუჭი იმედი არ მოუცია, მაგრამ გაგვამხნევა და გვარიანად შეგვაჯანჯღარა. თან მოგვეფერა, დაგვაპურა, საყდრისის

მამა გიორგი და ნინო მიქიაშვლი საყდრისის ფონზე

მაღაროსთან ახლოს ორსაყდრებში იქადაგა და წაბრძანდა.

სოფელ გიორგიწმინდაში კვირაობით წირვაზე ჩასვლას ისე ხშირად ვეღარ ვახერხებ, როგორც ამას ადრე ვაკეთებდი, მაგრამ

ვიცი (და სხვანაირად შეუძლებელია), რომ მამა გიორგის ქადაგება ისეთივე გულზე მოსახვედრია, როგორიც ადრე იყო - მამა გიორგი არ შეცვლილა, მის გარშემო ჩვენ შევიცვალეთ.

ნინო მიქიაშვილი
მედია-კავშირ „ობიექტივში“ გადაცემა „მემკვიდრეობის“
ავტორი და წამყვანი
24 ოქტომბერი, 2017 წელი

* * *

მამა გიორგიზე საუბარი ჩემთვის ძალიან ძნელია. ის ძალიან დიდი და მიუწვდომელი ვარსკვლავია ჩემთვის სულიერების ცაზე.

არიან წმიდა მამები, რომელნიც ადამიანთა გულებში უცებ დაიდებენ ხოლმე ბინას და ამას არავითარი საეკლესიო კანონების თუ აღმსარებლობის წესების ცოდნა–არცოდნა არ უშლის ხელს. გული უცებ გრძნობს, სული უცებ იღებს. იღებს და ისე ჩაეჭიდება ხოლმე, ვერაფერი ვეღარ ამოგლეჯს იქიდან, რაც არ უნდა ეცადონ ზოგიერთები და ცდილობენ კიდეც დღემდე.

ასეთი იყო ჩემთვის მამა გაბრიელი, ჩემი სულიერი ნათლია და ჭეშმარიტების გზაზე დამყენებელი. ასეთი იყო ჩემთვის მამა გიორგი ბასილაძე – სიყვარულის, სიკეთის და სათნოების განსახირება, ისევე, როგორც მამა ვიტალი სიდორენკო. არც ერთს პირადად არ ვიცნობდი. სამწუხაროდ, როცა ისინი უდიდეს მადლს და სიკეთეს გასცემდნენ, მე მაშინ შორს ვიყავი სარწმუნოებისგან და არც არაფერი ვიცოდი მათ შესახებ. მხოლოდ რამდენიმე წლის წინ ვეზიარე ჯერ მამა გაბრიელის, შემდეგ კი მამა გიორგის წიგნებს და სწავლებებს, რამაც ისე შემაყვარა და მომაქცია უფლისკენ, რომ სხვა არაფრის გაგონებაც აღარ მინდა. ამიტომ ვთვლი მამა გაბრიელს ჩემს სულიერ ნათლიად. ამას იმიტომ გიყვებით, რომ კარგად ავხსნა, რამ მიმიყვანა მამა გიორგი პავლოვამდე, ამ უსაყვარლეს და უძვირფასეს მოძღვრამდე, რომელიც ჩემთვის სწორედ მამა გაბრიელიცაა, მამა გიორგიც და მამა ვიტალიც. თუ შეიძლება ასე ითქვას, ესენი სუყველა ერთ ლიგაში არიან, უსასრულოდ ახლოს ღმერთთან და უსასრულოდ ახლოს ადამიანებთან. ადრე, სანამ მამა გიორგის გავიცნობდი, უსაშველოდ

მტკიოდა გული, რომ მამა გაბრიელს ვერ შევხვდი მის სიცოცხლეში, ჩემი უდღეური და უნაყოფო ცხოვრების წესის გამო. როცა მას მშიერს და დაღლილ–დაქანცულს საფლავებს შორის ეძინა, მე თბილ ლოგინში ვიწექი და გემრიელად ვნებივრობდი კაი გამაძღარი და ბევრჯერ კაი გამომტყვრალიც. შემდეგ მამა გიორგი ბასილაძის ნახვა გამიჩნდა ნატვრად, მაგრამ სამწუხაროდ მანაც ისე გადაინაცვლა ზეციურ სასუფეველში, რომ არ ეწერა ჩემს სურვილს ასრულება.

ალბათ იფიქრებთ, მამა გიორგიზეა წიგნი და მამა გაბრიელი ან მამა გიორგი ბასილაძე რა შუაშიაო. სწორედაც რომ შუაშია, **რამეთუ დღეს, ჩემთვის, სწორედაც რომ მამა გიორგია მამა გაბრიელიც, მამა გიორგი ბასილაძეც, მამა ვიტალიც და ყველა ის დიდი მოძღვარი, ვინც თავის მხრებით ზიდავს ამდენი ადამიანის გადარჩენის სიმძიმეს, რომელსაც ჩემი სახითაც კიდევ ერთი მძიმე ტვირთი დაემატა.**

„წმინდანი რომ იცნო, მისი ჯიშისა უნდა იყო - თავმდაბალი, სიწმინდის მოშურნე და სულიერი მადლის მატარებელი...“– ასე ამბობდა მამა გიორგი ბასილაძე. ახლა კარგად ვხვდები ამ სიტყვების მნიშვნელობას. დღემდე ებრძვიან მამა გიორგის, მამა ნიკოლოზს – ლანძღავენ, მიწასთან ასწორებენ, რას აღარ აბრალებენ და ყველაზე გულსატკენი სწორედ ის გახლავთ, რომ ამას სასულიერო პირები აკეთებენ. სწორედ ისინი, ვინც პირველებმა უნდა იცნონ თავისი დროის წმინდანი, მაგრამ ვერ ცნობენ და უფრო მეტიც, საშინელ დანაშაულს და მკრეხელობას სჩადიან.

ჩემთვის საკმარისი იყო, ერთხელ მომესმინა მამა გიორგი პავლოვის სულ რამდენიმეწუთიანი ქადაგებისთვის, რომ სამუდამოდ დაემკვიდრებინა ჩემს გულში ადგილი. მამა გიორგიზე საუბრობდა, მის ღვაწლსა და საერთოდ, მის პიროვნებაზე. შეიძლება ითქვას, ერთი მამა გიორგის სიყვარულმა, მეორე მამა გიორგიმდე მიმიყვანა.

სილაში რომ მარგალიტი იპოვო ადამიანმა, ასე ვიპოვე მამა გიორგი პავლოვი. ის ყველა მარგალიტზე ძვირფასი მარგალიტია დღეს ჩემთვის, არა იმიტომ, რომ პირისახე მომწონს მისი ან მიხრა–მოხრა, არამედ სწორედ იმიტომ, **ქეჩოში რომ დაგავლებს ადამიანს ხელს, ჭაობში ლამის ჩაძირულს, ამოგათრევს, დაგბანს, გაგასუფთავებს და უფლისკენ მიმავალ გზაზე დაგაყენებს. აი ამიტომ.**

პირველი ქადაგების შემდეგ მამა გიორგის ყველა ქადაგება მოვისმინე. უდაბნოში დიდიხნის სიარულის შემდეგ მოწყურებული და ხახაგამომშრალი ცივ, ანკარა წყაროს რომ წააწყდები, ასე ვიყავი მამა გიორგის ქადაგებების მოსმენისას. მაშინ შევიგრძენი, რა ძვირფასია

და რა მნიშვნელოვანი უბრალოება, სიმდაბლე და უფლის ჭეშმარიტი სიყვარული სუფთა და წრფელი გულით. მაშინ გავიგე ბიბლიიდან ამოკითხული ძალიან ბევრი ფრაზის ჭეშმარიტი მნიშვნელობა ჩვენი უფლის, იესო ქრისტეს მიერ თქმული.

ის უამრავი სასწაული, რაც შემდეგ მამა გიორგის შესახებ მოვისმინე, სიმართლე გითხრათ, უკვე აღარ მიკვირდა. უფრო მიხაროდა, რომ ეს ადამიანი უფრო და უფრო დიდდებოდა და ნათდებოდა როგორც ჩემი, ისე მრავალი მორწმუნის თვალში.

ღვთის უდიდესი წყალობით და მეგობრის დიდი ხელშეწყობით და დახმარებით, მამა გიორგი ტელეფონის საშუალებით გავიცანი. წილად მხვდა დიდი ბედნიერება, ერთხელ მის წირვასაც დავსწრებოდი ემიგრაციიდან დროებით ჩამოსულს და მის დედასაც ვწვეოდი სტუმრად, უსათნოეს და უთბილეს ქალბატონ რიმას.

მამა გიორგისვე კურთხევით, თვეში ერთხელ ვურეკავ საზღვარგარეთიდან და რამდენიმე წუთით ვესაუბრები ხოლმე. ყოველ დარეკვაზე გული მიფანცქალებს. არ ვიცი, რა ვუთხრა, ყველაფერი მავიწყდება, მრცხვენია და გული მეპარება. მრცხვენია იმიტომ, რომ ეს დიდი ცოდვილი და უღირსი ამ წმიდა მამას ვესაუბრები და დროს ვართმევ. მაგრამ ისე გულიანად გამიცინებს ხოლმე, ძალაუნებურად გადმოგდებს იმ უდიდეს ენერგიას და სიწმინდეს, რაც ასე უხვად და ულევად გააჩნია ამ ადამიანს. სასწაულები იმდენი და ისეთები აქვს მამა გიორგის აღსრულებული, ჩემი რა სათქმელია, თუმცა ვიტყვი მაინც. ერთერთი დარეკვისას, „როგორ ხარ და როგორ არის ბირმინგემიო“ – მომიკითხა მამა გიორგიმ. კარგად მეთქი – ვუპასუხე. მე ინგლისის ქალაქ ბირმინგემში ვცხოვრობ, თუმცა არასოდეს მამა გიორგისთვის არ დამისახელებია ქალაქი, არ ეცოდინებოდა და არც არავის უთქვამს მისთვის. მხოლოდ საუბრის შემდეგ მივხვდი ამ პატარა სასწაულს, უფრო იმას, რა დიდი ძალის პატრონია მამა გიორგი და ამ პატარა „სალაღობო“ სასწაულით, თუ შეიძლება ასე ითქვას, კიდევ ერთხელ გამახსენა მე ცოდვილს, ვისთან მქონდა საქმე და რა დიდი მადლია ასეთი მოძღვრის არსებობა ჩემს ცხოვრებაში. მამა გიორგის იმდენი სასწაულის შესახებ ვიცი (და ალბათ თქვენც წაიკითხავთ ამ წიგნში), რომ ამის აქ მოტანა ალბათ ცოტა უხერხულიც კი იყო, თუმცა მაინც არ მომითმინა გულმა. ვინ იცის ასეთი რამდენი „გაკვეთილი“ ჩამიტარა, მაგრამ ჩემი უყურადღებობის და დაუკვირვებლობის გამო ან ვერ მივხვდი, ან გამეპარა. იმდენად აღარ მიკვირს მამა გიორგისგან სასწაულები, რომ როცა მათ შესახებ ვიგებ, ისე მშვიდად ვუსმენ

ხოლმე, თითქოს უბრალო, ყოველდღიურ ამბავს მიყვებოდნენ. არ მიკვირს, ვიცი ვინც არის ეს ადამიანი და ამიტომ არ მიკვირს.

მამა გიორგის წყალობით, სამსახური მუდმივად მაქვს. ამ ბოლო დროს სამსახურის შოვნა ძალიან გაჭირდა. უამრავი ემიგრანტია ჩამოსული და ყველა სამსახურს ეძებს. ყოფილა შემთხვევები თვეობით უმუშევარი ვმჯდარვარ, ერთხელ წელიწადნახევარიც კი. როცა უსამსახუროდ რჩები, სულ ცოტა რამდენიმე თვე უნდა იჯდე სახლში უმუშევარი, ეს კიდევ თუ გაგიმართლა. მაგრამ რაც მამა გიორგიმ „ხელი მოკიდა“ ამ საქმესაც, ერთმანეთზე უკეთესი სამსახური მაქვს. ბოლო სამსახური კი საერთოდ ისე დამეცა თავზე, ეხლაც გაოგნებული ვარ. ვეძებ, ვურეკავ, ავტობიოგრაფიას ვუგზავნი, მაგრამ უმეტესად უპასუხოდ რჩება ხოლმე ჩემი თხოვნები. აქ კი – დამირეკეს და საოცრად მოხერხებული და მაღალანაზღაურებიანი სამსახური შემომთავაზეს. ასეთი მაღალი საათობრივი ხელფასი არასოდეს მქონია. ეს მართლაც სასწაული იყო და რომ არ მცოდნოდა ვისი ლოცვის და მადლის წყალობითაა ეს ყოველივე, ეხლაც გაოგნებული და გაოცებული ვიქნებოდი. გადმოცემით ცოტა ძნელია აღწერა, რაოდენ დიდი სასწაულია ეს და რამდენად შეუძლებელი იყო ეს შემთხვევით მომხდარიყო. უბრალოდ გამორიცხულია.

ძალიან მიჭირს ადამიანის ქება, არ მიყვარს, ასე მგონია ვძარცვავ მადლისგან, რომელიც უფალმა უნდა მიაგოს. მაგრამ რადგან მერგო პატივი მასზე რამდენმე სიტყვა მეთქვა წიგნისთვის, სიტყვები თავად მოდიან გულიდან და მხოლოდ იმას გეუბნებით, რასაც ვგრძნობ და ვფიქრობ. გული კარნახობს და ხელი წერს.

მე ძალიან ბედნიერი ადამიანი ვარ ბევრი მიზეზის გამო. არაფერს ვიტყვი პირად მიზეზებზე, მაგრამ არ შემიძლია არ გამოვხატო ჩემი ბედნიერება იმის გამო, რომ მამა გიორგი მყავს. მე მას ჩემს სულიერ მოძღვრად ვთვლი. არა აქვს მნიშვნელობა, სხვა ქვეყანაში ვიქნები თუ სხვა პლანეტაზე, ის მარადის იქნება ჩემი სულიერი მამა და მოძღვარი.

სანამ მამა გიორგი მყავს, მე ღმერთი მყავს. ხოდა როცა ღმერთი გყავს ადამიანს გულში, მაშინ ძალიან ბედნიერად გრძნობ თავს. მაშინ არც სიკვდილის გეშინია და არც რაიმე განსაცდელების. აი ამიტომ ვარ ბედნიერი.

თუ ღვთის წყალობით ნატვრა ამისრულდა და მშვიდობით დავბრუნდი საქართველოში, ვეღარაფერი შემიშლის ხელს ამ წმიდა მამასთან ახლოს ყოფნით კიდევ უფრო დიდი ნეტარება ვიგრძნო და მის მადლიან, მართლაც საღვთო წირვებს დავესწრო.

ღმერთმა დალოცოს და ადღეგრძელოს მამა გიორგი პავლოვი, ღვთისა და ადამიანების ჭეშმარიტი მსახური და ყველაზე ახლო და ნათელი ხიდი უფალთან მისასვლელად !

დაგლოცოთ და გაგახაროთ ღმერთმა !

გიორგი ფაჩუაშვილი.
ინგლისი. ქ. ბირმინგემი ტელ. +44 7969 796 799

* * *

უფალს მადლობას ვუხდი ყოველი დღის გათენებისთვის და ყოველი დღის დაღამებისთვის, განსაკუთრებით კი იმ დღისთვის, როდესაც პირველად შევხვდი მამა გიორგის. მან მთლიანად შეცვალა ჩემი ცხოვრება.

თუ გინდა ცხონდე, უნდა შეასრულო ათივე მცნება,
ქრისტეს გზას მიჰყვე და დაითმინო ყოველი ვნება,
სწორი გზა არი და სიყვარული უფლის განგება,
სულით და გულით, სცადე შეიგრძნო ჭეშმარიტება.

ჩემმა მეგობარმა ბავშვის მონათვლა მთხოვა და ეკლესიაში წავედით, უფლის განგებით - გიორგიწმინდაში, ღვთისმშობილის შობის ეკლესიაში მივედით, სადაც მამა გიორგი (პავლოვი) მსახურობს, რომელიც ისე შინაურულად შეგვხვდა, თითქოს მრავალი წელი ვიცნობდით ერთმანეთს, თურმე ეს მისი ხასიათი ყოფილა. ნათლობა დამთავრდა, გამოგვაცილა, დაგვლოცა და დაგვემშვიდობა, მან ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე, რომ გადავწყვიტე თუ ვიცხოვრებდი ეკლესიურად, ჩემი მოძღვარი მამა გიორგი იქნებოდა. ასეც მოხდა.

თუ მოინდომებ სულით და გულით, მოძღვრის შეძენას,
ახლოს არ იყოს, მას გაშორებდეს მრავალი ვერსი,
უფალს მიენდე, ის არ დაგტოვებს, მარტოს, ბედენას,
გულით შესთხოვე, შეგაძენინოს ნამდვილი მწყემსი!

წირვის დროს მას ყველა გულისყურით უსმენს, მის ქადაგებას, რომელიც პირდაპირ გულში იჭრება, მის გამოხედვას, რომელიც მამაშვილურად გადმოგვყურებს ამბიონიდან, მარტო გინდა უყურო და უსმინო, ქადაგების დამთავრების შემდეგ მაინც ვდგევართ და არ ვინძრევით, თითქოს თავიდან უნდა დაიწყოს ყველაფერი. მამა გიორგი გამოვა საკურთხევლიდან და ღიმილით გვეუბნება: - „მორჩა, რაღას დგეხართ, წადით სახლებშიო“-საოცარია!

თუ გინდ ხე იყო მის წინ მდგომარე, როგორც ფუტურო,
გინდა მწყურვალი, გინდ მშიერი, გინდაც უპურო,
ყოველგვარ გრძნობებს გულის კარები გამოუხურო,
აღარ გადარდებს, მხოლოდ უსმინო, მხოლოდ უყურო.

ყოველ შაბათ-კვირას და ყოველ დღესასწაულებზე ასეთი განწყობით მივდივართ და მადლითა და სიკეთით სავსეებს გვიშვებს მამა გიორგი თითოეულ ჩვენთაგანს სახლებში. გვარიგებს, გვასწავლის, გვეფერება, ცოდვებზე მიგვითითებს, რათა აღარ

გავიმეოროთ არასდროს...

არ გაეკარო, მხარს ნუ აუბამ, ცოდვების ჩამდენს,
როგორ გამოლევ წუთისოფელში ეკალს და ბარდებს,
ყურს ნუ დაუგდებ გულში ჩათესილ ბოღმას და დარდებს
არ მიგატოვებს მაღალი ღმერთი, ეს მართლა გწამდეს!

მადლობა უფალს ყველაფრისათვის! ღმერთმა დალოცოს მამა გიორგი!

„ბელტია“ ნოდარ ფირანიშვილი
საგარეჯოს რაიონი სოფ. ბადიაური
ტელ. 597 29 08 71

ჩემი მოძღვარი
მამა გიორგი პავლოვი

ნათელი სვეტი სიყვარულისა

ცხრა წლის წინ საოცარი წყალობა მომანიჭა უფალმა, პირველად შევაბიჯე საგარეჯოს სოფელ გიორგიწმინდის ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძარში, სადაც დამხვდა ყველასთვის ძვირფასი, უთბილესი და თავმდაბალი მამა გიორგი პავლოვი. იმ დღიდან გახდა ჩემი სულიერი მამა და ცხოვრების მასწავლებელი. მამა გიორგი ერთხელ მყავდა ნანახი 17 წლის წინ, მამაჩემი რომ გარდაიცვალა, წესი აუგო, სულ რამოდენიმე თვის ჩამოსული იყო გიორგიწმინდაში.

ყოველი წირვა და მამა გიორგისთან შეხვედრა სულიერად მავსებდა, მზრდიდა და მაბედნიერებდა. აქედან დაიწყო ყველაფერი. კითხვის დასმას ვერ ვასწრებდი, რომ თითქოს ჩემს აზრებს კითხულობსო, ქადაგებებიდან უმალ მაძლევდა პასუხს. ჩემი ოჯახის განსაცდელს თავისად თვლიდა და გამოუვალ მდგომარეობაშიც კი თავისი ლოცვით მეხმარებოდა. გვანებივრებადა უამრავი საჩუქრით და ჟურნალ-გაზეთებით. მრევლი დღითიდღე მატულობდა. მამა გიორგისთან მოსული ადამიანი სახლში გულგრილი ვეღარ ბრუნდება,

მის მადლს სულ უცხო ადამიანიც კი გრძნობს. ყოველი წირვის შემდეგ სახლში აღფრთოვანებული მივდიოდი და ვყვებოდი თუ როგორი ძლიერი მოძღვარი იყო საგარეჯოს ახლოს გიორგიწმინდაში. ამის შემდეგ, 3 წლის ლუკასთან ერთად დავდიოდი ყოველ შაბათ-კვირას ეკლესიაში, ბევრი სასწაულის მომსწრე გავხდი და უგნურს ბევრჯერ თვალიც ამეხილა. მამაოს თითოეული დალოცავა და „საფირმო“ ბეჭებში ჩარტყმა მამსუბუქებდა. ბევრჯერ თავის ხილვებს გვიყვებოდა და გვაფრთხილებდა კიდეც, ბევრზე კი გვეუბნებოდა ჯერ ვერ გეტყვითო, მოვა დრო და გაიგებთო. ჩვენი ცოდვილი გონება ხომ ვერ მიიღებდა ყველაფერს. მთელი ოჯახი მამა გიორგის მრევლი გავხდით. განსაცდელის პერიოდში, 2012 წლის ზაფხულში, უფლის წყალობით მამაომ ლუკა სტიქაროსნად აკურთხა, ძალიან მეშინოდა 6 წლის მოსუვენარი ბავშვი ამხელა საქმეს თავს როგორ გაართმევდა, მაგრამ მამაოს გვერდზე ყველა სხვანაირი ხდება, იცვლება და იმართება. ჩემს ბედნიერებას საზღვარი არ ქონდა. მადლობელი ვარ უფლის, რომ მამა გიორგი ჩემი სულიერი მამაა.

სენაკი, რომელშიც მამაო ცხოვრობს, საოცარი მადლით და სიყვარულით არის გაჟღენთილი. იქ შესული კარგავ დროის შეგრძნებას და გავიწყდება ამქვეყნიური ყველაფერი. ჩემთვის დღესასწაულია მის სენაკში ყოფნა.

არასოდეს დამავიწყდება ხარება, 7 აპრილი, მამა გიორგი ბასილაძის და მამა იოანე ოლარის სტუმრობა მამა გიორგისთან, უდიდესი ბედნიერება, სიყვარული და მადლი ტრიალებდა იმ დღეს ჩვენს ტაძარში. სამი დიდი მამა წირავდა, მრევლის ბედნიერებას საზღვარი არ ჰქონდა, ყველას სახე უღიმოდა, თითქმის მთელი საქართველო იქ იყო.

სახლში ხატების კუთხესთან წლების წინ აღდგომის შეღებილი კვერცხი მიდევს, უცებ შევამჩნიე რომ მასზე წვეთი იყო და რომ დავაკვირდი აშკარად ზეთოვანი სითხე იყო, მაშინვე ეკლესიაში გადავედი მამაოს სანახავად, მაგრამ ვერ ვნახე, რამოდენიმე დღის შემდეგ სურათი ვაჩვენე და მაშინვე მითხრა ეს შეიძლება განსაცდელის მომასწავლებელი იყოსო, მაგრამ ყველაფერი კარგად დამთავრდებაო. სამ დღეში ჩემ ძმას საშინელი ავარია მოუხდა, 8 საათიანი ოპერაციის შემდეგ ღმერთის წყალობით და მამა გიორგის ლოცვით ყველაფერი კარგად დამთავრდა.

პრობლემა მქონდა რომელსაც ვერ ვწყვეტდი და ყოველდღე ღმერთს ვეხვეწებოდი სიზმარში მამა გიორგის ჩემთვის დარიგება

მოეცა, რომ გადაწყვეტილება მიმეღო. ერთ ღამეს მესიზმრა, ეკლესიაში ამბიონზე მდგომი მამა გიორგი, უზომო სითბოს ასხივებდა, დამიძახა, თავზე ოლარი დამაფარა და ლოცვა წამიკითხა. შემდეგ საკურთხეველში შევიდა და ზეთი გამოიტანა, შუბლზე ჯვრის სახით გადამსახა და მითხრა ლუკა მომიყვანეო. ლუკა რომ შემოვიდა მასაც ზეთი სცხო, მითხრა თავისი მჭექარე ხმით, რომ ყველაფერი კარგად იქნებოდა. მართლაც ყველაფერი კარგად დამთავრდა.

უცაბედად, დედა ცუდად გახდა, თავზარდაცემული ვიყავი, ქიმია და ოპერაცია ძალიან ძნელი გადასატანი აღმოჩნდა. მთელ ამ პერიოდში მამა გიორგი მუდამ მამხნევებდა და მეუბნებოდა: „დამიჯერე დედაშენი დიდხანს იცოცხლებსო“.

კვირას, ეკლესიაში წირვაზე მივდიოდით, ჩემი მეუღლე უნდა ზიარებულიყო. მამა გიორგისთან რომ მივედით. ყველა დაგვლოცა და ჩემს მეუღლეს რომ შეხედა უთხრა: „ბიჭო, ეს წიგნი (ლოცვანის წიგნი) დახეული რომ გიჭირავს, ჯიბეში ორ ლარიანი ხომ გიდევს, მიდი და ეხლავე იყიდეო“. მართლაც, ჯიბეში ზუსტად 2 ლარიანი ქონდა და წიგნიც 2 ლარი ღირდა. გაოცებისგან ადგილზე გავშეშდით, ამ დროს ერთ-ერთმა მრევლიდან შეირბინა, წიგნი უყიდა და საჩუქრად მისცა.

2015 წლის 17 იანვარს მამა გიორგისთან დამწუხრებულები მივედით, ჩემი მამამთილი სავადმყოფოში აპარატზე იყო შეერთებული: დაგვლოცა და თავის სენაკში შეგვიპატიჟა. კარგა ხანი გვესაუბრებოდა, ჩემი მეუღლე ანუგეშა და გაამხნევა, ბოლოს კი გვითხრა, ნათლისღებას წირვიდან ნაკურთხი წყალი წაიღეთ, აპკურეთ და წვეთები დაალევინეთო. მაშინვე მივხვდი, რომ ნათლისღებამდე აუცილებლად იცოცხლებდა. ის 21 იანვარს გარდაიცვალა.

რამოდენიმე წლის წინ, ჩემი მეგობრები თბილისიდან მამა გიორგისთან ჩამოვიდნენ. მამაომ, როგორც იცის თავის სენაკის ეზოში მიგვიპატიჟა, დაგვლოცა, გვესაუბრა და რომ გვაცილებდა, ეზოდან გამოგვძახა სტუმრებს: „შენ აქ კიდე ბევრჯერ მოხვალ, აქ ივლიო“... მაშინ ვერ მივხვდით ეს რომელს უთხრა, თან წარმოუდგენელი ეგონათ ამხელა გზაზე სიარული. გავიდა დრო და თამუნა მამა გიორგის მრევლის წევრი გახდა და მივხვდით, რომ მაშინდელი ეს სიტყვებიც მას ეკუთვნოდა.

მამა გიორგი უფლის რჩეული წმინდა მამაა, საქართველოზე მლოცველი და უზომოდ შეყვარებული. **ის დროის უდიდეს ნაწილს ლოცვაში ატარებს და დილის წირვაზეც კი სენაკიდან უკვე დაღლილი ამოდის.** მამა გიორგი ბასილაძის სიტყვებით დავამთავრებ, როდესაც

მოწამეთაში მის სენაკში ვიყავით, მამა გიორგი პავლოვზე თქვა: **,,თქვენ არ იცით, იქ, გიორიწმინდაში, ვინ გყავთო“.**

მერი გილაშვილი

საგარეჯო ტელ. 577 250 422

* * *

უფლის რაინდი დედამიწაზე, ნამდვილი გენია. ქართული ეროვნული სულის გამოძახილი. უფლის ერთგული ანგელოზი დედამიწაზე. ღმრთის მაძიებელ სულთა გზამკვლევი, იმედი და უსაზღვრო სიყვარულის მატარებელი მოძღვარი. ეს მამა გიორგია, თითოეული ადამიანის ნუგეშისმცემელი და სიხარულის მიმნიჭებელი. ის რასაც ტაძარში მიმავალი ადამიანი ეძებს და რაც ასე მნიშვნელოვანია სულიერი მოძღვრის არჩევისას, ყველაფერი თავს იყრის მასში. ზუსტად ეს თვისებებია, რაც ასე უჩვეულო შინაგან სიმშვიდეს გვანიჭებს და ენით აღუწერელი სითბოთი გვავსებს. საგარეჯო, სოფელი გიორგიწმინდა - ადგილი, რომელიც უამრავ ადამიანს გვაერთიანებს. სიყვარულის ტაძარი, მანძილი ეკლესიამდე, რომელსაც ვერავინ გრძნობს და ნებისმიერი ქალაქიდან მომავალი მრევლი წამიერი შეგრძნებით ლახავს სიშორეს. კვირა დღე, თოვლსა და ყინვაშიც ყველაზე მზიანი და თბილი. ნებისმიერ ადამიანს, ვინც თუნდაც ერთხელ შეხვედრია ჩვენი სიკეთის მოძღვარს, დარწმუნებული ვარ სამუდამოდ დარჩა მეხსიერებაში მისი უანგარო და მზრუნველი დამოკიდებულება თითოეული ტაძარში შემომსვლელისადმი. საოცარია, როდესაც მოძღვარი ასობით ადამიანში ასე აქცევს ყველას ყურადღებას და არავის სიტყვა არ ავიწყდება. ვგრძნობთ სასწაულს, სადღაც შიგნით, გულის სიღრმეში, როდესაც ვხვდებით, რომ ჩვენს წინ დიდი პიროვნება დგას, რომელიც თავისი თავმდაბლობით მასთან მისასვლელ კარს გვიხსნის და ნამდვილი ქრისტიანის სახეს გვაჩვენებს. სიმართლე! დიახ, ეს ისაა რასაც რწმენასთან ერთად ბოლომდე იცავს. სიმართლის თქმა დღეს გმირობაა, რადგან

გარკვეულწილად ეწინააღმდეგება საზოგადოებრივ აზრს. აზრს, რომელსაც ბევრი არაინფორმირებულობისა თუ სტატუსის დაკარგვის შიშით იზიარებს. დიახ, გმირობაა ის, რასაც ასე უშიშრად, თვალის ასახელად ქადაგებს მამაო. გმირობაა წინ აღუდგე ყველაფერ უკეღმართს, რასაც ასეთი დიდი დოზით უწევენ დღეს პროპაგანდას და ცდილობენ დაამკვიდრონ უზნეო მოსაზრებები, ტენდენციები, ხოლო ზნეობა დასაცინი გახადონ. ზუსტად **მამა გიორგისა და მასთან ერთად სხვა ნამდვილი მოძღვრების მხრებსა და ლოცვაზე დგას ჩვენი სარწმუნოება.** ღმერთმა დალოცოს, გააძლიეროს, მხნეობა მისცეს მამა გიორგის და მასთან ერთად ყველა სიმართლისა და სარწმუნოების სადარაჯოზე მდგარ მოძღვარს! ჩვენ კი შეგვაძლებინოს ღირსეულად აღვასრულოთ ჩვენი სარწმუნოებრივ-მოქალაქეობრივი ვალი და სიყვარულით გავერთიანდეთ ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყნის ზნეობრივ-ტერიტორიული ერთობისათვის.

ნათია ლორია

ქ. რუსთავი
ტელ. 592 91 49 09

მადლიერება მამა გიორგი პავლოვს!

თუ გინდათ, რომ ადამიანი მაცხოვრის ჭეშმარიტ გზაზე მოაქციოთ, მამა გიორგის შეახვედრეთ - მას სასწაული მადლის მშობლიური გრძნობით უყვარს ადამიანები და ისეთი გრძნობა გიჩნდებათ, თითქოს დიდი ხანია იცნობთ, ნამდვილი, ურყევი ხიდია მაცხოვართან მისასვლელად. მას ჩემი დიდი მოძღვრის, მამა ღვთისო შალიკაშვილის კურთხევითა და ჩემი დიდი მასწავლებლის, აკადემიკოს ავთანდილ გუნიას გვარის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენლის, ქალბატონ ნანა გუნიას რეკომენდაციით შევხვდი. ამ შეხვედრის მადლი წარმოუდგენელ ძალას მაძლევს და მას ძალიან ბევრი სასწაულად სასიხარულო ამბავი უკავშირდება პირადად ჩემს ცხოვრებაში. გულით

ვემადლიერები მამა გიორგის ყოველთვის და გიწილადებთ მასთან მიღებულ უდიდეს მადლს - იხარეთ და იმრავლეთ თქვენს ჭეშმარიტ რწმენაში.

რევაზ ლორთქიფანიძე

საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

თბილისი, ტელ. 557 00 72 17

„ყრმობიდან ღვთის რჩეული“

უპირველესად მადლობა მინდა მივუძღვნა უფალს, რომ საქართველოში - ქართველად დავიბადე და შემდეგ შუა-ხნის გადაცილებულ ასაკში, ამ წმინდა ადგილას, გიორგიწმინდაში - ასეთი სულიერი მამა მაპოვნინა, როგორიც არის ჩემი უსაყვარლესი მოძღვარი - მამა გიორგი (პავლოვი)

ყველა ადამიანის ცხოვრებაში არის გამორჩეული დღეები, რომლებიც არასოდეს გავიწყდება. სწორედ ასეთი იყო ის დაუვიწყარი დღე, როდესაც რუსთავიდან პირველად ჩამოსულმა, წირვაზე, მოვისმინე მამა გიორგის ქადაგება. ცრემლებს ვერ ვიკავებდი, ისეთი მადლი მოდიოდა მისგან. ამ დღემ გადაწყვიტა ყველაფერი და მიუხედავად იმისა, რომ მრავალი წლის მანძილზე ჩემთვის ძალიან ძვირფასი მოძღვარი მყავდა, გული და გონება მხოლოდ იქით იყო მიმართული, რომ მალე გასულიყო კვირა და მადლიან ტაძარში, სადაც უამრავ ხატს სდის მირონი, მადლიანი მოძღვრის მართალი სიტყვა მომესმინა, სადაც მრევლი თავისუფალია და არანაირ წნეხს არ განიცდის.

მამა გიორგი ქადაგებისას ხშირად ამბობს, რომ „სჯულის კანონში“ წერია - უპირველესად, როდესაც ადამიანი მღვდლად იკურთხება,მას ხალხის დიდი სიყვარული უნდა ჰქონდესო და ეკლესია სამხედრო

ყაზარმა არ არისო, ღმერთმა ჩვენ თავისუფლები გაგვაჩინა და რომელ მოძღვართანაც მიგიწევთ გული და გაინტერესებთ მისი ქადაგება, მე არავის ვიჭერ ძალით და არ არის შეზღუდული ჩემგანო“.

შენდობას ვთხოვ ღმერთს, რომ ჩემნაირი ცოდვილი ადამიანი საუბრობს დაბადებიდანვე უფლის რჩეულ მოძღვარზე. უპირველს ყოვლისა დიდი მადლობა უნდა გადავუხადო დედა რიმას, რომ ამ სათნო, უმწიკვლო ადამიანმა შეძლო და მარტომ, თავისი მძიმე შრომით გაზარდა ასეთი კეთილშობილი, იუმორით აღსავსე მოძღვარი, რომლის ნათელი ღიმილი ჩვენს სულებს ანათებს და ათბობს.

მირონით გაჟღენთილი ფოტო ქ-ნი მაყვალა სულაძის ოჯახში

ამ 7 წლის მანძილზე, რაც მამა გიორგის მრევლში ვარ, უამრავი სიკეთე, სულიერი დახმარება აქვს გაწეული ჩემი ოჯახისათვის წინასწარმეტყველური, უფლისაგან მინიჭებული ჭვრეტის უნარით. ყოველთვის, ჩემთვის მძიმე წუთებში, როდესაც ძალიან მჭირდებოდა მისი იმედიანი სიტყვა: „მაყვალა, იცოდე, მე ყოველთვის ვლოცულობ

შენთვისო“- ეს იყო ჩემთვის უდიდესი შვება და იმედი ხვალისა, რომ მე გვერდში მყავს ასეთი ძლიერი, ამავე დროს მოწყალე, გაჭირვებულების დამხმარე სულიერი მოძღვარი.

მე ძალიან ბედნიერი ვარ, რომ ნავთლუღის ტერიტორიაზე მდებარე ბაზარში, მაღაზიებში, ათთიაქებში სადაც მე ჩემი სამსახურის გამო, ყოველდღე მიხდება სიარული, მამა გიორგიც ყოველ კვირას მიდის და თავისი მადლი და უამრავი საჩუქარი - ჟურნალები, სურათები, წიგნები და თავისი ხელით დამზადებული ლიქიორი მიაქვს, ყველას ძალიან უყვარს და ელოდება მის გამოჩენას, ერთ-ერთ ათთიაქში ქალბატონმა თამილამ მიამბო, რომ ხშირად მამა გიორგის მოაქვს მედიკამენტების სია და სოფელში ავადმყოფი და გაჭირვებული მრევლისთვის მიაქვს წამლები.

უამრავი სასწაულის მოყოლა შემიძლია იმაზე, თუ როგორ განჭვრეტს ადამიანის ბედს, შემიძლია გავიხსენო ასეთი შემთხვევა: თბილისიდან გიორგიწმინდაში წირვაზე ჩამოვიდა საცხობში მომუშავე ქალბატონი მარიამი და მისი ოჯახი, დაახლოებით 2 წლის წინ, გიორგობას. წირვის შემდეგ ვთხოვე მამაოს დაელოცა მარიამი, მისი 16 წლის ქალიშვილი და 10 წლის ბიჭი და ხატები ეკურთხებინა. დალოცვის შემდეგ მარიამს თითის ქნევით მუცლის მიმართულებით მიანიშნა და უთხრა: „როდესაც ეს საქმე კარგად დამთავრდება, მოხვალ და ხაჭაპურს მომიტანო“. მეორე დღეს მარიამი გაოგნებული მიყვებოდა: „გზაში ჩემს მეუღლეს სიცილით ვეუბნეოდი, ნეტავ მუცლისკენ თითის ქნევით რას მიმანიშნებდა, ორსულად ხომ არ ვეგონეო“. მაგრამ გონებიდან არ ამოსდიოდა ეს სიტყვები, იმ დღესვე ათთიაქში უყიდია ტესტი, რომელმაც დაადასტურა ორსულობა. მას არაფრით არ უნდოდა მესამე შვილის გაჩენა, უჭირდათ და ბანკის ვალებიც ქონდათ. მარიამს ყოველდღე ვნახულობდი და ვურჩევდი შვილი გაეჩინა. ამ ორჭოფობაში გავიდა 3-4 თვე და მან ასეთი ხილვა ნახა - სიზმარში გამოეცხადა სასულიერო პირი და უთხრა: „შენ გააჩენ ბიჭს და იგი იქნება გამორჩეული ბერიო“. ექოსკოპიამ კი ორსულობის 8 თვის თავზე აჩვენა, რომ გოგო ეყოლებოდა. ამ ამბის შემდეგ ის გულგატეხილი იყო, მაგრამ მშობიარობის შემდეგ დამირეკა და მითხრა: „მაყვალა დეიდა, უზომოდ ბედნიერი ვარ, ბიჭი გამიჩნდა და ნიკოლოზი დავარქვით და როგორც კი ეს ბავშვი ჩემს ოჯახში შემოვიდა ბედნიერება მოიტანა, ჩემმა ქმარმა კარგი სამსახური იშოვნა, ვალებიც გავისტუმრეთო“. და უზომოდ მადლიერი იყო მამა გიორგისი, რომ არა მისი მინიშნება ფეხმძიმობაზე ის ამ ბავშვს არ

გააჩენდა.

კიდევ ერთი ასეთი ამბავი შემიძლია გავიხსენო: ერთმა ჩემმა ახლობელმა ქალბატონმა, სესილიმ, ჩემგან გაიგო, რომ გიორგიწმინდაში იყო ასეთი მადლიანი მოძღვარი და მოინდომა ეკლესიური ცხოვრების დაწყება, ჩააბარა აღსარება, ეზიარა და ძალიან ბედნიერი იყო, რომ ახერხებდა იქ სიარულს. ერთხელაც შევიარე სესილისთან და მამა გიორგის ნაჩუქარი სურათები ვაჩვენე. როგორც კი სესილიმ ერთ-ერთი სურათი ხელში აიღო, მამა გიორგის ამ სურათიდან ღვარად დაიწყო დენა მირონმა და იატაკზე დაიღვარა. შეშინებულმა სესილიმ ტირილი დაიწყო და აღსარებასავით მითხრა: „ამ დილით ვფიქრობდი: რა ვქნა მამა გიორგი, ძალიან მიჭირს გიორგიწმინდაში წირვაზე სიარული და აქ სადმე ახლოს მივალ ეკლესიაშიო, თან ვფიქრობდი: მაყვალა რომ იძახის მირონი სდის სურათებზე, რაღაც არ მჯერა, რატომ ჩემთან არ ხდება ეგრეო, და ნახეთ, რა სასწაული მოაწყო ღმერთმაო“.

მართლაც, მე უღირსს არანაირი დამსახურება არ მაქვს ერის წინაშე, მაგრამ უფალი რამდენიმე წელია მანახვებს იმ მოვლენებს, რასაც „უხილავი ხელის სასწაულთმოქმედებები“ ჰქვია. ხშირად მირონი სდის სახარებაზე, ფსალმუნებზე, დაუჯდომლებზე, სახლში მობრძანებულ დიდ ხატებზე და სურათებზე - მამა გიორგი ბასილაძის, მამა ნიკოლოზ მაქარაშვილის, მამა იოანე ოლარის, მეუფე ილარიონ სამხარაძის, მამა ლეონტი ჟვანიას ბროშურებზე და სურათებზე, ასევე იმ ისტორიულ ხარება დღეს გადაღებულ 4 ერთნაირ სურათზე. სადაც გამოსახულნი არიან მამა გიორგი ბასილაძე, მამა იოანე ოლარი და მამა გიორგი პავლოვი, ამ სურათებზე იმდენჯერ წამოვიდა მირონი, რომ სულ გაჟღენთილია.

15 იანვარს ღამის 12 საათზე ავიღე მამა გიორგი პავლოვის სურათი და ვლოცულობდი, 16 იანვარს მისი დაბადების დღეა და ღმერთს ვთხოვდი, რომ დიდხანს ეცოცხლა და თავისი დაკისრებული მისია შეესრულებინა ქართველი ერის წინაშე. ამ დროს გამოჟონა მირონის წვეთებმა, ავიღე სხვა სურათებიც და ერთდროულად ექვს სურათზე, მათ შორის ბავშვობის სურათზეც გამოჟონა მირონმა.

მამა გიორგი იმითაც არის გამორჩეული მოძღვარი, რომ სხვა ნამდვილი მოძღვრების ღვაწლს აფასებს, ხშირად ამბობს ხოლმე: „მამა გაბრიელს სიცოცხლეში გიჟს ეძახდნენ, არ აზიარებდნენ, და ეხლა კი ისევ ისინი დიდად აქებენო“.

მამა გაბრიელს სანამ წმინდანად აღიარებდნენ, მის სურათებზე

ჩემს ოჯახში მოდიოდა მირონი. შემიძლია ერთი ასეთი სასწაულის გახსენებაც: ჩემს ქალიშვილს მერიაში განცხადება ჰქონდა შეტანილი, რომ მას სჭირდებოდა სასწრაფო ოპერაცია და საყოველთაო დაფინანსებაზე ჩაესვათ, არჩევნების წინა პერიოდში ერთ დღეს მერიიდან კარებზე მოგვიკაკუნა ქართული ოცნების კოორდინატორმა გოგონამ, რომ ხმა მიგვეცა მათთვის, ამავე დროს მოვიდა მეორე გოგონა, რომელმაც მოგვიტანა ჯანმრთელობის კომისიის უარი, რომ ჩემს შვილს არ ეკუთვნოდა დაფინანსება, რადგან არ ჰქონდა რთული მდგომარეობა, მიუხედავად იმისა, რომ ყველა გამოკვლევით სასწრაფოდ საოპერაციო იყო. მე ორივე გოგონა სახლში შევიპატიჟე, შესასვლელში მაქვს პატარა ხატების კუთხე, იქვე დაბრძანებულია მამა გაბრიელის ხატი, მათ ვუთხარი, რომ მე არასოდეს არ მქონია მთავრობის იმედი და გაჭირვების დროს მხოლოდ უფალი და მამა გაბრიელი მშველოდნენ-მეთქი, და ხელი გავიშვირე მამა გაბრიელის ხატისკენ - „ამათი იმედი მაქვს მე“ -მეთქი, ამდროს წმინდა ბერის - მამა გაბრიელის ხატზე გამოისახა ხის ჯვრები და სამ ადგილზე გამოჟონა მირონმა, ჩვენც სამნი ვიდექით და შევყურებდით ამ სასწაულს! გოგონებს შიშისგან თვალები გაუფართოვდათ, რადგან მეყსეულად ისმინა უფალმა და მათ თვალწინ, მათივე რწმენაში განსამტკიცებლად დიდი სასწაული მოხდა.

კიდევ უამრავი სასწაულის გახსენება შემიძლია, მაგრამ ამ წერილში ყველაფერს ვერ დავწერ. უზომოდ მადლიერი ვარ ღვთის, რომ ღმერთი გვაძლევს ძალას, რომ ვიაროთ რუსთავიდან ამ წმინდა ადგილას!

მამა გიორგი ძალიან გვიყვარხარ!!!! ღმერთს ებარებოდეთ და დედაღვთისმშობლის და ყველა წმინდანების დახმარებით, გამარჯვებით შეგესრულებინოთ ის მისია ქართველი ხალხის წინაშე, რაც უფალმა დაგაკისრათ ამ უმძიმეს დროებაში.

დიდი სიყვარულით
მხევალი ღვთისა მაყვალა სულაძე
ქ.რუსთავი
ტელ. 593 19 39 85

* * *

მამა გიორგის (პავლოვი) შესახებ ჩემი ნაცნობისგან შევიტყვე, რომელსაც თავის თავზე ჰქონდა გამოცდილი მამაოს მადლმოსილება. რადგან ძალიან მიყვარს და ხშირად დავდივარ კიდეც ეკლესია-მონასტრების მოსალოცად, გადავწყვიტე სოფელ გიორგიწმინდაში ჩავსულიყავი და ჩემი თვალით მენახა, ეს როგორც ჩემი ნაცნობი იტყოდა სასწაულმოქმედი მოძღვარი. თბილისიდან გიორგიწმინდაში მიმავალს მთელი გზა არ მასვენებდა იმაზე ფიქრი, როგორ დამავიწყდა ფოტოაპარატი კარგი სურათების გადასაღებად. მამა გიორგის ბიძაშვილთან ერთად ვესტუმრე. კელიაში შევდგი ფეხი თუ არა გავოცდი იმ საკვირველი მადლით, რომელიც იქ დამხვდა დავანებული. მამაომ დიდი სიყვარულით მიგვიღო, თითქოს დიდი ხანია გვიცნობდა, ბევრი გვესაუბრა, გვეხუმრა, გემრიელად გაგვიმასპინძლდა, დაგვასაჩუქრა, ყველაფერზე ისე გამცა პასუხი რომ არც მიკითხავს და ის იყო უნდა წამოვსულიყავით, სხვათაშორის მითხრა, ფოტოაპარატი მაინც წამოგეღო, კარგ სურათებს გადავიღებდითო, თან იქვე დაამატა: არაუშავს, არ ინერვიულო, შენ ჩემთან კიდევ ბევრჯერ მოხვალ და ბევრ სურათებსაც გადაიღებო. მამაოსგან სულ სხვა ადამიანი წამოვედი. აშკარა იყო, მან იცოდა ყველა ჩემი ფიქრი და განცდა, ვიყავი ძალიან ბედნიერი, რომ გავიცანი ეს საოცარი მოძღვარი. ინტენსიურად დავიწყე სიარული გიორგიწმინდის ტაძარში წირვა-ლოცვებზე და ამასთანავე მისი ქადაგებების მოსმენა (aliluia.ge). რაც დრო გადიოდა უფრო და უფრო ვრწმუნდებოდი იმაში, რომ მამა გიორგი იყო სულ სხვა, არაჩვეულებრივი, სხვებისგან გამორჩეული მოძღვარი და ძალიან მინდოდა იმ ადამიანის გაცნობა, ვინც აღზარდა ასეთი პიროვნება. ბევრი ფიქრის შემდეგ გადავწყვიტე მივსულიყავი მამაოს დედის - დედა რიმას სანახავად 15 აპრილს მის დაბადების დღეს. ამის ნებართვა ვთხოვე მამაოს დაბადების დღემდე ორი თვით ადრე. იგი დიდხანს ფიქრობდა და ბოლოს მაინც მითხრა, იცი მე კი დაგპატიჟებდი, მაგრამ მოსვლას ვერ შეძლებ, რადგან შენი ძალიან ახლობელი ადამიანი ცოცხალი აღარ იქნებაო. მართლაც მოულოდნელად გარდამეცვალა დედა და მეორმოცე დღე ზუსტად 15 აპრილს მოუწია. შოკირებული ვიყავი, როგორ შეეძლო მამაოს ასეთი სიზუსტით მომავლის წინასწარმეტყველება. განვიცდიდი, რომ დედა ამ ქვეყნიდან უზიარებელი გავიდა. მამაო მაწყნარებდა, კარგი იყო მიეღო ზიარება, მაგრამ ნერვიულობით რას უშველი, წირვებს

ჩავატარებ დედაშენის სახელზე და ყველაფერი კარგად იქნებაო. მესამე წირვის ჩატარების შემდეგ დედა ვნახე სიზმარში, გახარებული მეუბნებოდა - აქ მაზიარესო. როგორც კი მამაომ მეშვიდე წირვა ჩაატარა დედა ისევ გამომეცხადა - საბოლოოდ გადავრჩიო. მადლობა უფალს.

ახლა უკვე აღარაფერი აღარ მიკვირს და მამა გიორგი სასწაულების გარეშე ვერც წარმომიდგენია. **ეკლესიაში და კელიაში ხატებიდან მირონდენამ, მირონდენამ თვით მამა გიორგი პავლოვის სურათიდან საბოლოოდ დამარწმუნა, რომ ღვთის მადლით შევხვდი ისეთ მოძღვარს, ვისზეც უხვად გადმოედინება სულიწმინდის მადლი.** მე კარგა ხანს ვერ ვხედავდი ჯვარს, რომელიც მამა გიორგის ესახება შუბლზე წირვის ჩატარების დროს. რამდენიმე ადამიანმა მითხრა კიდეც - ნუთუ ვერ ხედავო, მაგრამ... ერთ დღესაც,როდესაც ჩვეულებრივ წირვას ვესწრებოდი გავოგნდი იმდენად ცხადად და აშკარად გამოესახა მამაოს შუბლზე ჯვარი, ძნელია იმ ემოციების გადმოცემა რაც მაშინ განვიცადე. მადლობა უფალს რომ გამხადა ღირსი ჩემი თვალით დამენახა ეს სასწაულიც. ძალიან გახარებული ვიყავი და თბილისში დაბრუნებისთანავე ეს ფაქტი მოვუყევი ჩემს მეგობარს. მან მითხრა, კი ვხვდები, რომ რაღაც არაჩვეულებრივი მოძღვარია, მაგრამ სურათი რომ გადაგეღო უფრო დაგიჯერებდიო. აღარაფერი მითქვამს. იმ საღამოსვე სახლში წასვლის დროს ჩემმა მეგობარმა მანქანა ვერაფრით ვეღარ დაქოქა. ფაქტი იყო მანქანას არაფერი ჭირდა და ვერც ვერავინ ვერაფერს უგებდა, ასე იყო კარგა ხანს და ბოლოს როგორც კი სინანულით თქვა მაპატიე მამა გიორგი შენში ეჭვი რომ შევიტანეო მანქანა მაშინვე დაიქოქა.

მამაო ეკლესიის ეზოში იჯდა და მესაუბრებოდა, ეკლესიაში სახურავი გაფუჭებული იყო და ბიჭები ავიდნენ გასაკეთებლადო. წვიმა წამოვიდა. მამაომ ცას ახედა და ეჰ, რა დროს წვიმა იყო, ცოტა ხანი მაინც გადაიღოს ბიჭებს დააცადოს მუშაობაო. წვიმა მომენტალურად შეწყდა. გაოგნებული ვიყავი ასეთი ხილული სასწაულით.

არ შემიძლია არ გავიხსენო ერთი შემთხვევაც. ეკლესიაში მამაოს ძალიან ლამაზი დაბეჭდილი სურათები მოუტანეს. რამოდენიმეჯერ ყურადღებით გადავათვალიერე და რადგან ყველა მათგანი თითო-თითო იყო თხოვნა მომერიდა, ერთი კი მართლაც გამორჩეულად მომეწონა, მაგრამ რა თქმა უნდა არაფერი მითქვამს. ცოტა ხანში თვითონ მამაომ მითხრა სურათს გაჩუქებ ორი ცალი დაუბეჭდიათო და სწორედ ის სურათი მაჩუქა, რომელიც განსაკუთრებულად მინდოდა.

გაოცებული ვიყავი საიდან „გაჩნდა“ მეორე სურათი, თორემ **ის ფაქტი, რომ მამაო აზრებს კითხულობს უკვე ჩვეულებრივ მოვლენად მიმაჩნია.**

მართლა არასოდეს მიფიქრია მართვის მოწმობა ამეღო, რადგან ყოველთვის ძალიან მეშინოდა მანქანის მართვის. ერთ დღესაც მამაომ მითხრა - ვერ ხვდები, რომ მანქანა გჭირდება და დროა ამაზე იფიქროო. ვერ შევძლებ მეთქი, მაგრამ მაინც დამლოცა, უნდა შეძლოო. მართვის მოწმობა სასწაულად ავიღე ზუსტად იმ დღეს, როცა მამაომ მითხრა, მაგრამ მანქანაზე მაინც ვერ ვჯდებოდი. შაბათს ლოცვაზე ვიყავი ჩასული გიორგიწმინდაში, მამაომ მირონი წამისვა ხელებზე და მითხრა - ხვალ წირვაზე მანქანით ჩამოდიო. ძალიან ვშიშობდი როგორ წავიდოდი ამხელა გზაზე, მაგრამ მეორე დილას უფლის იმედით ნელ-ნელა გავემგზავრე გიორგიწმინდაში. აღრიანი დილა იყო, მანქანები თითქმის არ მოძრაობდა და ტაძარშიც უპრობლემოდ ჩავედი. წირვის დამთავრების შემდგომ მამაომ

მითხრა შენთან ერთი თხოვნა მაქვს და თუ შეგიძლია დამეხმარეო. „ტაბურეტკას“ გაგატან თბილისში, დედას ძალიან სჭირდება და იქნებ შენი მანქანით ჩაუტანო როგორმეო. ვიუარე, რას ამბობთ, აქაც ძლივს ჩამოვედი და საერთოდ არასოდეს მივლია მანქანით, გზები არ ვიცი და ფონიჭალაში ხომ საერთოდ ვერც მივალ მეთქი. არ მომეშვა, როგორ შენი დახმარება მჭირდება და არ მეხმარებიო. რაღას ვიზამდი, წამოვიღე ეს „ტაბურეტკა“ და წამოვედი თბილისში. მთელი დღე დავდიოდი, საერთოდ გამიქრა მანქანის მართვის შიში, მხოლოდ იმასღა ვფიქრობდი, როგორმე მივსულიყავი დანიშნულების ადგილას. როგორც იქნა უკვე საღამო ხანს ძლივს მივედი დედა რიმასთან. ვუთხარი - დედა რიმა, ძლივს მოვედი აქამდე, მთელი დღეა დავდივარ, აი ეს „ტაბურეტკა“ მამაომ გამომატანა რომ გეჩქარებოდათ და გჭირდებოდათ მეთქი. გაუკვირდა. მე მაშინღა მივხვდი რაშიც იყო საქმე. გავაცნობიერე, რომ მანქანას უკვე თავისუფლად ვმართავდი და მთელი დღე ყოველგვარი შიშის გარეშე ვმოძრაობდი. მადლობა ჩემს უსაყვარლეს მამა გიორგის ყველაფრისათვის, ვგრძნობ, რომ ის ყოველთვის ჩემს გვერდითაა.

ძნელია სიტყვებით გადმოსცე ბედნიერების ის განცდა, როცა უფლის მადლით ღირსი ხდები გყავდეს ისეთი დიდი სულიერი მამა, როგორიც მამა გიორგი პავლოვია. მადლობა უფალს და დედა ღვთისმშობელს ასეთი წყალობისათვის.

მაია დემურია. თბილისი. 593 30-27-51

* * *

იოანე ოქროპირი გვმოძღვრავს „**ყველა მღვდელს პატივი ეცით და კეთილთან იარეთ!**“

დიახ, ჩემო ძვირფასებო, ღმერთმა მოიღო მადლი და მომიყვანა კეთილთან, თბილისიდან - გიორგიწმინდაში - მამა გიორგი პავლოვთან. კი, ნამდვილად ასეა, მადლი მოიღო...

პირველად მამა გიორგის სახელი ხელოსნისგან გავიგე, რომელიც სახლში რემონტის გაკეთებაში ეხმარებოდა თავის ნათესავს.

კარგი ბიჭი იყო, გულნათელი, ოღონდ ცხოვრება რაღაც დაულაგებელი ჰქონდა, მშობლები გაცილებული, მამა სასმელს

გადაყოლილი, 18 წლის იყო და თვითონაც არ იყო მწყრალად ღვინოსთან. კარგი ადამიანი იყო და ვურჩიე, იქნებ ეკლესიაში იარო, ნახე, როგორ შეიცვლება შენი ცხოვრება-მეთქი, მაშინ მითხრა, იცით, მამა გიორგი პავლოვთან ვიყავი, დამარიგა, მაგრამ მერე ვეღარ მივედიო. დიდი ხანია არ ვყოფილვარო. (სწორედ მაშინ გავიფიქრე პირველად (გვარის გამო) ნეტავ რა ენაზე ატარებს წირვას მეთქი), თან ისეთი სიამაყით ახსენა მამა გიორგი, მივხვდი ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა იმას, თუ ვისთან იყო.

იმ პერიოდში მე და ჩემი მეუღლეც დავდიოდით ეკლესიაში. რაღაც პერიოდის მერე აღარაფრით არ მინდოდა წასვლა წირვაზე, ის კი არა, მეუღლესაც ვუთხარი აღარ წახვიდე მეთქი.

ჩვენთან ერთად დადიოდა ეკლესიაში აწ გარდაცვლილი (ღმერთმა დაუმკვიდროს სასუფეველი) ბაჩო ბარბაქაძე თავისი ოჯახით, ბოლო პერიოდში არავინ დამინახავს წირვაზე მათი ოჯახიდან.

კვირა დღე იყო. მეუღლე წავიდა წირვაზე და მე კატეგორიული უარი ვუთხარი წაყოლაზე და საერთოდ ეკლესიაში სიარულზე. რამდენიმე ხანში კომპიუტერი ჩავრთე და სოციალურ ქსელში (face-book-ში) ბაჩოს შვილი ანა შემომეხმიანა, მომიკითხა და თან მკითხა: „ეკლესიაში არ ხართო?“ ანას კითხვა შევუბრუნე და ვკითხე: „თქვენ რატომ აღარ ჩანხართ მეთქი?“ მიპასუხა: „საგარეჯოში გავთხოვდი და მთელი ოჯახით გიორგიწმინდაში, მამა გიორგი პავლოვთან დავდივართ, თქვენც ხომ არ წამოხვალთო?“

ისევ მამა გიორგი პავლოვი... გავიფიქრე, ნეტავ როგორ იცნობს ჩვენს მწერლებს ან ისტორიას მეთქი? ტელევიზორი ჩავრთე და შევუდექი საოჯახო საქმეების კეთებას. „ობიექტივზე“ მამა გიორგი პავლოვი იყო სტუმრად და საქართველოს ისტორიიდან ისეთ ამბებს იხსენებდა, ზოგი არც ვიცოდი ჩემდა სამარცხვინოდ, და იქვე პასუხი იყო ჩემს კითხვაზე - საქართველოს ისტორიის ცოდნის თაობაზე. ხოლო რაც შეეხება მწერლებს... კვირა დღესვე ოთახის დალაგებისას ჟურნალებთან მაღლიდანვე იდო ჩემი ბიჭის მიერ მოტანილი ჟურნალი „ქართველები“, რომლის პირველ გვერდზე მამა გიორგი პავლოვის სურათი იყო და ინტერვიუში ისე აქებდა ვაჟას, შოთას და დავით გურამიშვილს, მივხვდი რაღაც ძალამ ჩემს ეჭვებს ბოლო მოუღო და მტკიცედ გადავწყვიტე გიორგიწმნდაში წასვლა, მეუღლესაც გავუზიარე სურვილი, რაზედაც უარი მივიღე.

მეგობარს გავანდე წასვლის სურვილი და დავგეგმეთ კვირას გამგზავრება. შაბათს საღამოს მეგობარმა დამირეკა და მითხრა,

შეუძლოდ ვარ და ვერ წამოვალო. მთელი ღამე არ მეძინა ნერვიულობით, როგორ ჩავიდოდი გიორგიწმინდაში, დილით ადგომა რომ დავაპირე, ჩემი მეუღლეც ადგა და მითხრა: „მეც მოვდივარო“, მეგონა მეხუმრებოდა, რადგან ბოლოს ისეთი უარი მითხრა იქ წამოსვლაზე, რომ კითხვაც ვეღარ გავუბედე, რატომ არ უნდოდა წამოსვლა.

საოცარი კი ის იყო, რომ კვირას საღამოსვე მეგობარმა დამირეკა ამბის გასაგებად - ვიყავი თუ არა გიორგიწმინდაში მამა გიორგისთან და მითხრა: „როგორც კი უარი გითხარი წაყოლაზე, ყველაფერმა გამიარა, არაფერი აღარ მაწუხებდა და იმდენად შევშინდი, შენთან დარეკვაც კი ვეღარ გავბედეო“... მაშინ მივხვდი, რომ ალბათ მე და ჩემი მეუღლე უნდა ჩავსულიყავით ერთად.

მას შემდეგ ბევრჯერ გამაკვირვა მამა გიორგიმ. ჩემი მეუღლის და ავად გახდა, ჩვენ რომ დაგვირეკეს რეანიმაციაში, კვირაზე მეტი უგონოდ იწვა და არც არავის უშვებდნენ სანახავად. იმედს არ აძლევდნენ გადარჩენის. ექიმები არაფერს აღარ უკეთებდნენ და ამბობდნენ: „ღმერთის ნებაა მისი გადარჩენაო“. კვირას წირვაზე ჩემმა მეუღლემ სთხოვა მამა გიორგის ელოცა მისი დისთვის.შიშით ვეღარ ვრეკავდით ავადმყოფის ამბის გასაგებად, სამშაბათ ღამით დავრეკე და ჰოი, საოცრებავ! ორშაბათს გამოვიყვანეთ საავადმყოფოდან, კვირას ღამით გონზე მოვიდა და ორშაბათს ისე იყო, ექიმმა გამოწერაო, გაოცებისაგან დავმუნჯდი... და მეუღლეს ვუთხარი, დარეკე-მეთქი, დარეკა და თავის დას ელაპარაკა, ის კი ეწუწუნებოდა ვერ დავდივარო... რა თქმა უნდა მეორე კვირას რომ ჩავედით, ვუთხარით მამა გიორგის რაც მოხდა და ვთხოვეთ რომ ისევ ელოცა მისთვის, შუა კვირაში დაგვირეკეს და გვითხრეს, რომ ადგა და ჯოხით დადიოდა. რაც მოვყევი, მხოლოდ ფაქტები ავღწერე, ღმერთმა იცის არაფერი გამიმუქებია და გადამიჭარბებია.

თუმცა, რაც ახლახანს გადახდა ჩვენს ოჯახს ეს სასწაულია! არ ვაჭარბებ, დიდება უფალს და მის ძალას! ეს იმდენად დაუჯერებელი რამ არის, არც კი ვიცი როგორ მოვუყარო თავი ამ ყველაფერს და მოვყვე დალაგებით. სახლში მყავს პატარა ალექსანდრე, რომელის დაავადება არანაირ სამედიცინო ჩარჩოებში არ ჯდება და წარმოუდგენელი იყო მისი გადარჩენა. ამას თვითონ ექიმებიც აღაიარებენ. გერმანიაში ანალიზების გაგზავნის შემდეგ, იქაური ექიმების პასუხი იყო: „ილოცეთ და მხოლოდ ღმერთს ევედრეთ, რადგან სასწაულებს ღმერთი ახდენსო“, ერთი კი იყო-მეორე დღესვე

მოვნათლეთ, დღესაც ყურებში მესმის იმ ქალბატონის ხმა(თინიკო ჰქვია), რომელმაც ღუდუშაურის კლინიკაში ნათლობის ორგანიზება ითავა: „ქალბატონო, თუ სასწაული მოხდა და ბავშვი გადარჩა, იცოდეთ, რომ ნათლობის წესის სრული დაცვით მოინათლაო: ზეთით, წყლით და მირონითო!“ ზუსტად ასე მითხრა: თუ სასწაული მოხდაო... და, მოხდა სასწაული!!!

მამა გიორგისთან დავდიოდი და ასე ვუთხარი: „რა ვილოცო არც კი ვიცი, რადგან გადარჩენის შემთხვევაში საერთოდ ვერ იმოძრავებდა და გონებით არასრულფასოვანი იქნებოდა“ მამა გიორგიმ კი მითხრა: „ილოცე, იყოს ნება შენი უფალო!!“ და მართლაც-იყოს ნება შენი უფალო! ნუ მოგვაკლებ შენს მადლს მამა გიორგის ხელიდან. მჯერა, მისი გულმხურვალე ლოცვით ჩემი ალექსანდრე დღეს იცინის და მოძრაობს. ყოველი შემოწმებისას თვითონ ექიმები გვეუბნებიან: „სასწაული მოხდაო!“ მამა გიორგისთანაც გვყვავდა, შვიდგზის ზეთისცხება ჩაუტარა და დალოცა.

აი ასეთი დიდი მადლის მატარებელია ჩვენი მამა გიორგი, ღმერთმა დალოცოს და გააძლიეროს!

და ბოლოს, დიდი შოთას სიტყვებით დავამთავრებ: **„რაცა ღმერთასა არა სწადდეს, არა საქმე არ იქნების!“**

ხანდახან ვფიქრობ, იქნებ ამ სასწაულისთვის მიგვიყვანა უფალმა მამა გიორგისთან, ვინ იცის? .....

თამილა ჩირიკაშვილი
თბილისი
ტელ. 577 555 900

* * *

გუშინდელი დღესავით მახსოვს მამა გიორგის მოსვლა ჩვენს ტაძარში, მისი მღვდლად კურთხევა, მისი სასწაულები, რომლებიც ჩვენს გარშემო ხდებოდა.

რამოდენიმე წლის მოსული იყო, რომ ჩვენი ცხოვრება რადიკალურად შეიცვალა, ღვთის შიშით და სიყვარულით გამოგვაწრთო. მისმა თავმდაბლობამ, განათლებამ და ღვთის

სიყვარულმა დაგვარწმუნა, რომ საიმედო ხელში ვიყავით. გარშემო ვის რა უჭირდა ყველაფერი იცოდა და ეხმარებოდა. რამდენიმე მოხუცთან, რომლებიც აღარ არიან ცოცხლები, წამალი და საჭმელი ყოველ კვირას მიჰქონდა, თვითონ მშიერი რჩებოდა და სხვას აპურებდა. ის ახლაც ასევე აგრძელებს თავის მოღვაწეობას.

წლების წინ, როცა ერთი–ორი ადამიანი იდგა ტაძარში, მამა გიორგი ტაძრისთვის შეწირული თანხით ყიდულობდა ჟურნალ–გაზეთებს და კალენდრებს და ასაჩუქრებდა მრევლს. მძიმედ დატვირთული აღმართს შემოუდგებოდა და ძლივს მოჰქონდა ვისთვის რა და ვისთვის რა. ზამთარში ბავშვებს გამოართმევდა ციგას და თოვლზე მოაცურებდა ხოლმე ჩანთით დატვირთულს. რამდენიმე წელი ტაძარში ორიოდე ადამიანი იდგა წირვაზე, **მამა გიორგი სამგზავრო ფულს ძლივს აგროვებდა, მაგრამ მას მაინც ყოველთვის მოჰქონდა ჟურნალ–გაზეთები ხალხის გასანათლებლად.**

ერთხელაც, მივედით მისი სენაკის დასასუფთავებლად. რას ვხედავთ, დაბლა ცემენტზე წყლის გუბეები დგას, მოვწმინდეთ, მაგრამ სანამ წამოვედით წყალი ისევ ჩადგა. ასეთი რამ არასოდეს გვენახა. როცა მოვიდა მამა გიორგი გვითხრა: „ეს მირონია, რომელიც რამდენი ხანია ასე გროვდებაო“.

თავმდაბლობის გამო არ უნდოდა ვინმეს გაეგო ეს ამბავი, მაგრამ ეს სასწაული ჩვენს თვალწინ კვლავ გრძელდებოდა.

სკოლის მოსწავლეები იყვნენ ჩემი შვილები, როცა მამა გიორგი გიორგიწმინდაში მოვიდა. ბავშვები ისე მიეჩვივნენ, რომ რაც არ უნდა გაეკეთებინათ კურთხევას იღებდნენ მისგან. გამოცდის წინ ყოველთვის ეუბნებოდათ რა ნიშანი უნდა მიეღოთ.

ერთხელ მამა გიორგი მოულოდნელად მომიბრუნდა და მეუბნება: „სამხედრო ხაზით წავა“. - მცირედი ფიქრის შემდეგ კი თქვა: - „პაგონები ექნება მხრებზე და წარმატებები ექნებაო“. ნინოზეც რაც მითხრა ყველაფერი ასრულდა.

მე ხშირად ვფიქრობდი მამა გიორგიზე, ვინ არის ასეთი, რომ მისი ნათქვამი ყველაფერი ცხადდება-მეთქი. ღამე კი ვხედავ ცა განათდა და ხმა ჩამესმა: **„ეს არის ჩემი რჩეული“ და ვხედავ მამა გიორგის, ის მზესავით კაშკაშებდა.**

წლების უკან, ჩვენს მედავითნე მარინეს, რომლის ავადმყოფობის ამბავი არავის გაგვეგო, მამა გიორგი ეუბნება: „დრო არის შენს შვილს მედავითნეობა ასწავლოო“. იგი გულნატკენი გამოვიდა: „კარგად ვკითხულობ და რატომ მითხრა მამაომ ასეო?“ შემდეგ ცალკე ვკითხე

მამა გიორგის ამის შესახებ და მითხრა, რომ მარინე მალე გავიდოდა ამ ქვეყნიდან. გამიკვირდა, მაგრამ იგი მართლაც რამდენიმე თვის შემდეგ სიმსივნით გარდაიცვალა.

ერთხელაც, მე და მარინე ჩავედით მამაოსთან რაღაცის საკითხად, მან გვითხრა: „როგორ ხართ? წნევა ხომ არ გაქვთო?“ ჩვენ თავს კარგად ვგრძნობდით, მაგრამ მან მაინც გაგვიზომა წნევა. მაღალი წნევა გვქონდა, მარინეს 160 /100 - ზე, მე 170/ 105 - ზე. ჩვენ ვუთხარით: „ეგ წნევის აპარატი მოშლილიაო“. შემდეგ წამოვედით, სულ სირბილით ამოვედით აღმართზე, წნევა კვლავ გავიზომეთ და იგივე აჩვენა. მაშინვე სახლში წამოვედით, მივხვდით რომ რაღაც მოხდა. სახლში მისულებმა კვლავ გავიზომეთ წნევა და ისეთი დაბალი გვქონდა, გვიკვირდა როგორ დავდიოდით.

ერთხელაც მოვიდა და მითხრა: „შენი შვილი ვნახე, რომელმაც ტაძრის კარებში ლამაზად ჩაცმული ბავშვი მომაწოდაო“. ვფიქრობდი, რომ მისი იყო, მაგრამ დანიშნულიც არ იყო მაშინ, მითხრა ალბათ რაღაც პრობლემები იქნება, მაგრამ ყველაფერი კარგად იქნებაო. მართლაც, რაღაც პრობლემები იყო, მაგრამ, ვიცოდი, მამა გიორგის თქმით, ყველაფერი კარგად იქნებოდა. მითხრა: „ნუ ინერვიულებ, ბავშვი ეყოლება, მე ვიცი“, მართლაც ისე მოხდა, როგორც მითხრა.

ტაძარში მე და მარინე ვიყავით, რომ მოდიოდა გარეთ შევხვდით, მითხრა სიზმარი მე რომ ვნახე, მეორე დღეს ვფიქრობდი და მარინესაც ვუთხარი: „თუ ახლა კიდევ მითხრა ე.ი ყველაფერი იცის-მეთქი“. ორ წუთში გამოდის და იმეორებს იგივეს, მაშინ დავრწმუნდით, რომ მამა გიორგი უბრალოდ მოძღვარი არ იყო.

დიდხანს გვიცოცხლოს უფალმა მამა გიორგი, ჩვენი ცხოვრების შემწედ და იმედად.

ლია გორელაშვილი
საგარეჯო სოფ. გიორგიწმინდა
ტელ.599 52 34 57

ჩემი უსაყვარლესი სულიერი მოძღვარი

მამა, მასწავლებელი, ენით გამოუთქმელი სიკეთისა და სითბოს მატარებელი. ასე დავიწყებდი ჩემს სათქმელს. დიდი მადლობა უფალს, რომ ასეთი მოძღვარი მარგუნა. სამწუხაროდ, მე კომუნისტური წყობის მსხვერპლი ვარ. როცა გვარწმუნებდნენ, რომ მაიმუნებისგან ვიყავით განვითარებულები, ეკლესია და მღვდელი კი არაფერი იყო თუ არა ისტორიული გადმონაშთი. თუმცა ჯვარს ეკლესიაში კი ვიწერდით, მაგრამ ეს მხოლოდ რიტუალი იყო და თუ რა საიდუმლოებით იყო სავსე ჯვრისწერა, წარმოდგენაც კი არ გვქონდა. მაგრამ ჩემდა საბედნიეროდ, როგორც იქნა, მოვეგე გონს და დავიწყე მოძღვრის ძებნა. იმას კი ვგრძნობდი, ისეთი მოძღვარი უნდა მენახა, რომ გულით შემეგრძნო. დიდხანს ვეძებე. ბევრ სასწაულებს ყვებოდნენ მამა გიორგიზე. მომინდა მისი ნახვა. მისი თვალების დანახვამ გამაოცა. ვგრძნობდი, როგორ გაცოცხლდა დედაჩემის თვალები. თითქოს დედა მიყურებდა. მივხვდი, რომ ვიპოვე მოძღვარი. ეს უდიდესი პიროვნება ისე უბრალო, თბილი და უშუალო ხდება, რომ არ გიჭირს მასთან მიახლოება. წლების შემდეგ ხვდები, რომ ეს ხდება თვითოეული ადამიანის სასიკეთოდ. ძალიან ყურადღებით უნდა უსმინოთ მის ქადაგებას. ისეთი რამ უთქვამს ქადაგების დროს, რომ ერთი თვის მერე მომხდარა ჩემს ოჯახში და უცებ გახსენდება: „უი! ეს ხომ მამა გიორგიმ თქვა და იცი, როგორ მოიქცე, როგორ გაანეიტრალო სიტუაცია“. თვითოეული მრევლის წევრის სულზე და ოჯახზე ზრუნავს. თან ისე ფრთხილად და ფაქიზად, საოცარია პირდაპირ. უსიტყვოდ ესმის შენი. არცაა საჭირო, რაიმე მოუყვე. შენ რომ ჯერ არც გაგიფიქრებია და მერე რას იტყვი, მან წინასწარ იცის.

ერთ პატარა ამბავს მოგიყვებით:

ზამთარი იყო. ცოდა და მანდილის მაგივრად ქუდით წავედი ეკლესიაში. დამინახა მამა გიორგიმ და მეუბნება: „როგორ გიხდება ეს ქუდიო“. მადლობა გადავუხადე. გააგრძელა საუბარი მრევლთან. ისევ გამიმეორა: „რა ძალიან გიხდება ეს ქუდიო“. ისევ გააგრძელა საუბარი. მესამედაც რომ გაამახვილა ჩემს ქუდზე ყურადღება, ცოტა უხერხულობა ვიგრძენი. თან ვფიქრობდი: „ხომ არ დავაშავე ქუდით რომ ვარ მეთქი?“ მაგრამ გადამავიწყდა, რადგან დაიწყო ლოცვა,

შემდეგ ქადაგება და ასე შემდეგ. მოკლედ, სახლში წასვლის დროც დადგა. გამოდის მამაო ლამაზი ჯვრებით მოქსოვილი ქუდით და გავიფიქრე: „როგორ უხდება ეს ქუდი, რა ძალიან უხდება ეს ქუდი მეთქი...“ და ასე სამჯერ. წამოვედით და მერე მივხვდი, რამდენიმე საათით ადრე იცოდა მამა გიორგიმ, მე რა უნდა გამეფიქრებინა.

ერთხელ მე და ჩემი ქალიშვილი ეკლესიის ეზოში ვსაუბრობდით. მამა გიორგი ეკლესიაში იყო. გამოვიდა და საუბარში ჩაგვერთო: „კი, ასე უნდა, დედა სწორად გეუბნებაო“. გამიკვირდა, როგორ გაიგო რაზე ვსაუბრობდით მეთქი. ის ხომ საკმაოდ შორს იყო, ანუ მანძილს მნიშვნელობა არ აქვს, ის ხომ წმიდა ჭურჭელია. ვინ მოსთვლის, კიდევ რამდენი ამისთანა, თითქოს უმნიშვნელო, მაგრამ მეტად საყურადღებო, შეფარული ამბები მომხდარა. რომ ჩასწვდე, მიხვდე, შეიგრძნო წმინდანი, რათა უფრო მეტად შეიყვარო ღმერთი. ბევრჯერ მიფიქრია: „მე რა ღირსი ვარ, ან როგორ ვბედავ, ასეთი წმინდა ადამიანის გვერდით ფეხზე ვიდგე, სულ მუხლის ჩოქით უნდა ვიდგე მეთქი“. მაგრამ, მამაო თითქოს შინაგანად არ გაძლევს იმის ნებას, რომ ეს გააკეთო. იმდენად თავმდაბალი, უბრალო და უშუალოა, არც კი უნდა თავის გამოაშკარავება. ყოველთვის უანგაროდ ზრუნავს ყველასთვის. ლოცულობს ჩვენთვის იმდენს, რამდენსაც ჩვენ ჩვენი თავისთვის ვერ ვლოცულობთ. არა მარტო ჩვენთვის, ჩვენს ოჯახებზეც კი ლოცულობს თავდაუზოგავად. მე ამჟამად ისრაელში ვიმყოფები, როგორც სხვა ემიგრანტები და აქაც კი მწვდება მამა გიორგის ლოცვა და მადლი. ღმერთო, გევედრები და გემუდარები, კარგად მიმყოფე ჩემი ამაგდარი – თბილი, მოსიყვარულე, უბრალო, სპეტაკი, სიმართლის უშიშრად მთქმელი, უზომოდ ნიჭიერი, განათლებული, თავმდაბალი მამა გიორგი.

განა ადვილია ვწერო ლექსები?
მე ხომ პოეტი არ ვარ,
მაგრამ უსულო ქვასაც გააღვიძებს
თქვენი გულთბილი ლოცვა.
წმინდა გიორგივით გიორგიწმინდაში
ჩვენთვის მოვლენილო ღმერთად.
მინდა ნაკვალევი დაგიკოცნოთ,
გულში ჩაგიკრათ მინდა.
ციდან მოვლენილ ანგელოზად
მრევლს რომ დასტრიალებთ მუდამ.

ბევრი უწამლოდ, თქვენი ლოცვით.
განკურნებულა სულმთლად.
ოოო! როგორ დიდია თქვენი ამაგი
ღმერთს შეგადაროთ მინდა.

დიდი სიყვარულით და პატივისცემით
დალი სუხაშვილი.
ისრაელი.
ტელ. 0549 67 89 98

„დიდ ხარ შენ უფალო და საკვირველ არიან საქმენი შენნი“

1999 წლის სექტემბერი... ცხელი, მზიანი დღე იყო. სამსახურიდან ვბრუნდებოდი. გვერდით თანამშრომელი გოგონა ლია კევლიშვილი მახლდა. მზის სხივებს ქოლგის ქვეშ ვემალებოდი (იმ ქოლგას დღესაც სიცილით მახსენებს ხოლმე მამა გიორგი). შევნიშნე, რომ მხნე, ენერგიული ნაბიჯებით ახალგაზრდა მღვდელმსახური მოდიოდა. – „ეს მამა გიორგია, გიორგიწმინდის ტაძარში მოვიდაო“ – მითხრა ჩემმა მეგობარმა. ამასობაში ერთმანეთს გავუსწორდით. ფეხით სავალი გზის სივიწროვის გამო ქოლგა გვერდზე გავწიე და მამაო გავატარე, უცებ ძალიან მომინდა მასთან გასაუბრება, გავკადნიერდით და იგი ქუჩაში გავაჩერეთ. სახე გაუბრწყინდა, გაგვიღიმა, გაგვეცნო და გვკითხა რა გვაინტერესებდა.

ეს ის დრო იყო, როცა გაზეთი „იდუმალების სამყარო“ უამრავ სტატიას აქვეყნებდა რეინკარნაციის თემაზე. რამოდენიმე შეკითხვა დავუსვი, ვისაუბრეთ.. –„ოჰო, შენ „კრიშნაც“ გაქვს წაკითხული გეტყობაო“. გამეცინა, სწორედ იმ პერიოდში ახალი ნაყიდი მქონდა 4 წიგნი კრიშნას ისტორიის შესახებ, თუმცა მხოლოდ ინტერესის გამო. მამა გიორგიმ თავისი განუყრელი შავი ჩანთა გახსნა, გაზეთები ამოიღო („საპატრიარქოს უწყებანი“) გამომიწოდა და მითხრა: „ის წიგნები სახლიდან გაიტანე, ეს გაზეთები წაიკითხე და ამ შაბათს შენ

და შენს მეუღლეს ტაძარში გელოდებითო“.

ასე დაიწყო ჩემი და ჩემი ოჯახის ეკლესიური ცხოვრება მამა გიორგის ლოცვა–კურთხევით. ტაძარში ყოველთვის იდეალური სისუფთავე და სიმყუდროვე იყო. ტაძრის მესანთლის ლია სონიშვილის ხელით ყოველთვის ცოცხალი ყვავილებით იყო მორთული დედა ღვთისმშობლის ხატი. თორმეტიოდე მომლოცველი ვიდექით წირვა–ლოცვაზე, ყველას თითქოს ჩვენი ადგილი გვქონდა, ზედმეტად არავინ გადაადგილდებოდა. თუ ვინმე ახალი მრევლის წევრი შემოგვემატებოდა, გვიხაროდა და გულში ჩუმად ვითვლიდით რამდენი ვიყავით.

ერთ დღეს, ვიდრე წირვა დაიწყებოდა ერთმანეთს გადავუ-ლაპარაკეთ: „გუშინ ლოცვის დროს 20–ნი ვიყავითო“. არ ვიცი მამა გიორგიც უხმოდ ითვლიდა მომლოცველებს თუ ჩვენი საუბარი გულისხმაჰყო, წირვის შემდეგ, ქადაგების დროს, ასეთი რამ გვითხრა: „ვინ როდის და რატომ მოვა ტაძარში უფლის ნებაა, მე კი გეუბნებით სულ მალე ეს ტაძარი ვერ დაიტევს მრევლს, ტაძრის ეზოც აღარ გვეყოფაო“.

„ვინ არის? საიდან მოვიდაო?“ – კითხულობდა მოსახლეობა. ზაფხულის სულის შემხუთავ სიცხეებში თუ ზამთრის ყინვიან დღეებში გიორგიწმინდის აღმართზე სწრაფი ნაბიჯით მიმავალი მოძღვარი სოფელმა გულით შეიყვარა, რადგან თავად უყვარდა ყველა. ღიმილიანი და კეთილისმყოფელი სახით შემხვედრთ ესალმებოდა და ქრისტესმიერ სიყვარულს უნაწილებდა ყველას. თუმცა ქუჩაში 100 შემხვედრიდან მორწმუნე შეიძლება 2 ადამიანი ყოფილიყო, მაგრამ ურწმუნოთაც არასდროს უკადრებიათ ავი სიტყვა ახალგაზრდა მოძღვრისთვის.

სულ მალე გზად მიმავალი მოძღვრის წინ ერთდროულად რამდენიმე მანქანა ჩერდებოდა მის ტაძრამდე წასაყვანად. ეს ყველაფერი სათქმელად ორიოდე წინადადებაში ჩაეტია, მამა გიორგისთვის კი, ეს იყო უდიდესი ღვაწლის შედეგი, დიდი შრომის, დიდი ლოცვის და ნაყოფი დიდი სიყვარულისა.

იმ დროს საგარეჯოს პროფესიული სასწავლებლის დირექტორი ვიყავი. მე და მამა გიორგი შევთანხმდით, რომ ყოველი თვის პირველ ორშაბათს, იგი სასწავლებელში მობრძანდებოდა და შეხვდებოდა პედაგოგებსა და მოსწავლეებს. მამა გიორგიმ პირველი შეხვედრის დროს, ბავშვებს სთხოვა მათთვის ყველაზე საინტერესო თემებზე დაესვათ შეკითხვები. რატომღაც ყველა შეკითხვა მიცვალებულებს

ეხებოდა, მამა გიორგიმ ჩვეულებრივი იუმორით თქვა: „მე კი გიპასუხებთ ამ ყველაფერზე, მაგრამ ცოცხლებს რა გვევალება და როგორ უნდა ვიცხოვროთ არ გაინტერესებთო?“ მამა გიორგის მოსვლას ორშაბათობით უკვე ყველა დიდი ინტერესით ელოდა. უამრავი ახალი გაზეთითა და ხატით ამარაგებდა სასწავლებლის პატარა სამლოცველოს. თანდათან სასწავლებლის ლექციებიდან მოსწავლეებმა და პედაგოგებმა ტაძარში გადაინაცვლეს და ზიარებაც მიიღეს

რთული დრო იყო... „გაყინული ხელფასები“, „გაყინული პენსიები“... მამა გიორგი ყოველ მოსვლაზე კითხულობდა: „როგორაა საქმე? გალღვა თქვენი ხელფასებიო?“ ასე ერთად გადავიტანეთ უმძიმესი წლები, გვამხნევებდა და გვეწეოდა მამა გიორგის ლოცვა–კურთხევა.

დღეს მართლაც ვერ იტევს ჩვენი ტაძარი მრევლს, ისინი არა მხოლოდ სოფელ გიორგიწმინდის და არა მხოლოდ საგარეჯოს რაიონის მკვიდრნი არიან, არამედ მოდიან თბილისიდან, რუსთავიდან, ყვარელიდან, გურჯაანიდან, ქუთაისიდან და ვინ იცის საიდან აღარ მოდიან მამა გიორგის აღსრულებულ წირვა–ლოცვაზე.

სწორედ რომ ვეღარ იტევს ტაძრის ეზო თავის მრევლს. აქ სტუმარი და მასპინძელი აღარ არსებობს. ყველა მათგანი მამა გიორგის სულიერი შვილია, სულიერი და–ძმაა, თითოეული მათგანისთვის მხურვალედ ლოცულობს იგი.

მინდა გიამბოთ რამოდენიმე ამბავი ჩვენი და მამა გიორგის ურთიერთობიდან:

ახალი მოსულები ვიყავით ტაძრად მე და ჩემი მეუღლე თამაზ გრატიაშვილი. გაგვიჭირდა გაგვეცნობიერებინა, თუ როგორ მოხდებოდა მკვდრეთით აღდგომა. სახარებიდან ამ ნაწილს უამრავჯერ ვკითხულობდით, შემდეგ ვკამათობდით, ერთმანეთს არ ვეთანხმებოდით და ა.შ. ერთხელაც, ასეთი კამათის შემდეგ დავზავდით: „ამ საკითხზე აღარ ვისაუბროთ და შაბათს მამა გიორგის ვთხოვოთ აგვიხსნასთქო“. შაბათს მივედით, მამა გიორგი ლოცვის შემდეგ ამბიონზე დადგა და დაიწყო ქადაგება: „თქვენთვის გაუგებარი და საკამათო რომ არ იყოს, მე მინდა, რომ დღეს გესაუბროთ როგორ მოხდება მკვდრეთით აღდგომა“.

არ ვიცი რა დამემართა, სული განათდა, თითქოს ტაძარიც განათდა. ასე უცნაურად ყოველგვარი კითხვის გარეშე, ჩვენს ყველა შეკითხვაზე გვიპასუხა მამა გიორგიმ. რა თქმა უნდა, ეს არ იყო პირველი და უკანასნელი შემთხვევა. სწორედ ასეთი იდუმალ

კითხვებზე მოძღვრის ხმამაღალი პასუხები გვაძლიერებდა რწმენასა და უფლის სიყვარულში.

მინდა გითხრათ, რომ მრავალწლიანი სულიერი ურთიერთობის, მეგობრობისა და სიყვარულის მიუხედავად, მამა გიორგისთან არასდროს არ ვარ თამამი. ურთიერთობაში ასეთი ბარიერი დღემდე მაქვს ჩემს ყოფილ პედაგოგებთან და მამა გიორგისთან.

უამრავ საინტერესო ამბავთაგან, ერთს გიამბობთ კიდევ. შაბათი დღე იყო, მე და თამაზი (მეუღლე) ხელ კავით მივდიოდით გიორგიწმინდაში. გზად წმიდა დოდო გარეჯელის ტაძრის გვერდით უნდა გაგვევლო. ქუჩაში ბევრი ხალხი იყო. ჩვენ როგორც გავუსწორდით ტაძარს, პატარა ქვაზე ფეხი გადამიბრუნდა და წავიქეცი. აბა ჩემს თავს ხო არ დავაბრალებდი და მეუღლეს ვუსაყვედურე, რატომ ხელი არ შემაშველე მეთქი დროულად. ფეხი ძალიან მეტკინა. სიმწრისგან თუ უხერხულობისგან რატომღაც სიცილი დავიწყე. შემდეგ კი მწუხარებით ვთქვი: „ალბათ ეს იმიტომ დამემართა, ტაძარს გვერდი ჩავუარე და სხვა ტაძარში მივდივართ–მეთქი“. მთელი გზა ამ ფიქრით გავიარე, ტაძარში რომ შევედით, მამა გიორგიმ სიცილით გვითხრა: „რა იყოთ? რა დაგემართათო?“ მე სიმწრის სიცილით მოვუყევი რაც შემემთხვა. მამა გიორგი მეუბნება: „დარეჯან, ამის შემდეგ სიარულის დროს ხანდახან დაბლაც უნდა დაიხედო, რომ კენჭებზე ფეხი არ გადაგიბრუნდეს და თამაზის არ დააბრალო შენი წაქცევა, ჰო მართლა, ახლა არ მითხრა, იქ იმიტომ წავიქეცი, რომ აქ მოვდიოდი და „დოდოს ეკლესიაში“ არ შევედიო“... მე გაოგნებული დავრჩი. მეუღლემ კი დაუდასტურა, რომ ჯერ წაქცევა მე დამაბრალა, შემდეგ კი ზუსტად ეგ სიტყვები თქვაო“.

მამა გიორგის ასეთი გულისთქმა მის მრევლს ალბათ აღარ გაუკვირდება, **რადგან მისი ყოველი სიტყვა ან მომხდარის ხედვაა ან მომავლის ხედვა.**

ღირსო მამა გიორგი, როცა თქვენ გადაწყვიტეთ, რომ ქრისტეს გზას შესდგომოდით, თქვენ უარი თქვით თქვენს საერო მომავალზე, უარი თქვით შვილებზე და ღმერთმა ასეულობით სულიერი შვილი მოგცათ აღსაზრდელად. თქვენ არ გყავთ ხორციელი დედმამიშვილები, მაგრამ ღმერთმა მოგცათ ათასობით სულიერი და–ძმა, რომელთაც თქვენი თანადგომა და შეგონება სჭირდებათ. თქვენ, ნებივრად გაზრდილ, დედისერთა შვილს, უფალმა მოგცათ უდიდესი საზრუნავი, რომ ღირსეულად წარუძღვეთ წინ, თქვენს მრევლს ჭეშმარიტების გზაზე, როგორც ლამპარი. დაე, არასოდეს

დამშრალიყოს ამ ლამპარში მადლი უფლისა!.. დაე, თქვენი მადლიანი და ღვთიივკურთხეული ქადაგება ასეთივე შემართებით ისმოდეს გაბრწყინებულ საქართველოში.

და ბოლოს, მინდა მოწიწებით და დიდი სიყვარულით, დავლოცოთ თქვენი საყვარელი დედა, ის ლამაზი და კეთილშობილი ქალბატონი, რომელმაც აღზარდა შვილი – სავსე სიკეთითა და სიმდაბლითა.

ქალბატონო რიმა, მიიღეთ ჩვენი ოჯახიდან, დიდი სიყვარულით ნათქვამი დიდი მადლობა!

ქ. საგარეჯო
ქრისტესმიერი სიყვარულით
დარეჯან გილაშვილი
თამაზ გრატიაშვილი
591 288 307

ნამდვილია და ამიტომაც მიყვარს

მამა გიორგი პავლოვი გავიცანი 2010 წლის ზამთარში. მე ვიყავი ქრისტეფორე წამალაიძის მრევლის წევრი. ერთმა ჩემმა ახლობელმა მითხრა, რომ გიორგიწმინდაში ძალიან მადლმოსილი მამაოა და თუ მანქანის საშუალება გაქვს, წავიდეთ, თან გაიცნობ და თანაც დიდ მადლს წამოიღებო. ამაზე უარს როგორ ვიტყოდი. მამა გიორგი ბასილაძის წიგნები უკვე წაკითხული მქონდა და ასეთ მამაოებს მართალი რომ გითხრათ, ვეძებდი. ერთ შაბათ დღეს ჩემი ოჯახი (მეუღლე უკვე ესპანეთში იყო) და ირინა (ასე ჰქვია იმ ქალბატონს) წავედით გიორგიწმინდაში. ირინა წინასწარ დაუკავშირდა და მამა გიორგი გველოდებოდა. ეკლესიაში რომ შევედით, ცოტა ხანში შემოვიდა მამა გიორგი, მოგვესალმა, ჩემს შვილიშვილს მოეფერა, ეს რა საპატიო სტუმარი მოსულაო, გამოიტანა საქართველოს დიდების ხატი და აჩუქა. მერე ჩვენ გაგვესაუბრა. რაც გვაინტერესებდა ყველა კითხვაზე პასუხი გაგვცა. ეს პირველი შეხვედრა იყო ჩემი მამა გიორგისთან. ის ძალიან უშუალოდ, უბრალოდ და შინაურულად იქცეოდა. დაძაბულობა რომელიც მქონდა, უცბად მომეხსნა.

ამავე დროს ვიგრძენი, რომ ძალმოსილ მამაოს ვესაუბრებოდი, მისგან გამაოგნებელი ძალა მოდიოდა. წამოსვლისას, როცა ვემშვიდობებოდით, ნათლად ვიგრძენი, რომ მან ჩემს შესახებ უკვე ყველაფერი იცოდა. მეორედ მამა გიორგის ნახვა 2011 წელს მოხდა. უკვე ესპანეთში ვაპირებდი წასვლას და საზღვარგარეთის პასპორტი რომ ავიღე, ცოტა ხანში ატყდა ერთი ამბავი „ამ პასპორტის აღება არ შეიძლებაო“. საგონებელში ჩავვარდი. ვიფიქრე წავსულიყავი მამა გიორგისთან და პირადად მეკითხა თუ რა მომელოდა, ვინაიდან პასპორტი უკვე აღებული მქონდა. გიორგიწმინდაში რომ ავედი, უამრავი ხალხი დამხვდა. ეზო სავსე იყო ხალხით, მამა გიორგიც გარეთ იყო ეზოში და მრევლს ელაპარაკებოდა. რომ ვიკითხე, თუ რატომ იყო ამდენი ხალხი, მითხრეს რომ მამა იოანე ოლარს ელოდებოდნენ. წარმოიდგინეთ ჩემი სიხარული, იოანე ოლარს უკვე ვიცნობდი მამა გიორგი ბასილაძის წიგნებიდან და ვოცნებობდი მასთან შეხვედრაზე. მამა გიორგის მივესალმე, იქვე დავდექი და ვეძებდი დროს, რომ ჩემი შეკითხვა დამესვა. მაგრამ თითქოს ჩემს გულში იჯდა და პირდაპირ პასპორტებზე დაიწყო ლაპარაკი. მისმა სიტყვებმა დიდი სიმშვიდე მომგვარა. ამასობაში ხალხში ჩოჩქოლი ატყდა, გავიხედე და მამა იოანე უკვე კიბეებზე ჩამოდიოდა. გადავუდექი წინ და დალოცვა ვთხოვე, მანაც დამლოცა. იმ დღეს გიორგიწმინდიდან კი არ მოვდიოდი, არამედ მოვფრინავდი. ამ წელს ძალიან უპრობლემოდ ჩამოვედი ესპანეთში. შემდეგი შეხვედრა 2015 წლის ზამთარში მოხდა. ესპანეთიდან დაბრუნებულმა პირველივე შაბათს მამა გიორგის სანახავად გავწიე. მართალია, ძალიან ცოტა დრო ჰქონდა, მაგრამ მაინც მიგვიღო. კვირას ჩავაბარეთ აღსარება და ზიარებაც მივიღეთ მამაოსგან.

ვიცი და ვგრძნობ კიდეც, რომ გიორგი პავლოვი გამორჩეული მამაოა, მის ლოცვას დიდი მადლი აქვს. იგი მოძღვართა იმ მცირე რიცხვს მიეკუთვნება, რომელთაც მრევლი შეიძლება მთლიანად მიენდოს და რომელსაც მართლა შეუძლია ცოდვილი სასუფეველში გაიყვანოს. როგორც მამა გიორგი ბასილაძე იტყოდა - „ნამდვილია“ და ამიტომაც მიყვარს.

ნანა კონჭოშვილი
ესპანეთი. ბარსელონა.
ტელ.+34 631 19 77 48

მამა გიორგი არის მოძღვარი, რომელიც განუწყვეტლივ ლოცულობს სამშობლოსათვის, ბერისა და ერის ერთობისათვის

მე ანასტასია ხვიბლიანმა მამა გიორგი გავიცანი სულ ორიოდე წელია. ეს იყო 2014 წლის ზაფხულში. მანამდე ბევრი მქონდა მასზე გაგებული, რომ იგი გამორჩეულია მრევლისადმი დიდი სიყვარულით, სითბოთი და მზრუნველობით. ერთხელ ერთი მისი მრევლიდან მეუბნება, შენ იცი, გსმენია მამა გიორგი პავლოვის შესახებ? გირჩევ, რომ გაიცნო და დაესწროო მის წირვა-ლოცვებს, მოისმინო მისი ქადაგებები და მიხვდები რა ტკბილი და მოსიყვარულეა ჩვენი სამშობლოსა და მოყვასისადმიო. ასევე ბევრი მომისმენია მისი ქადაგებები სოციალური ქსელების მეშვეობით, მაგრამ როდესაც გავიცანი მოლოდინს გადააჭარბა.

ჯერ გაცნობა იყო სასწაული, დასავლეთიდან, კერძოდ აბაშიდან მირეკავს ქ-ი ლანა ტუღუში, მატყობინებს, რომ ჩამოდის თავისი ოჯახით და აუცილებლად მოვემზადო იმისათვის, რომ ერთად უნდა წავიდეთ საგარეჯოს რ-ის სოფელ გიორგიწმინდაში მამა გიორგის გასაცნობათ და დასალოცად. მე რა თქმა უნდა გაოცებული ვუსმენდი და თან მიხაროდა ასეთი მოულოდნელი სიხარულისთვის. დავპირდი, რომ გამზადებული დავხვდებოდი დათქმულ ადგილას და გავემგზავრებოდით საგარეჯოში. ქ-ნ ლანას მარტო მე არ დავხვედრივარ, მომლოლცველთა მთელი ამალა ვიყავით სხვადსხვა კუთხეებიდან. საოცრება ის იყო, რომ ზუსტად მხოლოდ სოციალური ქსელებით ვიცნობდით ერთმანეთს და მამა გიორგიმ გაგვაერთიანა. ახლოს გაგვაცნო ერთმანეთი და ისეთი მადლით, რომ ჩვენს პატარა მლოცველთა ჯგუფს ლაზარე დაარქვა. ჩვენ არაფერი განსაკუთრებული ჯგუფი არა ვართ უბრალოთ მოეწონა მამაოს სხვადასხვა რეგიონების მრევლის ერთობა და გვაკურთხა, დაგვლოცა, დაგვმოძღვრა, გულუხვად გავიმასპინძლდა, როგორც სჩვევია მას. საჩუქრებიც არ დაგვაკლო. ვეღარ ვთმობდით, აღარ გვინდოდა წამოსვლა, სანამ თვითონ არ გვითხრა, წადით ეხლა თავი დამანებთ, დასვენება მინდაო. ისეთი გახარებულები ვიყავით, ემოციებს ვერ ვფარავდით. გამოვემშვიდობეთ, გულით და სულით სიხარულით სავსენი წამოვედით. მას შემდეგ მამა გიორგი გახდა ჩემი

და ჩემი ოჯახის მფარველი , მლოცველი და წინამძღოლი.

მადლობა უფალს ამისთვის!

მადლობა მამა გიორგის ასეთი დიდი სიყვარულისთვის!

მას ყველა ერთნაირად უყვარს. არავის აკლებს მზრუნველობას. გულთან მიაქვს ყველას გაჭირვება და ტკივილი. უმსუბუქებს განსაცდელების ტვირთს. ეს მე ჩემს თავზე გამოვცადე. მისი ლოცვებით და დალოცვებით ფეხზე დავდექი მე და ჩემი პატრა გაბრიელი. ექიმებისთვის დღემდე უცნობია, რატომ შეიზღუდა მისი ჯანმრთელობა. ბავშვი ვერ საუბრობს და ვერ დადის. როცა საოცარი მეტყველების, მოძრაობების და განვითარების შესაძლებლობები ჰქონდა შეზღუდვამდე. მე თვითონ ურთულესი დიაგნოზი მქონდა - ოსტეოპოროზი ურთულეს სტადიაში. ფეხზე დავდექი და დამოუკიდებლად დავდივარ. ჩემი გაბრილის მკურნალობა საოცრად, უფლის წყალობით და მამა გიორგის ლოცვებით წარმატებულია და საუკეთესოდ ვითარდება, მამაოს როცა ვუთხარი ჩემი გაბრიელის შესახებ, მაშინვე მითხრა, რომ განიკურნება, არ ინერვიულოთო. ოღონდ ზიარება და ზიარება. ეს არ დაგავიწყდეთო.

სახარებიდან ვიცი, რომ **უფალი მხოლოდ თავის რჩეულებს უსმენს და აძლევს უდიდეს ძალას და შესაძლებლობებს, თავისი სამწყსოს საპატრონოდ და აი ზუსტად ერთ-ერთი საუკეთესო რჩეული გვარგუნა საქართველოს მამა გიორგი პავლოვი**. ამის დამადასტურებელია ის გარემოება, რომ მის სურათებს უკვე რამდენი წელია მირონი სდის. ეს ბედნიერება მეც მარგუნდა უფალმა და ჩემს ლოცვების წიგნში, სადაც მამაოს ნაჩუქარი თავისი სურათი მედო, გადმოვიდა მირონი და როდესაც ვნახე დიდად გავიხარეთ მე და ჩემმა ოჯახმა. დიდება და მადლობა უფალს! მე უღირსს ეს დიდი მადლი და სასწაული, რომ მარგუნა. აქ უკვე კომენტარი ზედმეტია ყველაფერი ნათელია უფლის წყალობით. აქვე ვდებ სურათს წიგნიდან, სადც ეს მირონია გადმოსული.

მე ალბათ მთელი ცხოვრება არ მეყოფა მამა გიორგის ღვაწლის შესახებ საუბრისათვის. არის უამრავი რამ, რასაც ვერც დაწერ და ვერც იტყვი, მხოლოდ უნდა იცოდე. მინდა იგი იყოს ჯანმრთელი, დღეგრძელი, ყველა ჩვენთაგანისა და ჩვენი სამშობლოს კეთილდღეობისათვის.

მამა გიორგი არის მოძღვარი, რომელიც განუწყვეტლივ ლოცულობს სამშობლოსათვის, ბერისა და ერის ერთობისათვის. სიყვარულით მოიხსენიებს ყველას, არა აქვს აგრესია ვინმეს მიმართ.

სამართლიანად გაკიცხავს საჭიროების შემთხვევაში, გვასწავლის ქრისტეს გზაზე სწორად სიარულს. მტკიცეა მის მოწოდებებსა და მითითებებში.

ამ ყველაფერს ისე მობილიზებულად და მოწესრიგებულად ასრულებს, რომ არ შეიძლება არ აღფრთოვანდე. მინდა ვინც ამ წიგნს წაიკითხავს, იცოდეს, რომ **მამა გიორგი არის დიდი სიყვარულის მატარებელი და გამცემი. მისთვის სხვისი მრეველი არ არსებობს. მასთან იგრნობ თავს შენეულად.** ეს ბევრს არ გააჩნია. ბედნიერი ვარ, რომ მე ვარ მისი სულიერი შვილი. მამა გიორგი მიყვარხართ ძალიან. მინდა რომ სულ გახარებული იყოთ თქვენი სამშობლოს და ერის კეთილდღეობით. ასევე მინდა ერთიან და გაბრწინებულ საქართველოში ბედნიერად გეცხოვროთ თქვენს უსაყვარლეს დედიკოსთან (რიმა დეიდასთან) და სამწყსოსთან ერთად. ამენ!



უდიდესი სიყვარულით,
ცოდვილი ანასატასია ხვიბლიანი
ქ. რუსთავი, თოდრიას ქუჩა 21/28
მობ: 593 549 267

* * *

მიზიდულობის ძალა აქვს მამა გიორგის უდიდესი, თუ ერთხელ ნახე ვეღარ ივიწყებ. დღე არ გავა სულ ვახსენებთ მას. ჩვენ ყველა ერთად ვმუშაობთ ერთ სკოლაში. იცით, ვერ ვიფიქრებდი ასე თუ შეიძლებოდა მოძღვარი ერთდროულად მოგვწონებოდა და შეგვყვარებოდა ყველას, ჩვენს სამეგობროს. სულ საგარეჯო გვაკერია პირზე მეტი სალაპარაკო თემა აღარ გვაქვს...

ზესტაფონი, ზოვრეთის საჯარო სკოლის პედაგოგები.

მამა გიორგი (პავლოვი) ღვთისკაცია დედამიწაზე, სამაგალითო ღვთისმსახური, საქართველოზე უსაზღვროდ შეყვარებული, თავმდაბალი და უბრალოდ ღირსეული ადამიანი.

პირველად მამა გიორგის გოდოგანში, ნიკოლოზობას (22 მაისს), წირვაზე შევხვდი, მანამდე კი ინტერნეტში გავრცელებული ვიდეოებით „ვიცნობდი“ და მოხიბლული ვიყავი მისით. შემდგომ მეგობარებთან ერთად საგარეჯოს ვესტუმრე. წირვის შემდეგ მამაომ თავის კელიაში გვიმასპინძლა, დაგვლოცა და მისი მადლიანი ხელით დამზადებული მაყვლის სასმელი გაგვასინჯა. შთაბეჭდილებით დახუნძლული, განუმეორებელი და დაუვიწყდარი დღე იყო.

უფალს ვთხოვ მამა გიორგის ჯანმრთელობასა და დიდხანს სიცოცხლეს.

უდიდესი პატივისცემითა და
ღრმა მოკრძალებით
ნესტან მაღრაძე

მამა გიორგისთან სტომრობა იყო ყველაზე ლამაზი და სიხარულით აღსავსე დღე ჩემს ცხოვრებაში. მასთან შეხვედრა ხომ სულის ზეიმია. მადლიანი ლოცვა-კურთხევით მან დიდი ფერიცვალლება მოახდინა ჩემში. სულიერად გავძლიერდი, სულ სხვა თვალით შევხედე სამყაროს, თითქოს და თავიდან დავიბადე. ის არის ჭეშმარიტი

მოძღვარი, რომელსაც შეუძლია თითოეული ადამიანის სულს ღრმად ჩასწვდეს. სტუმრობიდან რამდენიმე დღის შემდეგ უამრავი სასწაულის მომსწრე გამხადა უფალმა. წმინდა ნიკოლოზისა და ღვთისმშობლის ხატზე მირონის ზეთები გამოჩნდა, დღემდე ასეა.

უფალს ვთხოვ დღეგრძელი და დალოცვილი იყოს მამა გიორგი, უდიდესი სიყვარულის და სითბოს მატარებელი მოძღვარი.

მადონა დათიაშვილი

მამა გიორგი პავლოვის შესახებ ჩემი მეგობრისგან გავიგე. შემდეგ როცა მასთან საგარეჯოში წასვლა შემომთავაზა დაუფიქრებლად დავთანხმდი (თვითონაც გამიკვირდა), ალბათ იმიტომ, რომ ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს იქ რაღაც მიზიდავდა და ეს ძალა ძალიან ძლიერი იყო. მთელი ცხოვრება მოძღვრის ძიებაში ვარ და მამა გიორრგის დანახვისთანავე მივხვდი, რომ ეს ის არის ვისაც ვეძებდი, მერე რა რომ შორია, დრო და მანძილი მოძღვრის სიყვარულში მნიშნელოვანი საერთოდ არ ყოფილა. ახლა როცა რაიმე დაბრკოლება მექმნება ცხოვრებაში, მაშინვე თვალწინ მამა გიორგის გაბრწყინებული სახე წარმომიდგება ქადაგების დროს, თუ რა სიყვარულით მოგვითხრო სქართველოს ისტორია და რაოდენ დიდი მადლი გადმოდის მისგან მრევლის წევრებზე, ამის შემდეგ კი ძალა მეძლევა და იმედი იმისა, რომ ყველაფერი ცუდი გაივლის.

დიდი სიყვარულით, პატივისცემითა და მოკრძალებით ვუსურვებ მამა გიორგის დღეგრძელობას, სიძლიერეს, გამძლეობას იმ ბრძოლაში რასაც დღევანდელობა ჰქვია.

ნატო ტრაპაიძე.

ისინი მანათობელი კელაპტრები არიან უფლისკენ სავალ გზაზე

ჩემი უსაყვარლესი მოძღვრის შესახებ თხრობას დავიწყებ წმიდა პაისი მთაწმინდელის სიტყვებით: **„შთამომავლობის წმიდათაწმიდა ვალია, დაწერონ თავიანთი ეპოქის, დროის წმიდათა მამათა ღვთიურ ღვაწლზე, მათ ძალისმიერ შრომაზე, რომელსაც ისინი ეწეოდნენ, რათა მიახლოებოდნენ ღმერთს. როდესაც ჩვენ ვწერთ წმიდა მამებზე ბუნებრივია, ხელახლა ვღებულობთ სარგებლობას, რამეთუ მათი გახსენებით ჩვენ ვცდილობთ, მივბაძოთ მათ და მაშინ წმინდანნიც მოწყალენი ხდებიან და გვეხმარებიან“.**

მამა გიორგი პავლოვთან უკვე წელიწადნახევარია რაც დავდივარ და შემიძლია მის შესახებ ძალიან ბევრი რამ მოგითხროთ. ამჟამად გავიხსენებ ჩემს პირველ შეხვედრას მამაოსთან. ეს იყო 2015 წლის პეტრე-პავლობის მარხვაში. მე და ჩემი მეგობარი ელისო გერმანიშვილი გიორგიწმინდაში, წირვაზე დასასწრებად წავედით. მამაოს შესახებ მამა გიორგი ბასილაძის წიგნებიდან შევიტყვე და დიდი სურვილი მქონდა პირადად გამეცნო. დილით, სახლიდან გამოსვლისას მეუღლესთან წავკამათდი, კარები გამოვიკეტე და ვთქვი: „ღმერთო, აღარ შემიძლია ამდენის ატანა მეთქი“ და კიბეზე დავეშვი. გიორგიწმინდის ტაძარს კითხვა–კითხვით მივაგენით. ტაძრის კიბეებზე ჩასვლისას მამა გიორგი სკამზე მჯდომი დაგვხვდა, გადმოიწია და გამოგვხედა. ისეთი შეგრძნება დაგვეუფლა, რომ გველოდებოდა. წირვისას მამაომ სახარება წაიკითხა, საკურთხეველში შებრძანდა, უკანვე გამობრუნდა და თქვა: „ერთმანეთი უნდა ავიტანოთ და გავიტანოთო“. მაშინვე მივხვდი, ეს ჩემს დილანდელ კამათს ეხებოდა. წირვისას მამაოს გულში მივმართავდი: „თქვენთან საუბარი მინდა და მოსვლა მერიდება, იქნებ თქვენ თვითონ დამელაპარაკოთ-მეთქი“. დამთავრდა წირვა. მე და ელისო ეზოში ვიდექით და მამაოს გამობრძანებას ველოდით. მამაო ტაძრიდან გამობრძანდა, ჩემსკენ შემოტრიალდა და მითხრა: „შენ რაღა ჯანდაბა გინდა?“ მე სიხარულით ცას ვეწიე. მამაომ დაგვლოცა და ჩვენ მას სენაკში ვესტუმრეთ. მან გვიმასპინძლა, ყურადღებით მოგვისმინა, დაგვასაჩუქრა და გამოგვაცილა. წამოსვლისას გვითხრა: „დღეს თქვენ აქ თქვენი სურვილით არ მოსულხართ, ეს უფლის ნება იყო“. ბედნიერნი და გახარებულნი წამოვედით მისგან. ღმერთს ვმადლობდით, რომ

მას შეგვახვედრა. მას შემდეგ ბევრი მნიშვნელოვანი ფაქტი მოხდა ჩემს ცხოვრებაში. მისი რჩევით ვიპოვე ჭეშმარიტი მოძღვარი. ძირფესვიანად შეიცვალა ჩემი მეგობრის ცხოვრებაც. 2016 წლის გიორგობას გიორგიწმინდაში წირვას მამაოსთან ერთად მამა იოანე ოლარიც ატარებდა. ამ პერიოდში მამა გიორგი ბასილაძის ხატს ვამკობდი. 2011 წლის ხარებობას ეს სამი დიდი მოძღვარი ერთად ატარებდა წირვას ამ ტაძარში (გული მტკივა რომ მაგ დროს არც ერთ მამას არ ვიცნობდი). ამიტომ გადავწყვიტე შემკობილი ხატი მათთან მიმებრძანებინა. სასწაული იყო, რომ გიორგობისთვის მოვასწარი მისი შემკობა და მიბრძანება. წირვის დამთავრებისას, ჯვარზე მთხვევის დროს, გულში გავივლე: „მამა გიორგი, იქნებ ჩემი ხატი გამოაბრძანოთ, რომ სამივე ისევ ერთად დაგინახოთ, როგორც ხარებობას მეთქი“. გაფიქრება დამთავრებული არ მქონდა, რომ უკან მივიხედე და ამბიონზე დავინახე, მამა გიორგის როგორ ეკავა ხატი და მამა იოანე როგორ ემთხვია. მამაოს მადლიერებით შევხედე და გული სიხარულით ამევსო. **მადლობა უფალს ყველაფრისთვის. მადლობა იმისთვის, რომ ასეთი დიდი წმიდა მამები გვყავს, როგორიც ბერი ნიკოლოზია, მამა გიორგი პავლოვი, მამა იოანე ოლარი და ჩემი საყვარელი მოძღვარი – მამა ილია ჩიკვაიძე.** ესენი არიან დიდი სიყვარულის მოძღვრები, მათთან ურთიერთობის შემდეგ გრძნობ, რომ სავსე ხარ მადლით, განიცდი ენით აუწერელ სიხარულს. განცდა გეუფლება, რომ გიყვარს მთელი სამყარო. ისინი თავიანთი ცხოვრების წესით, საქმეებით გასწავლიან თავმდაბლობას, მაგალითს გვაძლევენ თვითოეულ ქრისტიანს, როგორები უნდა ვიყოთ. ისინი მანათობელი კელაპტრები არიან უფლისკენ სავალ გზაზე. ღმერთს ვთხოვ, დალოცოს და გააძლიეროს ჩვენი მამები!

ქეთევან ფირანიშვილი
თელავი
ტელ. 555 16 86 60

„დიდ მადლობას შევსწირავ უფალს, რომ შემახვედრა მამა გიორგის“

პირველი შეხვედრა მამა გიორგისთან

მამა გიორგისთან ყოველი შეხვედრა საინტერესო და სასიხარულოა, მაგრამ მე მაინც პირველ შეხვედრას გამოვყოფდი, რადგან ეს იყო საწყისი დიდი სულიერი მოძღვრის პოვნის ბედნიერებისა. მამა გიორგისთან მისვლამდე მე დიდი მონდომებით ვეძებდი მოძღვარს, მაგრამ ამაოდ, ვერსად იმ სულიერ ძალას და სიმშვიდეს ვერ ვპოულობდი. ვიცი, შემთხვევით არაფერი ხდება და ასე, უფლის დიდი წყალობით, მოვხვდი მამა გიორგისთან. მეგობარმა დამირეკა და მითხრა: „საგარეჯოში მივდივართ, გიორგიწმინდაში, წირვაზე, დიდი მამა არის იქ და ხომ არ წამოხვალო?“ მე დავეთანხმე

და დიდი სიამოვნებით წავედი. 2010 წლის 25 დეკემბერი იყო. არასოდეს დამავიწყდება, ტაძარში რომ შევედი, რაღაც უჩვეულო გრძნობა დამეუფლა, საერთოდ ვერ ვიგრძენი წირვის გასვლის დრო. მეგონა 5 წუთში დამთავრდა, დიდი სიმშვიდე და ამავდროულად სიხარული მოდიოდა. წირვის შემდეგ მამა გიორგიმ თავის სენაკში დაგვპატიჟა და გვაჩვენა მამა გიორგი ბასილაძის სურათს მირონი როგორ სდიოდა. გახარებულები ვიყავით ამ დიდი სასწაულის ნახვით. შემდეგ მამა გიორგიმ ტრაპეზზე მიგვიპატიჟა და ძალიან დიდი სითბო და სიყვარული გვაჩუქა. ბოლოს, დამშვიდობების დროს, სურათის გადაღება ვთხოვე, რაზეც დამთანხმდა. მე ჩემი აპარატი მეგობარს მივაწოდე და ვასწავლე, როგორ გადაეღო ფოტო და რომ მოვტრიალდი მამა გიორგისთან ადგილი აღარ იყო, მრევლი ისე განაწილებულიყო მის გვერდით. მამა გიორგიმ თითით მიმანიშნა, თავის წინ დავჩოქილიყავი და ისე გადაგვეღო. გადაღების მომენტში მამა გიორგიმ თავზე ხელი დამადო. სურათშიც ასე ჩანს, მაგრამ შეგრძნება იყო სასწაული, მეგონა მამა გიორგის ხელი თავის ქალაში ედო და მიჭერდა... იქიდან რომ წამოვედი, სულ ვფიქრობდი და შიშმაც ამიყოლია, შემეშინდა თავში ხომ არაფერი მაწუხებს ნეტავ და მამა გიორგი მიხვდა და ამიტომ დამადო ხელი - მეთქი... **გარკვეული დროის შემდეგ მივხვდი, რომ სხვაგან ვერ ვპოულობდი ისეთ სიმშვიდეს და მადლს, როგორიც იქ იყო და მივხვდი, რომ ის იყო კურთხევა მასთან სულიერი შვილობის თანხმობის შესახებ და მის შემდეგ ვარ მისი სულიერი შვილი...** ბევრი სიხარული, სულიერი სიძლიერე და იმედი მომმადლა ღმერთმა მამა გიორგისთან ურთიერთობით, რისთვისაც დიდ მადლობას შევწირავ უფალს, რომ შემახვედრა მამა გიორგის, მამასთან რომელიც სულ ცდილობს თავის მრავალრიცხოვან მრევლს თანაბრად გადაუნაწილოს სითბო და სიყვარული და არ მოაკლოს ყურადღება. ბევრჯერ ხდება ისე, რომ ვერ ვახერხებ ჩასვლას გიორგიწმინდაში, მაგრამ სულ ვგრძნობ მის გვერდით ყოფნას. მადლობა უფალს ამ დიდი წყალობისთვის, რომ მამა გიორგის შემახვედრა, მომცა საშუალება ახლოს ვყოფილიყავი ამ დიდ მამასთან.

სოფო გაფრინდაშვილი
თბილისი ტელ. 555 30 80 51

მის თითოეულ სიტყვას დიდი ძალა აქვს, ის სულის რენტგენია და ვერათვერს გამოაპარებ

25 დეკემბერია, წმინდა სპირიდონის ხსენების დღე...

...ფიქრს ბოლო არ უჩანს, როგორ დავიწყო წერა მამა გიორგი პავლოვის შესახებ. აზროვნება და ხელი არ მემორჩილება, თითქოს შიში, მოწიწება, სიყვარული, პატივისცემა ერთმანეთში შეზავებულა.

ერთხელ, როდესაც წმინდა გაბრიელ ბერის, მამა გიორგი ბასილაძის და სხვათა შესახებ ინფორმაციებს ვკითხულობდი, ინტერნეტმა მამა გიორგი პავლოვის ქადაგებები გადამიშალა

თვალწინ, ეს შარშან იყო. იმდენად დავინტერესდი, სურვილი გამიჩნდა გამეცნო, როგორ და რანაირად ეს არც კი ვიცოდი. კომენტარები

წავიკითხე, ფეისბუქზე ვიპოვე ეს ადამიანები, დავიმეგობრე და გავიგე მისამართი, ტაძარი სადაც მსახურობდა, აღავლენდა წირვა–ლოცვას. ერთხელ, თბილისში ჩემი ვიზიტისას, თავს უფლება მივეცი დამერეკა მისთვის. ვესტუმრე სახლში, მისი ნებართვით, გავიცანი. მივდიოდი საოცარი განცდით, **მიმაჩნდა ცადუწვდენლად და დამხვდა ღვთისგან უბრალოებით რჩეული, თავმდაბალი, ყოვლად კეთილი ადამიანი და მყისიერად შემეცვალა წარმოდგენა, გადამიარა შიშმა, თრთოლვამ. ის ბუნებით ამქვეყნიურს არ ჰგავს, მის თითოეულ სიტყვას დიდი ძალა აქვს, ის სულის რენტგენია და ვერაფერს გამოაპარებ. იგი დღე და ღამე მლოცველი და ქართველ ერზე უსაზღვროდ შეყვარებულია. მამაო ძალიან გულუხვია, იცის საჩუქრების გაცემა.** როდესაც სტუმრად მივდივარ მთელი სამეგობროსთვის მატანს ლოცვანებს, კალენდრებს.

ღმერთმა დიდხანს გვიცოცხლოს მამაო. ჯანმრთელობა და უფლის წყალობა არ მოაკლოს მამაზეციერმა.

მაკა თოლორდავა.
ზუგდიდი.
ტელ. 591 41 77 16

მასთან შეხვედრის ყოველი დღე ჩემთვის დიდი ბედნიერებაა

ის დღე არასდროს დამავიწყდება, როცა პირველად წაგვიყვანა რელიგიის მასწავლებელმა გიორგიწმინდაში, მამა გიორგისთან. მანამდეც ბევრი მსმენოდა ამ მადლით მოსილ მამაზე, ამიტომ გულის ფანცქალით ველოდი მასთან შეხვედრას. ფეხით გავუყევით გიორგიწმინდის გზას, თან კი მიგვყვებოდა ენით აუწერელი სიხარული. კვირა დღე იყო და მამა გიორგი წირვას ატარებდა. მახსოვს პირველად რომ დავინახე განსაკუთრებული სიმშვიდის გრძნობა დამეუფლა. ირგვლივ საოცარი ჰარმონია სუფევდა, ქადაგებისას მისი

თითოეული სიტყვა გულის სიმებს გვირხევდა. ბოლოს, მამა გიორგიმ დაგვლოცა, დაგვასაჩუქრა და თავისი მადლი გამოგვატანა თან. მას შემდეგ 5 წელი გავიდა და მასთან შეხვედრის ყოველი დღე ჩემთვის დიდი ბედნიერებაა.

ლანა დრეიძე, 19 წლის
საგარეჯო ტელ. 593 78 64 48

მისი ქადაგება ინფორმაციაა მომავალი თუ დღევანდელი ცხოვრებისათვის

2006 წლის აღდგომის მარხვის დღეებში მივედი სოფელ გიორგიწმინდის ღვთისმშობლის შობის სახელობის ეკლესიაში პირველად და აღსარება ჩავაბარე ამ ეკლესიის მოძღვარს მამა გიორგი პავლოვს. ამისთვის მე ვემზადებოდი მთელი ერთი წლის განმავლობაში.

ადამიანი ეკლესიაში სხვადასხვა მიზეზებით მიდის, თუმცაღა მიზანი ერთია, ცხოვრების წესის შეცვლა სულიერი ცხოვრების საწყისებით. ზოგს ამისთვის წახალისება სჭირდება ადამიანებისა, ან თუნდაც ჩვეულებრივი, მოკვდავი ადამიანისათვის საჭირო დოზებით ხილვებით; სულიერი თუ ფიზიკური შეჭირვებისა ან თუნდაც დიდი სიხარულის დროს და ა.შ. თუმცა ყველაზე კარგი მომენტია ჩემი აზრით საკუთარი ნებით მოგვინდეს ეკლესიაში მისვლა, მოძღვართან შეხვედრა, აღსარებით მონანიება ცოდვებისა, ზიარება და შემდეგ ამ გზით მთელი ცხოვრების მანძილზე სიარული. ეს რომ მოხდეს და შემდეგ ამ გზიდან არ გადაუხვიო, ჩემი აზრით, დიდი მნიშვნელობა აქვს მოძღვარს, რომელთან ერთად მოგიწევს მთელი ცხოვრების ან გარკვეული დროის გატარება.

ყოველთვის ჭირს პირველი აღსარების ჩაბარება. მთელი შენი განვლილი ცხოვრების ყველა დეტალი, რომელიც შენ არასწორად მიგაჩნია, ერთ ადამიანს უნდა გაანდო, ამის თქმა კი ზოგჯერ ოჯახის

წევრისთვისაც კი არ შეგიძლია. როდესაც ამას გააკეთებ, იცილებ იმ მძიმე ტვირთს, რასაც განვლილი ცხოვრების შეცდომები ჰქვია, კარგია თუ ამას აღარ გაიმეორებ, მაგრამ ჩვეულებრივი მოკვდავისათვის ცოტა ძნელია. ალბათ ამიტომაც განსხვავებით იმ სულიერი მოღვაწეებისაგან, რომლებიც თავისი სწორი ცხოვრებით სულიერ სრულყოფილებას აღწევენ.

მომიტევეთ თუ ვიმეორებ იმას, რასაც ჩემზე კარგად სხვები გადმოსცემენ. ამით მე მინდა ვთქვა ჩემს თავზე გამოცდილ ამ წლებში განვლილ ცვლილებებზე.

შემიძლია ვთქვა, რომ ბევრი რამ შეიცვალა ამ დროში ჩემს ცხოვრებაში. ეს მოხდა მოძღვრის - მამა გიორგი პავლოვის დამსახურებით. წლების განმავლობაში ყალიბდებოდა რუსთაველისეული შიშით სიყვარული, რაც აუცილებელია მოძღვარსა და სულიერ შვილს შორის. შიში იმიტომ, რომ აღსარების, ზიარებისა და ქადაგების დროს მოძღვრის ენით თვით უფალი ლაპარაკობს სიყვარულით, იმიტომ, რომ იგია საწყისი ყველაფრისა და რომ არა ეს, ეკლესიაშიც არ წახვიდოდი და მოძღვარიც არ გეყოლებოდა. ამ სიყვარულის შენში განვრცობაა მოძღვრის პირველი მოვალეობა. იწყება შენი მეორე ცხოვრება - სულიერი ცხოვრება, რომელიც არსებითად განსხვავდება მატერიალური ცხოვრებისგან, მაგრამ მთლიანად ავსებს მას.

ლოცვასა და წირვაზე დასწრება, სახლის კურთხევა, ლოცვა შენი ოჯახისათვის, ქვეყნისათვის, ახლობლებისთვის, შენი გარდაცვალებული მშობლებისა და ნათესავ - მეგობართათვის, ლოცვა მომავლისათვის, ჯვრისწერა, ჩვილის ნათლობა - ამას ყველაფერს უკვე შენს მოძღვართან ერთად აკეთებ და ის გასწავლის შენს საკეთებელს.

შენს გვერდით დგას შენივე მრევლი, რომელიც შენთან ერთად ცხოვრობს და შენთან ერთად უხარია და სტკივა, ცხოვრობთ როგორც ერთი ოჯახი და ამ ოჯახის თავკაცი მოძღვარია.

საბედნიეროდ, გიორგიწმინდის ეკლესიის მრევლი თითქმის მთელს საქართველოს მოიცავს - დასავლეთსა თუ აღმოსავლეთს. გიორგიწმინდის ღვთისმშობლის შობის ეკლესია ერთ-ერთი გამორჩეული მოქმედი ეკლესიაა ქვეყანაში. ეს მისი მოძღვრის უდიდესი დამსახურებაა. აქ მოჰყავთ ჩვილი ბავშვები, ნათლავენ და შემდეგ აქ იზრდებიან. ეკლესიის წიაღში გაზრდილი ბავშვი კი პირველი პატრიოტია თავისი ქვეყნისა. აქ იზრდება ნამდვილი ქართველი

მოძღვრის ყურადღების ქვეშ, აღსარებით ის აკონტროლებს პატარაობიდანვე მის და მისი მშობლების ცხოვრებას.

მე არ მინდა მამა გიორგის (პავლოვი) ქება-დიდებით თავი შეგაწყინოთ, ამას სხვები უჩემოდაც უკეთესად იტყვიან. მე მხოლოდ საკუთარ თავზე განცდილს და აქედან ჩამოყალიბებულ ჩემს აზრს მოგახსენებთ: მამა გიორგი (პავლოვი) მოძღვარია, ვისთანაც სიხარულით მობრძანდებოდა დიდი მამა გიორგი ბასილაძე, ცნობილი სალოსი მამა იოანე ოლარი და მრავალი სხვა საეკლესიო მოღვაწე. ეს მხოლოდ მის გამორჩეულ სულიერებაზე და წმინდა ბერულ ცხოვრებაზე მეტყველებს.

წლების განმავლობაში მისი სულიერი ხედვით ნათქვამი ბევრი მოვლენა ახდა, ბევრს სულიერი თუ ფიზიკური შვება უგრძვნია ლოცვისა და წირვების შემდეგ. მისი ქადაგება ინფორმაციაა მომავალი თუ დღევანდელი ცხოვრებისათვის, ხოლო საკუთარი ცხოვრება მაგალითია ბერისა თუ ერისათვის. სწორედ ეს გამოარჩევს ამ მოძღვარს და უმრავლეს მრევლს. თუ ჯერ კიდევ არიან ადამიანები,

რომლებსაც გადაწყვეტილება არ მიუღიათ ვისთან მივიდნენ, ჩაბარონ აღსარება და იარონ ეკლესიური გზით - ნუღარ დააგვიანებენ. ეს იქნება მათთვის კარგი და საჩქარო. **ჩვენ დღეს ბოლო ჟამის მოდგმა ვართ**, თანაც მხოლოდ ღმერთმა იცის, რა დრომდე იქნება ამ ეკლესიის მოძღვარი მამა გიორგი (პავლოვი). **მისი ღვაწლი და ღვთისგან ბოძებული მადლი, ქვეყანას სად დასჭირდება, სად მოუწევს მსახურება და ჩვილთა გაქრისტიანება.** ამიტომ, ადამიანებო, რაც დღეს შეიძლება გააკეთოთ, ხვალისთვის ნუ გადადებთ. თქვენ გეყოლებათ მოძღვარი, რომელიც ძირფესვიანად დადებითად შეიცვლის თქვენს ცხოვრებას, გაგხდით ბედნიერს მრავალი გამოცდით, ჩემსავით რუსთაველის „შიშით შექმნილ სიყვარულს“ იქამდე კი მოდის და მოდის მირონი - უდიდესი სასწაული ღვთისა, ეკლესიაში ხატებზე, ეკლესიის კარზე, თუ მის სენაკში დაბრძანებულ მრავალ ხატზე. ეს ნიშნავს იმას, რომ იქ ცხოვრობს და მოღვაწეობს მოძღვარი, რომელიც თვით უფალმა გამოარჩია თავისი ცხოვრების წესით, ამ წესით ზრდის და ამრავლებს თავის მრევლს, ამიტომაც არის ბავშვს თუ ზრდასრულს, მისი სულიერი შესაძლებლობებისაგან გამომდინარე, არაერთს ჰქონდა სხვადასხვა სახის ხილვები. ეს სასწაულები კიდევაც ხდება, რაც სწორედ მისი მადლის შედეგია. მრავალი ცოცხლობს და მრავლდება მისი ლოცვა-კურთხევით. თვით მრევლი გულმხურვალედ ლოცულობს მისი მოძღვრისთვის, ერთი მეორეს ავსებს - სწორედ ეს მიმაჩნია მოძღვრის სწორ საეკლესიო მიმართულებად, რაც ადამიანების სულებსა და მათი ცხოვრების გადარჩენისათვის ხდება.

ღმერთი იყოს თქვენი და თქვენი ოჯახის
მფარველი მამა გიორგი!

პატივისცემით,
დავით ტაბატაძე
საგარეჯო,თოხლიაური
ტელ.593 21 88 20

მამა გიორგი ნამდვილად გულკეთილი და კარგი მამაოა

მე პატარაობიდანვე, რამდენიმე თვის რომ ვიყავი, მიმიყვანეს ეკლესიაში და ნამდვილად არ მახსოვს მამა გიორგის დახვედრა, მაგრამ მამა გიორგი ნამდვილად გულკეთილი და კარგი მამაოა. ბავშვებს და არამარტო ბავშვებს ურიგებს საჩუქრებს: ფარნებს, ბურბუშელებს, ხატებს, სხვადასხვა საეკლესიო ნივთებს...

სახლის მორიგი კურთხევისას, როდესაც მამაომ სახლი აკურთხა, საუბარი ჩამოვარდა ეშმაკებზე და მის მოციქულებზე. მამაო მათზე,რომ ლაპარაკობდა, თითქოს რაღაცა შიში შემეპარა, მაგრამ ჩვენი მამა გიორგი იმდენად ძლიერია მათზე, რომ ამ შიშმა ქარივით გაიარა.

მამაომ ასეთი ამბავი მოყვა: მამა იოანე ოლარი იყო ჩემთანო. იქ თურმე ეშმაკი მისულა მამა იოანე ოლართან, მაგრამ ეშმაკმა ვერ გაძლო მათ სიახლოვეს და წავიდა. მამაომ გაიხსენა, როგორ მივიდა მისი (მამა გიორგის) სენაკის რაფასთან ეშმაკი, ყმუოდა საზარელი ხმით, მაგრამ მამაოს ვერ ეკარებოდა. მე ვიცოდი, რომ ღმერთი რაღათქმაუნდა უფრო ძლიერია, მაგრამ კვლავ დავრწმუნდი და მივხვდი, რომ ის (ეშმაკი) მხოლოდ დედამიწაზე მძვინვარებს. მე დავრჩები მაზიარებელი და აღმსარებელი და მხოლოდ ღმერთის შემეშინდება, ეშმაკის კი არა, რადგან ღმერთი მასზე ბევრად ძლიერია და ჩვენ, მორწმუნე ქრისტიანებს, ღმერთი მუდმივად დაგვიცავს ბოროტისაგან და ამაში დედამიწაზე მყოფი მამაოები დაგვეხმარებიან, მათ შორის იქნება მამა გიორგიც. მე მუდამ მამა გიორგი პავლოვის მრევლად დავრჩები.

მარიამ პაპუაშვილი 11 წლის.
საგარეჯო სოფ.თოხლიაური

(უფლის დაშვებით მარიამი ხედავს სულიერ სამყაროს. მას რამოდენიმეჯერ ეჩვენა და ესაუბრა ყოვლადწმიდა ღმრთისმშობელი... (ი.ლ.))

გავიფიქრე იქნებ მამა გიორგის შემახვედრა მეთქი

მამა გიორგის გაცნობამ კიდევ ერთხელ დამარწმუნა, რომ ყველაფერი ღვთის ნებით ხდება. დამოუკიდებლად არაფერი ხდება.

ყველაფერი დაიწყო მაშინ, როცა პირველად გადაცემა ობიექტივში მოვისმინე მამა გიორგის სულში ჩამწვდომი ქადაგება. იმხანად მე საბერძნეთში ვიყავი. როგორც კი ჩამოვედი საქართველოში, დავიწყე ნაცნობ-მეგობრებში გარკვევა, თუ როგორ შემეძლო მამა გიორგის ნახვა. ჩემს ირგვლივ არავის აღმოაჩნდა ინფორმაცია მასზე. გული დამწყდა, თუმცა იმედს მაინც არ ვკარგავდი.

ამის შემდეგ ორი დღეც არ იყო გასული, რომ მოულოდნელად (არა, უფლის ნებით) მამა გიორგი მე თვითონ ვნახე.

ეს ასე მოხდა:

ერთ დღეს ჩემს ძმასა და რძალთან ერთად ლესელიძის ქუჩაზე განთავსებულ საეკლესიო მაღაზიებს ვესტუმრე. საღამოს პირზე ლესელიძის ქუჩა ჩვეულებრივზე ხალხმრავალი იყო. ერთ-ერთი მაღაზიიდან გამოსულმა გულში გავიფიქრე, ნეტავ ახლა მამა გიორგის შემახვედრა-მეთქი და უეცრად, ჩემგან ასიოდ მეტრში მომავალი მოძღვარი შევნიშნე. თვალები ფართოდ გავახილე, მეგონა მეჩვენებოდა... არა, ეს ნამდვილად მამა გიორგი იყო. მოულოდნელობისგან ერთ ადგილზე გავშეშდი... საოცარი კიდევ ის იყო, რომ ხალხმრავალი ქუჩა თითქოს დაიცალა. პირისპირ აღმოვჩნდი მამა გიორგის წინაშე. „მამა გიორგი ეს თქვენა ხართ?“ - ვიმეორებდი გაუჩერებლად ვიდრე არ მომიახლოვდა. „მე მამა გიორგი ვარ, მაგრამ შენ ვინ ხარ?“-მითხრა ღიმილით მამა გიორგიმ. მე აღფრთოვანებული ვუყვებოდი, თუ როგორ ვნატრობდი მასთან შეხვედრას და როგორ მაპოვნინა უფალმა. მოძღვარი ღიმილით მისმენდა და ბოლოს მითხრა, რომ თუკი მისი ქადაგების მოსმენა მინდოდა, ვწვეოდი საგარეჯოს რაიონის სოფელ გიორგიწმინდის ეკლესიას, სადაც იგი მოღვაწეობდა და თან დაამატა, რომ: **„შემთხვევით არაფერი ხდება“**

ეს იყო ხუთშაბათს, კვირას მე გიორგიწმინდის ეკლესიაში წირვას დავესწარი და ცოცხლად მოვისმინე მამა გიორგის ქადაგება

მადლობა უფალსა და მამა გიორგის.

ლელა გულიკაშვილი
თბილისი, მუხიანი, დუმბაძის ქუჩა
ტელ: 597 51 51 31

„ასვი, აჭამე, ასეირნე, არაფერი აღარ სჭირსო“

არ ვიცი როგორ შეიძლება ჩემნაირმა პატარა, მაგრამ დიდი ცოდვების მატარებელმა ადამიანმა რამე დაწეროს ისეთ ბუმბერაზ და წმიდა მამაზე, როგორიც ჩვენი მამა გიორგია, მაგრამ ღმერთის შეწევნის იმედად გავბედავ და მოგიყვებით რამდენიმე ისტორიას.

2011 წლის დეკემბერი იდგა. სახლში მე და ჩემი 3 წლის შვილი ვიყავით, ჩემი მეუღლე სამსახურიდან მივლინებაში იყო წასული ერთი კვირით. მოულოდნელად სოფლიდან და მეწვია სტუმრად. იმ ღამით მოთოვა და მოყინა, სახლში კი შეშა გაგვითავდა. დილით გამახსენდა, სახლის პატრონს პირველ სართულზე ძველი ფიცრები ეყარა. ჩემს დას ვთხოვე, გამომყევი, ცოტა ამომატანინე - მეთქი. დაბლა რომ ჩავედით, სხვისი ძველი და გადაყრილი, მაგრამ მაინც სხვისი ფიცრების მოსაპარად, ჩემს დას ვუთხარი: „ეხლა მამა გიორგის დაანახა როგორ ვიპარავთ შეშას და ვნახავდით რას გვიზამდა - მეთქი“. ჩემი და იცინოდა და უცებ თვალებგაფართოებული მომიტრიალდა და მეუბნება: „გუშინწინ ეკლესიაში რომ ვიყავი, მამაომ თქვა: „ისეთი ძლიერი ყინვები იწყება, შეშის ქურდობაც შეიძლებაო“, ამ დროს მამაოსთან სულ რამდენიმე ადამიანი ვიდექით და ყველა გიორგიწმინდელები, ამიტომ ჩემთვის გავიფიქრე, სოფელში შეშა ვინ უნდა მოიპაროსო და ამ დროს რას წარმოვიდგენდი, რომ ჩემზე ამბობდაო“.

ხერხემალზე საშინელი პრობლემები მაქვს და ექიმებმა მეორე შვილის ყოლა სასტიკად ამიკრძალეს, მაგრამ იმდენად ძლიერად მინდოდა კიდევ ერთი შვილი, რომ გადავწყვიტე მეთქვა მამა გიორგისთვის და თუ კურთხევას მომცემდა, გამერისკა. მამა გიორგისთან მოწიწებით მივედი და ვუთხარი: „შვილის გაჩენა მინდა და ექიმები მიკრძალავენ მეთქი“. მაშინვე მითხრა: „ღმერთმა დაგლოცოს, ყველაფერი კარგად იქნებაო“. მართლაც, ორსულობის პერიოდში წელს საერთოდ არ შევუწუხებივარ (მშობიარობის შემდეგ ისევ მტკივა). პატარა 2013 წელს მოევლინა ქვეყანას. ორ თვეში აღმოჩნდა, რომ ბავშვს ნერვული სისტემის სერიოზული პრობლემები ჰქონდა. ექიმებმა მასაჟების რამდენიმე კურსი და გარკვეული პერიოდი მკურნალობა დაუნიშნეს და მითხრეს: „ყველაფერს ისწავლის, მაგრამ ასაკთან შედარებით გაცილებით გვიანო“. ღვთისა და მამა გიორგის იმედი შიშის საფუძველს არ მაძლევდა. მკურნალობის

პირველი კურსის დამთავრების შემდეგ, ექიმთან წაყვანამდე, ბარბარე მამა გიორგისთან მივიყვანე დასალოცად, ეზიარა, წირვის დამთავრების შემდეგ კი მამა გიორგის მისი დალოცვა ვთხოვე და ვუთხარი, რომ ცუდად იყო. მამაომ დალოცა და მითხრა: „ვინ არის ცუდად? ამას რა სჭირს? ასვი, აჭამე, ასეირნე, ღმერთმა მეტი დარდი არ მოგცესო“. ბავშვი დალოცა, თავზე ხელი დაადო, გამიღიმა და გატრიალდა. მეორე დღისით ექიმთან წავედით, ველოდებოდით ახალ დანიშნულებას და მკურნალობის შემდეგ კურსს, მაგრამ ექიმი მომიტრიალდა და გამიმეორა წინა დღეს მამა გიორგის ნათქვამი: „ასვი, აჭამე, ასეირნე, არაფერი აღარ სჭირსო“. მას შემდეგ ბარბარე ამ ავადმყოფობას აღარ შეუწუხებია.

ღმერთმა დიდხანს გვიცოცხლოს მამა გიორგი, რათა მუდამ იყოს ჩვენს სულებში სიმშვიდე.

შემინდეთ, თუკი რამე ისე ვერ დავწერე, როგორც მამა გიორგის ეკადრება.

თინათინ კევლიშვილი
საგარეჯო, გიორგიწმინდა
(მამა გიორგისთვის ,,სვანი“
დედა სვანი მყავს და ასე მეძახის მამაო)
ტელ. 595 63 54 82

ის უკვე უფლისგან არის რჩეული

უფალმა მომიტევოს კადნიერება, კალმის აღება რომ გავბედე და ჩვენს საყვარელ მამა გიორგიზე რაიმეს დაწერა გადავწყვიტე. რამდენიმე სიტყვით გადმოგცემთ ჩემს გულის ნადებს.

ჩვენი სულების საცხოვნებლად მოავლინა დედა ღვთისმშობელმა ამ ცოდვილ დედამიწაზე მამა გიორგი. ის დაუღალავად შრომობს და

იღწვის, რათა სულ მცირედით მაინც გააღვივოს უფლის სიყვარული ჩვენს გულებში.

მამა გიორგი ძალიან დიდი სიყვარულის მატარებელია, თითოეული ჩვენთაგანისთვის იცლის (მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ბევრნი ვართ), გვანუგეშებს, თავისი იუმორით გვატკბობს, თუ დავიმსახურეთ გვტუქსავს და საბოლოო ჯამში, ტაძრიდან დამშვიდებულები, იმედით სავსენი და მცირედით მაინც მადლით მოსილნი ვბრუნდებით.

მამაოს ბუმერანგივით უბრუნდება უკან გაცემული სიყვარული. ერთხელ თუ მაინც ნახე ეს ბუმბერაზი მოძღვარი, მეორედ ნახვის უდიდესი სურვილი გიპყრობს, გრძნობ, რომ რაღაც გაკლია, რაღაც აუცილებელი და მნიშვნელოვანი, სული ფორიაქობს, ვერ მშვიდდება და საბოლოო ჯამში ხვდები, რომ იმ მოძღვრის ნახვის უდიდესი სურვილია, ვინც შენს გულში ის სიმები შეარხია, რომელიც გეგონა, რომ შენში დიდი ხნის მკვდარი იყო (მე ასე ვარ, ერთი კვირა თუ ვერ ვნახავ, შემდეგ უდიდესი მონატრება მტანჯავს).

მამა გიორგისთან შეხვედრებისას ხვდები, რომ თურმე არ გავუწირივართ უფალს, რადგან კიდევ არსებობენ ისეთი დიდი მამები, რომლებიც ჩვენი სულების გადარჩენისთვის, მოყვასისა და ქვეყნის სიყვარულისთვის და ყველაზე მთავარი – უფლის მიერ დაკისრებული მოვალეობების ღირსეულად შესრულებისთვის იბადებიან და კვდებიან. ასეთები იყვნენ მამა გაბრიელი (ურგებაძე) და მამა გიორგი (ბასილაძე). ისინი უკვე გაიყვანა უფალმა ქვეყნიდან, მაგრამ უდიდესი სიყვარული დატოვეს თითოეული ჩვენთაგანის გულებში.

საბედნიეროდ, კვლავაც არსებობენ ისეთი მოძღვრები, რომლებიც დაუღალავად აგრძელებენ მათ საქმეს. ასეთები არიან: მამა იოანე ოლარი და მამა გიორგი პავლოვი (სამწუხაროდ მე სხვა ასეთ დიდ მოძღვრებს მეტს არ ვიცნობ).

მამა გიორგი დიდი სიყვარულით ცდილობს თითოეული ჩვენთაგანის ცოდვის და მძიმე ჯვრის ტარებაში საკუთარი ბუმბერაზი მხრებით შემოგვეშველოს, რადგან ცოდვით დაცემის შემდეგ წამოდგომა არ გაგვიჭირდეს. ამას ისეთი რუდუნებით აკეთებს, ვერც კი ხვდები, ისე თავისუფლდება შენი სული მანკიერი მხარეებისგან და ახლად გაფურჩქვნილი ყვავილივით იწყებს გალაღებას.

ჩემი და მამა გიორგის ურთიერთობა მრავალ წელს მოიცავს (სამწუხაროდ, პირველ წლებში ასეთი სიხშირით არ ვესწრებოდი წირვა-ლოცვებს). იყო ის დროც, როცა ტაძარში წირვის დროს სულ რამდენიმე ადამიანი ვიდექით. მამა გიორგი გვანუგეშებდა

და გვეტყოდა ხოლმე: „არ ინერვიულოთ, მალე იმდენნი იქნებით, ტაძარში კი არა, ეზოშიც ვერ დაეტევით და ეს ნაძვები მოსაჭრელი გამიხდებაო“. საბედნიეროდ, ნამდვილად ასეა დღეს, რაც მამა გიორგის უდიდესი ღვაწლის დამსახურებაა. საქართველოს რომელი კუთხიდან არ მოიჩქარის ხალხი, რომ ყოველ კვირას მამაოს აღვლენილ წირვას დაესწროს და მისი ქადაგებები მოისმინოს.

გავიხსენებ ჩემი და მამა გიორგის ურთიერთობის რამდენიმე ეპიზოდს, რომლებიც კიდევ ერთხელ მარწმუნებს მისი დიდი სულიერი ხედვის არსებობაზე.

ეკლესიიდან საკმაოდ შორს ვცხოვრობ. ერთხელ, მე და დედა დაღლილები მივუყვებოდით ტაძრისკენ მიმავალ გზას, თან ვწუწუნებდით. მამაოს სენაკს რომ გავუსწორდით, მამაო გარეთ იყო და მივესალმეთ, მან კი ეზოდან სიცილით გამოგვძახა: „რა იყო, სვანებო, დაიღალეთ?“ (დედა სვანი მყავს და მამაო ასე მოგვმართავს მთელ ოჯახს ხუმრობით). დედას გული აწუხებს და ქოშინით უპასუხა: „მამა გიორგი, ძალიან შორს ვცხოვრობთ და ძლივს ამოვედითო“. მან კი ისევ სიცილით გვითხრა: „ნუ გეშინიათ, მალე მანქანით ივლით“. ეს ნათქვამი ხუმრობად ჩავთვალეთ და გზა გავაგრძელეთ. მცირე მანძილით რომ გავცილდით სენაკს, მოგვაძახა: „ჯიპით, ჯიპით!!!“ დედას დაღლა სულ დაავიწყდა და ეკლესიამდე სიცილით მეუბნებოდა: „ალბათ გათხოვდები და შენს ქმარს ეყოლება მანქანა“. მართლაც, ცოტა ხანში უფლის წყალობით და მამა გიორგის კურთხევით, მანქანა შევიძინე, თანაც ისეთ დროს, როდესაც ჩემი ოჯახისთვის გაჭირვების გამო ყოვლად წარმოუდგენელი იყო.

ერთი პერიოდი ეშმაკი შემიჩნდა და ამეკვიატა ფიქრი, რომელმაც კარგა ხანს არ მომასვენა: „ნეტავი მამაოს წინა აღსარებაზე რასაც ვაბარებ თუ ახსოვს მეთქი?“ რამდენიმე ხნის შემდეგ აღსარებაზე მივედი. როდესაც ჩაამთავრა ჩემი ცოდვების კითხვა, შემომხედა (ისეთი მზერით, დიდი სიყვარული რომ უციმციმებს ხოლმე) და მითხრა: „მომიპარია! მომიპარია!! უფოოო“ (ხელიდან წასული ყაჩაღი არ გეგონოთ). იმ წუთს აღელვებულს არაფერზე მიფიქრია, მაგრამ მოგვიანებით თითქოს თავში ვიღაცამ ჩამარტყა და გამახსენდა ჩემი ცოდვილი ფიქრები მამა გიორგიზე. მივხვდი, პასუხი იყო ჩემს კითხვაზე. მას არათუ ახსოვს ჩვენი წინა ცოდვები, ის თითოეული ჩვენთაგანის სულს ცნობს. ბევრჯერ რაღაც კითხვა მქონია მამაოსთან, მაგრამ მომრიდებია, იმის გამო, რომ ბევრნი ვართ და ძალიან იღლება. სხვას შეიძლება უფრო უჭირდეს და მერიდება შეწუხება, მაგრამ

უფლის წყალობით ქადაგება ყოველთვის იმ საკითხით დაუწყია, რაც მე მაინტერესებდა და აღფრთოვანებულს გულში უფლისთვის მადლობა მითქვამს.

წლების წინ, როცა ციფრული ფოტოაპარატი ახალი შემოსული იყო, მამაოსთან ასეთი ინციდენტი შეგვემთხვა მე და დედას. წირვის დამთავრების შემდეგ თინა ილაურს მიუბრუნდა და ჰკითხა: „სურათები მომიტანე?“ თინა დეიდამ მორიდებით უთხრა: „მამაო, სულ გაფუჭდა, არ გამოვიდა“. მამა გიორგი სიცილით მოტრიალდა ჩვენსკენ და ხელით მიანიშნა: „აბა სვანებს რომ ჰქონდეთ ციფრული, ხომ გადაიღებდნენ ნორმალურ სურათებს და არც გაუფუჭდებათ“. დედამ მორიდებით შეჰკადრა: „რას ამბობთ მამაო, ციფრული აპარატი არ გვაქვს“. მამაომ გადმოგვხედა, ხელი ჩაიქნია და წავიდა. ამ ამბიდან რამდენიმე დღის შემდეგ ბიძაშვილი გვყვავდა სტუმრად. ერთ საღამოს აჟიტირებულმა შემოირბინა ოთახში, სადაც ვიყავით და გვითხრა: „რა მაგარი ციფრული გქონიათ!“ „რა ციფრული!?“ ყველა გაკვირვებული ვუყურებდით. „კომოდის უჯრაში დევს“ - თქვა და გამოიტანა. გამახსენდა, სამსახურში ვიღაცამ მოიტანა, ევროპიდან გამომიგზავნეს, სულ ახალია, მაგრამ ფული მჭირდება და ძალიან იაფად ვყიდიო. მაშინ ზუსტად არ ვიცოდი, რა იყო, ან როგორ გამომეყენებინა, მაგრამ იმდენად იაფად ყიდდა, გამოვართვი, მოვიტანე, ჩავდე უჯრაში და აღარც გამხსენებია. გაკვირვებული მივუტრიალდი ბავშვს და ვკითხე: „დარწმუნებული ხარ, რომ ციფრულია?“ ის დამეთანხმა და მე გაოგნებული მივუტრიალდი დედას: „აი, თურმე რა ციფრულზე გვეუბნეოდა მამა გიორგი“.

უამრავი რამის მოყოლა შემიძლია მამა გიორგიზე, მაგრამ მეტად აღარ გავკადნიერდები, ჩვენ რამდენიც არ უნდა ვადიდოთ, ის უკვე უფლისგან არის რჩეული. მას თავად წმიდა ნინომ უწოდა ამომამვალი ვარსკვლავი, როდესაც მამა იოანე ოლარს საქართველოსკენ მომავალს თვითმფრინავში გამოეცხადა (წიგნი „ფეხითმოსიარულე“) და ამით ყველაფერია ნათქვამი.

დღეგრძელი გვიმყოფოს უფალმა და დედა ღვთისმშობელმა ჩვენი საყვარელი მამა გიორგი!

მაია კევლიშვილი
გიორგიწმინდა
(მამა გიორგისთვის ,,სვანი”)
ტელ.595 63 54 82

მოგონებები მამა გიორგი პავლოვზე - უხილავი კავშირი სულთა!

მამა გიორგის შესახებ პირველად ემიგრაციაში ყოფნის დროს შევიტყვე. მახსოვს, ნაცნობი მიყვებოდა: „გიორგიწმინდაში ერთი ბერის გარშემო დიდი სასწაულები ხდებაო“. შემდეგ ინტერნეტში შემთხვევით ვნახე მამა გიორგი საკუთარ სახლში მრევლთან ერთად, თუ როგორ უმასპინძლდებოდა და დიდ დროს უთმობდა მათ, მაშინ ვინატრე: „როგორ ახლოსაა მრევლი მოძღვართან, ნეტავ ჩემი მოძღვარი იყოს მეთქი“.

საქართველოში ჩამოსვლისთანავე მონატრებული სურვილით გავწიე მოსალოცად მასთან. ვიყავით 3 ადამიანი, ხილი, ჩაწერილი წირვების კომპიუტერული დისკი მამაომ მხოლოდ მე მაჩუქა, ალბათ მან წინასწარ იცოდა, რომ მისი მრევლის წევრი გავხდებოდი, ხოლო ჩემს მარიამს შოკოლადი აჩუქა და სახსოვრად ფარანი. ამის შემდეგ წავედი უცხოეთში და იშვიათად, მაგრამ მაინც ვეხმიანებოდი მამაოს და მრევლს, მისი ლოცვა ჩემი განსაცდელებისათვის ღმერთამდე აღწევდა და მიფარავდა, უცხოეთიდან დაბრუნების შემდეგ კი გადავწყვიტე, რომ მამაოს მრევლის წევრი გავმხდარიყავი, რადგან გული მთხოვდა უკვე ამას. მახსოვს, მისი სენაკის აივანზე ვისხედით და ვსაუბრობდით, წამოსვლისას ვლოცულობდი „ღმერთო, ნეტავ ისე არ გამომიშვას, თავისი ფოტო რომ არ მომცეს მეთქი“. მომიბრუნდა და მითხრა: „შენ მამა გიორგი ცხოვრებაში არ გყავს ნანახი ხომ?“ „არა, მეთქი“-ვუპასუხე. ზუსტად ამას ვდარდობდი ხოლმე გულში, რადგან მამა გიორგი ბასილაძე მრავალჯერ დამხმარებია თავისი ლოცვით და ეს გვიან გავაანალიზე, მამა გიორგი პავლოვმა თავისი სენაკიდან გამომიტანა ფოტო, რომელზედაც დიდხანს ვოცნებობდი; იქ არიან აღბეჭდილნი მამა გიორგი პავლოვი, მამა იოანე ოლარი და მამა გიორგი ბასილაძე. მამაოს შევხედე და თითქოს ენა ჩამივარდა. მან ხომ ჩემი ნატვრა და ფიქრები ერთი შეხედვით წაიკითხა.

მახსოვს, პირველი წირვის წინ როგორ მითხრა „სკამი მოიტანე და აქ დაჯექიო“. მივხვდი, მრევლს აცნობდა ჩემს თავს, ყველანი მესანთლის მაგიდის გვერდით, ღუმელთან იყვნენ შეკრებილნი, წირვა ჯერ დაწყებული არ იყო, ვფიქრობდი - როგორ ერთი ოჯახივით არიან ყველანი მეთქი. ამ ფიქრებში ვიყავი გართული, რომ ჩემი ყურადღება მიიქცია მესანთლის თავთან უკანა კედელზე, მამა გაბრიელის ხატმა,

რომელიც ძალიან მიყვარს და გავიფიქრე „მესანთლე ლიას როგორ ჩამოუკიდია მეთქი მამა გაბრიელის ხატი თავთან, თან ვხარობდი. ამ დროს მამა გიორგიმ მამა გაბრიელის ხმით ჩაიმღერა, მე სახტად დავრჩი და ამავე დროს მადლიერი ვიყავი, რადგან მამა გაბრიელის მონატრება ვიგრძენი.

ერთ დღესაც წირვაზე მისული შევჩერდი ტაძრის ეზოს კართან და ვფიქრობდი თავსაფარი იქვე დამეფარებინა თუ არა, თან გულში ვფიქრობდი: „მამაომ შლაპით არ დამინახოს, რომ შევალ -სირცხვილია და ხალხშიც უხერხულობას გამოვიწვევ მეთქი“. შევედი ტაძარში თავსაბურავით, შლაპა ჩანთაზე ჩამოვკიდე. ამ დროს მამა გიორგი გამოვიდა საკურთხევლიდან, ჩამოჯდა სკამზე, ჩემი შლაპა აიღო და დაიფარა, ალბათ სამჯერ გაიმეორა ეს მოქმედება და ასე მითხრა „ამ ქუდს კურთხევა აღარ უნდა, ნაკურთხიაო“.

კიდევ იყო ასეთი შემთხვევა, მინდოდა მამაოსთვის მეთქვა: „დაბადების დღე ვერ მოგილოცეთ მამაო და ეხლა გილოცავთ მეთქი“, ნაცვლად ამისა, გასული ახალი წელი მივულოცე, და მითხრა: „შენ კიდევ რა იცი კაცო დაბადების დღე რომ მქონდა და რა დროს ახალი წელიაო?“. ერთხელ მრევლის ერთ წევრს ტორტი გაატანა მამაომ საჩუქრად. გულში გავიფიქრე: „მამაოსთან მოაქვთ და ის კი აქეთ ხალხს ატანს სახლში მეთქი“. მან კი მშვიდად ჩაილაპარაკა „ხალხს ჩემთვის მოაქვს და მე კიდევ ისევ ხალხს ვატანო“.

ასეთი ღვთისგან კურთხეული, ნამდვილი მღვდელია მამა გიორგი პავლოვი, მან კარგად იცის ჩვენ რას ვფიქრობთ, მე პირადად და ჩემი ოჯახი მრავალჯერ გვიხსნა განსაცდელისგან. საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ მისთვის მანძილი, დრო და სივრცე არ არსებობს, ის ჩვენს მაგივრადაც ფიქრობს, ჩვენს ცოდვებს თავისი სხეულით დაატარებს და გვამზადებს სასუფევლისათვის.

ღმერთმა დალოცოს მამა გიორგი პავლოვი!

ლალი ლომიძე
მადრიდი
ტელ. 632 99 76 35

„ის სულიწმიდის მადლის მქონეა“

ჩემი მამა გიორგი უფრო მეტია ჩემთვის ვიდრე „მამაო“. ის ჩემთვის სამშობლოა, რადგან მას ყველაზე მეტად სტკივა ჩვენი ქვეყნის გასაჭირი.

ის სიხარულია ჩემთვის, მისი სითბო და გულიანი ღიმილი მავსებს მადლით და სიხარულით.

ის სიყვარულია ჩემთვის, მას ხომ ყველას სიყვარული შეუძლია და ეს ნიჭი ყოველ მის გამოხედვაში იგრძნობა.

ის სულიწმიდის მადლის მქონეა და შეუძლია ყოველ ჩვენს გასაჭირს სალბუნად დაედოს და მოგარჩინოს.

მამა გიორგი ჩემთვის იმედია, იმედი უკეთესი ხვალინდელი დღისა და ისეთ საქართველოში ცხოვრებისა, როგორიც მას უნდა რომ იყოს.

უფალს მადლობას ვეუბნები ყოველთვის, რომ ჩემს მამაოს შემახვედრა და მისი სულიერი შვილი ვარ.

ღმერთო, დიდიხანს გვიმყოფე კარგად, რათა გვიჩვენოს გზა გადარჩენისაკენ... და გვასწავლოს უფრო მეტი... უფლის უსაზღვრო სიყვარული.

თიკო ბასილაშვილი - მგალობელი
ტელ. 577 64 31

თვალებში ამოკითხული სიყვარული

ჩემი ცხოვრების მანძილზე არასდროს არ გამჩენია სურვილი წერისა, მაგრამ გავკადნიერდი და გავბედე. არ შემეძლო არ გამეზიარებინა თქვენთვის ჩემი განცდა პიროვნების მიმართ, რომელის თვალებში ყოველთვის შეიძლება ამოიკითხო თანადგომა და სიყვარული. ეს ადამიანი მამა გიორგია (პავლოვი). ის დიდი ხანია გიორგიწმინდაში მოღვაწეობს. მეც ბევრი სხვასავით

გაუთვითცნობიერებელი ირონიული თვალით ვუყურებდი ზოგადად მღვდლის არსებობას. მჯეროდა ღვთის არსებობის, მაგრამ ძალიან-ძალიან შორს ვიყავი წირვა-ლოცვისაგან. ათასნაირი ფორმით განვიკითხავდი და მოვიხსენიებდი მამაოებს, ყველა ერთნაირი მეგონა. ასე აღგვზარდა წყობამ - სახელმწიფო ინსტიტუტებმა, თურმე რა დიდი დრო დამიკარგია, სად ვიყავი, ვის ფეხისხმას ვიყავი აყოლილი?

ერთ მშვენიერ დღეს, არ ვიცი სხვისი შემხედვარე თუ ჩემი სურვილით, მოვხვდი გიორგიწმინდის (ჩემი მშობლიური სოფელია) ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძარში. მას შემდეგ ჩემს სულიერ და-ძმებთან ერთად ვისმენ წირვა ლოცვას და მეტნაკლებად ჩართული ვარ სამრევლო ცხოვრებაში. ჩავაბარე პირველი აღსარება და ვეზიარე. უჭირს ბოროტ ძალას ლუკმის პირიდან გაშვება (ასე გვასწავლის სახარება და წმინდა წერილები) და განსაცდელმაც არ დააყოვნა, მეხის გავარდნასავით იყო ჩემი სულიერი და-ძმებისთვის ჩემი ოჯახის დანგრევა. თავისებური რეაქცია ჰქონდა ჩემს მამა გიორგის (პავლოვი) მომხდარის მიმართ, დიახაც ეს ასეც უნდა ყოფილიყო, ერთგვარად გული მეტკინა და ამის შესახებ სრულიად სახალხოდ ჩემს ერთ სულიერ ძმას ალექსანდრეს შევჩივლე, ვუთხარი, რომ მე თითქოს მამაოს ვუყვარდი და ცივად შემომხედა მეთქი. მან გაიღიმა და ამიხსნა, რომ მამაოს ასეთი რეაქცია სრულიად სამართლიანი იყო და მითხრა, რომ მამაოს მე ვუყვარდი და ამაში მალე დავრწმუნდებოდი.

ჩავუფიქრდი ჩვენი საუბრის სიღრმეებს და მივედი არაერთ დასკვნამდე. ბევრ რამეში ჩემი გაუაზრებელი ქმედება დავინახე, ისე განსაცდელი ხომ ღვთის მიერ დაშვებული მოვლენაა კაცთა სულის კათარზისისთვის. საფიქრალი მართლაც ბევრი მაქვს.

ისე აგიხდათ ყოველივე სიკეთით, როგორც უახლოეს ტრაპეზზე ჩემი მეგობრის სიტყვები ამიხდა. თითქოს მამაო იმ ტრაპეზზე იყო და გვისმენდა, მან თავისი კეთილი თვალებით შემომხედა და ხმამაღლა განმიცხადა: „გიორგი, შენ ჩემი მეგობარი ხარ და ძალიან მიყვარხარო“. მამაო როდესაც ასეთ რამეში ამ ფორმით გამოუტყდება სიყვარულში თავისი მრევლის წევრს, ის უკვე აბსოლუტური ჭეშმარიტებაა, ეს ხომ ჩემი აღიარებაცაა, თუმცა მაინც ამ სიტყვებმა კიდევ ერთხელ შემომაბრუნა ღვთისაკენ. ცოდვილი ვარ, თანაც იმედი მაქვს რომ ღვთის შეწევნით და მამა გიორგის კურთხევით, ყოველივე თავის კალაპოტში ჩადგება.მამაოსთან ჩემს

მიმართ ძმური სიყვარულის გამოვლინებისა და განსაცდელში მყარი გვერდში დგომის ბევრი ფაქტის დაფიქსირება შემიძლია, მაგრამ ამით თავს არ შეგაწყენთ. მინდა შემოგბედოთ - მამა გიორგის და ჩემს სულიერ და-ძმებს გითხრათ: თქვენი გიორგი ყოველთვის თქვენთან იქნება ღვთის სიყვარულში, - ვენდოთ ჩვენს ღირსეულ მწყემსს. ის ამას იმსახურებს, ის ღირსეულ მამათა შორის ღირსეულია, ის ნამდვილი მამაოა. მიყვარხართ!

გიორგი კანჯარაშვილი
გიორგიწმინდა
593 66 92 32

„...ის სიცოცხლეშივე იყო წმიდანი“

როდესაც დაფიქრდები რას ნიშნავს მოლოდინის განცდა ადამიანის გონებაში და რამხელა სიღრმე შეუძლია დაიტიოს ამ დამოკიდებულებამ. შეიძლება შენს ფიქრს საზღვარი აღარ ჰქონდეს და ამ დროს გესაჭიროება ბრძენი მოძღვარი, რომ ფიქრებმა მორევის ორომტრიალში არ გაგხვიოს და იქიდან გამოსვლა გაგიძნელოს.

თუ გავითვალისწინებთ კაცობრიობის მოლოდინს უფლის მადლის მიღებასთან და მით უფრო მის შეწყალებასთან დაკავშირებით, ალბათ შეგვეძლება ვთქვათ, რომ მოლოდინს დიდი და თამამი მასშტაბები გააჩნია...

აი, ამ მასშტაბებით მოლოდინის განცდა დავინახე მამა გიორგი პავლოვის პიროვნებაში მამულიშვილების ერთობისა და ერთსულოვნების მიმართ და ყველა ქართველის მიერ თავისი წილი მამულიშვილობის შესრულების აუცილებლობის დამოკიდებულებაში.

როდესაც ერთხელ ვკითხე მას, რომ მამაო, რას წარმოადგენს თქვენი შეხედულებით ქართული ერთობის ხასიათი და რა მიზანს უნდა მოემსახუროს იგი მეთქი. უცბად მიპასუხა, რომ ჩვენი სარწმუნოებისა და ეროვნული ფასეულობების შენარჩუნებასო. ამაში უნდა გამოიხატებოდეს ქართული ერთობა უმთავრესად და ამას უნდა იცავდეს ჩვენი ხასიათიო.

მერე ცოტა დაფიქრდა და გააგრძელა:

- ჩვენ ვეტრფით უცხოურ ფასეულობებს და გვავიწყდება ჩვენი ეროვნული ფასეულობები, რაც მთავარი შეცდომაც არის, ცოდვაც არის და უბედურებაცო.. მანამ სანამ ჩვენ არ დავიცავთ ტრადიციულ ჩვენს ზნეობას და ეროვნულ ფასეულობებს, ჩვენი საქმე სულ უფრო და უფრო უკან წავაო...

მაგრამ ამას ჩვენი უფალი იესო ქრისტე არ დაუშვებს და ღვთისმშობლის წილხვედრ მიწაზე მრავალი წმინდანის მოღვაწეობით ეს ბოროტი ძალა განიდევნებაო.

ვერ მოვითმინე და კიდევ შევკადრე შეკითხვა და ბოლოს მთლად გავთამამდი: მამაო, ისინი ვინც ამ მოძღვრებას ქადაგებენ ჩვენთვის, ვინც იღწვის ჩვენი ფასეულობების დასაცავად. მათი ცხოვრება, მათი ღვაწლომოსილება და მათი ეს უნარი არ უნდა გამოაშკარავდეს და ეცნობოს ხალხს-მეთქი. და ცოცხალი წმინდანები თუ არსებობენ-მეთქი?..

გაიღიმა და არც დაყოვნებულა ისე გააგრძელა - როგორ ფიქრობ, სერაფიმე საროველი, მაგალითად, უდიდესი წმინდანი, როდის გახდა წმინდანი - 80 წლის მერე თავისი სიკვდილის შემდეგ?.. როცა ოფიციალურად რუსულმა მართლმადიდებლურმა ეკლესიამ აღიარა წმინდანად?.. არა, ის სიცოცხლეშივე იყო წმინდანი! ან იოანე კრონშტადელი, ან სხვა რომელიმე წმიდანი... მამა გაბრიელი მაშინ გახდა წმიდანი, როცა იგი აღიარა ეკელსიამ წმიდანად? არა, ის სიცოცხლეშივე იყო წმინდანი! თვითონ მაღალმა ღმერთმა თავისი მადლით დაადასტურა თითოეული წმინდანის წმინდანობა სიცოცხლეშივე და იმ ეპოქის საზოგადოება და ხალხი დაიცვა და დაიფარა უბედურებებისგანო. **წმინდანები ყოველთვის იყვნენ, ეხლაც არიან და მეორედ მოსვლამდე მუდამ იქნებიანო. უწყვეტია წმინდანების ჯაჭვი საქართველოში და ყველგან, სადაც არის მართლმადიდებლური რწმენა და ეკლესიაო.**

ყოველთვის, როცა ამ სიტვებს ვიხსენებ, რაღაცნაირად ვგრძნობ და ვხვდები, რომ გავა დრო და იმ უწყვეტი წმინდანების ჯაჭვს, კიდევ ერთი სახელი მიემატება, რომლის მატარებელსაც დღეს ჩვენ ვეხებით, ვიცნობთ და გვიყვარს.

მიხეილ ანდღულაძე
საზოგადოებრივ ორგანიზაციათა გაერთიანება
კოალიცია „ერთსულოვნების“ თავმჯდომარე
თბილისი, ტელ.577 41 42 41

მასთან სულს უხარია

2011 წელს ჩემი დაიკო, მარიკა და ჩვენი საერთო მეგობრები, რუსთავიდან, სტუმრობდნენ თანამედროვეობის ერთ-ერთ უდიდეს მამას - გიორგი ბასილაძეს, მოწამეთაში. **მამა გიორგის მათთვის უთქვამს, აქ რომ დაიარებით, ამ სიშორეს, იქვე, თქვენთან ახლოს, საგარეჯოში, რუსი ბერია, გიორგი პავლოვი და ჩემზე ნაკლები არ გეგონოთ იგიო! წადით და მასთან იარეთო.** (ამ დროისთვის მამა გიორგი ბასილაძე და მამა გიორგი პავლოვი პირადად არ იცნობდნენ ერთმანეთს). მერე ჩემმა მეგობრებმა კითხვა-კითხვით, საგარეჯოს რაიონის სოფელ გიორგიწმინდაში, ღვთისმშობლის შობის სახელობის უძველეს ტაძარში მიაკვლიეს და ესტუმრნენ მღვდელს, მამა გიორგი პავლოვს, რომელიც როგორც თვითონ აღნიშნავს, მამით რუსია, დედით ბერძენი და სულით ქართველი! პირველივე ნახვის შემდეგ ჩემმა დამ, რომელიც ასე სწრაფად, ერთი ნახვით, საოცარი უფლისმიერი სიყვარულით, სითბოთი, პატივისცემით და

სულიერი ნდობით განიმსჭვალა მამა გიორგის მიმართ, მირჩია, რომ აუცილებლად წავსულიყავი და გამეცნო იგი და მითხრა, რომ მასთან ყოფნა და სიახლოვე არა თუ მხოლოდ სასურველია, არამედ, ვფიქრობ, საჭიროა და აუცილებელიც კიო! იმ დროს სულიერი მამა და მოძღვარი არ მყავდა, თუმცა 1989 წლიდან სამი მოძღვარი გამოვიცვალე. სულ ვიღაც განსაკუთრებულის და სულთან ახლო მყოფი მამაოს ძებნაში ვიყავი, ვისაც თავისუფლად ვანდობდი საკუთარ სულს. მესამე მოძღვრისგან იმ მიზეზით წამოვედი, რომ მამა გიორგი ბასილაძის შესახებ დაწერილი წიგნები ვთხოვე, ვიცოდი რომ სახლში ჰქონდა და ფაქტიურად უარით გამომისტუმრა. „გათხოვებდი, მაგრამ წაკითხვის კურთხევას არ მოგცემო!“ ამ სიტყვების გამო, უნებურად, ისე ცუდად გავხდი, რომ მეგონა მიწა გამომეცალა ფეხქვეშ! ამის შემდეგ ვეღარ შევძელი იმ მოძღვართან სიარული და მას ჩემს სულიერ მამად ვეღარ ვთვლიდი.

რუსთაველ მეგობრებსა და ჩემს დას, მამა გიორგი პავლოვთან შემდეგ წასვლაზე მეც გავყევი გიორგიწმინდაში. უდიდესი ინტერესი მქონდა მამა გიორგის მიმართ, მაგრამ ძალიან განვიცდიდი მასთან შეხვედრას და საკმაოდ ვნერვიულობდი, რადგან ვიცოდი და მჯეროდა, რომ მას შეეძლო ჩემი ცოდვილი სულის დანახვა და ამოცნობა, აკი მამა გიორგი ბასილაძემ: **„ჩემზე ნაკლები არ გეგონოთ იგიო“** - თქვა მამა გორგი პავლოვზე. მან კი დამინახა თუ არა - „ეს ვინ მოსულაო“ - ისეთი სიხარულით თქვა და ისე ჩამიკრა გულში, რომ მომენტალურად მომეხსნა დაძაბულობა. როდესაც ჩემმა დაიკომ, მარიკამ, ჩემი თავი წარუდგინა, „მოხვედი როგორც იქნაო?“- მკითხა და ისეთი სითბო და სიხარული ჩააქსოვა ამ სიტყვებს, თითქოს დიდი ხანია მელოდა. მერე ხელი მომკიდა, საკურთხეველთან მიმიყვანა და „მოდი, ახლა, აღსარება ჩამაბარეო“- მითხრა. ცოდვებს, ჩემდა უნებურად და ჩემდა გასაოცრად, დიდი სინანულით და ცრემლებით ვინანიებდი, თან ისეთი ცოდვებიც გამახსენდა, რომლებიც საერთოდ არ მახსოვდა. ასეთი რამ არასდროს არ განმიცდია მანამდე. შემინდო, დამლოცა და როდესაც გამოვბრუნდი, ისეთი შემომარტყა ბეჭებში, რომ მოულოდნელობისგან და შიშისგან ლამის გული გამისკდა. მივიხედე და მამაო იცინოდა.

„ეგეც შენ! ხომ გინდოდაო?“ მართლაც მინდოდა, რომ ასე მომქცეოდა, რადგან **ჩემი მეგობრებისგან ვიცოდი, რომ როდესაც მამაო ვინმეს ბეჭებში შემოარტყამსო, ამ დროს მას ძალას აძლევსო და ბოროტს განდევნის მისგანო.** მიცინოდა მამაო და მეც გამეცინა,

მამა გიორგი პავლოვი, მამა იოანე ოლარი და მამა გიორგი ბასილაძე გიორგიწმინდაში

მაგრამ მთავარი ისაა, რომ მამა გიორგისთან აღსარების შემდეგ ისე მსუბუქად ვიგრძენი თავი, რომ მეგონა გულიდან დიდი ტვირთი მომეხსნა. ასეთი შეგრძნება არასდროს მქონია მანამდე, არცერთი აღსარების შემდეგ. ამავდროულად რაღაც გაურკვეველ, საოცარ სიხარულსა და სულის სიმხნევეს ვგრძნობდი, რაც წირვისას უფრო და უფრო მიმძაფრდებოდა.

წირვის შემდეგ მამა გიორგიმ რუსთაველები თავისთან დაგვპატიჟა

სენაკში და რამდენიმე წუთის შემდეგ, იქვე, ტაძართან ახლოს, პატარა, ერთოთახიანი სენაკის აივანზე მშვენიერი სუფრა გავშალეთ და მამა გიორგისთან ერთად ვიტრაპეზეთ. ეს ჩემთვის რაღაც სასწაული იყო! ვერ ვიჯერებდი, რომ მე, ცოდვილი, მამა გიორგისთან ერთად, მის გვერდით, სუფრასთან ვიჯექი და უფრო მეტიც, მოსვამდა რა ოდნავ, ჭიქით ღვინოს, შემდეგ მე დამიდგამდა და დალიეო, მეუბნებიდა. მეც უსიტყვოდ ვასრულებდი მის კურთხევას და ჩემდა გასაკვირად ოდნავადაც არ მომკიდებია სასმელი. ტრაპეზის შემდეგ დაგვლოცა, სათითაოდ მოგვეფერა და გზაც დაგვილოცა. ჭიშკარში გამოგვაცილა და ჩვეული ხუმრობით მოგვაძახა „მომავალ შეხვედრამდე ეთერშიო“.

მოვდიოდი და ჩემი გული იქ რჩებოდა, მამა გიორგისთან. უნდა აღვნიშნო, რომ დღემდე ასე ვართ ყველა, მისი სულიერი შვილები. გვიჭირს მამა გიორგისთან განშორება, ვერაფრით ვერ ველევით. ზოგჯერ ხუმრობით დაგვიცაცხანებს ხოლმე: „წადით რა, მომშორდითო“ .

იმ დღიდან მამა გიორგი ჩემი სულიერი მამა და მოძღვარია - ჩემი სულის მკურნალი. ასე დავდივარ მასთან ბოლო 7 წლის მანძილზე და ის განცდა და შთაბეჭდილება, რაც მისი პირველი ნახვის და მისი გაცნობის შემდეგ დამეუფლა დღემდე არ გამნელებია!

მამა გიორგისთან, მამა იოანე ოლარის ერთ-ერთი სტუმრობისას მამა იოანემ გვითხრა: **„РАДУЙТЕСЬ, ИБО, ОТЕЦ ГЕОРГИЙ ВОСХОДЯЩАЯ ЗВЕЗДА!“**-ო

მამა იოანესთან ხშირად დავდივარ ხოლმე საჯანმრთელო ლოცვებზე და მასთან ერთ-ერთი შეხვედრისას დიდი სიყვარულით მოიკითხა მამა გიორგი და მითხრა: „გადაეცი მამა გიორგის ჩემგან დიდი მოკითხვა და თაყვანისცემა (паклон) და უთხარი, რომ ძალიან მინდა მასთან წასვლა და მონახულება, მაგრამ „Я как белка в колесе“-ო. მამა გიორგის რომ ვუყვებოდი მამა იოანეს დანაბარებს, მან შემაწყვეტინა სიტყვა და თქვა: „ვიცი, ვიცი, он как белка в колесе“-ო, ზუსტად გაიმეორა მამა იოანეს სიტყვები. მან ნამდვილად იცოდა მამა იოანესა და ჩემი საუბარი. მე კი, ცოდვილი, მიუხედავად იმისა, რომ კარგად ვიცოდი მამა გიორგის სულიერი შესაძლებლობები, მაინც გაკვირვებული ვიყავი ამ ამბის გამო.

ერთხელ მამა გიორგისთან გიორგიწმინდაში, წირვაზე, ერთ-ერთი რუსთაველი ქალბატონი, ნანიკო ანთიძე გამოგვყვა. (ნანასთან ოჯახში სასწაული ხდება. მასთან 5 წელია ბინაში შესასვლელ რკინის კარებს მირონი სდის და თითქმის ყველა ხატს სურნელოვანი მირონი

სდის). მამა გიორგიმ, წირვის დაწყებამდე, ნანას საკუთარი სურათი აჩუქა. **წირვის დაწყებისთანავე სურათს ნანას ხელში, მირონდენა დაეწყო და წირვის დამთავრებისას ნახევრად გაუღენთილი იყო მირონით და სისველისგან დაგრეხილი. მამა გიორგის რომ ვაჩვენეთ, სიტყვა ბანზე აგვიგდო და სიცილით თქვა: „კარგით რა... მერე ვიღაც სულელი დაიჯერებს რომ მამა გიორგის სურათს მირონი სდისო“. არა და სდის, და მერე როგორ?! საღამოსთვის ლამბაქზე დადებული მამა გიორგის სურათი მთლად დასველებულიყო, გაუღენთილიყო და ლამბაქიც გავსებულიყო კეთილსურნელოვანი მირონით. მირონდენა მამა გიორგის სურათზე დაადასტურა ნანიკოს მოძღვარმაც, არქიმქნდრიტმა მიქაელმა (კასრაძე). მამამ ნანიკოს მისი სხვა სურათიც აჩუქა და იმ სურათსაც მაშინვე დაეწყო მირონდენა და დღემდე ორივე სურათს მირონი სდის.**

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ცოცხალი ადამიანის, ამ შემთხვევაში მამა გიორგი პავლოვის სურათებს, აგერ უკვე მესამე წელია მირონი სდის და ასევე თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ 2011 წლის ხარების ბრწყინვალე დღესასწაულზე მამა გიორგის, საკუთარი სურვილით, თავად ესტუმრნენ ისედი დიდი და მადლმოსილი მამები, როგორებიც არიან მამა გიორგი ბასილაძე და დეკანოზი მამა იოანე ოლარი, რომლებიც სასულიერო წოდებით, მოღვაწეობის ვადით, თუ ასაკით მამა გიორგი პავლოვზე უფროსები არიან, მაშინ ეს ყველაფერი შემთხვევითი არ უნდა იყოს და ვფიქრობ ღირს ამაზე დაფიქრება, რამეთუ ყოველივე ეს მამა გიორგის ნამდვილ, ჭეშმარიტად დიდი სულის მქონე, უდიდეს პიროვნებაზე მეტყველებს!

უსასრულოდ შეიძლება მამა გიორგის შესახებ საუბარი. **იგი საკმაოდ თავმდაბალი, უბრალო, უშუალო, მისი მრევლის ნებისმიერი წევრის მიმართ ერთნაირად მზრუნველი, მოსიყვარულე, ყურადღებიანი, გულისხმიერი, ქველმოქმედი და გაჭირვებულთა უანგარო შემწე, კეთილი, ყველას იმედი, ჭეშმარიტი პატრიოტი, უდიდესი უფლისმიერი მადლისა და ძლიერი სულის მქონე, თბილი, ტკბილი, დაფარულში დიდ ღვაწლში მყოფი, ნამდვილი მოძღვარია!** ეს მოკრძალებული დახასიათებაა ჩემი ძვირფასი მოძღვარისა, ჩემი სულის მებაირაღისა და მალამოსი, მღვდელი, მამა გიორგი პავლოვისა. მასთან ურთიერთობა სულის ზეიმია. მასთან სულს უხარია!

ხათუნა ტყეშელაშვილი
თბილისი ტელ.599 09 99 27

ის ჩვენი დროის ცოცხალი გმირია, რომლისთვისაც სახელი ჯერ არ მიუნიჭებიათ

მამა გიორგი მშობელივით მიყვარს, ის განსაკუთრებული ადამიანია და ყველა ვინც მას გაიცნობს არაჩვეულებრივი სიამოვნებით გაუნათდება სული.

მამა გიორგისთან ძმის სიკვდილის შემდეგ დაუძლურებული, დაღლილი და დარდისგან განადგურებული მივედი. მან ფრთხილად აღმადგინა ტანჯვისაგან, მასწავლა განსაცდელების დათმენა, ცოდვათაგან განშორება და ნამდვილი ქრისტიანული ცხოვრება.

ყოველდღიურად მეტად ვრწმუნდები მის სულიერ ძლიერებასა და ნიჭში. **იგი ჩვენს ცხოვრებაში მიუწვდომელი ხილული სასწაულია, მისგან უამრავი დადებითი ენერგია მოედინება, ეს ნამდვილი სიყვარულია, რომელიც აღგვამაღლებს და ღვთისკენ გვიბიძგებს.**

მამა გიორგის ქველმოქმედებას საზღვარი არ გააჩნია. ვერ გაიგებ როდის, ვის, რითი გაგვახარებს. ის ჩვენი დროის ცოცხალი გმირია, რომლისთვისაც სახელი ჯერ არ მიუნიჭებიათ.

მთავარია სურვილი და მამა გიორგი ყურადღებით მოგისმენს, დარდებს გაგიქარწყლებს, ცოდვების ჩამორეცხვაში დაგეხმარება, დაგლოცავს და ღვთის გზაზე დაგაყენებს.

მე ღმერთს მადლობას ვწირავ, რომ მამა გიორგის სახით დედამიწაზე გამოგზავნა მადლიანი ადამიანი, ჩვენი სულების მაცოცხლებლად და მასაზრდოებლად. უფალმა დიხანს გვიცოცხლოს მისი თავი, თავისი უამრავი სასწაულებით, რომლებიც უხვად არსებობს ჩვნს გარშემო, ტაძრებსა თუ ოჯახებში... მისი სურათებიდან გადმონადენი მირონი მის სიწმინდეში კიდევ უფრო გვარწმუნებს, სწორედ მისნაირი ადამიანები ადიდებენ უფალს და აამებენ მას თავიანთი სათნო საქმეებით და ხალხსაც აახლოებენ ღმერთთან.

მამა გიორგი ჩემს ცხოვრებაში არსებული უმთავრესი ნათელი წერტილია, რომლისგანაც წამოსული სინათლე მათბობს, მასაზრდოებს, მაცოცხლებს და მომავალი ცხოვრებისთვის მამზადებს, დიდება და მადლობა უფალს ყოველივესთვის!

თეა გოგრიჭიანი-მეკოკიშვილი
საგარეჯო, სოფ. გიორგიწმინდა
ტელ. 577 05 13 56

უამრავი სიკეთის მატარებელი მოძღვარია მამა გიორგი

დიდ მადლობას ვწირავ უფალს, რომ გავიცანი მამა გიორგი პავლოვი. იგი ჩემს ცხოვრებაში ყველაზე რთულ დროს გამოჩნდა; მაშინ სასოწარკვეთილი ვიყავი და კეთილი მრჩეველი, რომელიც მართალ გზას მიჩვენებდა, ძალიან მჭირდებოდა. მისმა სუფთა სულმა, გულში ჩამწვდომმა დამრიგებლურმა საუბარმა უმალ გამითბო გული. გავხდი მისი მრევლის წევრი და დღითიდღე ვხედავდი, რომ ის დამრიგებლური ქადაგებები, მხოლოდ სიტყვები კი არ იყო, ეს იყო გაწვდილი ხელი შეჭირვებულთათვის, დაპურება უამრავი ადამიანის. მივხვდი, ეს იყო ნამდვილი სუფთა სულის მოძღვარი, რაზეც ერთი წელი ვლოცულობდი და უფალს შევთხოვდი გამოეჩინა ჩემთვის სუფთა სულის მოძღვარი. უფლისადმი ლოცვამ არ დააყოვნა და აღმოვაჩინე, რომ საგარეჯოს რაიონის სოფელ გიორგიწმინდაში მოღვაწეობდა მამა გიორგი პავლოვი. მცირე დროში დავინახე მისი დიდი ღვაწლი, მისი დახმარება შეჭირვებულთათვის, მრევლისთვის, ნაცნობისთვის თუ უცნობისთვის.

ოცი წელია მრევლი ვარ და პირველად მის ტაძარში მივიღე საჩუქრად ლოცვის წიგნები. უამრავი სიკეთის მატარებელი მოძღვარია მამა გიორგი. დღეს ძალიან ბედნიერი ვარ, რომ უფლის შეწევნით მყავს ასეთი ძვირფასი, სუფთა სულის მოძღვარი და ვიცი მამა გიორგის დახმარებით მართალ და ჭეშმარიტ ქრისტიანულ გზას ვადგავართ მე და ჩემი შვილი გიორგი, რომელიც თერთმეტი წლისაა და მამა გიორგის უამრავი სიკეთის მხილველი გახდა. მამა გიორგიმ გულში ჩაიკრა გიორგი, დალოცა, აცხო ხატებიდან მომდინარე მირონი და მისი ლოცვით დღესდღეობით გიორგი კარგადაა. ყოველ დღე მადლობას ვწირავთ უფალს ასეთი ღვთისნიერი მოძღვრისთვის...

ირმა ინაშვილი
თბილისი
571 08 97 20

საქართველოს მამა გიორგისნაირი ადამიანები ბევრი ჰყოლოდეს

სიმღერა - ეს არის ჩემი ოცნება, მე ხომ მომღერალი მინდოდა ვყოფილიყავი, მაგრამ... ჩემი ოცნება მაშინ ახდა, როცა ჩვენს ეკლესიაში დავიწყე სიარული. თავდაპირველად ვერ ვგალობდი, მაგრამ მივიღე კურთხევა მამა გიორგისგან, მას შემდეგ ჩემი უპირველესი მოვალეობა საეკლესიო გალობა გახდა.

მამა გიორგი - ეს არის ადამიანი, რომელმაც იცის სოფელში და არა მარტო სოფელში, ვინ როგორ ცხოვრობს, როდის უჭირთ, როდის ულხინთ, ის ხომ ყველას სულიერი მამაა, გაჭირვებულს გაამხნევებს, დაარიგებს და მისთვის ლოცულობს.

ჩემთვის ვინ არის?- სულიერი მამა. მისი სიტყვა და ლოცვა ჩემთვის წამალია, დარიგებაა, მომავლის იმედია.

ყველას ერთნაირად გვიყვარს დიდს თუ პატარას. მასთან თავს ყველა თავისუფლად ვგრძნობთ. მკაცრია წირვა-ლოცვის დროს, მაგრამ შემდეგ კი - მეგობარია.

ვისურვებდი ჩვენს საქართველოს მამა გიორგისნაირი ადამიანები ბევრი ჰყოლოდეს. მაშინ აღარ იქნება შური, ბოროტება, ერთმანეთის ჩაგვრა. იმედია ეს დღეც მალე დადგება. ჩვენს ეკლესიაში მრევლის რაოდენობა ისე იზრდება, რომ მალე ეზოც აღარ გვეყოფა.

დიდხანს სიცოცხლე, ჯანმრთელობა და მრევლის სიყვარული არ მოკლებოდეს ჩვენს საყვარელ მამა გიორგის!

გულიკო ჯამალაშვილი
საგარეჯო, გიორგიწმინდა
ტ.557 18 10 13

მამა გიორგი პავლოვი მამა გიორგი ბასილაძის სენაკში მისივე კვერთხით. მამა გიორგი ბასილაძის თქმით ეს კვერთხი წმიდა ალექსი ბერის ნაქონია და მას მთავარანგელოზმა გადასცა.

მამა გიორგი ერთ-ერთი უძლიერესი სულიერი ხედვის და ძალის მღვდელმსახურია

2016 წლის ზაფხულში, მქონდა განსაცდელის პერიოდი და ხშირად დავდიოდი წმინდა მამა გაბრიელის მოწაფე ბერ ნიკოლოზ მაქარაშვილთან. რის შემდეგაც მოვხვდი მამა გიორგი პავლოვთან, მადლობა ღმერთს რომ ამ ღვთისმიერი მოძღვრების მადლი შეეხო ჩემს სულს. მამა გიორგი არის უდიდესი მადლისა და სიყვარულის მატარებელი, რომელსაც ერთი შეხედვით ეტყობა რომ ჩვეულებრივი რიგითი მღვდელი არ არის და მასში იგრძნობა დიდი სითბო, სიყვარული და ძალა.

მამა გიორგიმ შემცვალა როგორც პიროვნულად, ასევე სულიერად. ამარიდა ბევრი განსაცდელი. პირადად ჩემთვის მამა გიორგი უდიდესი პიროვნებაა. უსაძღვროა ჩემი მადლიერება მამა გიორგისა და მამა ნიკოლოზის მიმართ. მამა გიორგი ერთ-ერთი უძლიერესი სულიერი ხედვის და ძალის მღვდელმსახურია.

მამა გიორგისთან დაკავშირებით ბევრი სასწაული გადამხდა თავს. ერთ მათგანს მოკლედ მოგითხრობთ. ერთ დღეს ერთ პიროვნებაზე ძალიან გაბრაზებული ვიყავი და მივწერე არასასიამოვნო სმს-ი. მეორე დღეს შევხვდი მამა გიორგის, რომელმაც შემომხედა და მითხრა: ეგ სმს-ი რამ მიგაწერინა, გრცხვენოდესო. ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა. ჩემი ახლობლის ბავშვი იყო ძალიან ცუდად. ექიმები ეუბნებოდნენ რომ ამ ბავშვის გადარჩენის იმედი არ ჰქონდათ. ამ ამბის შესახებ ვუთხარი მამა გიორგის. მამა გიორგიმ იმედი მოგვცა, რომ ყველაფერი კარგად იქნებოდა. რამოდენიმე დღის შემდეგ ჩემმა ახლობელმა დამირეკა და მითხრა, რომ ბავშვი სახლში ჰყავდა, კარგად იყო და უნდოდა ზიარებაზე წამოეყვანა მამა გიორგისთან. ჩამოიყვანა მამა გიორგისთან და მამაომ აზიარა ბავშვი. მამა გიორგიზე კიდევ ბევრი მაქვს სათქმელი, მაგრამ სამწუხაროდ ყველა გრძნობა ენით აღუწერელია. ის სიხარული და უსაზღვრო სიყვარული რაც მე განმიცდია მამაოსგან და რასაც განვიცდი ყოველი შეხვედრის დროს. მინდა ვუსურვო მამა გიორგის ჯანმრთელობა, დიდხანს სიცოცხლე, გამძლეობა და მალე გამთლიანებულ საქართველოში ცხოვრება. მადლობა უფალს რომ საქართველოში არსებობს ისეთი ძლიერი მოძღვარი როგორის მამა გიორგი პავლოვია.

დიდი სიყვარულით, გურამ გიორგაძე
თბილისი ტ. 597-505506

წირვის დასრულებამდე
მამა გიორგის სურათი მირონით დაიცვარა

2013 წელს რუსთავის ეკლესიის მრევლის ერთ-ერთმა წევრმა შემომთავაზა მოსალოცად წავსულიყავი საგარეჯოში, გიორგიწმინდაში, ღვთისმშობლის შობის ტაძარში. წირვის დაწყებამდე ეზოში მრევლთან ერთად იჯდა მამა გიორგი, ძალიან ვიყავი აღფრთოვანებული, რომ მოვხვდი ასეთ წმინდა ადგილას. მოულოდნელად აღმოვჩნდი მამა გიორგის გვერდით სკამზე. ქალბატონმა მარინემ მრევლს საჩუქრად დაურიგა მამა გიორგის ფოტოები, ერთი მათგანი მეც მომცა. წირვის დროს ეს ფოტო ჩახუტებული მქონდა. წირვის დასრულებამდე მამა გიორგის სურათი დაიცვარა. მას მირონის წვეთები შევამჩნიე, ვუთხარი ეკლესიაში მყოფ მომლოცველებს. ეს სასწაული, ჩვენს თვალწინ მომხდარი,

მირონდენა ქ-ნი ნანიკო ანთიძის ოჯახში

ყველამ ღვთის მადლად და წყალობად ჩავთვალეთ. მამა გიორგისაც ვაჩვენეთ ეს მირონმდინარე ფოტო. მას თითქოს არც კი გაკვირვებია, რადგან იცოდა, რომ ჩემს ოჯახში მირონმდინარე ხატები მყავდა და სახლის მთავარ შესასვლელ რკინის კარსაც მირონი სდიოდა. ჩემი მოძღვარი - არქიმანდრიტი მიქაელი რომელიც უსინათლო იყო, კარებთან მოსვლისთანავე გრძნობდა მადლს, რომელიც არა მხოლოდ ჩემს ოჯახზე ვრცელდებოდა, არამედ მთელს კორპუსზე. იგი უსინათლო იყო ფიზიკურად, სულიერად კი განსპეტაკებული. მომიყვა, რომ მამა გიორგისთან სტუმრობის დროს, წირვის შემდეგ კელიაში ორჯერ მიუპატიჟებია მამა გიორგის. **აღფრთოვანებული მიყვებოდა მამა გიორგის შესახებ, თუ რა დიდი ნიჭით დააჯილდოვა იგი უფალმა და მირჩევდა, მეც მივსულიყავი მასთან მოსალოცად.** მამა მიქაელს ჩემთან სტუმრობის დროს გავანდე თუ როგორ მივედი უფალთან. ვთვლი რომ ეს თქვენც უნდა იცოდეთ. ჯანმრთელობის გაუარესების გამო დათრგუნული ვიყავი. გამოცხადება ვიხილე უმწეო მდგომარეობაში. ბერი გაბრიელის საფლავთან ვიყავი დაჩოქილი და ვლოცულობდი. **საფლავიდან მომესმა ხმა, ბერი გაბრიელი**

მამა გიორგი პავლოვი, აწ განსვენებული მამა მიქაელ კასრაძე და ქ-ნი ნანიკო ანთიძე

მამხნევებდა - შვილო, იარე ჩემს საფლავთან, უფლის გზაზე და მე ვაჩვენებ ყველას შენი საშუალებით, თუ რა დიდებულია უფალი. დილით თავზე თმამ დამიწყო ამოსვლა და დღემდე არ შემიმოკლებია, რადგან ვთვლი რომ ეს საჩუქარია ბერი გაბრიელისგან. სახლის კარზე კი იმ დილით შევნიშნე ჯვრის გამოსახულებით მომდინარე მირონი, რომელსაც (თუ მის მხილველებს ვენდობით) განკურნების ძალა აქვს, რწმენით მოდიან ჩემთან მოსალოცად ავადმყოფები და ჯანმრთელები კვლავ ბრუნდებიან უფლის განსადიდებლად. მამა გიორგის მირონმდინარე ფოტოც საპატიო ადგილს იკავებს ჩემს ოჯახში, რომელიც სამლოცველო სახლის სტატუსს უფრო ატარებს, ვინაიდან ჩემი სულმნათი მოძღვარი თვლიდა ასე.

ნანიკო ანთიძე რუსთავი ტ. 555 27 14 91

მამა გიორგი ნამდვილი მწყემსია

1998 წლის 19 სექტემბერს სოფელ გიორგიწმინდის ღვთისმშობლის შობის ტაძარში აღსდგა ღვთისმსახურება და მღვდლად აკურთხეს მამა გიორგი პავლოვი. ამ დღეს ჩემი დაბადების დღეა და ძალიან ბედნიერი და გახარებული ვიყავი. ამ წელს ჩავირიცხე პედაგოგიურ უნივერსიტეტში და ვერ ვახერხებდი ეკლესიურ ცხოვრებას, ალბათ ჩემი მცირედმორწმუნეობის გამო. 2006 წლიდან ხშირად ვესწრებოდი წირვა-ლოცვებს. ჩვენმა რეგენტმა ელენე გოგიშვილმა შემომთავაზა მგალობელთა გუნდში ჩართვა. ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ მგალობელი გავხდებოდი, მაგრამ ალბათ უფლის ნება ასეთი იყო. ასე უფრო მეტად დავუახლოვდი მამა გიორგის. მასთან ერთად გატარებული რამდენიმე წუთიც კი მადლით, სითბოთი და სიყვარულით მავსებს. ვინც კი გაიცნობს მამა გიორგის, მასთან განშორება ყველას ძალიან უჭირს. **მამა გიორგი ნამდვილი მწყემსია, ყველას სულიერი მდგომარეობა იცის. ყველას ტკივილი მიაქვს გულთან და ევედრება უფალს მათი ტკივილის შემსუბუქებას.** როდესაც ქადაგებს - ყველა კითხვაზე გცემს პასუხს. აღსარების დროს ისეთ სიხარულს მგვრის, რომ ცრემლებით მევსება თვალები.

სიყვარულით გამხელს, დაგამდაბლებს და ამავე დროს მადლით გავსებს. ამას ისე აკეთებს, დრო რომ გადის მერე ხვდები ყველაფერს. გვასწავლის ადამიანებთან ურთიერთობას. ამიტომ, ჩვენი მრევლის წევრებს ძალიან კარგი ურთიერთობა გვაქვს ერთმანეთთან. მამა გიორგი არის მოწყალე ადამიანი. ძალიან ბევრ გაჭირვებულ ადამიანდ ეხმარება. ამით გვასწავლის, რომ ვიყოთ მოწყალენი და თავმდაბალნი.

2014 წელს ჩვენი მედავითნე მარინე საგინაშვილი მძიმე სენით დაავადდა. მამა გიორგიმ მითხრა - შენ უნდა ისწავლო მედავითნეობაო. ძალიან შემეშინდა და უარი ვუთხარი. მან კი მითხრა - კურთხევა მოგეცი და აბა შენ იციო. კურთხევა ისეთი ძლიერი იყო, რომ 3 დღეში ვისწავლე კითხვა. მადლობა უფალს და მამა გიორგის რომ დღეს მე ღვთისმსახური ვარ. უფალს და ყოვლადწმინდა ღვთისმშობელს ვევედრები, რომ ჩემი მამა გიორგი სულიერად და ფიზიკურად გააძლიერონ. რომ კიდევ ძალიან დიდხანს ვისმენდეთ ნამდვილ სიტყვას. უფალმა საქართველოს უმრავლოს მამა გიორგის მსგავსი ნამდვილი მწყემსები.

მედავითნე, მგალობელი ნათია მარიდაშვილი
ტ.555 59 09 96

უწმინდესი მაშინვე ხედავდა მამაოში დიდ სიწმინდეს, დიდ რწმენას და დიდ მადლმოსილებას

დიდება და მადლობა უფალს ყველაფრისათვის, მისი წყალობისათვის, იმისათვის რაც ჩემთვის გამოიმეტა.

ჩემი ცხოვრების ურთულეს პერიოდში მომიწია საცხოვრებელი ადგილის შეცვლა. 2000 წელს შევიძინე ბინა მამა გიორგი პავლოვის მეზობლად. არ დამავიწყდება მამა გიორგისთან პირველი შეხვედრა. მე ორშაბათ დილით სამსახურში გავრბოდი, ხოლო მამაო დაღლილი ბრუნდებოდა საგარეჯოდან, სადარბაზოში ძალიან თბილად შემხვდა, გულში ჩამიკრა და მითხრა: „ჩვენი მეზობლობა და მეგობრობა აწი იწყება და დიდხანს გაგრძელდებაო“. ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. არასოდეს მოძღვრისგან ასეთი უბრალოება და სითბო არ მიგრძვნია.

მას შემდეგ დიდი დრო გავიდა და მართლაც მისი დიდი ოჯახის წევრი გავხდი. ძალიან საინტერესოა მისი განვლილი გზა ტაძრამდე, - ობლობაში გატარებული ბავშვობა, მარტოხელა დედის თანადგომა, ფიზიკური მუშაობა, სემინარიაში სწავლის პერიოდი. ჯერ დიაკვნად, მერე მღვდლად კურთხევა, პატრიარქის სიტყვები: „გიორგი, შენი იმედი მაქვსო“. ეს სიტვები პატრიარქს შემთხვევით არ უთქვამს, **ჩვენი უწმინდესი მაშინვე ხედავდა მამაოში დიდ სიწმინდეს, დიდ რწმენას და დიდ მადლმოსილებას.**

ვუკვირდებოდი მისი ცხოვრების წესს. **მამა გიორგი ღვთისგან დაჯილდოვებულია ბევრი დადებითი თვისებით, დიდი სიყვარულის გრძნობით, რომელსაც უხვად აფრქვევს მის ირგვლივ, უსაზღვროდ შეყვარებულია საქართველოზე და ქართველ ხალხზე, გვარით რუსი და სულით დიდი ქართველია. შესანიშნავად იცნობს საქართველოს ისტორიას, ქართულ ტრადიციებს. ტკივა ყველა ქართველის, ყველა ადამიანის სატკივარი და ხარობს მათი სიხარულით.**

გაოცებული ვარ მისი უშიშარი ქადაგებების მოსმენით. ურთულეს პერიოდში, როდესაც მთელს საქართველოში შიში იყო დასადგურებული და ვერც ერთი ერისკაცი და ვერც ეკლესია ხმას ვერ იღებდა, მაშინ მამა გიორგი ამხელდა იმ ბოროტებას და გარყვნილებას, რაც საქართველოს დაატყდა თავს. ჩემს შეკითხვაზე:

„მამაო, არ გეშინიათ?“ - გახედა დედა ღვთისმშობლის ხატს და მიპასუხა: „აი, ჩემი მფარველი“ და არაფრის არ მეშინიაო, და თუ არა მართლაც ღვთის მფარველობა მასზედ, დაუსჯელი არ დარჩებოდა.

არ ვიცი რამდენად მაქვს იმ საიდუმლოებების გათქმის უფლება, რაც მამაოს ირგვლივ ხდება, მაგრამ მაინც შევეცდები რამოდენიმე შემთხვევა გავიხსენო.

პირველად, როდესაც გიორგიწმინდაში ჩავედი, მამაომ მის სენაკში მიგვიპატიჟა, **სენაკი როგორც ნამდვილ ბერს შეეფერება, ძალიან ღარიბულად გამოიყურებოდა, თუმცა იქ საოცარი მადლი იგრძნობოდა, სავსე იყო მირონმდინარე ხატებით. ჩემდა გასაოცრად იატაკზე (რომელიც ცემენტის იყო) რაღაც ლაქები შევნიშნე. მამაომ ჩემი მზერა შენიშნა და მთხოვა იატაკის იმ მხარეს არ გადავსულიყავი. მაშინ ვერ გავბედე მისთვის შეკითხვის დასმა, მეორეჯერ როცა მომიწია გიორგიწმინდაში ჩასვლა, მაშინაც შევნიშნე ზეთოვანი წვეთები იატაკზე, რომლებიც უჩვეულოდ ბზინავდა ცემენტის იატაკზე, ეს წვეთები არ გავდა ჩვეულებრივ წყლის ან ზეთის წვეთს. ჩემი ყურადღება მიიქცია ამ წვეთების ფორმამ, მრგვალად იყო იატაკზე, არ იშლებოდა და ბრწყინავდა. მივხვდი, რაღაც ზებუნებრივ მოვლენასთან გვქონდა საქმე და მამაომაც დამიდასტურა ეს საიდუმლოება. ეს იყო მირონი.** ეს ამბავი მაშინ სულ ორმა ადამიანმა იცოდა, მათ შორის მე უღირსიც გავხდი ამ სასწაულის მოწმე. მირონს სუნი არ ქონდა. ეს იმას ნიშნავდა (როგორც მამაომ ამიხსნა), რომ ეს სასწაული არ გახმაურებულიყო. მეც ვინახავდი ამ ამბავს დიდი ხნის განმავლობაში საიდუმლოდ, სანამ უფალმა არ ინება მისი გამჟღავნება. **წელიწადში ერთხელ მამაო ასუფთავებდა იმ ადგილს და ისევ ამოდიოდა უფრო დიდი რაოდენობით და ასე გრძელდებოდა 12-13 წლის მანძილზე.** მაშინ მივხვდი რა მადლმოსილ მამაოსთან მქონდა საქმე.

მამა გიორგი ძალიან დიდი ლოცვის მადლით არის დაჯილდოვებული. მისი ლოცვით და ღვთის მადლით ბევრი მომაკვდავი გამოჯანმრთელებულა. მახსოვს, მამაოს მეზობლად ახალი გადმოსული ვარ და ერთ საღამოს დამირეკეს, ჩემი მეგობრის შვილს უმძიმესი მშობიარობა ჰქონდა. ბავშვი გადარჩა, მაგრამ დედის (თ.ბ.) გადარჩენის შანსი მინიმალური იყო. რა თქმა უნდა მე მაშინვე ჩავიცვი და გავრბოდი სამშობიაროში, სადარბაზოში გასვლისთანავე ვიფიქრე, მამაოს მაინც დაელოცა მეთქი და მასთან შევედი, მამაომ შეწუხებულმა მომისმინა, დალოცა თ.ბ. და კარი მომიხურა, რაღაც წამებში კარი გააღო და მითხრა: „გადაეცი შენს მეგობარს, შვილი

გადაურჩება და ცოცხალი ეყოლებაო“. მე გაოცებული დავრჩი მამაოს გაფითრებული, არაბუნებრივი და საოცრად დიდებული გამომეტყველებით. მართლაც, მოხდა სასწაული, მამაოს წინასწარმეტყველება ახდა და ჩემი მეგობრის გ.ბ. შვილი გადარჩა - მადლობა უფალს!

ერთი ახალგაზრდა, სახელად ალექსანდრე, ავარიის დროს მძიმედ დაშავდა. კომაში იყო. ხელოვნური სუნთქვის მართვის აპარატზე იყო შეერთებული. სასოწარკვეთილმა მშობლებმა მამა გიორგის დახმარება სთხოვეს და საავადმყოფოში წაიყვანეს ალექსანდრეს დასალოცად. ავადმყოფი აბსოლიტურად უსიცოცხლოდ გამოიყურებოდა, ექიმები გადარჩენის იმედს არ იძლეოდნენ. მამაომ მშობლები ანუგეშა და უთხრა: „მალე ალექსანდრე თავისი ფეხით ჩემს სახლში მოვაო“. მშობლებს ამის დაჯერება ძალიან გაუჭირდათ. მამა გიორგიმ ალექსანდრე დალოცა, პარაკლისი გადაუხადა და ზეთის საცხებლად რომ გადაიხარა, მოხდა სასწაული - ალექსანდრემ ხელი გადმოწია, მამაოს ჯვარს შეეხო და თვალები გაახილა. მშობლების და ექიმების გაოცებას საზრვარი არ ქონდა, და მეტიც, ცოტა ხნის შემდეგ ალექსანდრე მესამე სართულზე ავიდა მამაოსთან მადლიერების გამოსახატავად.

2012 წელს გარდამეცვალა დედა (მამა გიორგის სულიერი შვილი). უზომოდ დამწუხრებულებმა მამა გიორგის ვთხოვეთ შეკვეთილი წირვის ჩატარება, რა თქმა უნდა მამაო დაგვთანხმდა, წირვის დროს მოხდა სასწაული, საქართველოს დიდების ხატთან (რომელიც ტაძრის მარცხენა კედელზე არის დაბრძანებული) კანდელი მთელი წირვის დროს საკმაოდ ძლიერად ირხეოდა. დამთავრდა წირვა და რხევაც შეწყდა, მამაომ დაგვიდასტურა, რომ ეს სასწაული კარგი ნიშანი იყო, რაც დიდი ნუგეში იყო ჩვენთვის.

მადლობა ჩემს მამა გიორგის იმ დიდი თავდადებისთვის, იმ დიდი სითბოს და სიყვარულისთვის, იმ თანადგომისთვის და შემწეობისთვის, ბევრჯერ წაქცეული ფეხზე რომ წამომაყენა და მომავლის იმედი ჩამისახა, რწმენა გამიძლიერა.

ღმერთმა დალოცოს და გააძლიეროს ჩემი საყვარელი მამა გიორგი.

ნინო მკერვალი
თბილისი, ტ.551 883 444

თავისი სიწრფელით და უკიდეგანო სიყვარულით ძალიან მაგონებდა სიყვარულის მოციქულს

„ჩვენ დავშორდით პირველქმნილი ქრისტიანული შემეცნების სიწრფელეს და განათლების მომიზეზებით უმეცრების ისეთ წყვდიადში შევედით, რომ უკვე მიუწვდომლად გვეჩვენება ის, რაც ჩვენი წინაპრებისთვის ნათელი და საცნაური იყო!“ - წერს დიდი სერაფიმე საროველი. არადა სრულიად არაორაზროვნად წერია ახალ აღთქმაში, რომ „სარწმუნოება ეგე თქვენი არა იყოს სიბრძნითა კაცთაჲთა, არამედ ძალითა ღმრთისაჲთა.“ (1 კორ.2,4-5).

„ო, ეს უნივერსიტეტები, რას გასწავლიან თქვენ იქ?“ - კითხულობს სერაფიმე საროველი. ჩემი პასუხი ასეთია: იქ ვივსებით ნახევარცოდნით და დიდი ამბიციებით - არ დავანებოთ სხვას იყოს ჩვენზე ჭკვიანი და ცბიერი. სოკრატე ხომ ერთადერთი იყო, რომელსაც განუზომელმა განათლებამ მხოლოდ თავისი სრული უცოდინარობა შეაგრძნობინა.

განა სასაცილო არაა ადამიანის - ამ შემოსაზღვრული ადამიანის გაამპარტავნება ყოვლად უსაზღვროს წინაშე? ხოდა ეს ამპარტავნება გვაკლებს უფლისმიერ ნათელს და სახლდება მხოლოდ ისეთ ადამიანთა სულში, რომელთაც შიათ და სწყურიათ ღმერთი. მე კი ვიცნობ ასეთ ადამიანს, უფრო სწორად, ჩვენი გადაგვარებული ეპოქისთვის ძალზე არაამქვეყნიურ, ზღაპრულ გმირს, მამა გიორგი პავლოვს. მე ის ასე გავიცანი: საეკლესიო მაღაზიაში შესულმა იქ მყოფ მოძღვარს დალოცვა ვთხოვე. დამლოცა, თავზე ხელი დამადო და უეცარმა ელვამ დამიარა. ამ უჩვეულო შეგრძნებამ მოძღვრის ვინაობის გასარკვევად აღმძრა და მალე ვესტუმრე გიორგიწმინდას. **ეკლესიაში შესული ისეთი სულით აღვივსე, რომ მესანთლეს შევევედრე ჩემთვის მესანთლის, დამლაგებლის ან დარაჯის ადგილი გამოენახათ (გამოგიტყდებით, რომ აქამდე ასეთ თანამდებობებზე ოცნება აზრადაც არ მომსვლია). მრევლიც მოძღვარს გავდა და ეკლესიაც. აქ იყო გულწრფელობა, გულითადობა, უბრალოება, გადამდები აღტაცება - მოკლედ თავი „შინ“ ვიგრძენი და მხოლოდ რამდენიმე საათის შემდეგ „წამოვლასლასდი“ თბილისში.**

ამ დღიდან გიორგიწმინდა ჩემთვის **„ნეტართა კუნძულად“** იქცა და დროდადრო ვეწვეოდი ხოლმე. ერთხელაც, მამა გიორგისთვის ჩემს ტაძარში (იოანე ღვთისმეტყველში) შევიძინე იოანე ღვთისმეტყველის ხატი, ერთი წამით მაგიდაზე დავდე და სანთლის ასანთებად შევტრიალდი. მობრუნებულს ხატი არ დამხვდა, ის საკურთხეველში შეეტანათ საკურთხებლად, ნაკურთხი ხატი ძალიან სველი მეჩვენა და ერთი კვირის მანძილზე აივანზე გამქონდა „გასაშრობად“. ვერ „გავაშრე“, თურმე მირონი მოსდიოდა. ხატი მამა გიორგის მივართვი, **გულში ვფიქრობდი როგორ ყვარებია მამა გიორგი იოანე ღვთისმეტყველს, აბა მე უკვე ორი წელია მაქვს ისეთივე ხატი და ისევ ძველებურად გამოიყურება მეთქი. მალე ჩემს ხატზე გამოსახულება გაჩნდა.**

21 მაისს იოანე ღვთისმეტყველის ხსენების დღეს მისივე სახელობის ტაძარში მისი ხატის წინ სანთლები ავანთე - მამა გიორგი პავლოვს თეთრი (იერუსალიმში თავმომწვარი) სანთელი ავუნთე. ირგვლივ ყველა სანთელი თაფლისფერი იყო და თვალშისაცემი იყო ის თეთრი (ჩვეულებრივი ზომის, სხვა შემთხვევაში 15 წუთში რომ იწვის) მთელი წირვის მანძილზე იწვოდა. წირვის დამთავრების შემდეგ მესანთლეს, რომელიც წირვის განმავლობაში ხატთან იდგა, ვკითხე რა მექნა სანთლისთვის, რომელიც 2 საათი იწვოდა. მისი

პასუხი ჩემთვის მრავლისმთქმელი აღმოჩნდა: „მეც ამდენი ხანი ამ სანთელს ვაკვირდები და ვისაც დაუნთე მასზე მადლი პირდაპირ გადადისო“. მე ვუთხარი, რომ სანთელი მოძღვარს ავუნთე, რომელიც თავისი სიწრფელით და უკიდეგანო სიყვარულით ძალიან მაგონებდა სიყვარულის მოციქულს. „აი, შენ თვითონ გათქმევინა უფალმაო“ - მიპასუხა.

ეს ხილული სასწაულები ამ ერთი წლის განმავლობაში და რამდენი უხილავი?! მოძღვარზე ზეციდან გადმომავალი მადლი მასთან მყოფებსაც გვინაწილდება და გული თავბრუსდამხვევი ნეტარებით და სიცოცხლე კი სასწაულებით ივსება. აქ აეგლიჯა ჩემ გულს კუპრის ლუქი, რომელიც ბოლომდე არ უშვებდა შუქსა და სინათლეს მასში და ამ გამწმენდი ნათლის სიკაშკაშეში საკუთარი უღირსობით შეძრწუნებულმა გულმა ამოხეთქა: **„ფეხი დამადგით, გულზე დამადგით ფეხი ყოველმან!!!“**

აი, ამ ყველაფრის თანაავტორს, იესოს მეგობარს, მის უშიშარ შვილს, გიორგი ბასილაძის დანალოცს, ღვთისმშობლის დედად მაღიარებელს - ყოველ წირვაზე თავგადაკლული გულუბრყვილობით გვახსენებს, რომ „ეს ხომ ღვთისმშობლის მიწაა, არა?“

გიორგი პავლოვს, მისი მრევლის სახელით, რომელთაგან ხშირად მომისმენია, რომ სისხლს დაღვრიან მისთვის, მადლობას ვუხდით, დიდი სიწმინდის, დიდი სიყვარულისა და ღვთისკაცობისათვის და ვუსურვებთ, არასოდეს დავარდნილიყოს მისი აღელვებული, გულისგულიდან ამოხეთქილი სიტყვა სიპ ქვაზე, არამედ თავისი ცოცხალი გრძნობის სიმახვილით შეჭრილიყოს გარშემომყოფთა გულებში, გაეწმინდოს ისინი ქვენა გრძნობების, კარგად მოფიქრებული ეგოიზმისა და ყოველგვარი უგვანობისაგან, რომელსაც ასე უხვად გვთავაზობს სიყალბითა და წვრილმანებით გატაცებული ჩვენი ეპოქა. გაეხსენებინოს მათთვის ადამიანის უკეთესი დანიშნულება, საიდან მოდის კაცი და საით უნდა მიდიოდეს იგი. ჩაესახლებინოს თავის დიდ გულში მყოფი მზის სხივები მათ გულებშიც, რათა მხოლოდ ერთი ღაღადისი ამოხდომოდეთ: „უფალო იესო ქრისტე, ძეო ღვთისაო, შემიწყალე მე ცოდვილი!“ და გულმომბალ უფალს კი უხვი მადლი გადმოეღვაროს თავისთან დაბრუნებულ უძღებ შვილებსა და თავისი დედის კურთხეულ მიწაზე.

მზია ხელაშვილი
ფილოლოგოსი, ტელ.595 65 97 96

ბედნიერია დეიდა რიმა, ქვეყანას ასეთი დიდი შვილი რომ აჩუქა

მე, რუსუდან დარჩია ვცხოვრობ ბათუმში. დავდიოდი მოწამეთაში მამა გიორგი ბასილაძესთან, დიდ მამასთან და თურმე სანამ მამა გიორგის ვნახავდი რა გაუნათლებელი ვყოფილვარ და თავი მორწმუნე მეგონა. არც ახლა ვარ არაფერი. უბრალოდ ადამიანების გარჩევა მასწავლა და სულ გვიამბობდა ნამდვილ მამებზე. არ ვიცოდი ვინ იყვნენ ეს დიდი და ნამდვილი მამები. თითებზე ითვლიდა, მაგრამ სახელებს არ ამბობდა, თვითონ გამოიცნობთ თავმდაბლობით და დიდი სიყვარულითო. აგრეთვე საქმეებითო. შემდეგ მე აღმოვჩნდი მლოცველების ჯგუფში და ამ ჯგუფს სახელად „ლაზარე“ დაერქვა.

დაიდო ამ ჯგუფში მამა გიორგის სურათი ხელგაწვდილი და აი საოცრება, შეხედვისთანავე დავიწყე ტირილი. ეს ტირილიც არ იყო, იყო ბღავილი, ბოღმა ყელში და სიტყვა ვერ ამოვთქვი.

მიმზერდა ახლობელი, ნაცნობი, მშობლიური დიდი სიყვარული, სითბო და დიდი შიში. მთელი ღამე არ მძინებია. მინდოდა მისი ნახვა.

ვერ ვახერხებდი, მაგრამ უფალმა ინება და გიორგი ბასილაძის წლისთავზე შევხვდი. ჩემთვის საყვარელ და დიდ მამას - მამა გიორგი პავლოვს.

ვერ გადმოგცემთ ამ გრძნობას. ეს არ აღიწერება. ეს შიგნით დუღს და წვავს .

ვტიროდი და მინდოდა გულში ჩამეკრა.

ამდენის უფლება სად მაქვს, მე ცოდვილს.

ახლოს მისვლაც მერიდებოდა. ვიდექი უკან კუთხეში და ისე ვუმზერდი.

თვითონ მიმიყვანა და დამასაჩუქრა, ბევრი საჩუქრები გამომატანა და სიკვდილამდე მექნება.

ერთმა საჩუქარმა კი სასწაული მოახდინა.თავისი ხელით ნაჩუქარი მამა გიორგი ბასილაძის, იოანე ოლარის და მამა გიორგი პავლოვის სურათს მირონი გადმოუვიდა. ეს იყო სასწაული.

სულ მენატრებოდა და ისევ მინდოდა ნახვა საყვარელი მამის. მომეცა ისევ ეს ბედნიერება და ჯგუფთან ერთად საგარეჯოში ვეწვიე მამა გიორგის. არასდროს არ დამავიწყდება ის ბედნიერი დღე, მისი თბილი შეხვედრა, მოფერება. გულში როგორ ჩამიკრა.

სუფრა გაგვიშალა და მთხოვა მის გვერდით დავმჯდარიყავი.

სადღეგრძელო რომ წარმოსთქვა, ჭიქა მე გადმომცა და მითხრა: „დალიე!“

გაოგნებული ვუყურებდი და ასე 3 ჭიქა მომაწოდა და დამალევინა.

რა დამავიწყებს ამ დღეს. მის გამასპინძლებას. რა დიდი სიყვარული და სითბო იფრქვევა ამ ღვთიური მამისგან - იდუმალი, გამოუცნობი, თბილი, საყვარელი და საშიში.

მე ვინ ვარ. ერთი ცოდვილი, მოკვდავი ადამიანი. მაგრამ ამ მამაში ვხედავ ზე ბუნებრივ ძალას და სიდიადეს. არ ვიცი როგორ ავხსნა დიდი სიყვარული და დიდი შიში.

წამოსვლა არ მინდოდა. მიჭირს ასეთ ადამიანთან განშორება.

წამოვედით და წამოვიღე დიდი მადლი, სიყვარული და სითბო. ადამიანისგან, რომელიც უფლის სამსახურში დგას და პირნათლად ასრულებს უფლის სახელის განდიდებას და წარმოჩენას ხალხთან.

შეგაყვარებს უფალს და დაგანახებს, რომ გინდა გახდე უფლისმიერი. განეშორო ყველა ბოროტს და იწყო ახალი ცხოვრება. მიემსგავსო და გახდე ისეთივე საყვარელი, სათნო, სტუმართმოყვარე, გიყვარდეს მოყვასი და დაიწყო განღმრთობაზე ფიქრი.

ბედნიერია დეიდა რიმა, ქვეყანას ასეთი დიდი შვილი რომ აჩუქა. მადლობა და დიდი პატივისცემა ამ ქალბატონს.

მამა გიორგი ძალიან მიყვარხარ და მეამაყები. დაგლოცოთ უფალმა!

რუსუდან დარჩია
ბათუმი. 26 მაისის ქუჩა 122
ტ 568 70 07 58

მადლი და წყალობა უფლისა!

„ითხოვდეთ და მოგეცეთ თქვენ, ეძიებდეთ და ჰპოვოთ, ირეკდით და განგეღოს თქვენ“

(მათე.7.7)

მინდა მოგითხროთ ჩემსა და ჩემს შვილზე გარდამოსული სასწაული, ჩვენი საყვარელი მამა გიორგი პავლოვის მეშვეობით.

როდესაც მეუღლე საზღვარგარეთ წავიდა სამუშაოდ, ჩემს შვილებთაგან ერთი სტუდენტი იყო, ხოლო მეორე სკოლას ამთავრებდა. არ შევუშინებივარ გაჭირვებას და მეუღლის შორს ყოფნას. იმედი მქონდა, ეს ყველაფერი მალე დამთავრდებოდა, მაგრამ ეს მალე 15 წელი გაგრძელდა, შვილები დავაუკაცდნენ, მაგრამ დედას საფიქრალს და სადარდებელს რა დაულევს. ტყუილად კი არ უწოდებდნენ ჩვენი წინაპრები ქალს „დედაკაცს“. უფლის მადლით სამსახური მქონდა, მე თვითონ ბებიას გაზრდილი ვარ. ბებია მორწმუნე იყო და უფლის სიყვარულიც მან ჩამინერგა. მარტო ჩემს იმედად ძალიან გამიჭირდებოდა, დედაეკლესიის მრევლი გავხდი და უფალს ვავედრებდი ჩემს შვილებს, რამეთუ დედის ლოცვა–ვედრება მთებს შესძრავსო ნათქვამია. **„ნამდვილი მოძღვარი ნახე, სთხოვე ღმერთს და გამოგიჩენს ჭეშმარიტ მღვდელს“** გვასწავლიდა მამა გიორგი ბასილაძე. მეც სულ ძიებაში ვიყავი და უფლის წყალობამაც არ დააყოვნა, რუსთავიდან გიორგიწმინდაში მოვხვდი და გავიცანი მამა გიორგი პავლოვი. იგი პირდაპირ სულში შემოდის, თავისი მართალი სულით, პირდაპირობით. გონების თვალს გიხელს და სულიერად გზრდის. განსაცდელმაც არ დააყოვნა ჩემ თავზე. ჩემმა შვილმა ფეხზე ტრამვა მიიღო, ერთი შეხედვით უმნიშვნელო, მაგრამ სერიოზული განვითარება დაიწყო. ძალიან შემეშინდა. მაშინვე მამა გიორგის მივმართეთ, რადგან ჩემი შვილიც მისი სულიერი შვილია. მამაო ბევრს ლოცულობდა მისთვის, განსაკუთრებით გააძლიერა ლოცვები, რაც ქართველმა ექიმებმა სარკომის დიაგნოზი დაუსვეს და ფეხის მოკვეთა გადაწყვიტეს, ჩემი შვილი არ დათანხმდა ამ ოპერაციას, მამაომ კურთხევა მოგვცა წავსულიყავით თურქეთში გამოსაკვლევად. ყველაფერი მოგვარდა უფლის და ღვთისმშობლის შემწეობით და მამა გიორგის ლოცვით, ჩავიტარეთ გამოკვლევა და ეს მოხდა 28 აგვისტოს ღვთისმშობლობას. დიაგნოზი სულ

სხვა აღმოჩნდა. დაგვინიშნეს ქიმიოთერაპია. ჩვენ ჩამოვედით და დავიწყეთ ქიმიის გაკეთება და თან მამა გიორგის ლოცვა–კურთხევით წირვა ლოცვას არ ვაცდენდით, დავდიოდით ეკლესია-მონასტრებში, ვტოვებდით მოსახსენიებლებს, უძლურებაში მყოფთათვის, ვესწრებოდით მამა იოანე ოლარის ჯანმრთელობის პარაკლისებს, ყინწვისის მამათა მონასტერში, მამა ნაუმთან, ვითხოვდით უფლისაგან და ღვთისმშობლისაგან შვილის განკურნებას. მამა გიორგი ყოველთვის მანუგეშებდა, მოთმინებაში მაძლიერებდა და მეუბნებოდა: „**ყველაფერი კარგად იქნება, ეს გზა გასავლელია, ხშირი ზიარება სულს გააძლიერებს და უფლის წყალობაც არ დაიგვიანებსო“.** მართლაც ორჯერ გავიკეთეთ ქიმია, წავედით შესამოწმებლად და, ცოტა უკეთესობა იყო, დაგვინიშნეს კიდევ ოთხი ქიმია, 4 თვე ძალიან გაგრძელდა, დადგა ისევ წასვლის დრო. ვეზიარეთ, კურთხევა ავიღეთ და წავედით. შედეგი, შედეგი კი არა სასწაული, ყველაფერი უკან დარჩა, IV სტადია გაქრა უკვალოდ, თურქი ექიმი გაკვირვებული იყო, თუმცა ეჭვი არ ეპარებოდა თავის პროფესიონალიზმში. ეს მოხდა ლომისობას, **უფალმა, ღვთისმშობელმა და წმინდა გიორგიმ შეისმინეს მამა გიორგის ლოცვა ვედრება,** ყველას ვედრება ვისაც ჩემი შვილის სახელზე თუნდაც ერთი სანთელი აუნთია და მე ერთი არაფრით გამორჩეული დედა არ გამწირეს და შვილი გადამირჩინეს.

დიდება და მადლობა უფალს ყვეალფრისათვის და ჩემს საყვარელ მამა გიორგის იმ ღვაწლისთვის, რასაც იგი თავისი მრევლისთვის და სრულიად საქართველოსთვის არ იშურებს. გააძლიეროს უფალმა ჩვენს საიმედოდ.

მერი გელაშვილი
რუსთავი
ტ. 593 51 53 86

იქიდან რომ წამოვედით მივხვდით უფრო მეტად გვიყვარდა ერთმანეთი

ყველაფერი იქიდან დაიწყო, რომ მე და ჩემი მეგობრები საპატრიაქოს კონკურსში „ჩვენ ვსწავლობთ ბიბლიას“ ვიღებდით მონაწილეობას. ფინალში ვიყავთ უკვე და ბიბლიის ბოლო წიგნს -„გამოცხადებას“ ვკითხულობდით. მაგრამ მალევე მივხვდით, რომ ამ წიგნში ბევრ რამეს ვერ ვიგებდით. დახმარება მაშინდელ ჩვენს მოძღვარს და ნინოწმინდის დედათა მონასტრის დედებს ვთხოვეთ. ისინიც დაგვეხმარნენ შეძლებისდაგვარად, მაგრამ ახსნილმა ვერ დაგვაკმაყოფილა. ვიცოდით რომ ჩვენს მეზობელ სოფელში

მამა გიორგი პავლოვი და ხატმწერი ნინო მღებრიშვილი

ძალიან კარგი მამა გიორგი მოღვაწეობდა, ბევრ საინტერესო ამბებს ჰყვებოდნენ მასზე და გადავწყვიტეთ დახმარება მისთვის გვეთხოვა. მაშინ დაახლოებით 16 წლისები ვიყავით. ივნისის თვე იყო, ძალიან ცხელოდა. წირვის შემდეგ წავედით გიორგიწმინდაში მამაოს სანახავად. ტაძარში ასულებს მამაო სენაკში ჩასული დაგვიხვდა... ძალიან შევწუხდით, მაგრამ რას ვიზამდით, ტაძარი მოვილოცეთ და უკან ვბრუნდებოდით. ტაძართან ახლოს წყალი მოდიოდა, ძალიან გვცხელოდა და ამიტომ ბავშვებმა ვიწუწავეთ, მერე რომელიღაც ჩვენთაგანს აზრად მოუვიდა, მოდი მამა გიორგისთან სენაკში ჩავიდეთ, მემგონი აქვე ცხოვრობსო და ასე გაწუწულები და სველები გავემართეთ მამაოს სენაკისკენ. ზუსტად არ ვიცოდით სად ცხოვრობდა, სიცილ-კისკისით ჩავუხვიეთ მამაოს ქუჩისკენ. უცებ მამაოს ხმა გაისმა: „აჰა, უყურე ერთი რა დღეში არიან! აბა მოდით, გაწუწულო წიწილებო!“ მხოლოდ მისი ხმა და სიცილი მესმოდა. ბავშვებმა ჩოჩქოლი ატეხეს მამაოა, მამაო! ჩემს მეგობარს მივუბრუნდი და გაოცებული ვეკითხებოდი: „დარწმუნებული ხარ რომ ეს არის მამაო მეთქი?!“ იმიტომ, რომ ჩემთვის მანამდე მოძღვარი აკადემიურ, ოფიციალურ და დისტანციურ ადამიანად მიმაჩნდა. შევედით ეზოში და დავინახეთ დოინჯშემოყრილი მამა გიორგი, გაბრწყინებული თვალებით. ისე იდგა თითქოს დიდი ხანია გველოდებოდა და რომ დაგვინახა გაუხარდა. ვერავის გვიცნობდა თუმცა ყველა შინაურულად მოგვიკითხა, მოგვეფერა, დაგვცინა, გაგვაკრიტიკა და ბოლოს საქმეზე გადავიდა. **ისე მარტივად და უბრალოდ გვიხსნიდა ძველი და ახალი აღთქმის გაურკვეველ მონაკვეთებს, რომ გაოცებული ვუსმენდით. მაშინ შეგრძნება გამიჩნდა ისეთი, რომ თითქოს იქ იყო და ყველაფერი თავის თვალით ჰქონდა ნანახი.** მახსოვს ბევრი რამ გვაჩუქა - ხატები, წიგნები, ჟურნალები. გაუხარდა ასეთ კარგ პროექტში რომ ვიღებდით მონაწილეობას. იქიდან რომ წამოვედით მივხვდით უფრო მეტად გვიყვარდა ერთმანეთი. მერე ყველაფერი თავისით ხდებოდა. ასეა ვინც მამა გიორგის ერთხელ ნახავს და მის საუბარს მოისმენს, შეუძლებელია მეორედ მისი ნახვისა და მოსმენის სურვილი არ გაუჩნდეს. ძალიან მალე შევუერთდით გიორგიწმინდის მრევლს და მალევე დაგვარქვა მამაომ „ნინოწმინდელები“. ასეა დღემდე, ცხრა წელია უკვე მამა გიორგის ფრთებისქვეშ ვიზრდებით, ბევრი რამ გვასწავლა, თითოეული ჩვენთაგანის პიროვნულ ჩამოყალიბებაში დიდი წვლილი შეიტანა, მთლიანად შეცვალა ჩვენი მსოფლმხედველობა. დაუსრულებლად შეიძლება ვისაუბროთ მამა

გიორგიზე „ნინოწმინდელებმა“.

ჩვენო საყვარელო მამა გიორგი! ბედნიერები ვართ, რომ ვიმყოფებით იმ ადამიანთა შორის, ვინც თქვენი ღირსეული სულის ოაზისით თავისი სული დაირწყულა.

„ნინოწმინდელები“ 2017 წელი

ნინო მღებრიშვილი 598 1562 91
ნინო ლაღაძიშვილი 577 64 31 73
ნათია ახვერდაშვილი 555 35 70 45
ელიზა ახვერდაშვილი 598 803 222
ციცი ხაბაზიშვილი 598 13 73 92

სიყვარულის მოძღვარი

„ვიხილე სამი მართალი მამა ამბიონზე“

ქართველი სულით მხდალი არასოდეს ყოფილა და მეც გავბედავ იმის თქმას, თუ როგორ გავიცანი უფლის ნებით ჩემი მოძღვარი, რადგან მივხვდი - ეს ჩვენ გვჭირდება ერთმანეთის სიყვარულში განსამტკიცებლად და რწმენის გასაძლიერებლად, თორემ დიდი ხანია მივხვდი თუ ვის წინაშეც აღმოვჩნდი. ყველა ის განსაცდელი ღირდა იმად, რომ მე თქვენ გამეცანით მამა გიორგი. თქვენი და ჩემი შეხვედრა ადამიანის ძალად დაბადებას ჰგავს, როცა გრძნობ, რომ სული გაქვს და სიხარულს განიცდი ტკივილის გამოც კი.

ადამიანის ცხოვრებაში შემთხვევით არაფერი ხდება. ჯერ კიდევ ახალგაზრდობაში, სტუდენტობისას „შრომის სემესტრში“ ვცხოვრობდი საგარეჯოში და ყურძენს ვკრეფდი გიორგიწმინდაში. 2011 წლიდან, **როცა ვიხილე 3 მართალი მამა ამბიონზე, მაშინ მივხვდი, რომ მე, ამ მადლიან ადგილს მივეჯაჭვე.** თანაც ჯერ მამა გაბრიელმა სიზმარში მაგრძნობინა უფლის ნება, თუ ვის იმედად და რა ნაბიჯები გადამედგა ცხონების გზაზე. მამა გაბრიელი ძილში ვიხილე ჩემს სახლში და

წამებში იგი მამა გიორგიდ გადაიქცა, თან რაღაც მომაწოდა. ეს ჩემთვის ძილშიც კი დიდი ნუგეში იყო.

ყველაზე დიდი სასწაული მაშინაა, როცა იგი შენს შიგნით ხდება. ნამდვილი მამა გიორგი ბასილაძის სენაკში მდგომი წუთების განმავლობაში ვგრძნობდი თუ როგორ ვინგრეოდი სხეულში მძიმედ, ქვებად, დიდი ტკივილის შეგრძნებით და ეს „ნგრევა“ გარეგანი ადამიანის ნგრევას და შინაგანი ადამიანის განახლებას შევადარე. ეს იყო ძველი ქვებისგან ნაშენი სახლის დანგრევა და ახალი, ცოცხალი ქვებისგან სულიერი სახლის აშენება. როცა დამთავრდა, მამა გიორგიმ სიყვარულით შემომხედა: „მეორედ მოხვედი ანიჩქაო?“

მამა იოანე ოლარმა გულში ჩამიკრა და რუსულად მითხრა: „Возле тебя твой жених стоит“ და იმ დღეს მაკურთხა, წავსულიყავი საგარეჯოში მამა გიორგისთან 7 აპრილს. მადლობა უფალს, დედა ღვთისას, ამ ორ მართალ მამას და მამა გაბრიელს, რომლებმაც გზა **გამიხსნეს ჩემი ტკბილი, თბილი, სიყვარულით სავსე მოძღვრამდე. მამა გიორგი თქვენ ნაბიჯ-ნაბიჯ მატარებთ იმ გზაზე, სადაც დიდი მადლია და ჩვენი გადარჩენის სურვილით ძალას არ იშურებთ, გულში მიტარებთ თქვენს დარიგებებს, მაძლევთ კურნებას სხეულისას და იმ სიმაღლიდან, სადაც თქვენ იმყოფებით, ჩამოდიხართ ჩვენამდე**

და თქვენი დიდი, ჭეშმარიტი სიყვარულით მასწავლით, თუ როგორ უნდა მიყვარდეს მოყვასი. თითოეული მოსვლა თქვენთან არის სასწაული და ერთხელაც ჩემს დაბადების დღეზე ისეთი საჩუქარი გამიკეთეთ, რასაც ვერც კი მოვიფიქრებდი. ტაძრიდან „თვალთავში“ - წმიდა გიორგის ტაძარში მისულს, სანთლის მოკიდება გადავწყვიტე კანდელიდან და ცეცხლთან არც კი მიახლებულს საოცარი ძალით (დენის დარტყმას ჰგავდა) ჩემი სანთელი აინთო და ეს ხილული „ცეცხლის გარდმოსვლის სასწაული“ მრევლმაც დაინახა. ეს იყო თქვენი საჩუქარი დაბადების დღისთვის. შენდობას გთხოვთ მამა გიორგი და ყველას, ეს იმიტომ დავწერე, რათა თქვენი ძალა დამენახვებინა იმ ურწმუნო ქართველებისთვის, ვისაც არ სჯერა იერუსალიმში ცეცხლის გარდმოსვლის საიდუმლო და იმათთვის ვისაც არ სჯერა, ვიტყვი დიდი სიყვარულით: უფალი ჩვენთან არს, მამა გიორგი პავლოვი ჩვენთან არს და შემთხვევით არც ის იყო, რომ ეს იმ ტაძარში მოხდა, სადაც მადლიან ხალხს უხილავთ თეთრ ცხენზე ამხედრებული მხედარი ხილულად.

მამა გიორგი ის მანათობელი ვარსკვლავია, რომელიც გზას

უნათებს ჩვენს ერს ღვთისკენ სავალ ბილიკებზე და გვახსენებს ქართველების მისიას და გვიადვილებს ჩვენი ჯვრის უფლის ტახტამდე მიტანაში, ამას იგი იმ „ფარნების“ ჩუქებით გვეუბნება, რასაც მთელს საქართველოს ჩუქნის უშურველად.

როცა ადამიანი რჩები მარტო, მაშინ მთელი ძალით და სიცხადით ხედავ, როგორ ხელში აყვანილი გატარებს უფალი და დედაღვთისა თავის კალთას არ გაცილებს. წირვა ლოცვის მადლი ვიცოდი რა იყო, მაგრამ ვერ ვგრძნობდი სათანადოდ, სანამ ღმერთმა 2011 წლის 7 აპრილს ხარების ბრწყინვალე დღესასწაულზე არ ჩამიყვანა საგარეჯოში, გიორგიწმინდაში, ღმრთისმშობლის შობის ტაძარში. მანამდე არც კი ვიცოდი სად წავსულიყავი, რაზეც მამა იოანემ მითხრა: **„Мы там такое натворим“, „Там будет Троица“. ამბიონზე მდგომი სამი მამა ისეთ მადლს აფრქვევდა, თავი სამოთხეში მეგონა. თანაც მამა გიორგი ბასილაძემ ბრძანა: „საქართველოს გაბრწყინება გიორგიწმინდიდან იწყებაო“.** ამ დღეს მოხდა ზეცისა და მიწის გაერთიანება და ამის მომწყობი და შემქმნელი გახლდათ მამა ჩვენი ზეციერი, რომლის ძალითაც ეს სამი ბერი სასწაულს ახდენდა მიწაზე. დიდება შენდა უფალო! ამ დღეს მივხვდი და დავინახე, რომ აქაც დაიარებიან „ღმერთკაცები“.

მომდევნო ჩასვლისას გადავწყვიტე აღსარება მეთქვა მამა გიორგისთვის და დილითვე მომაგება სიტყვები: „მობრძანდა საფრანგეთის დედოფალი“. ტვინს ვიმტვრევდი ფიქრით თუ ამით რას მეუბნებოდა და რაზე მიმანიშნებდა და სახლში მისულმა ტელევიზორში ვიხილე პასუხი: გადიოდა გადაცემა მესხეთზე და ახსენეს, რომ ჩვენ, მესხებს, მესხეთის ნაწილის გაკათოთიკების გამო - ფრანგებს გვეძახდნენ... **და მე ცხადად დამანახა მამაომ, რომ მან არამცთუ ჩემი ცოდვები, არამედ ჩემი წარმომავლობა და წინაპრებიც კი იცოდა.**

ერთხელ დამწუხრებულმა მითხრა: „ჩვენი ნესტანი“ - ორჯერ გამაგონა. მე „ვეფხისტყაოსანს“ ვკითხულობდი იმ დროს და თითქოს წუხილს გამოთქვამდა, რომ ნესტან-დარეჯანი, მბრწყინავი ნათელი იყო გამოსახსნელი და დასაბრუნებელი და ვგრძნობდი, რომ აქაურ ცხოვრებაშიც მოგვივლენდა ზეციური მამა ბერებს: ტარიელს, ავთანდილს და ფრიდონს და მათი ძალისხმევით მოხდება „ქაჯეთის ციხის“ აღება და ნესტანის გამოხსნა. უფალი გააბრწყინებს სულიწმიდის მადლით, ქრისტე ღმერთით საქართველოს და აი აქ კი მახსენდება მამა გიორგი ბასილაძის სიტყვები: **„რომელმა ქართველმაც თავისი**

2011 წლის ხარება გიორგიწმინდაში

ჯვარი არ მიიტანოს უფლის ტახტამდე და არ დადოს - 12 სომეხი დაუჯდეს სახლში“...

მამა გიორგისთან წირვის დროს ანალოღიის ხატიდან ბევრჯერ წამოსულა მირონი და ბოლო დროს საკურთხეველში ღმრთისმშობლის ხატიდან სისხლიანი მირონი ვნახეთ. საყვავილე ქოთნიდან სისხლის წვეთები აშკარაა და ეს ყველა იმის მანიშნებელია, რომ ამ ტაძარში დიდი მადლია და ამ მადლის დამტევნელ არს მამა გიორგი.

2015 წლის ივლისში, როცა მამა გიორგი ჩამობრძანდა რუსთავში მირონმდინარე ხატებთან მარინეს ოჯახში მე გავხდი სასწაულის მხილველი. მამაოს კურთხევით მივდიოდი მე-19 მკრ-ში ჩემთვის უცნობ სახლში და გზაში შორიდან ვხედავდი იმ ბინის კედელზე დედაღვთისას ხატის გამოცხადებას და მივხვდი მოგვიანებით, რომ ეს ნიშანი იყო ღმრთისმშობლის სიხარულისა მამა გიორგის სტუმრობით. შემინდე მამაო ეს რომ გავამხილე. მე ვინ ვარ, რომ ეს დავინახო, მე

მხოლოდ ვხედავ და ვსწავლობ თქვენგან იმ ჭეშმარიტ სიყვარულს ღმრთისა და მოყვასისა და მოწმე ვხდები ცოცხალი სარწმუნოებისა და ეს ცოცხალი რწმენა მაძლევს ძალას არ დავდუმდე. თქვენ გვითხარით, რომ **„დღეს ერისკაცის მისია არის ცოცხალი სარწმუნოება ხალხამდე მიიტანოს. ეს არის ის, რასაც მღვდლები უნდა აკეთებდნენ და ეს ერისკაცთ აკისრია ყველა მართალ მამასთან ერთად, რათა გადარჩნენ სულებიო...“**

როგორ შევძლო ეს მამაშვილური ურთიერთობა სამ ფურცელზე გადმოვცე, ან მე ვინ ვარ დავწერო მამაო თქვენზე, როცა თანდათანობით ვხვდები თუ რა დიდია უფალი, მიუწვდომელი, ყველგან მყოფი, აზრების ამომცნობი და სხვასთან საუბრისას პასუხის მომცემი, უხილავი, ყველგან და ყველაფერში მყოფი. დიდება უფალს, მის ძალას და მის სიყვარულს, მის მოთმინებას და მოლოდინს ჩვენი გაღვიძებისა და გამოფხიზლებისთვის.

ბოლო დროს მამა გიორგიმ თქვა: **„ღირსების დაბრუნებით ქართველებმა უნდა დავიბრუნოთ მამული, ენა, სარწმუნოება და მეფე. როგორც წმიდა გიორგი ბორბალზე წამებისას უფლიდან იღებდა ნუგეშს და მოთმინებას, ისე ჩვენი ერი - საქართველო მოთმინებით კვლავაც გაცოცხლდება, როგორც დიდმოწამე გიორგი, რომელიც ეგონათ მტრებს, რომ მოკვდა წამებაში, მაგრამ იგი აღდგა და გაცოცხლდა“.**

2011 წლის ხარების დღესასწაულიდან მოყოლებული მამა გიორგის წირვის შემდეგ ჩავყავდით თავის სენაკში სატრაპეზოდ. ტაძრიდან მადლმიღებულები ახლა მის სენაკში ვიმატებდით და ვსწავლობდით, ვიკვებებოდით ხორციელადაც და სულიერადაც. ყოველთვის მორჩილებით ვიღებდი მის მოწოდებულ ლუკმას - მადლისას და მისი საუბრის არცერთი ჟესტი თუ დეტალი არ მინდოდა უყურადღებოდ დამრჩენოდა, ვინაიდან ვხედავდი როგორ გვწმენდდა, გვამუშავებდა, ჭვრეტდა მოსალოდნელ თუ მყოფ განსაცდელებს და გვაძლიერებდა თავისი უსაზღვრო სიყვარულით.

საქმე საკვებში კი არ იყო მარტო, არამედ ვხვდებოდი როგორი უძლური ვიყავი მის წინაშე, მშიერი და რომ არა მისგან გადმომდინარე მადლი და სიყვარული, მეც წამშივე ვცოცხლდებოდი. თუ ტაძარში სახარებას გვაზიარებდა, აქ მასთან მყოფნი ნამდვილ ჭეშმარიტ სიყვარულს, ცოდნას ვიღებდით. გვიან, მერეღა ვხვდებოდი, ასე იმიტომ იქცეოდა მამაო, რომ ჭვრეტდა იმ სიმძიმეებს, რაც თავისი უსაზღვრო მამობრივი მზრუნველობით გვეხიდებოდა ამ

ბრძოლაში, რათა ჩვენ, მისი შვილები ყოველთვის გამარჯვებულნი გამოვსულიყავით.

გმადლობ მამა გიორგი ამ ტრაპეზებისათვის და ჩვენი მოთმინებისათვის, განსწავლისათვის და ცოცხალ რწმენაში ზიარებისათვის.

შენდობას გთხოვ, არ გამიბრაზდე თუკი ვიტყვი რაც შენს სენაკში ვნახეთ პირველად და რადგან უფალმა დაგვანახა **მირონში გაუღენთილი კედელი და იატაკი,** შემინდობ თუ ამას ვიტყვი.

უფალმა შენთვის მომადლებული მადლით ინება ჩვენი მწყემსი ყოფილიყავით, ხოლო დედაღვთისას ზეციური ნათელი დაუსრულებლად დაჰნათის თქვენს სულს და ჩვენს ტაძარს.

მამაო ჯერ შეგაყვარებს თავს, შენთვის ყველაზე საყვარელი ხდება და შენ ყველაზე და ყველაფერზე წინ აყენებ მას, მაგრამ მას ეს არ სურს, ვინაიდან ყველაფერზე აღმატებული მხოლოდ უფალია. ამით გზრდის, გაახლოვებს ღმერთთან და ერთხელაც ძალიან რომ შეგაყვარებს თავს, ისე გამხელს სახალხოდ, მრევლში, რომ მხოლოდ ამ ჭეშმარიტი სიყვარულის ძალით გაუძლებ მხილებას და ერთი წუთითაც არ მიატოვებ მოძღვარს და მოთმინებით, მორჩილებით აიტან წვრთნას - შენთვის განმწმედელს.

ზოგჯერ საწინააღმდეგოს სპეციალურად გეუბნება, რომ შეეწინააღმდეგო და იაზროვნო დამოუკიდებლად. ე.ი. საწინააღმდეგოს თქმით გამტკიცებს ჭეშმარიტებაში.

მამა გიორგი ზოგჯერ მზერას დაგარჭობს და კურთხევას გაძლევს „რაღაცაზე“ და მისგან წამოსულს გონებაგინათდება და მისი მზერა ძალას გაძლევს ისე მოიქცე, როგორც ღმერთს სურს და შენ ნებელობაში ხარ მასთან.

ყველასთვის ერთნაირად ქადაგებს ამბიონიდან თუ მრევლში და შიგ გულში ჩაგესმის მისი სიტყვები, რომელიც შენთვისაა განკუთვნილი და შენ აიღებ შენსას და გაითვალისწინებ. საოცარი გაკვეთილია.

მამა გიორგი ყველგანაა, ყველაფერს აკონტროლებს, ფლობს დროსა და სივრცეს.

მამაო აზრს გაფიქრებულს ამოიცნობს და უთქმელად პასუხს გაძლევს. თუ რამეზე ფიქრობდი სახლში და ვერ წყვეტდი, მასთან მისული იმ წუთშივე იღებ პასუხს და კურთხევას.

მამაო გვიყვება თავის ზოგიერთ ხილვას და ამით გვაძლევს ცოდნას და წინასწარმეტყველებს.

მამაო გმობს გარყვნილებას, განიცდის, სტკივა და ამბობს ღმერთით

ვისჯებით - ჩვენს მისიას არ ვასრულებთო.

ბევრჯერ გვითხრა მოსალოდნელ ამინდზე და მოწმენი ვართ როგორ ასრულდა.

ხვდები მასთან მისული სხვა ხარ და მისგან წამოსული სხვა: თავისუფალი, მხნე, ძლიერი, სიყვარულით გამთბარი.

შემთხვევით რადგან არაფერი ხდება, ამ ფაქტზე გავამახვილე ყურადღება: ბოლოდროინდელი მოვლენების გაშუქებისას მამა გიორგიმ ღვთისმშობლის ხატით ხელში მისცა ინტერვიუ. მე კითხვისას აღვიქვამდი, როგორც ყაზანის ღვთისმშობელს, რომელიც სტალინმა შემოატარა იმ დროის წმიდანის - დედა მატრონას მითითებით მოსკოვის საზღვრებს და ამით სასწაულებრივად იხსნა ფაშისტი-მასონებისგან მსოფლიო და როცა ვკითხე მამაოს ხელში ყაზანის ღვთისმშობელი ეჭირა თუ არა, მიპასუხა: „მომიტანეს დამწვარი ხატი და ნინო ხატმწერის დახმარებით ღმრთისმშობელი გავაცოცხლეო“. დიდება უფალს, რათა კვლავ განმეორდება ღმრთისმშობლის მიერ მასონების დამარცხება.

სახლის კურთხევის ტრაპეზის დროს მამამ მრევლი გვაკურთხა... იქიდან წამოსული შინაგანად ისეთ მდგომარეობას ვგრძნობდი, რისი გადმოცემაც სიტყვით შეუძლებელია, თან აშკარად სასწაულს ვუკავშირებდი. მამამ არაყი წყლად აქცია. შენდობას გთხოვთ, მაგრამ 7 სადღეგრძელოს დალევისას თავს ფხიზლად ვგრძნობდი. შემდგომი შეხვედრის დროს გავუმხილე და ვკითხე თუ რა იყო ეს სასწაული და მამამ თითი ღმერთისკენ აიშვირა და მადლიანი ღიმილით მიპასუხა: „ეს ღმერთმა გააკეთაო“.

მრევლის წევრის გარდაცვალების დროს ბრძოლები დამეწყო, მეგონა მეც მალე გამიყვანდა უფალი. საოცარი ის იყო, რომ ღმერთის წყალობით ვეგუებოდი და აზრით ვემზადებოდი. მამაოსთან ჩასულს მესმის სიტყვები: „ნუ გეშინია, შენ დაბერდები და თან ლამაზი მოხუცი იქნებიო“, იცინის და ამას ეუბნება მის გვერდზე მჯდომ მრევლის წევრს, რომელსაც იგივე ბრძოლები ჰქონდა.

2011 წელს უჯარმაში წირვის წინ მახსენდება მისი სიტყვები: „ხომ არ გგონიათ, ელია წინასწარმეტყველი ბოინგით ჩამოფრინდება, გრძელი თმით და ხამლებით. ის იქნება ჩვეულებრივი თანამედროვე მღვდლის სახით“. მერე გვითხრა: „წაიკითხეთ 81-ე ფსალმუნი: „ღმერთი დადგა შესაკრებელსა ღმერთთასა, ხოლო შორის ღმერთნი განიკთხნეს...“ **მრევლის წევრს ფსალმუნნი ეჭირა ხელში და ზუსტად იმ თავზე გადაშალა წიგნი, სადაც მამაო მიგვანიშნებდა.**

მამა გიორგიმ ზუსტად იცის ყველა ადამიანის სუსტი მხარე. ისე ოსტატურად განაძლიერებს ყველას, რომ მაშინვე ვერც კი ხვდები თუ რას აკეთებს. საოცარი სწავლების მეთოდია. უბრალო, ადამიანური, სიყვარულით გაჯერებული. **მისი არც ერთი მოძრაობა, ჟესტი, გამოხედვა, სიტყვა არ არის შემთხვევითი და ყოველივე მათგანი ჩვენ გვემსახურება, რათა უკეთ ვიგრძნოთ თავი, ვძლოთ სხეულს.** იგი ჭეშმარიტი მკურნალია, რომელიც სიყვარულით ჰკურნავს ადამიანებს. მახსენდება როგორი ავადმყოფი მივედი მასთან და ჯანმრთელი წამოვედი მისგან.

მთელი 7 წლის განმავლობაში, რაც მისი მრევლის წევრი ვარ ვგრძნობდი თუ რა ძალის წინაშე ვიმყოფებოდი და სულ ვეკითხებოდი საკუთარ თავს, თუ ვინ არის ჩემი მოძღვარი. ერთ დღეს თუ მინიშნებით ერთ ღვთით მოვლინებულ წინასწარმეტყველზე ვიფიქრებდი, მეორედ დიდ ნათელ პიროვნებად, რომელიც თავისი ნათლით ქრისტეს გზას გვინათებს და მესამედ ღვთის სიტყვის მეტყველ მოძღვრად მივიჩნევდი და ამ გაურკვევლობაში მყოფს ერთხელაც მასთან მისულს მეუბნება: „დაანებე თავი იმის ძიებას, თუ ვინ ვარ! იმ ქვეყანაში მიიღებ შენს კითხვაზე პასუხსო“.

ქართველთა ღმერთს ვევედრები გამარჯვებული გამყოფოთ მტერზედა ჩემო ტკბილო, ნათელო მოძღვარო. ღმერთის ნება აღსრულებულიყოს თქვენზედ და თქვენი მისია პირნათლად შეგესრულებინოთ ღვთისა და ერის წინაშე ჩვენი და მთელი მსოფლიოს გადასარჩენად. ამინ!

არ შემიძლია მადლობა არ გადავუხადო დედა რიმას, რომელმაც ძალა და სიყვარული არ დაიშურა და ჩვენამდე მოიყვანა მამა გიორგი.

ტაძრის მრევლი
მანანა მექოშვილი
ტელ. 593 277095

სახელითა მამისათა და ძისათა
და სულისა წმიდისათა!

გადავწყვიტე ერთი შემთხვევა მოგიყვეთ და მადლობა კიდევ ერთხელ გადავუხადო მამა გიორგის ბიძაჩემის გადარჩენისთვის.

მამა გიორგი პავლოვის არსებობა მამა გიორგი ბასილაძის წიგნიდან შევიტყვეთ. ვიცოდით, რომ გიორგიწმინდაში მსახურობდა. ერთ დღეს ჩემი და გვეუბნება, რომ სიზმარში მამა გიორგი პავლოვი ნახა, რომელიც მოვიდა და სახლი გვიკურთხა. ყურადღება არ მიგვიქცევია. გავიდა რამდენიმე თვე და დეკემბრის დასაწყისში ბიძაჩემს ინსულტი დაემართა. დიაგნოზი უმძიმესი იყო. ექიმები ამბობდნენ, რომ ასეთი დიაგნოზით ადამიანები ვერ ცოცხლობდნენ. ისინი გადარჩენის იმედს ვერ გვაძლევდნენ და ავადმყოფი სახლში გამოწერეს, რადგან საავადმყოფოში მკურნალობას აზრი აღარ ჰქონდა. მას ღეროს ინსულტი ჰქონდა და 85% ღერო მკვდარი იყო. ძალიან განვიცდიდით. არ მინდოდა, რომ ბიძაჩემი უზიარებლად გასულიყო იმ ქვეყნად. ჩემი

დის სიზმრიდან გამომდინარე, გადავწყვიტე მამა გიორგი პავლოვი მომეყვანა მის საზიარებლად. ბიძაჩემის მდგომარეობა სულ უფრო და უფრო მძიმდებოდა. მიცვალებულებს ხედავდა, უკვე წყალსაც კი ვეღარ სვამდა, საჭმელზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი. უკვე მისი იმ ქვეყნად წასვლას ველოდებოდით. წავედი გიორგიწმინდაში, კითხვა-კითხვით მივაგენი მამაოს და ავუხსენი მდგომარეობა. ის შემპირდა, რომ ერთ კვირაში მოვიდოდა. მართლაც, მამაო მოვიდა და სახლი აკურთხა. ავადმყოფს წმინდა ზეთი აცხო და თქვა - საზიარებლად მეორე კვირას მოვალო. ზეთის ცხების მერე ოთხი დღის განმავლობაში ბიძაჩემმა საკვები და წყალი შეირგო, (ეს ჩვენთვის დიდი საოცრება იყო), შემდეგ კი ისევ ვეღარ ირგებდა, დაეწყო გულისრევა, ოღონდ ნაკლები ინტენსივობით. მეორე კვირას, მამაო ისევ მოვიდა მის საზიარებლად. ზიარებისას მოხდა ასეთი ფაქტი. წითელი ღვინო მოვიტანე ნახევარი ჭიქა. მამაომ ვერ დაინახა და ჩანთის გახსნისას ზიარებისთვის განკუთვნილი ნივთები რომ უნდა ამოეღო, ჩანთა ჭიქას წამოედო და ღვინო დაიღვარა. მამაოს ოლარზე გადაესხა და იქვე ჩემი დეიდაშვილის „ნოუთბუქი“ იდო და იქაც ჩაესხა. მამაოს არ ესიამოვნა ეს ფაქტი, შეწუხდა. აღსარება ჩაიბარა და აზიარა ავადმყოფი. რომ მიდიოდა მითხრა, ხომ იცი ღვინის დაღვრა რასაც ნიშნავსო. „ვეღარ გადარჩება თქო?“ - ვკითხე. - „მთავარია სულით გადარჩესო“, მიპასუხა და წავიდა. ჩემმა დეიდაშვილმა წაიყვანა თავის სახლის საკურთხებლად. როგორც შემდეგ ჩემმა დეიდაშვილმა მითხრა მამაო იქ ჩაფიქრებულა და უთქვამს: „თუ ხვალ ეს კომპიუტერი გაფუჭდა ის გადარჩება თუ არა და ვერაო“. მეორე დილას კლავიატურა გაფუჭებული იყო. ბიძაჩემმა კი ზიარების შემდეგ სამი დღე ისევ შეირგო საჭმელი და მის მერე თანდათანობით გამოკეთდა. ექიმებს დღესაც არ სჯერათ. ამბობენ, თუ ცოცხალი დარჩებოდა ფეხზე ვერ უნდა გაევლო. ის კი უკვე ოთხი წელია თავისი ფეხით დადის და უვლის თავის თავს. **მამა გიორგის ლოცვის მადლმა მას სიცოცხლე აჩუქა.**

მადლობა ღმერთს, რომ სანუგეშოდ ასეთი მამა გვაჩუქა, მადლობა კიდევ იმისთვის, რომ მე გავიცანი ის. ასე ბევრს არ უმართლებს. არ იქნება ხმამაღლა ნათქვამი თუკი ვიტყვი, რომ გაგვიმართლა მის მრევლს, რომ აღარაფერი ვთქვა სოფელ გიორგიწმინდაზე.

დიდება მასში გამოვლენილ ღმერთს და მადლობა უფალო ყველაფრისათვის. ამხელა წყალობისათვის, რომ ჩვენს შორის ცხოვრობენ შენი რჩეულები.

როდესაც მამა გიორგის წირვებზე დავიწყე სიარული, ჩემს მოძღვარს, დეკანოზ ლეონტი ჟვანიას ვუთხარი, რომ წირვას ხანდახან გიორგიწმინდაში ვესწრებოდი და ყოველ კვირას მაგიტომ არ დავდიოდი წირვაზე იოანე ღვთისმეტყველის ტაძარში. მამა ლეონტი წამით შეყოვნდა, თითქოს რაღაც გადაამოწმაო, შემომხედა და მითხრა, იარე მასთან, ამბობენ კარგი მოძღვარიაო. მამა ლეონტი მალევე გახდა შეუძლოდ და ვეღარ ახერხებდა ტაძარში მოსვლას. ასე რომ, მისი კურთხევით შევიძინე ახალი სულიერი მამა, - გიორგი პავლოვი.

ვეცდები მოკლედ გადმოვცე მრავალთაგან კიდევ ერთი შემთხვევა, რაც მამა გიორგის მადლმოსილებას უსვამს ხაზს და რაც ყველაზე თბილად და ღიმილნარევად დამამახსოვრდა.

შაბათი დღე იყო. მთელი დღე ცუდად ვიყავი. უაზროდ, ჩემდაუნებურად ჩამომდიოდა ცრემლები. თითქოს სული მიტირდა. რაღაც მაწუხებდა, მაგრამ კონკრეტულად რა, არ ვიცი. ვტიროდი ყველაფერზე და არაფერზე... ვერც ღამე ვიპოვე მოსვენება. ღმერთს ვთხოვდი შველას და შემწეობას. ხან ვთხოვდი, ხან ვსაყვედურობდი, მერე ისევ ვტიროდი და ასე გაგრძელდა მთელი ღამე. საათს დავხედე, მინდოდა სწრაფად გათენებულიყო. დილის 5 საათი დაწყებულიყო. ბოლოს და ბოლოს ჩამეძინა. სიზმარში ვხედავ, რომ ისევ ვტირი. უცბად, საიდანღაც მამა გიორგი პავლოვი გამოჩნდა და ჩემსკენ წამოვიდა. თეთრებში შემოსილიყო. ოლარიც თეთრი ეკეთა.

- რა გჭირს? - მეკითხება.

- ცუდად ვარ - ვპასუხობ - ძალიან ცუდად. და ისევ მომდის ცრემლები. მამა გიორგი გულში მიკრავს და მეუბნევა: „შენ ხომ იცი, რომ ყველაფერი კარგად იქნება? მოდი აღსარება ჩამაბარე“. მადებს ოლარს თავზე და იბარებს აღსარებას. ძილშივე ვიგრძენი ეს სიმძიმე და უარყოფითი ენერგია როგორ წავიდა. დილით ისე გავიღვიძე თითქოს კარგად გამომეძინოს. (არადა 1 საათიც რომ დამაკლდეს ძილი, იმ დღეს ცუდად ვგრძნობ თავს) ახლა კი ენერგიით სავსე და მხიარული ვიყავი. თითქოს არაფერი მომხდარიყოს, თითქოს მთელი ღამე არ მეტიროს და თითქოს წინა დღეს ცუდად არ ვყოფილიყავი მთელი დღის განმავლობაში.

დილით წავედი წირვაზე გიორგიწმინდაში. მამამ ჩვეულებისამებრ ჩაატარა წირვა და ბოლოს, ქადაგების შემდეგ, მივედი ჯვარზე სამთხვევად. მამაო თვალებში მიყურებს, იცინის და მეკითხება: „აბა ეხლა როგორ ხარ?“ მივხვდი რასაც მეკითხებოდა. გამეცინა, ვუპასუხე:

„უკვე კარგად მამაო, ღვთისა და თქვენი წყალობით“.

თუნდაც ეს შემთხვევა, ჩემი აზრით, მეტყველებს იმაზე თუ რამდენად დიდი და მადლმოსილი მოძღვარია ჩვენი უსაყვარლესი მამა გიორგი პავლოვი.

ღმერთს ვთხოვ დაგვილოცოს, მისცეს მას ჯანმრთელობა და დღეგრძელობა ჩვენს სანუგეშოდ და ღვთის სადიდებლად.

დიდება მამა გიორგიში გამოვლენილ ღმერთს.

მარიამ დოხტურიშვილი
გარდაბის რ-ნი სოფ. სართიჭალა
ტ.598587070

* * *

საგარეჯოს რაიონში სოფელ გიორგიწმინდაში არის საოცარი ადგილი, თითქოს სამოთხის პატარა ნაწილი, სიმწვანეში ჩაფლული, სადაც ღვთისმშობლის შობის სახელობის ეკლესიაა განთავსებული.

პირველი ნახვისთანავე ჩემზე დაუვიწყარი შთაბეჭდილება მოახდინა ამ წმინდა ადგილმა, ტაძარმა და ადამიანმა, რომელიც ამ ეკლესიაში მსახურობს, მღვდელი - მამა გიორგი პავლოვი, მართლაც ღვთის მადლით შემკული და ღვთით კურთხეული მოძღვარია. ის საოცარ სითბოს, სიყვარულს, უზარმაზარ დადებით ენერგიას აფრქვევს და უშურველად უნაწილებს თავის მრევლს და ასევე ტაძარში მისულ ნებისმიერ მომლოცველს.

მოძღვარი, რომელიც სახარებისეულ სიბრძნეს ქადაგებს, თვით არის საოცარი თავმდაბლობის, სიკეთის, გულწრფელობის, ქველმოქმედების არაჩვეულებრივი მაგალითი.

შემთხვევითი არ არის, რომ მამა გიორგის კელიაში დაბრძანებულ ხატებს მირონი სდის, ეს სასწაული კიდევ უფრო აძლიერებს რწმენაში იქ მიმსვლელ თითოეულ ადამიანს და რა თქმა უნდა ეს დიდი მადლის მანიშნებელია.

პირადად მე, მამა გიორგის მიმართ დიდ მოწიწებას, სითბოს და სიყვარულს განვიცდი, ის ძალიან უშუალოა ურთიერთობაში. ვგრძნობთ, რომ ჩვენი სურვილი, ტკივილი, თუ წუხილი, მისი

განცდისეულიც ხდება, ჩვენი ფიქრების და დარდის ამოცნობა ადვილად შეუძლია.

არ შემიძლია რამდენიმე ამბავი არ გავიხსენო, რომელმაც ჩემი და ჩემი ახლობლების გაოცება გამოიწვია.

მამა გიორგი საოცრად სტუმართმოყვარეა. შორიდან მოსულ ადამიანებს, მომლოცველებს აუცილებლად იწვევს ხოლმე სატრაპეზოდ და საოცარი გულუხვობით უმასპინძლდება, თითქოს გრძნობს, ვის რა ესიამოვნება და სწორედ სასურველ კერძს აწოდებს, რითიც ბევრჯერ გაუკვირვებია გარშემომყოფნი.

მას ასევე დიდ სიამოვნებას ანიჭებს სტუმრების დასაჩუქრება, ერთხელ მეგობრებთან ერთად ვეწვიე ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძარს და მამა გიორგის. წირვისა და ქადაგების შემდეგ ტრაპეზზე მიგვიწვია. **მას აწუხებს ერისა და ქვეყნის მდგომარეობა, შეჭირვებული ადამიანების ბედი, მუდმივად ქადაგებს, რომ უნდა მოვუაროთ და ვუპატრონოთ ჩვენ ქვეყანას, მამულს, ენას, დავიცვათ ჩვენი სარწმუნოება.** ტრაპეზის დროს ლიმონათის შეკვრა შემოიტანეს, რომელსაც საჩუქრის სახით სათამაშო მოჰყვა - ჭოგრიტი, რომელშიც მცირე ზომის მოზაიკის ნაწილაკებით ფიგურები იხატება. სუფრაზე 20 ადამიანი იჯდა, სათამაშო ჭოგრიტი ხელში აიღო მამა გიორგიმ ყველას გადახედა და უეცრად წამოიძახა: „ეს აჩიკოს მიაწოდეთ დასჭირდებაო...“ მან არ იცოდა, რომ სულ მალე შვილიშვილს ველოდებოდი. ეს სათამაშო ჭოგრიტი სათუთად ინახება ჩემი შვილიშვილის ნივთებს შორის, რომელიც ძვირფასია ჩვენთვის.

კიდევ ასეთი ამბავი მახსენდება: გიორგიწმინდაში მამა გიორგისთან მივდიოდით თბილისიდან მეგობრები. სოფლის გზაზე, თუთის ხესთან ჩავიარეთ, ვიღაც თუთას კრეფდა, ჩვენმა თანამგზავრმა ქალბატონმა წამოიძახა: „ვაიმე როგორ მიყვარს თუთა!“ რადგან ვჩქარობდით მანქანა ვერ შევაჩერეთ. ტაძრამდე მცირე მანძილი იყო დარჩენილი და გზა განვაგრძეთ. მამა გიორგი ჩვეული ღიმილით და სიხარულით შემოგვეგება. კელიაში შეგვიპატიჟა, უეცრად შებრუნდა და უკან მობრუნებულს ხელში ჯამით თუთა ეჭირა და ჩვენს თანამგზავრ ქალბატონს გაუწოდა, რომელსაც თუთა ძალიან უნდოდა და გული დაწყდა გზაში მანქანა რომ ვერ გავუჩერეთ. ერთმანეთს გადავხედეთ და გაოცება ვერ დავმალეთ. ვიგრძენით, რომ მამა გიორგი საოცარი უნარებით არის დაჯილდოვებული.

ერთხელ, ოჯახთან ერთად მივდიოდი გიორგიწმინდაში მამა გიორგისთან, თანმახლდამეუღლე, შვილები, რძალიდაახალშობილი

შვილიშვილი. გვინდოდა მამა გიორგის დაელოცა, ჯანმრთელობის პრობლემები ჰქონდა და რამდენიმე დღეში გამოკვლევები ელოდა. გზაში ამინდი შეიცვალა, გაწვიმდა, ქარი ამოვარდა, ცა მოიქუფრა. არ ვიცოდით, ბავშვის მანქანიდან გადაყვანას შევძლებდით თუ არა. ტაძრამდე მცირე მანძილი იყო დარჩენილი, ქარი შეჩერდა, ტაძარს მივუახლოვდით, მალე მამა გიორგიც გამოჩნდა, უცბად წვიმა შეწყდა, მზემ გამოანათა. მამაო ტაძარში შეგვიძღვა, ჩემი პატარა შვილიშვილი გულში ჩაიკრა, დალოცა, გვითხრა, რომ ყველაფერი კარგად იქნება და გამოკვლევები მშვიდობით ჩაივლისო. მართლაც, ყველა კვლევამ დაამტკიცა, რომ ბავშვი ჯანმრთელი იყო.

გიორგიწმინდაში მორიგი ჩასვლისას ნანა, ჩემი მეუღლე ცუდად იყო, მხარი და წელი ჰქონდა გაშეშებული და ტკივილისაგან სუნთქვა უჭირდა. ტაძარში შევედით, ვილოცეთ, სანთლები ავანთეთ ხატების წინ, მამა გიორგი ჩვეული ღიმილითა და სითბოთი შეგვხვდა, ჩემს მეუღლეს მხარზე ხელი ძლიერად დაჰკრა, არ იცოდა თუ რამე სტკიოდა, მალე ტკივილი სადღაც გაქრა. ნანამ თქვა: **„ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ ტკივილი და მთელი უარყოფითი ენერგია გამოდევნა ჩემი სხეულიდანო.“**

მამა გიორგის მართლაც აქვს მაკურნებელი ძალა და მადლი.

ბევრი ადამიანი ამბობს, რომ საკუთარ პრობლემებზე და სატკივარზე საუბარი არ გვჭირდება. მამა გიორგის უთქმელად ესმის მათი და კითხვის დასმასაც ვერ ასწრებენ, ისე პასუხობს მათ.

დაუსრულებლად შეიძლება საუბარი ამ მართლაც ღვთითკურთხეული მოძღვრის შესახებ.

ღმერთმა დალოცოს და გააძლიეროს, ჯანმრთელობა და დღეგრძელობა მისცეს მამა გიორგის.

არჩილ ლეკიშვილი
თბილისი

მამა გიორგი პავლოვი საყდრისში

„ბრწყინვალე“ - ჩემი მამა გიორგი

2015 წლის ზაფხულში ჩემს ახლობელს წავყევი გიორგიწმინდაში მამა გიორგი პავლოვთან. გზაში ძალიან ვღელავდი, როგორ მიმიღებდა, ან მე როგორ მივიღებდი ჩემს ცოდვილიან სულთან ასეთ წმინდა მამას. მაგრამ ძალიან ახლოს მოვიდა, მე ვცდილობ ვიყო ჯერ ადამიანი და შემდეგ კი მინდა მორწმუნე გავხდე, ჩემს სულს რაც აკლდა და სჭირდებოდა, ზუსტად იქ აღმოვჩნდი.

როგორც ნამდვილი, მართალი, ჭეშმარიტი ქრისტიანი და დიდი

მამულიშვილი ბრძანებდა, ჩვენი მამა გიორგი „ბრწყინვალე“ ეს მე შევარქვი მას, თავისი თავდადებით, ჩვენი ქვეყნისა და სარწმუნოების დიდი სიყვარულისა და დამსახურებისათვის დღევანდელ საქართველოში...

ახლა კი ჩემი მამა გიორგი „ბრწყინვალე“ მინდა შევადარო საქართველოსთვის თავდადებულ უდიდეს ქრისტესმოყვარე ნამდვილ და უებრო ადამიანს მიხეილ გობრონ საბინინს. მასაც ქართველები და საქართველო ასევე უყვარდა და დიდად იღვწოდა ჩვენი ეკლესია-მონასტრების გადასარჩენად და გასამშვენიერებლად პეტერბურგიდან თუ მოსკოვიდან. ჩვენდა სამარცხვინოდ მას ქართველებისგან ერთი მადლობის ბარათიც კი არ მიუღია, მიუხედავად ამისა, ის მაინც გარდაცვალების შემდეგ, საქართველოში დასაფლავებას ევედრებოდა ყველას.

ჩვენ, ჩვენი მაშინდელ თანამემამულეთაგან განსხვავებით, ჩვენს თანამედროვე დიდ მოღვაწეს, მამა გიორგი პავლოვს, სათანადო პატივი მივაგოთ, დავაფასოთ და მოვეფეროთ ამ ამაგდარ, უშურველ დიდ სულიერ მოღვაწეს. ახლა სულ ვცდილობ თვეში სამჯერ თუ არა, ორჯერ მაინც ჩავიდე და მხოლოდ მამა გიორგის ჩავაბარო აღსარება, ჩემი ცოდვილი სულის გასაწმენდად და მივიღო ზიარება, ხორცისა და სისხლისა უფლისა ჩემისა იესო ქრისტესი.

დიდი სიყვარულით და პატივისცემით
ციალა (ცისანა) კვირიკაშვილი-მუხურაძე
ყოფილი ინჟინერ-პედაგოგი (ჩარეცხილი)

კაცობრიობის ზნედაცემულობის გამო ბუნება აღშფოთებულია

გაგვიშინაურდა ღმერთის ნებით და მისი კანონით დადგენილი ბუნების კანონზომიერების სახეცვლილებები. გასულ წელს ხელი არ დაგვაკლო თოვლმა, ყინვამ, სეტყვამ, წყალდიდობამ, ქარიშხალმა – ამიტომაც კახეთი სტიქიური უბედურების ზონად გამოცხადდა. მიმდინარე მოვლენებიდან ჩანს, არც ახლა დაგვადგება კარგი... 17 აპრილს მოსულმა თოვლმა პანიკაში ჩააგდო ყველა – ყვაოდა ნუში, ტყემალი, ალუჩა, ბალი, ალუბალი, ატამი, ვაშლი, მსხალი, მათგან ზოგიერთს ნაყოფი გამონასკვულიც ჰქონდა უკვე... ბევრი ამ მოვლენებს ჩვენი უღმერთობის, ცხოვრების წესის უარესობისკენ წაყვანითა და განუკითხაობით ხსნის. წლებია გიორგიწმინდის ღვთისმშობლის შობის ეკლესიის მოძღვარი მღვდელი გიორგი (პავლოვი) მრევლს სწორედ ბუნების ამ მოვლენათა გაუარესების, საყოველთაო გაჭირვების მიზეზებს გვიხსნის და გვიქადაგებს ღმერთისკენ შემობრუნებისა და იმ მცნებების დაცვისაკენ, რომელიც ყოველი მართლმადიდებელი ქრისტიანის ცხოვრების წესს უნდა ედოს საფუძვლად. ახლაც მახსენდება 2008 წლის 20 სექტემბერი, როცა აღელვებულები, იმ დღეს მოსული საშინელი, წითელ-ყვითელი ფერის წვიმითა და ჭექა-ქუხილით შეშინებულები ეკლესიაში მამა გიორგის გარს შემოვეხვიეთ. რატომ გიკვირთო? – აქეთ შეგვეკითხა, - ნახეთ, დღეს დილით როგორი მერეხი იყო? გუშინ ამერიკელი მომღერალი რიყეზე ათასობით ქართველს ართობდა. მილიონები იხარჯება მათ ჩამოსაყვანად, ახსოვს ვინმეს მშიერი, უსახლკაროდ დარჩენილი ადამიანები? სექტანტებისადმი შემრიგებლობა ჩვენი დიდი შეცდომაა და ღმერთი კატაკლიზმებით გვაფხიზლებსო. ასეთივე ახსნა-განმარტება მოგვცა იმავე წლის 12 ნოემბრის მიწისძვრაზეც. – უფალს და დედაღვთისმშობელს ისე ვუყვარვართ ქართველები, რომ მსხვერპლი არ არის, მადლობა ამისთვის მათო.

ახლაც იგივე პასუხები მოგვცა მამა გიორგიმ აპრილში თოვლის მოსვლის მიზეზის ასახსნელად:

- „წმინდანთა ცხოვრების“ წიგნებიდან გვახსოვს, წმინდა მამების წინასწარმეტყველება – კაცობრიობა ისეთ ზნედაცემულობაში ჩავარდება, რომ თავად ბუნება აღშფოთდებაო და რა გგონიათ,

მათ ამ წინასწარმეტყველებაში რა იგულისხმება? თქვენც კარგად უწყით, ხიდან ფოთოლი არ ვარდება უფლის ნების გარეშე. ე.ი. სტიქიური უბედურებანი ღმერთის განგებით მოიწევა ჩვენს თავზე.

ადამიანები ცოდვაში იმყოფებიან. შურმა, გაუტანლობამ, მრუშობამ, შეუბრალებლობამ, ძალადობამ, სიძულვილმა მოიკიდა ფეხი საქართველოში. განა შეუმჩნეველი დარჩება ღმერთს რამე? სწორედ ამის გამო გვივლენს განსაცდელებს და სიდუხჭირეს. **„თვალთმაქცნო, რომლებიც იხდით მეათედს პიტნისას, კამისას და კვლიავისას და დაგიტევებიათ ის, რაც უმთავრესია რჯულში: სამართალი, წყალობა და რწმენა. ეს უნდა გექნათ და არც ის დაგეტევებინა“.** (მათე, თავი 23,23) წაიკითხეთ მათეს სახარება, თავი 23-ე და მიხვდებით დღესაც როგორ ფარისევლობენ ადამიანები – გარედან თვალისმომჭრელები ჩანან და შიგნით კი ათასგვარი სიბინძურით და ჭუჭყით აქვთ სული დაბინძურებული.

წმინდა მამათა წინასწარმეტყველებით ბუნება აირ-დაირევა კაცობრიობის დაცემის გამოო. რა იგულისხმება ამაში? **„ხოლო იესომ მიუგო მათ: ხომ ხედავთ ყოველივე ამას? ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: ქვა ქვაზე არ დარჩება აქ, არამედ ყველაფერი დაინგრევა. (მათე, 24,2) გაიგებთ აგრეთვე ომებსა და ომების ამბებს. თქვენ იცით, ნუ შეძრწუნდებით, ვინაიდან ყოველივე ეს უნდა მოხდეს, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ არის დასასრული, რადგან აღდგება ხალხი ხალხის წინააღმდეგ და სამეფო სამეფოს წინააღმდეგ; და იქნება შიმშილობა და ჟამიანობა, და მიწისძვრანი ადგილ-ადგილ. ხოლო ყოველივე ეს სალმობათა დასაწყისია“**(მათე, თავი 24,6,7,8). მიაქციეთ ყურადღება მერვე მუხლს – **„ხოლო ყოველივე ეს სალმობათა დასაბამია“**. ამაში იგულისხმება ის, რომ ბუნებრივი მოვლენების გაუარესება ქრონიკულ ხასიათს მიიღებს. ამას დაემატება ომი და ომის თანამდევი სისასტიკე – პურის დეფიციტი, შიმშილი.

უპირველესი მიზეზი კი ამისა არის ის, რომ **„ურჯულოების მომრავლების გამო მრავალში განელდება სიყვარული“** (მათე თავი 24, 12). განა ასე არ არის? ადამიანებს ერთმანეთის მიმართ სიყვარული აღარ აქვთ, რომელიც საფუძველია სიბრალულის, სიკეთის ქმნის სურვილის, გაჭირვებისას მოძმის გვერდში ყოფნისა და ყოველგვარი ადამიანური კეთილი თვისებებისა. მსოფლიოს წინაშე მოგვეჭრა თავი ქართველებს. ვერ დავივიწყებთ „ციხეების“ ეპიზოდს – დაუნდობლობის, არაადამიანურობის, დაუსჯელობის საშინელებათა სერიალებს, რომლებიც „დემოკრატიულ საქართველოში“ ხდებოდა თუნდაც ერთი წლის წინ... გაიხსენეთ თბილისსა და ბათუმში ცისფერების ე.წ. გეების „პარადების“ მოწყობის მცდელობები, სექტანტთა თავაშვებული, არნახული პროპაგანდა და

ისიც სად? საქართველოში – ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანაში. ამიტომაც გვივლენს ღმერთი ქართველებს ამდენ განსაცდელებს, ჩვენი „ვაიპატრიოტიზმითა“ და უმეცრებით დავკარგეთ აფხაზეთი და სამაჩაბლო, გვედავებიან დავით გარეჯს, სად არის ოშკი, იშხანი, ბანა?! განა ესენი დედა ღვთისამ ჩვენ, ქართველებს არ მოგვცა მოსავლელად და საპატრონებლად? როგორც მოვუარეთ, როგორც ვუპატრონეთ - მსოფლიომ იცის. გავიხსენოთ რა უთხრა გულნარა კუკულაძეს სიზმარში დედა ღვთისამ – რას დაემსგავსეთ ქართველებიო?! მართლაც, რომ, რას დავემსგავსეთ?! ზოგიერთები ცდილობენ ფეხი აუწყონ დასავლეთს – მსახიობების, მომღერლების, მოცეკვავეების, სპორტსმენების მოწვევით, მაგრამ ვისი?! „ვადაგასული“, არაფრისმთქმელი პიროვნებებით. სამაგიეროდ, ხომ იხარჯება მილიონები?! ხომ ეწყობოდა ახალგაზრდების გახრწნისა და გათავხედების ღონისძიებები? გაიხსენეთ 2007 წლის 7 ნოემბერი, რომელზედაც მე ჯერ კიდევ 2007 წლის გაზაფხულიდან გეუბნებოდით ჩემი ხილვებიდან. გაიხსენეთ? „დემოკრატები“ როგორ ურტყამდნენ და ასახიჩრებდნენ თანამოძმეთ, მტრებად, მოწინააღმდეგეებად მიჩნეულებს ?! იქნებ ყოველივე ამას ჩვენი გულგრილობაც მივუმატოთ სარწმუნოების მიმართ, გულგრილობა გაჭირვებულის მიმართ – თუნდაც ის, რომ აფხაზეთიდან დევნილებს ბევრს დღესაც არა აქვს „თავის მისადები“ ადგილი.

დიახ, ბუნების კატაკლიზმები, რომლებიც კაცობრიობის არნახული ზნედაცემულობით, რომელშიც იგულისხმება მამათმავლობა, მეძავეობა და ჩვეულებრივი ათეიზმი, მიგვანიშნებენ ჩვენს მიერ ჩადენილი ცოდვების გამოსყიდვისა და მონანიებისაკენ. შეიძლება ვთქვათ, რომ ასეთ დაცემულ კაცობრიობაზე იზრდება ღვთის სასჯელები.

- მამა გიორგი, თქვენ ომები და შიმშილობა ახსენეთ ...

- დიახ. მსოფლიოში ყველნაირად გამწვავდება მდგომარეობა. ყველა კუთხეში ომის დასაწყისის საფრთხე იქნება. ჩვენს რეგიონს – საქართველოს კი თურქეთის აგრესია ემუქრება, რადგან მეზობელი ქვეყნები სწორედ მასთან ჩაერთვებიან ომში და საქართველო კი მოგეხსენებათ სტრატეგიული თვალსაზრისით, აზიისა და ევროპის გზაგასაყარზეა, მაჰმადიანობასა და მართლმადიდებლობის გზაჯვარედინზე მდებარე ქვეყანა, თავისი სილამაზის წყალობით ბევრს ყელში ეჩხირება. მისი ფასი ქართველებმა ვერ გავიგეთ, თორემ ჰკითხეთ უცხოტომელებს, რამდენს უჭირავს თვალი ამ ჩვენს პატარა

კი არა, კარგად დაპატარავებულ ქვეყანაზე?! მართალია, იქნება ომი, შიმშილი, გაჭირვება, მაგრამ საქართველო იქნება საქართველო, ბასტიონი მართლმადიდებლობისა და იმ ძველი ქართველობისა, რომელიც დედაღვთისამ ქართველებს ჩაგვაბარა. გფარავდეთ უფალი!

- ამინ!

რატომ გვეძლევა ადამიანებს სნეულება?!

კითხვებზე გვპასუხობს გიორგიწმინდის ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძრის მოძღვარი მღვდელი გიორგი პავლოვი:

- მამა გიორგი, უამრავი ადამიანი იტაჯება სხვადასხვა სნეულებებით. გასული საუკუნის ბოლო ორი ათეული წელი და ახალი საუკუნის დასაწყისშივე ისეთი განუკურნებელი სნეულებები გამოვლინდა, რომლებიც არანაირ მკურნალობას არ ემორჩილება. ხშირი შემთხვევებია ონკოლოგიური დაავადებების. მასმედიის საშუალებით ყოველდღიურად ვრცელდება ინფორმაციები ბავშვთა დაავადებების შესახებ - ისიც ონკოლოგიური და განუკურნებელი მახასიათებლებით. მასმედიითვე ვრცელდება ინფორმაციები იმ სასწაულების შესახებ, რომელსაც უფალი განუკურნებელი სნეულებებით დაავადებულებს (რომელზედაც მედიცინამ უკვე ამოწურა თავისი შესაძლებლობები და დამარცხდა), მართლაც რომ სასწაულებრივ განკურნებას მოუვლენს, რის წინაშეც ქედს იხრის და მუხლს იყრის მედიცინის მუშაკი, მორწმუნე თუ თავად ურწმუნო ადამიანიც კი. როგორ აგვიხსნით ამას?

მამაო, რატომ გვეძლევა ადამიანებს სნეულება?

- ადამიანებს სნეულება სულის საკურნებლად ეძლევათ. მაგრამ, გვახსოვდეს, რომ ხორციელი სნეულება არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ ამით უფალი სნეულს ცოდვებს მიუტევებს. ამ შემთხვევაში უფალი აფხიზლებს ადამიანს, რათა მიხვდეს ის, რომ ავადმყოფობა და არა მარტო ავადმყოფობა, განსაცდელებიც სინდისის გამოსაფხიზლებლად მისცა. როცა ადამიანი სნეულებაშია, ის ევედრება უფალს გამოჯანმრთელებისათვის, მაგრამ ავიწყდება, რომ გამოჯანმრთელების შემდეგ სამადლობელი პარაკლისი აღავლინოს, მადლობა უთხრას უფალს. შეიძლება ზოგიერთი აქეთ შემოგედაოს, კურნება წამალმა მისცა და არა უფალმაო. მაგრამ

იმ წამალს, იმ ექიმს კურნების ძალა ვინ მისცა, ისევ უფალმა, ხომ?! გინახავთ ალბათ ან გაგიგონიათ, ადამიანი რწმენით განიკურნაო?! ჩვენთან, ტაძარშიც მოდიან ასეთი ადამიანები. ეს არის სასწაულებრივი კურნება. რატომ გვაძლევს ღმერთი სასწაულებრივ კურნებას?! - სულიერად რომ გავიზარდოთ. მინახავს ამის მაგალითები, მაგრამ ისიც მინახავს, განკურნების შემდეგ, ადამიანს ვერ გაუაზრებია, რატომ განიკურნა და როცა სნეულება შემობრუნებია, ყველას გაჰკვირვებია. ეს გასაკვირი არ არის, ჩემო კარგებო! გვახსოვდეს ერთი, რომ სნეულება და განსაცდელი ადამიანს დასასჯელად კი არ ეძლევა უფლისაგან, არამედ გონზე მოსასვლელად. სნეულება ჩვენ სასჯელად არ უნდა მივიღოთ, არა. უნდა მივიღოთ მადლიერებით, არც განსაცდელი არ უნდა მივიღოთ სასჯელად, ისიც მადლიერებით უნდა მივიღოთ. ეს ჩვენი, ადამიანების ცოდვებისგან განსაწმენდად გვეძლევა და ჩვენ უნდა შევძლოთ გავუძლოთ მას, ყველაფერი გავაკეთოთ სულის გასაწმენდად. ადამიანი ამის შემდეგ იმ დოზით იძენს სარწმუნოებას, რომელიც მას უფლისგან აქვს დადგენილი და მონიჭებული. შეიძლება ასეთი ადამიანი ადრეც, სნეულებამდეც იყო

მორწმუნე, მაგრამ არა იმ დოზით. სასწაულებრივი კურნებაა, როცა ონკოლოგიურ პაციენტს მედიცინა სასიკვდილო დიაგნოზს დაუსვამს, თანაც სიმსივნის IV სტადიას, მაგრამ, უყურეთ, არის შემთხვევები, როცა ასეთი ადამიანი ტაძარში სიარულს აზრს ატანს, ხვდება რატომაც მოუვლინა უფალმა მას სნეულება, ლოცულობს, ამბობს აღსარებას, ეზიარება, აკეთებს სასიკეთო საქმეებს. ერთი სიტყვით, სულისა და ხორცის განსაკურნებლად ყველაფერს აკეთებს. ასეთი ადამიანი ამარცხებს ვერაგ, სასიკვდილო დაავადებას, განიკურნება (მაგრამ, არა საბოლოოდ!), მაგრამ, თუ მას დაავიწყდა სამადლობელის თქმა, როგორც მორწმუნემ, თუ ისე არ გააგრძელა ცხოვრება, ის მარცხდება შემდეგ...

- ეს როცა ზრდასრულია ადამიანი, მაგრამ ბავშვები, მათ რა ცოდვა აქვთ, როცა ისინი განსაკუთრებით მძიმე სნეულებით იტანჯებიან?

- ეს რთული საკითხია. შეიძლება მშობლის სარწმუნოებისათვის, ან ამ ბავშვის სარწმუნოებისათვის. როგორ გითხრათ, წმინდა მატრონა მოსკოველი მთლად უსინათლო იყო ბავშვობიდანვე, მაგრამ როგორი მორწმუნე იყო, მისი ლოცვა როგორ შეეწეოდა ყველას?! მასზე ხატიც კი არის დაწერილი, მასთან სტალინიც ხომ არის მისული... მე ვერ გეტყვით, ვერ აგიხსნით, ეს უფლის საიდუმლოებაა. ჩვენ ხომ ვიცით, უფალი ჩვენი იესო ჩვენი ხსნისთვის მოვიდა, ეს იმას ნიშნავს, რომ არ გვსჯის, პირიქით, დახმარება უნდა ბავშვის თუ ზრდასრულის, ხანდაზმულის თუ სულ მთლად ჩვილისთვის. მეორედ როცა მოვა უფალი იესო, მაშინ უკვე სასჯელად გვექნება ყველა ცოდვა, რადგან მაშინ ჩვენი გასამართლება მოხდება.

- და მაინც, საინტერესოა, ხორციელ და სულიერ სნეულებებს შორის თუ არსებობს კავშირი?

- კი. აი, მაგალითად, თუ ადამიანი ადვილად ბრაზდება, ადვილად ვარდება მრისხანების ცოდვაში, დააკვირდით, მას ხშირად, ქრონიკული სახსრების ტკივილი ტანჯავს, ემართება გულ-სისხლძარღვთა დაავადებები. ადამიანს, რომელსაც უყვარს უზომო სმა-ჭამა, ე.ი. ვარდება ნაყროვანების ცოდვაში და მას საჭმლის მომნელებელი სისტემის, კუჭ-ნაწლავის დაავადებები ემართება. შეიძლება ადამიანი სულიერი სნეულებისგან განიკურნოს, მაგრამ, ამ უზომო ჭამისაგან ან დიაბეტი დაემართოს, ან კუჭ-ნაწლავის ქრონიკული დაავადება, დაუზიანდეს ღვიძლი, მართალია, შემდეგში ის ზღუდავს საჭმელს, დიდი რაოდენობით აღარ იღებს, მაგრამ ქრონიკულად გაჩენილი სნეულება მას არ ტოვებს. ეს იმის ნიშანია და ჭკუის სასწავლებელი

სხვებისათვის, რომ სხვებმა ნაყროვანების ცოდვას თავი აარიდონ თავიდანვე, შეიგნონ და სულის სიჯანსაღეზე იზრუნონ.

მაშ გაინტერესებთ, რისთვის ეძლევათ ადამიანებს ავადმყოფობა? წმინდა მამების თქმით, ადამიანს ავადმყოფობა თავისი ცოდვების გამოსასყიდად ეძლევა, დაუფიქრდეს, გააანალიზოს, დასკვნა გააკეთოს - როდის ჩაიდინა ცოდვა, რატომ, ვის მიაყენა ზიანი, დაითმინოს ეს ავადმყოფობა და კეთილმსახურებით გამოასწოროს თავისი შეცდომა. ზოგჯერ მშობლების ცხონებისათვის ეძლევათ შვილებს ავადმყოფობა, რათა შვილის ტანჯვამ შეაჩეროს მშობლის უგუნურება, დააფიქროს და ბოლოს ღმერთთან მიიყვანოს, ასევე იმისთვის, რომ არ, ან ვერ ჩაიდინოს ბოროტება, ჩვენი სული ააშოროს უფალმა დამღუპველ ცოდვას და კიდევ, მცირე უსიამოვნებით დიდ უბედურებას აგვაცილოს. ვინ იცის, იმ პერიოდისთვის ადამიანი ჯანმრთელი რომ ყოფილიყო, იქნებ ავადმყოფობაზე უარესი უბედურებაც დამართნოდა?!

ღმერთმა დაგლოცოთ!

გიორგიწმინდის ღვთისმშობლის შობის
სახელობის ეკლესიის მოძღვარი მღვდელი გიორგი პავლოვი

ჩაიწერა თინა ილაურმა

უფლისმიერი მადლით გაბრწყინებული

გიორგიწმინდა... უფლისგან მადლმოსილი, კახეთის ერთ-ერთი ულამაზესი სოფელი, ყველაზე მაღალ ადგილზე კი დავანებული უფლის სავანე - ღვთისმშობლის შობის ეკლესია, მრავალჭირგადანახადი ციხე-გოდლებით ამაყად მომზირალი.

უფალმა უბოძა ამ სოფელს ღვთიური მადლით გასხივოსნებული ბერი - მამა გიორგი პავლოვი, ქრისტეს ერთგული და უსაზღვროდ

მოყვარული თავისი საქმისა.

წლების განმავლობაში ვუსმენ და ვიხიბლები იმ ქრისტესმიერი მადლით, რასაც ის მრევლს უწილადებს.

დავფიქრებულვარ:

„მაინც ვინ ბრძანდებით თქვენ, მამა გიორგი?!“

ძნელია იპოვო პასუხის გამცემი, ამიტომ, თვითონ ვაყალიბებ ჩემს მოსაზრებას მასზე.

ქრისტეს მცნებების მატარებელი და დამცველი. სახარებისეულ სიბრძნის წრფელ გულებში ჩამნერგავი; ავადმყოფთა, ცოდვილთა, გაჭირვებულთა, მიუსაფართა, ცხოვრების ლაბირინთებში გზაკვალარეულთა შემწე, მფარველი და ნუგეშისმცემელი; ბოროტის წინააღმდეგ შეუდრეკელი მებრძოლი; საქართველოზე უსაზღვროდ შეყვარებული, უიმედოთა ნუგეშისმცემელი; სულიერი ხედვის ნიჭით დაჯილდოვებული; ხორციელი და სულიერი ავადობის კურნების მიმნიჭებელი;

მრევლისთვის - სულიერი მოძღვარი, რომელიც მათი ცოდვების მიუხედავად, მონანიების, მარხვის, ლოცვის, სწორი ცხოვრების წესის ჩამოყალიბებით მიიყვანთ უფალთან.

ჩემთვის - **სწორუპოვარი მსაჯული, სამაგალითო პიროვნება, თვალდახუჭული რომ გაჰყვები, მაგრამ ფარას არ ჩამოგაშორებს, არ დაგკარგავს და როგორც ერთ „ცხვართაგანს“ მიგიყვანს სასუფევლის კარამდე; განღმრთობილი მოძღვარი, რომელიც უფლისგან ბოძებული სულიწმინდის მადლით ხვდება რა თქვენს გულ-გონებაში, როგორც კურნების უებარ საშუალებას, გლოცავთ ყოვლისშემძლე ჯვრით.აღსარებითა და ზიარებით კი თქვენს ორგანიზმში შემოაქვს კურნება სულისა და ხორცისა-სადიდებლად უფლისა.**

ვუბრუნდები ისევ შეკითხვას: „მაინც ვინ ბრძანდებით თქვენ - მამა გიორგი?!“

მამა გაბრიელის, მამა გიორგი ბასილაძის, წმინდანთა გზის გამგრძელებელი - წმინდა მამა....

ალბათ ის, ვინც ბამბისქულასავით სპეტაკ ღრუბელზე დავანებულ იესო ქრისტეს და ანგელოზთა კრებულს ღვთისმშობლის შობის ეკლესიის ამ სავანეში დაახვედრებს მაღლით ხელაბყრობილ, გულმხურვალე მოღაღადე მრევლს, შეძახილით: **„დიდება მაღალთა შინა ღმერთსა“**, გულშიჩამწვდომი გალობით: **„ღირს არს ჭეშმარიტად, რაჲთა გადიდებდეთ შენ ღვთისმშობელო...“**

მადლობა უფალს, თქვენი წარმოგზავნისთვის მამა გიორგი!

მადლობა თქვენ, ჩვენი სულების გადარჩენისათვის ზრუნვისთვის! მადლობა, რომ თქვენის ლოცვებით გვაძლევთ ძალას - შევძლოთ, იწრო, ეკლიანი ცხოვრებისეული გზის ღვთივსათნოდ გავლა და პირნათლად მივიდეთ სასუფევლის ბჭემდე.

მზია მიქელაშვილი
საგარეჯო სოფ. ყანდაურა
ტ.574 19 94 00

„რა გითხრა, ბაბუ, შენ იცი, თუ ღვთის სიტყვის მოსმენა გინდა, იქ მამა გიორგია და მოუსმინე იმის ქადაგებას, თვარა მე რას დამდევ, ბაბუ, რავა კინოვარსკვლავი ვარ თუ?!“

მამა გიორგი (ბასილაძე) 2010 წლის გაზაფხულზე გავიცანი. ქ.დედოფლისწყაროში ვცხოვრობ და ამავე ქალაქში არსებულ სამლოცველო სახლში ავიდგი ფეხი რწმენაში. იმ დროისათვის მამა გიორგის შესახებ რამოდენიმე წიგნი უკვე გამოსული იყო და მათი წაკითხვის შემდეგ გულმა ძალიან გაიწია ამ ადამიანის გასაცნობად. მოკლედ, მალევე, მე სამ ქალბატონთან (მეუღლე - დალი ელისაშვილი, ბიძაშვილი - მარიამ კიკილაშვილი და თანამშრომელი - მაია ბაიდოშვილი) ერთად გავემართე სოფ. ჭოგნარში. მოგეხსენებათ დიდი გზაა (400 კმ-ზე მეტი) და სამ ქალბატონთან ერთად რაღაზე არ ვისაუბრებდით, მაგრამ ყველაზე დიდი კამათი ზესიძეობის „ფენომენმა“ გამოიწვია, ყველა რაღაცას ამტკიცებდა, მე კი დავიჟინე: შეიძლება ახალგაზრდა კაცმა დროებით, სხვადასხვა მიზეზის გამო (ომი, სტუდენტობა და სხვა) მეუღლის მშობლებთან იცხოვრო, მაგრამ თუ ნაღდი კაცი ხარ, აუცილებლად შენი ოჯახის „ბუდე“ ცალკე უნდა მოაწყო-მეთქი. კამათი ისე გამწვავდა ჩემს ბიძაშვილთან (მარიამი), რომ თუ არა ხორციელი ნათესაობა, ჩამოვსვავდი მანქანიდან...

ჭოგნარში ძლიერი წვიმა იყო. გაგვიმართლდა, რომ მამა გიორგის (მისი ძმისშვილის) სახლთან რიგი არ დაგვხდა. რომ გაიგო, ქიზიყიდან ასე ადრიანად ჩავედით, დაუყოვნებლივ მიგვიღო. შეუძლოდ იყო და ლოგინში იწვა. ოთახში შესვლისთანავე ყველას შესაბამისი ადგილი მიგვიჩინა: „ანიჩკებო, (ასე მიმართა ქალბატონებს) თქვენ ამის აქეთ არ გადმოხვიდეთო. მე უფრო ახლოს (1 მეტრის დისტანციაზე) მიმიწვია და მითხრა: აბა გისმენო. მე „საშინაო მომზადება“ გავლილი მქონდა და დავიწყე ბიბლიაში არსებულ გამონათქვამებზე შეკითხვების დასმა. ცოტა მაცალა და მერე თავისი არწივისებური მზერა მესროლა და თან დააყოლა: კაცო, შენ საერთოდ წერა-კითხვა იციო. ერთი წიგნი თუ წაგითხავსო. „რომელია აქედან შენი ანიჩკაო“- შემეკითხა. მივუთითე ჩემს მეუღლეზე. ახლა იმას მიმართა: შენ განათლებული ქალი ჩანხარ და ამას როგორ გაყევიო. მეუღლე ძალიან დაიბნა და ძლივს წაილუღლუღა: ექიმია განათლებით და წიგნი არ ექნება წაკითხულიო?! „ბაბუ, თუ ექიმი ხარ, აქ რა დიაკვნობა და მღვდლობა მომინდომეო“. მცირე პაუზის მერე მითხრა: ანიჩკებს ვაცალოთ ეხლა და ჩვენ მერე გავაგრძელოთ საუბარიო. მე ოთახიდან გამოვედი და ქალბატონებს მივეცი საშუალება წმინდანთან თავისუფლად გაეხნათ გული. ასე თხუთმეტი წუთის შემდეგ შევედი ოთახში. კარები როგორც კი შევხსენი, ქალების აწითლებული სახეები დავინახე და მივხვდი, ჩემზე ძალიან ალბათ, ამათ წასცხო და დაამდაბლა-მეთქი. დამინახა თუ არა, ხმამაღლა მითხრა: ბაბუ, მოდი ახლოს. კაცო, თავიდან ზესიძედ მისული მეგონე და თურმე რა კაი კაცი ყოფილხარო... ახლოს მიხმო და მეკითხება: „ანიჩკებს ეს ხატი გავუხსენი და აბა, შენ რამდენს დაინახავო“. თან მიმითითა საწოლთან ახლოს, კედელზე დაკიდებულ მაცხოვრის ხატზე. პირველად, როცა მამაოსთან მივედით, ეს ხატი შევნიშნე და შორიდან ვეამბორე კიდეც, მაგრამ ეხლა ამ ხატზე უფლის სხვადასვა გამოსახულებებს ვხედავდი. ცოტა არ იყოს, ამ უჩვეულო გამოსახულებათა ცვალებადობამ შემაშინა და თავბრუ დამეხვა, მაგრამ მამა გიორგი მალე წამომეშველა და მითხრა: კარგა დააკვირდი და მითხარი, რამდენ გამოსახულებას ხედავო. მეც ძალები მოვიკრიბე და დათვლა დავიწყე. ძნელია, ადამიანური ენით იმ განცდების გადმოცემა, რაც გამოსახულებების ცვლილებებს თან სდევდა: მაცხოვარი ხან ახალგაზრდა იყო, ხან მოხუცი კაცის სახე ჩანდა, ხან ეკლიანი გვირგვინისა და სისხლით დაფარული სახე გამოჩნდებოდა და სხვა. რვა დავთვალე და მეტი ვერ შევძელი. რვას ვხედავ-მეთქი, რომ ვუთხარი. კარგიო. „ისე რომ იცოდე, თორმეტია აქ

და ეს ხატი ქალბატონმა ბარათაშვილმა მაჩუქაო“. ამ გამაოგნებელი შთაბეჭდილებიდან გამოსული არ ვიყავი, რომ მამაო მეკითხება: შენ სტალინზე რა შეხედულება გაქვსო. კარგი-მეთქი, მოკლედ ვუთხარი. **„დიდი კაცი იყოო იგი, ბერების შეგზავნილი იყო მასონთა ხროვაში. კიდე ბევრს გაიგებენ ამ კაცის სულიერ სიძლიერეზეო“...** მამა გიორგი პერიოდულად მზერას ჭერს მიაპყრობდა, სახის კანის ფერიც რამოდენიმე წუთით უფრო სანთლის ფერი უხდებოდა. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ სხვა სამყაროსთან ახდენდა კავშირს. ერთი-ორი წუთის შემდეგ ჩვენთან კონტაქტს აგრძელებდა, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ კონტაქტის თვითოეულ განახლებას სულ სხვა თემაზე საუბრით აგრძელებდა...როგორც თვითონ აღნიშნა, მისთვის უჩვეულოდ ხანგრძლივი საუბარი გამოდგა ჩვენთან. ბევრ საკითხებზე „ვისაუბრეთ“ და როცა პოეზიას მივადექით, მეც არ დავაყოვნე და მისთვის უსაყვარლესი პოეტის - ვაჟა-ფშაველას ლექსები მოვიშველიე. მოისმინა, მერე ჩემს მეუღლეს შეხედა და უთხრა: „ბაბუ, ისე ამ კაცს რაცხა ქე წაუკითხიაო“ და თავისებური ღიმილით შემომხედა. „არ გეწყინოს ბიძია, აქანე იმდენი თავგასიებული მოდის, რომ ყველას ვერ ავყვები აბდაუბდა აზრებშიო“... კვლავ პაუზა: „შენ კი რას გეტყვი, ბაბუ, იცი, ეს ანიჩკები იქნებიან მოწმენი შენი დალოცვისა. ამ კელიაში ორი კაცი მყავს დალოცვილი და მესამე შენ იქნებიო“. საწოლთან ახლოს მიმიხმო, დაიჩოქე და თავი დახარეო. თავზე არ შემხებია. ქალებმა მერე მითხრეს: ერთი ხელი შენი თავის ზევით ეკავა და მეორე ხელით სამჯერ გადაგწერა ჯვარიო... მადლობა მოვუხადეთ მამაოს ასეთი მიღებისათვის, დავემშვიდობეთ და კელიიდან გამოვედით. დერეფანში ორი ნაბიჯიც კი არ მქონდა გადადგმული, რომ მამა გიორგიმ დაიძახა: „ეე, ქიზიყელო, შემოდი აქ“-ო. შევედი შეძრწუნებული, რამე ხომ არ შემეშალა მეთქი. აქედან სად მიდიხარო-შემეკითხა. ქუთაისში-მეთქი, ვუპასუხე. „რა გინდა იქო“-აგრძელებს „დაკითხვას“. ქუთაისში ახალგაზრდობის მეგობარია - მამია ორბელაძე და კახური ღვინო მინდა ჩავუტანო-მეთქი. „ბაბუ, გთხოვ. არ ქნა მაგიო. რაშია იცი საქმე, მე ეს წმინდა ხატი გაგიხსენით, შენც დაგლოცე და აქედან გასულს ძალიან ბევრი ბოროტების მსახური აგედევნება და შარს გადაგყრიან. მოდი, რა გზითაც ჩამოხვედი, ისევ იმ გზით დაბრუნდი სახლში. შენს მეგობარს ღვინო სხვა დროს მიაწოდე. ქართლის მთაზე რომ ახვალ, მანქანაში რომ ღვინო გაქვს, იქიდან თითო ჭიქით დაილოცე და არსად გადაუხვიო, ასე წადი სახლშიო“. თან დააყოლა: „ბაბუ, ხომ მაძლევ პირობას, რომ არ გადახვალ ჩემს სიტყვასო“. მამაოს პირობაც მივეცი

და ასეც მოვიქეცი. ამ შეხვედრის შემდეგ მუდმივი სურვილი მქონდა, კვლავ მესაუბრა ასეთ მოძღვართან. დაახლოებით 10-ჯერ კიდევ შევხვდი მამა გიორგის, თუმცა პირველი შეხვედრის მსაგვსად დიდი ხნით ვეღარ მოხერხდა საუბარი, ხან დიდი რიგი იყო ადამიანების, ხან მისი ავადმყოფობა გვიშლიდა ხელს. ერთ-ერთ შეხვედრაზე მამა გიორგის ვკითხე, სოფელ გიორგიწმინდის ტაძარში როდის აპირებდა ჩასვლას. **(მისივე საუბრებიდან ვიცოდი, რომ უყვარდა მამა გიორგისთან (პავლოვი) სტუმრობა).** შენ რაში გაინტერესებსო-შემეკითხა. გიორგიწმინდა ახლოსაა დედოფლისწყაროდან და მეც დავესწრებოდი საკვირაო წირვას-მეთქი. **„რა გითხრა, ბაბუ, შენ იცი, თუ ღვთის სიტყვის მოსმენა გინდა, იქ მამა გიორგია და მოუსმინე იმის ქადაგებას, თვარა მე რას დამდევ, ბაბუ, რავა კინოვარსკვლავი ვარ თუ?!“** დაუსრულებლად შეიძლება მამა გიორგის სიბრძნისეულ იუმორზე საუბარი. გასაოცარი ქართული სულით იყოთ ეს კაცი გაჟღენთილი. ყოველ შეხვედრას თან სდევდა სევდა ხანგრძლივი პაუზისა. მადლობა უფალს, რომ მომეცა საშუალება ამ ადამიანთან მქონოდა ცოცხალი ურთიერთობა.

გიორგი კიკილაშვილი

წმინდანის გამოცხადება ჩვენს ტაძარში

„დიდ ხარ შენ უფალო და საკვირველ არიან საქმენი შენნი“.- გვასწავლის წმიდა წერილი. ეკლესიური ცხოვრების სიღრმისეულად გააზრებამ დამანახა ის ბიბლიური ჭეშმარიტება, რომელსაც უფალი თავისრჩეულებს უძღვნის. ჩემი აწ გარდაცვლილი მეუღლე გოდერძი სონიშვილი, წუთისოფელში ცხოვრების უკანასკნელ წლებში, უფლის რჩეული გახდა. ამას დაადასტურებენ მისი სულიერი ძმები და დები. იგი ღირსი შეიქმნა წმიდანის ხილვისა. ეს მოვლენა 2011 წელს მოხდა. **გიორგიწმინდაში, ჩვენს ტაძარს სტუმრობდა მართლმადიდებელი სამყაროსა და თანამედროვეობის ერთ-ერთი ღირსეული მამა – დეკანოზი იოანე (ოლარი), რომელიც სანკტ-პეტერბურგიდან წმიდა ნინოს გამოცხადებითა და წმიდა გიორგის კურთხევით ჩამობრძანდა.**

იმ დღეს, ჩვენს ეკლესიაში საღამოს ლოცვა აღევლინებოდა. ლოცვას ატარებდნენ მამები - იოანე (ოლარი) და გიორგი (პავლოვი). გოდერძი, როგორც მას სჩვევოდა თავისი თავმდაბლობიდან გამომდინარე, ტაძრის დასავლეთ კედელთან იდგა და უსმენდა ლოცვას. ამ დროს მას უფალმა, სხვა განზომილებაში ხედვის უნარი გაუხსნა, რასაც თვითონ ასე აღწერდა: „ლოცვის შემდეგ ზეთისცხება დაიწყო. მამა იოანემ და მამა გიორგიმ ერთმანეთს აცხეს ზეთი. ამ დროს გაბრწყინდა აღსავლის კარი და საკურთხევლიდან გაბრწყინებულ სამღვდელმთავრო ომოფორში გამოწყობილი, საკმაოდ მაღალი, ნათელმოსილი, მიტრით თავდაბურული ხუცესი გამოჩნდა. მისი გრძელი წვერი ვერცხლისფრად ელვარებდა.



გოდერძი სონიშვილი და მამა გიორგი პავლოვი

მან მოიმარჯვა ზეთით სავსე ჭურჭელი და დაიწყო ზეთის ცხება. ტაძარში მომლოცველები ძალიან ბევრნი იყვნენ და უმრავლესობა ტელეფონების და ფოტოაპარატების მეშვეობით, ზეთისცხების პროცესის გადაღებით იყვნენ დაკავებულნი. ხუცესს ეს არ მოეწონა. პროტესტის ნიშნად ფუნჯიანი მარჯვენა ზევით ასწია და ანიშნა მრევლს, რომ შეეწყვტათ გადაღება. ამასობაში ოთხ თუ ხუთ ადამიანს სცხო ზეთი, მერე ზეთის ჭურჭელი მამა იოანე ოლარს გადასცა და საკურთხეველში გაუჩინარდა. ამ დროს მე წინ მივიწევდი, მინდოდა, რომ ამ არაჩვეულებრივ ბერს ეცხო ჩემთვის ზეთი, მაგრამ ამაოდ. როდესაც მივუახლოვდი ამბიონს, მამა იოანემ მაცხო ზეთი და დამლოცა...

ლოცვის შემდეგ, ტაძარი ნელა-ნელა დაიცალა ხალხისგან, მე კი მომხდარით გაოცებული, ვიდექი და მივშტერებოდი საკურთხეველს. მამა იოანე და მამა გიორგი გამოვიდნენ საკურთხევლიდან და სენაკისკენ მიმავალ გზას გაუდგნენ. გამიკვირდა მათი ქცევა, რომ არ დაელოდნენ სტუმარს...

...არც თუ დიდმა დრომ განვლო...

...მესანთლის მაგიდასთან შეკრებილი ქალებიდან ერთ-ერთმა მითხრა:

- გოდერძი შენ არ მიდიხარ მამაოს სენაკში? ჩვენი ბიჭები ყველანი იქ წავიდნენ.

- როგორ წავიდე, - ვუპასუხე მე, - ის მამაო არ გამოსულა საკურთხეველიდან.

ყველას გაუკვირდა ჩემი პასუხი. ცოტა გვერდულად და გაკვირვებით შემომხედეს და მითხრეს:

- იქ არავინ აღარ არის გოდერძი, ყველანი წავიდნენ.

- რას ამბობთ კაცო! - წარმოვთქვი ცოტა აღელვებულმა, - თქვენ ჩემზე წინ არ იდექით!? ის მაღალი მამაო ზეთს რომ სცხებდა ხალხს, ვერ დაინახეთ!?

ყველამ ისევ გაკვირვებით შემომხედა, როგორც ჩანს მიხვდნენ, რომ ხილვა მქონდა ნანახი და აღარაფერი უთქვამთ. შემდეგ ეს ყველაფერი მამაოებს მოვუყევი. მათ არ გაჰკვირვებიათ და ამიხსნეს, რომ: „წირვა-ლოცვას უხილავად წმიდანები ესწრებიან. ამ შემთხვევაში კი უფალმა შენ დაგანახა ის ხუცესიო“.

ხილვის შემდეგ, გოდერძის ერთი კვირის განმავლობაში არ დაუძინია. ჩაცმული იჯდა და ფიქრობდა მომხდარზე. მის შემდეგ, ისედაც უთქმელი და მორიდებული კაცი, გულჩათხრობილიც გახდა.

ჩვენი ოჯახის ახლობლისთვის - სოსლან გარსევანიშვილისთვის შეუჩივლია: - ნათლი! ტყეში განმარტოებით საქონელს რომ ვმწყევმსავ, რაღაც ბურთის მაგვარი გაბრწყინებული სხეული დამდევს, ხან წინ მოექცევა, ხან კიდევ უკან. ვერ გავიგე რა არის!?

გოდერძი უფალმა 70 წლის ასაკში გაიყვანა წუთისოფლიდან, ხოლო გარდაცვალებიდან მეათე დღეს, მის ფოტოსურათზე, რომელიც გასვენების რიტუალისთვის იყო დამზადებული, მირონი გადმოვიდა...

ყოველივე ამის ახსნა ისევ სახარებაში უნდა ვეძიოთ:

„ნაყოფთა მათთაგან იცნნეთ იგინი...“(მათე 7.16.)

ლია თამაზაშვილი ტაძრის მესანთლე
სოფ. გიორგიწმინდა; ტელ-5-93-11-42-86

„წმიდათა რომელნი არიან ქუეყანასა მისსა, საკვირველ-ყო უფალმან ყოველივე ნება მისი მათ შორის“

(ფსალმ.15,3).

ძალიან მიჭირს რაიმე დავწერო ისეთ პიროვნებაზე, როგორიც მამა გიორგი პავლოვია და მასთან ახლოს მყოფობის ენით გამოუთქმელ სიხარულზე, რომელსაც სული მის გვერდით განუწყვეტლივ გრძნობს. ბოლომდე ვერ გამიცნობიერებია, თუ რატომ გამხადა განგებამ ღირსი, ასეთი წმინდა ადამიანის და მის გარშემო შეკრებილი საოცარი, დედა ეკლესიის მრევლის წევრობისა. მხოლოდ ვიცი, რომ ეს უფლის განუზომელი მოწყალებისა და ჩემი უსაყვარლესი წმინდა მამის, ღირსი გაბრიელ აღმსარებელისა და სალოსის მეოხებით მოხდა, რაზეც შემდეგში მამა გიორგიმ სასწაულებრივად მიმანიშნა. ბედნიერი ვარ, რომ მამა გიორგი არის ჩემი პირველი მოძღვარი, ვისაც აღსარება ჩავაბარე და რომლის ხელიდანაც წმინდა ზიარება მივიღე.

მინდა გავიხსენო, თუ როგორ აღმოვჩნდი ამ საკვირველ მოძღვართან. ალბათ, უმრავლესი ადამიანის ცხოვრებაში, ადრე თუ გვიან დგება მომენტი, როდესაც აცნობიერებ, რომ ყველაფერი ამ ქვეყნიური ფუჭი და წარმავალია, რომ შენი განვლილი ცხოვრება სავსეა ამაოებით, უფლის მიერ სულის გადასარჩენად ნაბოძები დროის ბოროტ საქმეებში გამოყენებით და ამა სოფლის დაცემული სულის ნამოქმედარით, ცოდვებით, განსაცდელებით დაწყლულებული იწყებ ჭეშმარიტების ძებნას, ეძებ სისხლისგან დაცლილი და დაავადებული სულის კურნებას, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი უფლის, იესო ქრისტეს მიერ, მართლმადიდებელი დედა ეკლესიის წიაღში, ისეთი წმინდა და ნამდვილი ღვთის მსახურების ხელით აღესრულება, როგორიც მამა გიორგია. სწორედ ამგვარ სასოწარკვეთილ სულიერ მდგომარეობაში მყოფი ვევედრებოდი ჩემთვის ეკლესიისაკენ გზის მანათებელს, სვეტს და სიმტკიცეს ჭეშმარიტებისას, XX საუკუნის უდიდეს ბერს, ღირს მამა გაბრიელს, რომ გამოეჩინა ჩემთვის ნამდვილი მოძღვარი, რომელიც ამ ფართო და ჯოჯოხეთისაკენ მიმავალი გზიდან მომაბრუნებდა. მართლაც, ენით გამოუთქმელი და მიუწვდომელია უფლის ის მოწყალება, რომელსაც მისდამი მსასოებელი ადამიანის მიმართ იჩენს, რომ მიუხედავად კაცის

დაცემისა და უღირსებისა, არასოდეს ტოვებს მას. **„ნებსით არა მნებავს სიკუდილი ცოდვილისა, არამედ მოქცევა და ცხორება მისი“.** (ეზეკ.33,11). ნამდვილად გამოუკვლეველი და შეუცნობელია უფლის გზები.შემდგომში ჩემს თავზე გადახდენილით, იმთავითვე ცხადი გახდა სახარებისეული სიტყვების ჭეშმარიტება: **„ითხოვდით, და მოგეცეს თქუენ; ეძიებდით და ჰპოოთ; ირეკდით, და განგეღოს თქუენ“.** (მათ.7,7).

არასოდეს დამავიწყდება ჩემი პირველი ჩასვლა სოფელ გიორგიწმინდაში, პირველ წირვაზე დასწრება და მამა გიორგის ნახვა. გაოცებული ვიყავი ნანახით. ღვთისმშობლის შობის სახელობის ამ პატარა ძველისძველ ტაძარში, ღვთის დიდი მადლია დავანებული, აქ ვიხილე და გავიცანი ბრწყინვალე ადამიანები, ჩვენი სამშობლოს გულანთებული და მოჭირნახულე მამულიშვილები, რომელთა თვალებშიც მხოლოდ ურთიერთსიყვარული, პატივისცემა, მართლმადიდებლობისათვის თავგანწირვა და აღმსარებლობა იკითხება. ჩემთვის დიდი პატივია ამ პიროვნებების გვერდით დგომა და მათ სულიერ ძმად მყოფობა. აქ განცდილის გადმოცემა მხოლოდ ერთი სიტყვით შევძელი და ეს სიტყვა „სიყვარულია“, მე სიყვარული ვიხილე, როგორც პავლე მოციქული ბრძანებს: **„ნურაიმცა ვისი თანაგაც, გარნა ურთიერთას სიყუარული, რამეთუ რომელსა უყუარდეს მოყუასი თვისი, მან შჯული აღასრულა“.** (რომ.13,8).გასაოცარი იყო მოძღვრისა და მრევლის ურთიერთდამოკიდებულება, ისეთი უშუალო, უბრალო, სითბოთი და სიხარულით სავსე, რომ მსგავსი მანამდე არსად მენახა. აქ აღმოვაჩინე ჩვენი დროის უდიდესი წმინდა მამის - გიორგი ბასილაძის სიტყვების ჭეშმარიტება: **„ცხვრის ტყავში გახვეული მგლები, ქადაგებენ საათობით, ჩანან განსწავლულები, სულიერები და დიდებულები, მაგრამ მათ გვერდით ყოფნისას განიცდით სიცივეს, სიშორეს, სევდასა და შფოთს, როცა წმინდანები ჩანან უბრალო და ღარიბნი, ზოგჯერ საღვთო სიტყვის „უცოდინარნი“, მაგრამ მათგან იფრქვევა ქრისტეს სითბო, სიყვარული და ისინი ავსებენ თქვენს შინაგან სამყაროს იმედითა და შვებით“.** სწორედ, რომ ქრისტეს სიყვარული, სითბო და იმედი იფრქვევა მამა გიორგისგან, ეს პირადად ჩემს თავზე გამოვცადე და შევიგრძენი. ამის ახსნა შეუძლებელია. **ის არის საოცარი სიმდაბლის და სიმართლის მფლობელი ადამიანი, მისი ქადაგება და მხილება არ არის უბრალოდ ჰაერში ფუჭად ნასროლი მართალი სიტყვა, არამედ ყოველ მის გამონათქვამში იგრძნობა, რომ იგი ამ სიტყვის შესაბამისი სულიერი საზომის მფლობელია,**

ანუ იგი სიმართლის შინაგანად მატარებელი, სულით და გულით ჭეშმარიტად ქართველი, სამშობლოს მტრებთან დაუღალავად და შეურიგებლად, უშიშრად და თავგანწირვით მებრძოლი პიროვნებაა, რომელიც უდიდესი მაგალითი და მასწავლებელია სიმამაცის, თავგანწირვის, უბრალოების, უპოვარების, მოწყალების და ყველაზე აღმატებულის - სიყვარულის!.. რაც მთავარია, იგი ყოველი სათნოების მასწავლებელია საქმით და არა მხოლოდ სიტყვით, რადგან როგორც დიდი გაბრიელ ბერი ბრძანებს: **„სიყვარული თვინიერ საქმეთა გარეშე მკვდარია და მხოლოდ ჰაერში ნათქვამი ფუჭი სიტყვაა, რომელიც ადამიანს სასჯელად დაედება უფლის იესო ქრისტეს წინაშე საშინელ სამსჯავროზე, რამეთუ იძახდა სიყვარული, სიყვარული და იმ საქმეთაგან შორს იდგა მოყვარულ ადამიანს რომ უნდა ჰქონდეს ღმრთისა და მოყვასის წინაშე; ან თუ ჰქონდა ნაკლულევანი, ვიდრე მის შეძლებაში იყო, რომ აღესრულებინა და არ ჰქმნა“.** ასეთი უდიდესი სიყვარულის მატარებელია მამა გიორგი, რომელსაც ყოველდღე ამტკიცებს ქართველი ერისა და თითოეული მასთან მიმსვლელი ადამიანის წინაშე, ამიტომ უბრალო ხალხმაც თვალისჩინივით შეიყვარა, მუდმივად სამშობლოს სადარაჯოზე მდგომი, სამწყსოზე დაუღალავად და უანგაროდ მზრუნველი, ქრისტეს ერთგული მსახური.

მინდა გავიხსენო ერთი სასწაული დღე, რომელიც უფალმა და მამა გიორგიმ მაჩუქეს, ღირსი მამის სერაფიმე საროველის ხსენების დღეს. წირვის დასრულების შემდეგ, ქადაგებისას მამაომ ყურადღება გაამახვილა მისი სერაფიმე საროველისადმი განსაკუთრებულ სიყვარულზე და დასძინა რომ: **„თუ შენ განსაკუთრებით გიყვარს რომელიმე წმინდანი, ვთქვათ მამა გაბრიელი და კითხულობ მასზე წიგნებს, სწავლობ მის ცხოვრებას, უყურებ ბერზე გადაღებულ ფილმებს და სულ ფიქრობ მასზე, ასევე ეს წმინდანიც ფიქრობს შენზე და შენ შედიხარ ამ წმიდა მამის მფარველობის ქვეშ!“** ეს სიტყვები დაასრულა თუ არა მამა გიორგიმ, იქვე ამბიონთან ახლოს მდგომს, რომელიც მთელი გულისყურით ვუსმენდი მამა გაბრიელისადმი ჩემი დამოკიდებულების უზუსტეს აღწერას, შემომხედა და მრავალმნიშვნელოვნად თვალი ჩამიკრა. ტანში რაღაც უეცარმა ელვამ დამიარა, ერთდროულად გაოგნებისაგან და სიხარულისაგან აღარ ვიცოდი რა მექნა, შემდეგ კი საუბარი ჩვეულებრივ განაგრძო სხვა წმინდა მამებსა და ზოგადად მათ ჩვენდამი მფარველობაზე. საოცარი ის იყო, რომ მამაოსთან სულ რამდენიმე კვირის მისული

ვიყავი, მასთან ნორმალურად არც კი მისაუბრია და მითუმეტეს მამა გაბრიელი არასოდეს მიხსენებია. ენით გამოუთქმელი იყო ის სულიერი სიხარული, რომელსაც მთელი დღის განმავლობაში განვიცდიდი, გიორგიწმინდიდან თბილისში დაბრუნებულს, მინდოდა ყოველი ადამიანი გულში ჩამეკრა და ეს სიხარული გამეზიარებინა, უბრალოდ საკუთარ კანში ვეღარ ვეტეოდი ამ სამოთხისეული განცდისგან და სულიც თავისდაუნებურად იმეორებდა გულში ვერ დატეულ და ვულკანივით ამოხეთქილ სიტყვებს: **„დიდება შენდა ქრისტე ღმერთო!!!“**

დიდება და მადლობა უფალს, რომ ბოლო ჟამის ამ გაციებულ და ცოდვებით დამძიმებულ ეპოქაში, როდესაც **„განმრავლებითა უჭსჯულოებისათა, განხმეს სიყუარული მრავალთა“.** (მათ.24,12), არ გვტოვებს მარტო და გვიგზავნის ასეთ სიმდაბლის, სიკეთისა და სიყვარულის მასწავლებელ უდიდეს მოძღვრებს, რადგან როგორც მამა გაბრიელი გვაფრთხილებს: **„დღეს ბოროტი სული მთელი ძალით იმას ცდილობს, რომ ადამიანთა გულებიდან სიყვარული ამოგლიჯოს, მისგან მცირედი მოკლებით ნელ-ნელა გააცივოს და შემდგომ საერთოდ განაშოროს მას, ღმერთი ახლა სიყვარულს ითხოვს ჩვენგან! სიყვარული ცხოველია, რომელიც კეთილი საქმის გარეშე კვდება; კეთილი საქმეები კეთილი ქმედებაა; კეთილი ქმედება კი სიცოცხლეა სიყვარულისა. ესაა ჭეშმარიტი სიყვარული და ის ერთადერთი ძალა, რომლითაც ადამიანი შეძლებს გაუძლოს ბოლო ჟამისეულ საცდურებს, სიმძიმესა და შიშს, რომელსაც ანტიქრისტე - მისი დროებითი მეუფება მოიტანს ამ ქვეყანაზე“.**

მამა გიორგის და მისი დარი ჭეშმარიტი მოძღვრების მეოხებით, ყოვლადწმიდა ღვთისმშობელმა დაიფაროს ხილულ თუ უხილავ მტერთაგან თავისი წილხვედრი ივერია! თითოეულ ქართველს მოგვმადლოს ჭეშმარიტი რწმენა უფლისა, რათა აგვეხილოს სულიერი თვალი და დავაფასოთ ქართველი წმინდანების მიერ განვლილი ტკივილებითა და ტანჯვით აღსავსე ეკლიანი გზა, რომელიც საქართველოს გადარჩენაზე, გათავისუფლებაზე და გაბრწყინებაზე გადის.

...და კვლავ ჩაისახება ქართველთა გულში საოცნებო იმედი ერის ხსნისა და ყოველი ქართველი ღირსი მამისა და წმინდა ილია მართლის გულიდან ამოსული სიტყვებით, შეჰღაღადებს ღმერთს:

„დედაო ღვთისავ! ეს ქვეყანა შენი ხვედრია...
შენს მეოხებას ნუ მოაკლებ ამ ტანჯულ ხალხსა;
საღმრთოდ მიიღე სისხლი, რომელ ამ ხალხს უღვრია,
ჩაგრულთ სასოო, ნუ არიდებ მოწყალე თვალსა!
რაცა ტანჯულა ეს ქვეყანა ტანჯვად ეყოფა,
მოეცი ძალი დავრდომილსა კვლავ აღდგომისა,
სახელოვანი განუახლე ჩაგრულთ დღეთ ყოფა,
მამაპაპური სული, გული მოჰმადლე შვილსა.
ძლიერო ღმერთო! შენთვის ჰბრძოდნენ ქართველისა ძენი,
დასაბამითვე არ იციან რა არს მშვიდობა...
იკმარე საღმრთოდ მათ პატიჟნი და სისხლის ძღვენი,
თუ რამ შეგცოდეს, - შეისყიდეს ტანჯვით შენდობა.
მოჰმადლე ქართველს ქართვლის ნდობა და სიყვარული
 და აღუდგინე მშვენიერი ესე მამული!..
ჰოი, სახიერო! ცისარტყელა განავლე ცასა,
რათა წარღვნისა მოლოდინი წარხოცო ხალხსა!..“

ღმერთმა გააძლიეროს ჩვენი მამა გიორგი. დღეგრძელობა და მხნეობა არ მოაკლოს, ქართველი ერის საკეთილდღეოდ. არასოდეს ჩამქრალიყოს მის წმინდა გულში. ღმრთისა და მოყვასის მიმართ აგიზგიზებული სიყვარულის ალი... მადლობა მას ყველაფრისათვის და მაპატიოს თუ ისე ვერ გადმოვეცი სათქმელი, როგორც ეს საჭირო იყო. თხრობა კი მინდა თავად მამა გიორგის ერთ-ერთი საოცარი ქადაგებიდან დამახსოვრებული და სამუდამოდ გულში ჩარჩენილი სიტყვებით დავასრულო: **„როდესაც ქართველ წმინდათა და მოწამეთა აურაცხელი დასი, ყოვლადწმინდა დედას შეჰღაღადებდა და შესთხოვდა, მათ მიერ დათხეული სისხლის ფასად, მისი წილხვედრი ივერიის გადარჩენას, - ღვთისმშობლის პასუხი იყო: გადავარჩენ და გავაბრწყინებ!!!“**

თორნიკე გუგუციძე
თბილისი
ტ. 579565687

„ის პავლოვი არ არის-პავლიაშვილია“
არქიმანდრიტი გიორგი (ბასილაძე)

მამა გიორგი პავლოვთან ვისაც კი აკავშირებს დიდი ხნის ურთიერთობა, ის ნამდვილად დარწმუნდებოდა, რომ ამ ღვთისნიერ ადამიანში დავანებულია ქართული სული. მისი ცხოვრების წესი, მრევლთან ურთიერთობა, კონკრეტულ ადამიანებთან დამოკიდებულება და სხვა ბევრი რამ მიგვანიშნებს მის ქართველობაზე. მამა იოანეს (ოლარი) ხშირად უთქვამს ეს სიტყვები: „Старый дух“ (ძველი სული), რითაც ის მიანიშნებდა ადამიანის იმ სულზე,

რომელიც ღრმა წარსულიდან მოდის **„უმამო, უდედო, უგვარტომო, არც დღეთა დასაბამი აქვს, არც სიცოცხლის დასასრული, ღვთის ძის მსგავსად, რჩება მღვდლად სამუდამოდ“** (ებრ. 7. 3).

ბევრ სასულიერო პირთან მქონია და მაქვს ურთიერთობა, მაგრამ ასეთი განსხვავებული მღვდელი, იშვიათად თუ მოღვაწეობს ჩვენს დედა ეკლესიაში. ის, როგორც ქრისტეს ჭეშმარიტი მხედარი, გახლავთ ნამდვილი მოძღვარი, რომელიც მოღვაწეობს საეკლესიო კანონების სრული დაცვით და წმიდა მამათა ცხოვრების წესით, რაზეც მრევლის სიმრავლე ნათლად მიუთუთებს.

გავიმეორებ ცნობილ ფრაზას: „ისტორია მეორდება“. ამ შემთხვევაში **ჩვენ საქმე გვაქვს ისტორიული მოვლენების გამეორებასთან. უფალი, ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანას, ყველა ეპოქაში გამოუჩენს ხოლმე ერის კაცებსა და სასულიერო პირებს, რომლებიც ზრუნავენ ხალხის გამოფხიზლებისა და საუფლო გზით სვლისაკენ.** აკი, შეპირდა უფალი თავის დედას, მისი წუთისოფლიდან გასვლის ჟამს: **„არ გავწირო ერი ესე საზეპურო, უკანასკნელ ჟამამდის“.**

რაც შეეხება ისტორიის გამეორებას. 1992 წლიდან დღემდე ჩვენი ქვეყნის საერთო მდგომარეობა გვაგონებს იმ ტრაღიკულ პერიოდს, როდესაც სულიერად და მატერიალურად დანგრეულ და გაუბედურებულ საქართველოს, მეფედ დაუნიშნეს როსტომ ხანი (1632-1658წ.წ): „ქ“ კს ტკ: როსტომ მეფეს ქართლი მისცა ყეენმან, დაუთხანის ნაბიჭვარი იყო; დაუთხან ქართველის, მეფის ლუარსაბის შვილი იყო“. ...თუმცა როსტომ მეფე თავისა აღზრდითა და ზნე-ჩვეულებით უფრო სპარსელი იყო, ვიდრე ქართველი, პოლიტიკურადაც სპარსეთის სახელმწიფოს ყურმოჭრილი ყმა და მისი პოლიტიკის ერთგული განმახორციელებელი იყო“.(ივ. ჯავახიშვილი. „ქართველი ერის ისტორია“. ტ.5. გვ.32-33).

როსტომ ხანის მმართველობა ქართველი ხალხისთვის დამღუპველი გამოდგა. ეროვნული გადაგვარების საფრთხე ძლიერდებოდა. მან მზაკვრული მეთოდებით, საქართველოს დაპყრობა და სპარსეთისთვის დაქვემდებარება განიზრახა. სამეგრელოს მთავარ - ლევან დადიანთან დამოყვრებით, სურდა იმერეთის და კახეთის სამეფოების დასუსტება და დაპყრობა. სამშობლოს და სპარსეთის ერთგულებისათვის „ორმოცდაათი ათასი მარჩილი შაჰ-სეფი ყაენს გამოეგზავნა ლევან დადიანისათვის და წელიწადში ათასი თუმანი ჯამაგირი გაუჩინა“. ამ უკანასკნელ ცნობას სპარსელი ისტორიკოსიც ადასტურებს. მისი სიტყვით, 1000 თავრიზული თუმანი ლევან დადიანს

დანიშვნია, ვითარცა სპარსელების ერთგულ მეგობარს...“(იქვე. გვ.38).

სპარსეთში აღზრდილსა და მაჰმადიანს, ქართული წესისა და ზნე-ჩვეულებისა არა ესმოდა რა და თავის ყოფა-ცხოვრებაში ის ხშირად უფრო სპარსულ-მაჰმადიანურ წესს მისდევდა და ამით ქართველთა ეროვნულ-სარწმუნოებრივი გრძნობა არა ერთხელ შელახულა.

როსტომ ხანის მეფობისას, თბილისის მმართველობა სომხური (გრიგორიანული) სარწმუნოების და ებრაული წარმოშობის მოქალაქეებმა ჩაიგდეს ხელში. მათ ოჯახებში ჩვეულებრივ, მრავალი ქართველი ყმა-შინამოსამსახურე ჰყავდათ და იმდენს უხდიდნენ, რომ შიმშილით არ დახოცილიყვნენ. როგორც მაკარი ანტიოქიელი წერს: „...სომხები და ებრაელები წარმოადგენდნენ მდიდართა კლასს საქართველოში და მათ წინაშე ყველა ქართველი დავალებულია, განურჩევლად წარჩინებულობისა და მმართველობისა. ყოველ ამ ვაჭართაგანს ოჯახში ჰყავს ქართველი გოგო-ბიჭი მსახურად, რომელსაც როგორც უნდათ ისე ექცევიან“. (შ. მესხია. „საისტორიო ძიებანი.” მე-2. გვ. 316).

როგორც ცნობილია, გრიგორიანი მებატონის ყმა-შინამოსამსახურენი თუ ყმა-ხელოსნები გრიგორიანობას იღებდნენ, რის შედეგადაც ქართველობას კარგავდნენ და სომხდებოდნენ. ჩანს ასეთივე იყო სხვა ეროვნების მებატონეთა ხელქვეითი ქართველების ბედი. იუდეური სარწმუნოების მებატონის ხელქვეითი ქართველები-ებრაელდებოდნენ. მისიონერებსაც ჰყავდათ ქართველი ტყვე-მოსამსახურენი, რომლებსაც კათოლიკურ სარწმუნოებას აღებინებდნენ. ასე „გაფრანგებული“ ქართველები, „თავისუფლდებოდნენ“ და წარმატებითაც მოღვაწეობდნენ კათოლიკური სარწმუნოების გავრცელებისთვის არა მარტო საქართველოში, არამედ სხვა ქვეყნებშიც. ამასთან, ეს იყო ერთგვარი საშვი ანუ ვიზა, რომ ქართველები მასიურად გასულიყვნენ საქართველოდან და საშოვარს გადაგებულებს სხვა ქვეყნებში ეცხოვრათ.

თუ ადრე ქართველობა სამშობლოდან ტყვედ მიჰყავდათ, ასე მაგალითად: შაჰ-აბას პირველმა 1613-17წ.წ, დონ ჯუსტო პრატოს ცნობით - „60 ათასი ოჯახი წაიყვანა საქართველოდან, თითო ოჯახი არანაკლებ 4 სულს გულისხმობს. აქედან, 1633 წლისათვის დარჩენილი იყო მხოლოდ 20 ათასი ოჯახი, დანარჩენი დაიხოცა. ამრიგად, ქართველების მეშვეობით, სპარსეთი გამდიდრდა.“

(მორთეზა მუჰამედი ფათემი. „სპარსული მასალები.“ 1982წ. გვ.18). როსტომ ხანის დროს ქართველობა, რა თქმა უნდა ვისაც შეეძლო, გარბოდა სამშობლოდან.

ქვეყნიდან გადახვეწილი ქართველების ადგილებს კი იკავებდნენ სომხების და ებრაელების გარდა, ჩრდილოეთ კავკასიიდან ჩამოსული ხალხები.

როსტომ ხანის დროს, მართლმადიდებლობას არავითარი უპირატესობა არ ჰქონდა. იგი ქრისტიანების სხვა სექტებთან გათანაბრებული და დამცირებულიც კი იყო. თუმცა, სატანას დამორჩილებული როსტომი, მოჩვენებითობის პოლიტიკას არ ღალატობდა და ამას ქართველობის ნიღბის მიღმა იკეთებდა. მან სამღვდელოებას ჯამაგირი დაუნიშნა, „ტკბილადაც“ ექცეოდა, ეკლესიებსაც აშენებდა, მაგრამ სწორედ მისი მეფობის დროს „იწყო ქართლის წესმან და რიგმან გარდაცვალება. განმრავლდა სიძვა და არაწმიდება, ცოდვა იგი სოდომ-გომორული და მეძაობა და დედათა თანა აღრევა... აღზევდნენ მეძავნი და ბილწების მოქმედნი... თვით სამღვდელონიცა და მღვდელმთავარნიცა მიდრკეს კეთილისაგან და აღერივნეს ერთა თანა... მოუძლურდა სჯული და განირყვნა წესი ეკლესიისა, რამეთუ აღარა ეძიებდნენ სულიერსა საქმესა, არამედ ხორცთათვის ზრუნავდნენ ყოველნივე“. ხოლო თუ გამოჩნდებოდა რომელიმე სასულიერო პირი, რომელიც დაიწყებდა მხილებას შექმნილი სიცრუისა, მყისიერი სიკვდილი ელოდა მას.

როსტომი ებრძოდა ქართული ეკლესიის სულს, აზრსა და იდეას. ამის გამო გააძევა საპატრიარქო ტახტიდან კათალიკოსი ზაქარია. მის მაგიერ ტახტზე ახალი კათალიკოსი აიყვანა, რომელიც, როგორც ამბობდნენ, ნაკლებად სულიერი ყოფილა და უფრო მეომარს ჰგავდა, ვიდრე ბერს. როგორც დონ ჯუსტი წერს: „როსტომ მეფეს დაუნიშნია ახალი კათალიკოსი, რომელიც უფრო ჯარისკაცს ჰგავს, ვიდრე მღვდელმსახურსო.“ ჩანს, როსტომს ამ გზით, სასულიერო საქმიანობის ჩაშლა სურდა. მაგრამ უფალმა არ მიატოვა თავისი მხედარი, იგი აღავსო სული წმიდით და მიუხედავად იმისა, რომ ერის სულიერ მამას ძალიან უჭირდა ეტარებინა ასეთი მძიმე ტვირთი მწყემსმთავრისა, მშვიდად ეყურებინა ქართველთა დაცემისათვის, გამოიჩინა შეუპოვარი თავდადება და წინ აღუდგა როსტომ ხანის უმსგავსობას. იგი ღიად უპირისპირდებოდა გამუსლიმანებულ სამშობლოს მოღალატეს, არ ერიდებოდა, სადაც შეხვდებოდა, ყველგან ეუბნებოდა: „მაჰმადიანების მამა ხარ და ქრისტიანების

მამინაცვალიო“. ევდემოზ კათალიკოსმა ღირსეული მამულიშვილები შემოიკრიბა გარშემო და აუმხედრდა ურჯულო მეფეს. 1642 წელს, როსტომ ხანმა შეიპყრო წმიდანი, მაგრამ ვერაფრით გატეხა ქრისტესა და სამშობლოს სიყვარულით ანთებული კათალიკოსი. ევდემოზი კიდევ უფრო მწვავედ ამხელდა მეფის ურჯულოებას და ხალხს მის წინააღმდეგ საბრძოლველად მოუწოდებდა.

როსტომ ხანმა საპყრობილეში მოაშთობინა წმიდანი და ...„შემდგომად გადმოაგდო განჯის კარის კოშკიდამ“.

ჩემო მკითხველო, ალბათ იკითხავ გაკვირვებული (?): „ასეთი მოღალატეების გადამკიდემ, რამ მოგვიყვანა დღემდეო?“ პასუხი ერთია - რწმენამ. თუმცა მორწმუნენი დღესაც უმცირესობაში ვართ. **ყველაზე ბევრი და ღრმად მორწმუნე მრევლი ეპარქიაში, დღეს, მამა გიორგის (პავლოვი) ჰყავს. თუმცა, ის დღეს ისეთივე რიგითი მღვდელია, როგორც 1998 წელს გიორგიწმინდაში მოსვლისას. რატომ არ ხდება მისი მაღალ ხარისხში აყვანა? აქაც პასუხი ერთია – ის ნამდვილია, ის ქრისტეს მხედარია, ის ევდემოზ კათალიკოსის სულიერი მემკვიდრეა და ებრძვის „როსტომ ხანების“ ოცდახუთწლიან მმართველობას...**

ისტორია მეორდება...

როსტომმა 26 წელიწადი იმეფა...

დღევანდელი „როსტომ ხანების მეფობის“ დამთავრებამდე დარჩა კიდევ ერთი წელიწადი...

მამა გიორგიმ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გამოუცხადა ევროპაში ღმერთად აღიარებულ, ხარად ქცეულ ზევსზე ამხედრებულ ევროპას, დიდ მეძავს, რომელიც წამლავს ღვთისმშობლის წილხვედრს პედოფილიისა და მეძავობის სენით. სთხოვს უფალს, არასამთავრობო ორგანიზაციებად გადაკეთებული სექტები, რომლებმაც ღმერთთან ბრძოლის საქმეში, თვით იეღოველებსაც კი გაუსწრეს, დროზე მოეგონ გონს და მოინანიონ ცოდვები. ყველა ხელისუფალი, რომელიც ქრისტიანობის ნიღბით და ფასადებით არის მოსული, შეეშვას საქართველოს მტრებთან თანამშრომლობას და ეროვნულ მოძრაობას დაუდგეს გვერდში. **აგრესიული ლიბერალიზმის ხანა ერთხელ და სამუდამოდ უნდა დამთავრდეს ჩვენს სამშობლოში.**

მხოლოდ ღმერთთან სიახლოვე გადაარჩენს ჩვენს სამშობლოს. ეს სიტყვები კი მამა გიორგის ყველა ქადაგებაში ისმის: „ილოცეთ, ილოცეთ და რამდენჯერაც შეგიძლიათ წარმოსთქვით ლოცვა:

„აცხოვნე, უფალო, ერი შენი და აკურთხე სამკვიდრებელი შენი.

ძლევაჲ ჯვარითა ბარბაროზთა ზედა ღვთივდაცულსა ერსა ჩვენსა მოანიჭე და საფარველსა ქვეშე მისსა დაიცევ, რაჲთა ვიტყოდეთ: უფალო დიდებაჲ შენდა“.

ღმერთს ებარებოდეთ!

იოსებ სიბოშვილი, მწერალი.
ნიკო ლორთქიფანიძის პრემიის ლაურეატი.
ქართული კულტურის ამაგდარი
სოფ. სართიჭალა. 03.03.2017წ.
ტელ: 599 24 24 63.

* * *

ჩემს გულს აკვნად გამოგითლით,
მოწიწებით გარწევთ ნაზად,
ჩემს სიყვარულს სხივად დავწნავ,
და გვირგვინად თავზე გადგამთ,
ყველა ტკივილს ამოვკინძავ
თქვენი გულის სიღრმიდანა,
ბედნიერებას მოვქარგავ და
მის მირონს გაცხებთ მ ა რ ა დ !!

დიდი სიყვარულით
თამუნა მერაბიშვილი

გილოცავთ!
მამა გიორგი პავლოვს

დაბადების დღეს გილოცავთ,
ჩვენო შემწევ და მფარველო,
დედით და მამით უცხოვ და
სულით კი წმინდა ქართველო!
ყველგან, ყოველთვის
მადლს რომ სთეს,
იხაროს შენმა გამზრდელმა,
მუდამ სიკეთის ქმნისათვის,
კურთხეული გაქვს მარჯვენა.
სიყრმითგან გამორჩეულო,
საქმენი გაქვს საგმირონი,
ღმერთმა შენს სურათს აპკურა
სურნელოვანი მირონი.
იცოცხლე მამა გიორგი,
ჩვენს საიმედოდ მრავალ ჟამს,
პავლოვო! საქართველოში
ფესვი გადგმული მძლავრად გაქვს.

ქრისტესმიერი სიყვარულით
ნანა ბაგრატიონ-დავითაშვილი
16.01.2016.წ.

* * *

მადლით მოსილო მამა გიორგი,
მრავალ ტანჯულთა სულთა მკურნალო,
საქართველოზე და ქართველ ერზე
გულანთებულო, შეყვარებულო.
სულით ხორცამდე დიდო ქართველო
და საამაყო დედის გაზრდილო.
ზოგჯერ ხილულად, ხან დაფარულად
გაჭირვებულთა ხელის გამწვდელო.
მამა გიორგი - ნამდვილო, წრფელო,
ცხონების გზაზე გამყვანებელო
დიდო იმედო, ნუგეშო ჩვენო
ღვთივგანბრძნობილო მაშვრალთ მფარველო -
არ მოგკლებოდეს შენ ღვთისა მადლი
და სიყვარული ქართველ ერისო!

იანა ალექსაშვილი
თბილისი

მამა გიორგი პავლოვს!

ზარის ხმა იყო, ყველა ჩუმდება, წირვა იწყება,
მამაოს ხმაზე, გულიც მშფოთვარე მსწრაფულ დამშვიდდება,
სპეტაკი გულით, ღვთის სიყვარულით, წინ წარგვიდგება,
მისი ლოცვის დროს, მაღლა ზეცაში ღმერთი დიდდება.
ამბიონიდან, რომ გადმოგვყურებს არწივის მზერით,
ყველას გულისთქმას, ამოიკითხავს თვალებში ცქერით.
ჯვარს გარდაგვსახავს, თვითვეულ ჩვენგანს მარჯვენა ხელით,
სურს რომ, სულყველას გული აუვსოს ნამდვილი რწმენით.
თავჩაღუნულებს, ხელში გვიჭირავს წმინდა სანთელი,
წინ აღმართულა, წმინდა ბერი, სულით ჯანმრთელი,
სიბნელეს კვეთავს მის გარშემო სხივი ნათელი,
სწორედ ის არის, სამაგალითო, ნაღდი ქართველი.
მის გულში ცოცხლობს წმინდა სამება, რწმენა ძირძველი,
სულით ქართველი, მამით რუსი და დედით ბერძენი
მადლობა უფალს, მასზე ლექსის თქმა მე რომ შევძელი,
ღმერთმა დალოცოს, მამა გიორგი, იყოს დღეგრძელი!!!

ქრისტესმიერი სიყვარულით
ნოდარი ფვირანიშვილი „ბელტია“
16.01.2016წ.

გმადლობ, უფალო!
მამა გიორგი პავლოვს

გმადლობ, უფალო! რამეთუ შენ ხარ
სიკეთისა და მართლის მძებნელი.
გამოგვიჩინე სულის საოხად,
მამა გიორგიმ დასძლია ბნელი...

მართალ მოძღვრისა ნათელი მზერა,
ტანჯული სულის საოხად იქცა.
ქართველთა ყოფა, უიმედობა,
აღსავლის კართან რწმენად გადიქცა.

გზისა მპოვნელო ბერო - მოძღვარო,
გული უფლისა რწმენით აგვივსე.
გიორგიწმინდის ძირ-ძველ ტაძარში,
აღზევებული ხვდები აისებს.

რა მძიმე ტვირთი გადმოგაბარეთ,
ცოდვა და ურვა, თუ რამ გვებადა.
გვაცხე მირონი ხატებმდინარე,
სანუგეშოდ და საკურნებლადა.

ცირა ბულაშვილი 03.04.17.

სამშობლოს გადაგვირჩენს ღვთისმშობელი!

მ-აღალ ღმერთს შევევედრე, შემიწყალე:
ა-მ სოფლის მეხთატეხით დავიღალე,
მ-ოველ უფლის სახლში, დამლოცეთ და
ა-ღდგომას ხელმეორედ დავიბადე!
გ-ანთიადს ზეცამ მადლი მიწყალობა,
ი-ისფერ ზამბახების სასწაული,
ო, ღმერთო, უსასრულო სიყვარული,
რ-არიგად გამითელე საწყაული!
გ-აზაფხულს შევეგებე უფლის ნებით,
ი-ესოს ლოცვამ გულში დაივანა,
პ-ირველად მაზიარეთ მე ცოდვილი,
ა-მ მადლმა ცის კიდემდე ამიყვანა!
ვ-ედრება მსწრაფლშემწეა წმინდანისა,
ლ-ოცულობს მამაო და ხარობს მრევლი:
ო, წმინდაო ქალწულო დაგვიფარე,
ვ-აზის ჯვარს მოჰფენია სხივი მხსნელი,
ს-ამშობლოს გადაგვირჩენს ღვთისმშობელი!

დიდება უფალს!
ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ მამა გიორგი!
ქრისტესმიერი სიყვარულით ნატალია პაპუნაშვილი
საგარეჯო. სოფ. კაკაბეთი

გამარჯობა, ჩვენო ტკბილო მოძღვარო,
ცოდვით სავსე მე მოვედი შენთან,
გევედრები, ჩემო მამა გიორგი,
ლოცვით, რწმენით, მიმიყვანე ღმერთთან!

იოსებ სულიკაშვილი
პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკი
თბილისი 577 275-775

სარჩევი

მამა გიორგი პავლოვს. გიორგი (გელა) ფაჩუაშვილი..... 9
დედის მოგონება - ღვთის საჩუქარი 10
გიორგი გიორგიწმინდელი (მამა გიორგი პავლოვი) 12
ტაძარი და სოფლის ისტორია..... 14
„რომელსა ჰქონან ყურნი ისმინენ“... იოსებ სიბოშვილი 23
„აკურთხევს სული ჩემი უფალსა და ყოველი გონებაჲ
ჩემი - სახელსა წმიდასა მისსა“ [ფსალმუნი102;1].
ირაკლი ლომიძე 31
სიყვარულის მოძღვარი - გზა მოწამეთადან
გიორგიწმინდისკენ. მარინე ოსეფაშვილი.....44
* * * ირმა ინაშვილი 50
ღმერთო, ძალა მოგვეცი! ვაჟა ოთარაშვილი.....51
„ღვთისკაცი მამაო“. ალექსანდრე მაზანაშვილი 54
* * * მამუკა გიოშვილი 56
მოძღვარნი საამაყონი. ლეილა არჩემაშვილი 59
* * * ნინო მიქიაშვილი 63
* * * გიორგი ფაჩუაშვილი. 64
* * * ნოდარ ფირანიშვილი.....68
ნათელი სვეტი სიყვარულისა. მერი გილაშვილი 70
* * * ნათია ლორია 73
მადლიერება მამა გიორგი პავლოვს! რევაზ ლორთქიფანიძე 74
„ყრმობიდან ღვთის რჩეული“ მაყვალა სულაძე 75
* * * მაია დემურია 80
* * * თამილა ჩირიკაშვილი 83
* * * ლია გორელაშვილი 86
ჩემი უსაყვარლესი სულიერი მოძღვარი დალი სუხაშვილი 89
„დიდ ხარ შენ უფალო და საკვირველ არიან საქმენი შენნი“
დარეჯან გილაშვილი თამაზ გრატიაშვილი 91
ნამდვილია და ამიტომაც მიყვარს ნანა კონჭოშვილი 95
მამა გიორგი არის მოძღვარი, რომელიც განუწყვეტლივ
ლოცულობს სამშობლოსათვის, ბერისა და ერის
ერთობისათვის. ანასტასია ხვიბლიანი 97
* * * ზესტაფონი, ზოვრეთის საჯარო სკოლის პედაგოგები 100
ისინი მანათობელი კელაპტრები არიან უფლისკენ
სავალ გზაზე. ქეთევან ფირანიშვილი 102

„დიდ მადლობას შევსწირავ უფალს, რომ შემახვედრა
მამა გიორგის“. პირველი შეხვედრა მამა გიორგისთან
სოფო გაფრინდაშვილი 104
მის თითოეულ სიტყვას დიდი ძალა აქვს, ის სულის რენტგენია
და ვერაფერს გამოაპარებ. მაკა თოლორდავა 106
მასთან შეხვედრის ყოველი დღე ჩემთვის დიდი ბედნიერებაა
ლანა დრეიძე 107
მისი ქადაგება ინფორმაციაა მომავალი თუ
დღევანდელი ცხოვრებისათვის. დავით ტაბატაძე 108
მამა გიორგი ნამდვილად გულკეთილი და კარგი მამაოა
მარიამ პაპუაშვილი 112
გავიფიქრე იქნებ მამა გიორგის შემახვედრა მეთქი
ლელა გულიკაშვილი 113
„ასვი, აჭამე, ასეირნე, არაფერი აღარ სჭირსო“
თინათინ კევლიშვილი 114
ის უკვე უფლისგან არის რჩეული მაია კევლიშვილი 115
მოგონებები მამა გიორგი პავლოვზე - უხილავი კავშირი სულთა!
ლალი ლომიძე 119
„ის სულიწმიდის მადლის მქონეა“ თიკო ბასილაშვილი 121
თვალებში ამოკითხული სიყვარული. გიორგი კანჯარაშვილი.....121
„...ის სიცოცხლეშივე იყო წმიდანი“. მიხეილ ანდღულაძე 123
მასთან სულს უხარია. ხათუნა ტყეშელაშვილი 125
ის ჩვენი დროის ცოცხალი გმირია, რომლისთვისაც სახელი ჯერ
არ მიუნიჭებიათ. თეა გოგრიჭიანი-მეკოკიშვილი 130
უამრავი სიკეთის მატარებელი მოძღვარია მამა გიორგი.
ირმა ინაშვილი 131
საქართველოს მამა გიორგისნაირი ადამიანები
ბევრი ჰყოლოდეს. გულიკო ჯამალაშვილი 133
მამა გიორგი ერთ-ერთი უძლიერესი სულიერი ხედვის და
ძალის მღვდელმსახურია. გურამ გიორგაძე 134
წირვის დასრულებამდე მამა გიორგის სურათი მირონით
დაიცვარა. ნანიკო ანთიძე 135
მამა გიორგი ნამდვილი მწყემსია. ნათია მარიდაშვილი 137
უწმინდესი მაშინვე ხედავდა მამაოში დიდ სიწმინდეს,
დიდ რწმენას და დიდ მადლმოსილებას ნინო მკერვალი 139
თავისი სიწრფელით და უკიდეგანო სიყვარულით ძალიან
აგონებდა სიყვარულის მოციქულს. მზია ხელაშვილი.....142

ბედნიერია დეიდა რიმა, ქვეყანას ასეთი დიდი შვილი რომ აჩუქა.
რუსუდან დარჩია 145
„ითხოვდეთ და მოგეცეთ თქვენ, ეძიებდეთ და ჰპოვოთ,
ირეკდით და განგეღოს თქვენ“. მერი გელაშვილი 147
იქიდან რომ წამოვედით მივხვდით უფრო მეტად გვიყვარდა
ერთმანეთი. ნინო მღებრიშვილი, ნინო ლაღაძიშვილი,
ნათია ახვერდაშვილი, ელიზა ახვერდაშვილი,
ციცი ხაბაზიშვილი.....149
სიყვარულის მოძღვარი. მანანა მექოშვილი 151
სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა!
მარიამ დოხტურიშვილი 160
* * * არჩილ ლეკიშვილი 163
„ბრწყინვალე“ - ჩემი მამა გიორგი.
ციალა (ცისანა) კვირიკაშვილი-მუხურაძე..... 166
კაცობრიობის ზნედაცემულობის გამო ბუნება აღშფოთებულია.....168
რატომ გვეძლევა ადამიანებს სნეულება?!
გიორგიწმინდის ღვთისმშობლის შობის სახელობის
ეკლესიის მოძღვარი მღვდელი გიორგი პავლოვი 172
უფლისმიერი მადლით გაბრწყინებული მზია მიქელაშვილი.....175
„რა გითხრა, ბაბუ, შენ იცი, თუ ღვთის სიტყვის მოსმენა გინდა, იქ მამა
გიორგია და მოუსმინე იმის ქადაგებას, თვარა მე რას დამდევ, ბაბუ,
რავა კინოვარსკვლავი ვარ თუ?!“ გიორგი კიკილაშვილი..... 177
წმინდანის გამოცხადება ჩვენს ტაძარში. ლია თამაზაშვილი 181
„წმიდათა რომელნი არიან ქუეყანასა მისსა,
საკვირველ-ყო უფალმან ყოველივე ნება მისი მათ შორის“.
თორნიკე გუგუციძე 183
„ის პავლოვი არ არის-პავლიაშვილია“
არქიმანდრიტი გიორგი (ბასილაძე). იოსებ სიბოშვილი.....189
* * * ჩემს გულს აკვნად გამოგითლით. თამუნა მერაბიშვილი 194
გილოცავთ! მამა გიორგი პავლოვს.
ნანაბაგრატიონ-დავითაშვილი.....195
* * * მადლით მოსილო მამა გიორგი. იანა ალექსაშვილი 196
მამა გიორგი პავლოვს! ნოდარი ფირანიშვილი 197
გმადლობ, უფალო! მამა გიორგი პავლოვს. ცირა ბულაშვილი 198
სამშობლოს გადაგვირჩენს ღვთისმშობელი!
ნატალია პაპუნაშვილი 199
გამარჯობა, ჩვენო ტკბილო მოძღვარო. იოსებ სულიკაშვილი 200